

374/4

ՀԱՅԿԱՆ

4

1974



У. Шугинович 74

სესია

203

გამოცემის მეთვრამეტე წელი

4

ეპრილი

1974

თბილისი

საქ. კვ. ც. -ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუვნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის

ერაზმ
ე. წიკის ს. ს. საქ.
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

უიენაერსი

3. რადვან აუ-შახალი. ლენინი. ლექსი

პროზა, პოეზია

4. ოთარ ჩხიმი. გორიანი. რომანი. დასასრული

36. ნელი გაბრიჩიმი. ლექსები

38. ნოდარ ნარსია. ლექსები

41. ტაგუ მავურიშვილი. ლექსები

44. ელდარ კიჩევაძე. სინათლის ფრთები, ლექსი.

47. ელგუჯა მადრაძე. გოდება. ბიოგრაფიული რომანი. დასაწყისი

102. გივი ვიჭინაძე. ლექსები

103. გრიგოლ ჯუღუშვიდი. ლექსები

106. გივინა ვინდაძე. ლექსები

108. ილია არცხია. სიკეთე. ლექსი.

109. აკაკი ვახაძე. ლექსები

ხუთწლედნი ჩემს სოფელში

112. გივი გუთხუჯი. უანდატოლები

ჩვენი დღეების რიტმი

119. ვია იოსელიანი. რკინის არტერიების მსახურნი

ლენინიანა

122. მატინან შაროვა. იდეური ბრძოლის დიდი სკოლა

— 60 —

127. გიორგი მერაპიაძე

წერილები

128. რევაზ ჩხატორიანი. გრიგოლ ბაბუიძის ლირიკა

138. რევაზ სიჩაძე. შავთალწერილობა და მხატვრული ლიტერატურა

145. მამუკა წიკლაური. „ქართლის ცხოვრების ძროხები მოთხრობილი ვახტანგ ზედიძის მიერ“

150. ალექსი ვინაარაული. დია ბარათი ზვიად გამსახურდიას

159. ყოველი მხრიდან


მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
ვალერი ბაძრაძე,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდუთელი,
მერაბ ელიოვიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაჭკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ წულუკიანი,
ტარიელ ვანტურია,
სერგი ვილიანი,
თამაზ ვილიანი,
ლაშა ჯანაშია.

ლ ე ნ ი ნ ი

ჩვენ ვამბობთ ლენინ!
ცოცხლდებიან ცივი ლოდები.
ლენინ! ჩვენ ვამბობთ,
აღსდებიან და ცოცხლდებიან.
ლენინ! ჩვენ ვამბობთ,
იდეები იბადებიან
და დანგრეული ქალაქები
იწევენ მზისკენ,
იმოსებიან მწვანე ფოთლით
გამხმარი რბონი.
ლენინ! ამ სიტყვას
ინახავენ ბულის სიღრმეში,
რომ კვლავ გვიძღოდეს
მისი სიტყვის ჰეჰა-ჰუნელი!



ბოროტაყი

XVI

აუშვებდა რა თქმა უნდა... მანამდის სტუმარი დარჩა ანაბარად შაქრო ცისკარიშვილისა. ეს ერჩინა, მარჯვე ახალგაზრდა გამოდგა, რაც დაყოვნა ლეკომა, თორემ მერე არვისა და აღარაფერს შეუფერხებია. თუმცა საარჯვენოს რომ გამოდიოდნენ, ხერგილი დახვდათ, ოღონდ მაშინვე ასწიეს ის ხერგილი, არც უკითხავთ, ვინა ხართ თუ სად მიდინხართო. იცოდნენ, ბექას ციხე გამოპყურებდა, ბექას ჩადგმევიანებინა ხერგილი. გურანდუხტის დროშაც იქიდან მოსჩანდა, თუმცა ნიფხვის ტოტები უწოდა ლეკომა, მაინც დროშასა ჰგავდა, ფრიალებდა ლაღადა, თამამადა, თამამი ქარი თუ უქროდა. ჰო ერთი სიტყვით, ხერგილი დახვდათ და აუგდეს ხერგილი, გზადაც შემოეყარნენ ვიღაც ვიღაცანი. თოფიანებიც შემოეყარნენ, ვიღაცა მიჰყავდათ, ვიღაცანი მოჰყავდათ ან საითკენღაც მიექანებოდნენ, მიესალმენ და გაექანენ, მეკალოებსაც ჩაუარეს, მებზევეებსაცა, მხენელებსაცა, მრწყველებსაცა, მიესალმენ და ჩაუქროლეს; ისინი თუ მიექანებოდნენ, მიჰქროდნენ ესენიცა, ამხედრებულოყვენს, თუმცა ცოდო გამხელილი სჯობიანო, მაინცადამაინც ვერ მიჰქროდნენ, ცხენზე ჯდომა უჭირდა სტუმარსა, გაქანდებოდა შაქროი და შეიცდიდა, ბოდიშობითა, რა ექნაო, მეჩქარებო, მალევე უნდა გამოებრუნდე, ო გოგოებიც უნდა გავიყვანოო, თორემო ვინ თავმკვდარიო, ნე-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3.

ბანება გატარებო. ისევ გაქანდებოდა, ისევ შეიცდიდა, უმალ შეიცდიდა, ვინმე თუ გამოჩნდებოდა გზადა, გვერდი-გვერდ გაჰყვებოდა სტუმარსა და ავად აბრიალებდა თვალებსა. ასე იარეს, ფონებიც გაშხვიპეს, მშრალი რიყენიცა, ჰალებსაც შემოუარეს, ველობიც მოსქრეს, ჩაკაფეს ორღობეებიცა და გავიდნენ ნატბევსა, იტრიელთა კალოს მიატანეს. ფათერაკი არ შეჰხვედრიათ, უხერხული თუ საშინელი არაფერი გადაუტანიათ და მიხვდა მოგზაური ან ასე ირწმუნა, როგორც შეგხვდება მეგზური, იმდაგვარიც გექნება მგზავრობო; მეგზური ყოფილა ყველაფერი, გზასა თუ ადგილს ნურავინ დაემღურებო. თუმცა აქაც დაადგა ცოტა გაჭირვებაი, ცხენიდან რომ ჩამოვიდა, ლაჯები უხურდა, ველარც დამღვარიყო, ველარც დამჯდარიყო, მაგრამ სამღურავს როგორ ამოუშვებდა პირიდან.

მეგზური არც ჩამომხტარა ცხენიდანა, რაღაცა უთხრა შემხველურ ყმაწვილსა, დაისადგა ამისი ცხენი, მშვიდობით მენახეო, ვადმოუფგლო მხარიღლივა და ბუქი ააყენა გზაზედა. ეს დარჩა კალოს პირასა, დიდი კალოსი, ათი კვერი უვლიდა ორპირადა, უვლიდა ცოცხლადა, ფიცხლადა, ხმაურიანადა, მეკვერეები აქეზებდნენ ხარებსა, აქეზებდნენ შეძახილებითა. ეგება კიდევაც წამოიძღვრონო, შეჩერდა, დაქვითა ყურები, მაგრამ არავინ ამღერებულა არცა მეკალოეთაგანა, არცა მეურმეთაგანა. ზხეებ-

— ჰა, ჰა, ჰა... ვერ დააღწიე თავი...
მოდო, მოდო..

საჩრდილობებელში შეიწვია, სასტუმროც ის გახლდათ, შესასვენებელიცა, სადილ-სამზარასაც იქ მიირთმევდნენ, სათათბიროც იქ იყო, ყველაფერს ითავსებდა, ვარდაიქმნებოდა სახელდახელოდა, თუმცა არაფერი შეიცვლებოდა, იგივე ვრძელი მაგიდა, იგივე ჩამოსასხდომები აქეთ-იქიდანა, ან რა მაგიდაა, ან რა ჩამოსასხდომები, იქვე გამართული, იქვე გალართხული და გადარანდული ზერელედა; სამი მხრით ისევე ფარლალა, ერთი მხრით მიწყობილი ბულულები, თითქოს თავისებური სავარძლებიაო, მიესვენებოდი და მოისვენებდი, თუმცა თათბირი ასედაც შეიძლებოდა, წაკამათებაცა, ერთიორგან წიგნიც მიეგდოთ. ერთზე ბუფიე ამოიკითხა მოსულმა, გოგოები კითხულობენო, მიატანა დამხვდურმა, მეორეგან — შოპენპაუერი, ბიჭები კითხულობენო, აუხსნა დამხვდურმა. ი ბიჭები და გოგოები კეერებზე ისხდნენ, თავპირი მიეშვირათ გახურებული მზისათვისა, ხოლო როცა შეენაცვლებოდნენ, შემოცივივოდნენ საჩრდილობებელშია, დაეძაგრებოდნენ წყალსა, დაეშვებოდნენ ბულულებზედა, დაეშვებოდნენ მოწყვეტითა, ცოტას მილულამდნენ თვალსა, ცოტას წიგნს გადაავლებდნენ და ვინ იცის გვერდსაც ვერ ჩაათავებდნენ, შემოესმოდათ, შეენაცვლეო. მაინც ეს გახლდათ სამკითხველოცა, მხოლოდ ერთთა სამზარეულოა აღარ დაეკისრებინათ, შინ ამზადებდნენ, შინიდან მოჰქონდათ ჯერი კალოსთვისაცა, სარწყავებში გასულთათვისაცა, რამდენიმე პირად გაიშლებოდა სუფრათი, ან რა სუფრათი, — მაგიდაზე ჯამები ეწყო პირქვედა, ვადმოაბრუნებდნენ და დაიხსამდნენ კვრძა თვითონვე მორეცხავდნენ, დაამხობდნენ პირქვედა, კოვზს ქვეშიდან ამოუღებდნენ. დამხობილ ჯამებსაც დააჩერდა მოსული, მალე იქ-

თანა ტრიალებდა ურმები, მიჰქონდათ, საბძლებში ეზიდებოდნენ ბზესა, — რამდენი გაეზიდათ, რამდენი კიდევ იყო ვასაზიდი, დიდი ბჯაც იდგა ვასალეწი, ბარაქიანი კალოობა დასდგომოდათ; ამათ დასდგომოდათ ბარაქიანი, ბარაქიანი სხვებთან შედარებითა, თორემ ესენი ემდუროდნენ, წელიწადი ნაკლები გამოსავალი აქვსო. ემდუროდნენ სხვანიცა, ყველანი ემდუროდნენ, ვაჰირვების ზამთარსა ვარაუდობდნენ, ზოგს უკვე გასჭირებოდა, უკვე ბუზღუნებდა ან იმუქრებოდა ან მოკუნტულიყო მუშტისოდენადა. თითქმის მოთავებულიყო კალოობაი, მარიამობისთვის დამლევამდისაც ვერ მიეღწია, ენკენისთვესაც გადასდევდა ხოლმე, ვინ იცის ღვინობისთვისაცა, თოვლქვეშაც მოჰყოლიათ კალოი, ნადრევე თოვლქვეშა, გამათენებულ ოჯახებსა, დიდმოსავლიან ოჯახებსა რაღა თქმა უნდა. ჰო ვერ მიეღწიათ მარიამობისთვის დამლევამდისა, ჯეჯილი ამოსულიყო ბევრ კალოზედა. ცოტასღა დარჩენოდა, ისინიცა ბუზღუნებდნენ, ამათაც დარჩენოდათ, თუმცა გულს აკლდათ, მაინც მადლობა შეეწირათ ღმერთსაო, იტყოდა უფროსი და სამღურავი შეაკვივებოდა დანარჩენთა ტუჩებსა, — მხოლოდ მადლობა შეეწირათ ღმერთსა და მიწასაო, ჩვენ ოფლი არ დავიშუროთ, ჩავღვაროთ ოფლი, ჩავლით ჯანი, სხვა თვითონ იცის, ვენაცვალე მიწის მადლსაო.

მოეკლო მიწის მადლსა... ამან არ იცოდა არც მადლი მიწისა, არც სიმძიმე კალოობისა, სიმღერა იცოდა და რაც იცოდა, იმას ეძებდა. ყმაწვილი არ აცდიდა, აქეთ მობრძანდითო, საჩრდილობლისკენაო, საჩრდილობლიდანაც გამოვიდა კაცი, ხელი ასწია მიგებებადაცა, იმის ნიშნადაცა — ჩემსკენაო. ამანაც მიადწია და უმალვე მოახსენა თავისი ვინაობა, თითქოს შიშობდა, აქაც არ დამასწრონ, სხვა ვინმედ არ გამასაღონო.

— ვიცი... — ღიმილით მიუგო დამხვდურმა, — გელოდით...
— ლეკომ..

მთარ ჩხაიძე
გორიანი

ნება სამხარო, დაამშვიდა დამხვდურ-
მა.

— არაფერი მინდა... — თქვა სტუ-
მარმა.

— ვიცო, — მიუგო დამხვდურმა, —
სტუმარმა სამი ტყუილი უნდა თქვასო,
მეჩქარებაო, არა მშინაო, აქით არ მო-
ვდიოდი, თორემ კარგი საჩუქარი მქო-
ნდა თქვენთვისაო.

— არა... რატომ?!

— ასეა ნათქვამი...

— ყველაზე ჰო არა?!

— ნუ ავუხიბრდებით, ნათქვამია და
იყოს, ჩვენც ვავიხსენოთ და ვავიხალი-
სოთ...

იოლადა თქვა, იოლად დაამშვიდა,
ისევე იოლად თუ უბრალოდა, ბუვიე
და შოპენჰაუერი რომ გამოსთქვა, ბე-
ვრი რამ წაეკითხა, ბევრი რამ გაეგო,
ჩასწვდომოდა იღუმალუბას ცხოვრები-
სა, აღარაფერი გააკვირვებდა, ადვილა-
დაც დაამშვიდებდა გაკვირვებულთა
თუ შეძრწუნებულთა, რამეთუ ერთი
ყოფილა ყოველივე, სიცოცხლისა ყო-
ფილა, ხოლო რაცა ყოფილა სიცოცხ-
ლისა, ზვედრი ყოფილა ადამიანთა. ჰო
ბევრი რამ წაეკითხა, ბევრიც ვადაეტა-
ნა, რუსეთის ციხეები, ხეტიალი უცხო-
ეთშია, პარტიული ბრძოლები, ფილო-
სოფიური დისკუსიები, ბევრი ვადაე-
ტანა, ბევრსაც ვადაიტანდა ერის გამო-
ხსნისთვისა, ერის თავისუფლებისთ-
ვისა. ყველა პარტიას მიჰყედლებოდა,
ყველას გასცლოდა, რადგან არ დათან-
ხმებოდნენ, ისე გაეგოთ თუ წარემარ-
თათ ბედი ერისა, თვითონ რომ ესმო-
და. მაინც ცალკე ვერ დარჩენილიყო,
იყო სხვებთან, ოღონდ იყო მარტო,
განცალკევებული, თავისი აზრითა, თა-
ვისი რწმენითა, იყო და დარჩა მშინა-
ცა, როცა დროებითი ხელისუფლება
იშოვნეს იმისიანებმა და იდეური თუ
პოლიტიკურ-ფილოსოფიური გატა-
ცებანი თანამდებობებისათვის ბრძო-
ლებზე გადაახურდავეს: არც ეს გაპ-
კვირვებია, არც ისა, რომ მალე დაეცნენ,
გულანაზალი აიკრეს და გაჰყვნენ იმა-
ვე გზასა, საიდანაც დაბრუნებულნიყე-

ნენ, იმ განსხვავებითა, მაშინ თუ ცალ-
ცალკე ემიგრანტებად ითვლებოდნენ,
მერე ემიგრანტული მთავრობა ერქ-
ვათ, სხვა დანარჩენი იგივე გახლდათ,
მაშინ თუ თავპირს აპოტინდნენ, მერე
ცოცხლებრივა სკამდნენ ერთმანეთსა,
მაშინ თუ იმაზე დავობდნენ, როგორ
მოეწყოთ სახელმწიფო თუ ექნებოდათ
მერე იმაზე გაცეცხლებულიყვნენ თუ
როგორ ვერ მოაწყეს და ვის უფრო
მეტი ბრალი მიუძღოდა. ამას მხოლოდ
ყური მოეკრა, დაახლოებით აღარ იცო-
და, თან არ ვაჰყოლია, ეყო, ეკმაროდა,
აღარას მოელოდა, დაჰყარა ფარ-ხმა-
ლი, დაჰყარა და ისევე ციხეში ამოჰყო
თავი... სტუმარმა რა იცოდა, არაფერი
უთქვამს შაქროსა, მხოლოდ აჩქარებ-
და, ლეკო ეტყოდა, წინასწარ აუხსნი-
და, შეამზადებდა, ყველას თავისებური
მეგზურობა სცოდნია, ყველას თავისე-
ბური ნაკლი ჰქონია. უბეში თავისი
მეგზურიც უღვეს, თავისი რუქა, მაგ-
რამ ისიც მხოლოდ ნატბევს და იტრი-
ელებს მოაგონებს, ცალ-ცალკე არავინ
დაუხსახლებია ვიორგი ყანჩაველსა,
ან ამას არ დახსომებია, თავს ძალას
ატანდა, ვერაფერი მოეგონებინა; მიხ-
ვედრითაც ვერ მიხვდებოდა ამდენ რა-
მესა. ისიც დიდია ამისგანა, კალოზე
სამუშაოდ ვადაცმული მამაკაცი, გლე-
ხად რომ არ მიიღო, რომ ივარაუდა,
ასე ორმოც წელს იქნება მიტანებუ-
ლიო, მეტს ვერაფერს მიხვდებოდა
რალა თქმა უნდა, ისიც დიდია ამისგა-
ნა; ოღონდ ემანდ თქვენ არ ვაგისწოროთ
ფიქრმა, იქ „ციხეში ამოჰყო თავიო...“
აქ „ვადაცმული მამაკაციო“, გამოჰა-
რული თუ გამოქცეული არ გეგონოთ,
არ მოგერიოთ სათავგადასავლო გატა-
ცებანი, არა — გამოვიდა ციხიდანა,
ხელი ჩაიქნია, დასთმო ყველაფერი,
დაბრუნდა შინა, ბიძებთან დაბრუნდა,
ძმებთან დაბრუნდა. ისინიც ათრია წუ-
თისოფელმა, ვინ საითა და ვინ საითა,
შინ თითო მაინცა რჩებოდა, ელოდა
ვინმეს დაბრუნებასა, მერე მობრუნდ-
ნენ სათითაოდა, დამარცხებულნი, იმე-
დგაცრეხებულნი, ესტიბარგატეხილნი,



ეს მობრუნდა ყველაზე გვიანა, გატყდა ყველაზე თავგამოდებულიცა.. ჰო მობრუნდნენ, მიწას მოუბრუნდნენ, ნატბევის მიწასა.

გახურებულიყო ნატბევის მიწაი, კალო გახურებულიყო, გახურებულიყო კვერი, თავთავი გახურებულიყო, იფუნტიტებოდა, იშლებოდა, ბზევდებოდა, ხვავდებოდა. მოზერები ენას ჩაპყოფდნენ ხვაეში, სახრე გაიშხუილებდა, აჩქარდებოდა გახურებული კვერი, აღმოური ასდიოდა ჩაბზევებულ კალოსა. შემონაბირება უნდოდა, ქცევა უნდოდა, არ ეცალა დამხვდურსა, გაუღიმა საბოდიშოდა და გავიდა საჩრდილოდანა. ბზის შვიდავებმაც გამოუშვეს ურმები, საიდანაც გამოჩნდნენ დაკარწახებული მრწყველებიცა, მიჰყარეს ბარები, ფიწლები აუგდეს კალოსა, აუგდეს და ამოაბრუნეს, ამოაბრუნეს და გამოუჩინეს გული, ფიცხი დღე იდგა, მარჯვედ ილუწებოდა, მხოლოდ ნიავეიდა იყო სანატრელი, დროზე თუ ნიავეიც ამოიქროლებდა ხართაშობამდის მორჩებოდნენ ყველაფერსა, იმ ერთი დღის საქმეს მორჩებოდნენ, წინ სხვა იდო კვლავაც საჩქარო, საშური, გადაუდებელი. უქცევდნენ და ლაპარაკობდნენ, შეჩერდებოდნენ, გასწორდებოდნენ წელში, ოფლს მოიწმენდნენ და ლაპარაკობდნენ მოკვეთილად, საქმიანად ბევრი რამ რომ იგულისხმებოდა ცოტათი რომ გამოითქმოდა ამას ამიტომაც არ გაეგებოდა, ესმოდა, მაგრამ არ გაეგებოდა, იჯდა ჩრდილოში, გადაინაცვლებდა, მტვერი თუ მიედინებოდა, იქაც მიუვიდოდა მტვერი, იქიდანაც გადაინაცვლებდა მხოლოდ მტვერი არ ინაცვლებდა ეგრე ადვილად, მტვერი კალოსი, დაგუდული დღის მტვერი. ისინი იდგნენ მტვერსა და მზეში შეჩვეულნი, შეგუებულნი, ამტანნი, ერთმანეთს მიმგვანებულნი ამტანობითა, ისედაც — ტანდაც თითქმის ტოლებნი განლდნენ, საშუალოზე ოდნავ მომადლონი, შესამჩნევად მხარბეჭიანნი, ოდნავად მოხრილნი ბეჭებშია, ოდნავ კე-

ხიანი ცხვირითა, წამოხურული წარბებითა, ხორბლისფერი სახის კანითა.. ჰო ერთმანეთსა ჰვავდნენ საჩრდილობლიდანა, შეუჩვეველი თვალისთვისა ჰვავდნენ ერთმანეთსა, შეჩვეულსათვის თავისებური იყვნენ რა თქმა უნდა, მომეტებულიად თავთავისებურნი. არ იქნებოდა ამასაც არ გამოერჩია, დაუახლოვდებოდა, გამოარჩევდა თანაც თითქოს განგებისადო, სათითაოდ წარუდგნენ, სათითაოდაც გამოჩნდნენ, ოღონდ ბირველყოველისა კალოს მიაშურეს, შორიდან დაუტრეს თავი, ეგონა ამით მომიშორესო, მაგრამ არა, ქცევა რომ მითავდა, სათითაოდ გამოეცალნენ კალოსა, სათითაოდ მიაშურეს ჩახრიალასა, სამოსი ჩაიბერტყეს, ჩაიწმინდეს, გადაიბანეს ხელბირი, გადაისწორეს უღვაში, მერედა გამოემართნენ ამისკენა ოდნავი ღიმილითა, სიამოვნების გამომეტყველებითა, ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს, გელოდითო, დასძინეს, მოიკითხეს კარგი ნაცნობითა, გელოდითო გამოსთქვეს თანაგრძნობითა, ეტყობოდათ შეფიქრიანებულებიყვნენ და ულოცავდნენ მშვიდობით მოსვლასა; არ იქნებოდა არ გამოერჩია თვითეული საერთო მსგავსებიდანა, გამოერჩია გარეგნობითა, ჰასაკითაცა, ხმის კილოთი, ქცევის კილოთი.

მაგრამ ცოტა დახანებაც უნდოდა დრო უნდოდა თვალი რომ შეეჩვია, ვერ დაიხანა, ერთბაშად მოგროვდნენ საჩრდილობელში, ჯერი მოიტანეს, კევრები გამოუშვეს, ახალგაზრდებიც შემოჩოჩქოლდნენ ჯერ უფროსებისა არ იცოდა, რა ჯაეგო უმცროსებისა, ვით მიმხვდარიყო, ვინ ვისი შვილი იყო, ვინ ვისი ძმისწული თუ ძმისწულის შვილი, ვინ დისწული თუ მამიდაშვილი, პაპიდაშვილი თუ ნათლიიშვილი ახ, ლეკო, ლეკო!.. რა კარგად აუხსნიდა, ჯერ წინასწარა, მერე ასეცა გრძელ მაგიდას რომ შემოუსხდნენ: თავში რომ ზის, ოჯახის უფროსიაო (თუმცა ამას თვითონაც მიხვდა ან რა დიდი

ოთარ ჩხიძე
აგონიაჟი

მიხედვრა უნდოდა, თავში დაჭდა, იმის დაჯდომას ელოდნენ, მერედა ჩამოსხდნენ დანარჩენნი, მარჯვნიო რომ შემოუსხდნენ, ძმები არიანო, მარცხნიო — ძმისწულებიო. მარცხნიო ძმისწულებმა ანუ პირველყოვლისა პირველდამხედურმა ჯერ ეს დასვა, ოჯახის უფროსს მიუსვა ასლოსა. სიფიცხით გამოირჩეოდა ოჯახის უფროსი, ზომიერი, ოლონდ შესამჩნევი სიფიცხითა იმაზეც ეტყობოდა, ჯამში რომ იფშენიდა პურსა, იმაზეცა მეუღლეს რომ ანიშნებდა, რა ნელა არიგებ კერძსაო, — ნელა არ არიგებდა, ამას ნელა ეჩვენებოდა, იმაზეცა კიქას რომ ასწევდა მოკლედ იტყოდა სადღეგრძელოსა, ძალიან მოკლედ, არც არავის აცდიდა თქმასა. კიქა პატარა ედგა, წელში გამოყვანილი, თითებს შემოავლებდა ვიწრო წელზედა, სხვებსაც უნდა წაეტანებინათ ხელი თავიანთი კიქისთვისა, უხმოდა ხდებოდა, უბრძანებლოდა, თავისთავადა, ლუქმას რომ დასკირდებოდა ერთი ყლუპი გადასაცურებლად. ასე მოთავებოდა სამხარი, ვახშამიცა, სიმთვრალე რა სათქმელია, ოდნავადაც არ აიღწებოდა არც ერთი, ზომას არ გადავიდოდა ოჯახის უფროსი, არც არავინ გადაუსწრებდა; ყველაფერში ზომიერებდა ოჯახის უფროსი, შრომაში ზომა აღარ იცოდა. შრომა ექცია ღმერთადა და სასწაულადა და ნათესავთავან, ვისაც შრომა ეზარებოდა, ვერც მიხედავდა იქ მისვლასა, შრომის დროს ვერა, დღესასწაულებს თუ იხელთებდა, მაშინაც ვერ გადარჩებოდა უსაყვედუროდა.

სასაყვედუროსა თუ უამურობის დახსომება არა სჩვეოდა, მაგრამ გაახსენებდნენ ხოლმე, გაახსენებდნენ და ისიც ამოაფრქვევდა იმავე წუთსა, ერთს ამოაფრქვევდა უბოროტოდა, უგანზრახვოდა, გადაიგზავნებდა მაშინვე, მაინც შეახსენებდნენ საჭიროებისამებრ, ეს საჭიროება თუ რაღაც სხვა რამა, ზნე თუ ხასიათი ძმასა სჩვეოდა, მომდევნო ძმასა, მარჯვენა მხრით პირველი რომ უჯდა, გამოიცქირებოდა

თავჩაღუნული, ჩაფქირებული, ჩაქვიებული, ე ვინ მოსულა, რა შემდგომი, ან მართლა ემდერება თუ არაო, იმასაც ევლო, ევლო უფრო საქმიან გზაზედა, ცდილობდა ფეხი მოეკიდებინა ნავთის წარმოებაში, ვერ მოეკიდებინა, ცდილობდა, შავი ქვის მრეწველობაში მაინც ჩამდგარიყო, ვერ ჩამდგარიყო ხეტყის მრეწველობაშიც გასცურებოდა ბედი, ვერაფერი ამოეგო, მხოლოდ ეზარალა, ვალით დაბრუნებულიყო შინა, ბალები გაეშენებინა, თავისი დრო ჰქონდა ბალის მოსავლასა, ვალი და ვახში არ აცდიდა, მზითვიანი ქალი შეერთო, ვალი და ვახში გაესტუმრებინა, დაჰგურგურებდა ისე ბალებსა, ხილის იმედიდა ჰქონდა მრეწველობაში გახუნებულსა. ძმა ჰპირდებოდა, საკონსერვო ქარხანას მოგიწყობო, რამდენიმე წლის წინათ ჰპირდებოდა, ახლა პირში წყალი დაეგუბებინა, ხელს აგვადებინებენ ამ ბალებზედა და ნეტავი როდისაო, დღესა თუ ხვალაო.

გულში გაივლებდა ხოლმე; თვალეზზე მაინც შეეტყობოდა, თვალებითვე გაეპასუხებოდა ხოლმე მომდევნო ძმას, დღედღევანდელა გადაიხარა, ვნახოთ ხვალა რას მოგიტანსო. ბედს ისიც გაეგლო სახლიდანა, ცხრაას ცხრაამდე იატაკქვეშ იყო, ცხრაასცხრაში ბორკილი დაადეს და კატორღაში იჯდა ჩვიდმეტამდისა, ჩვიდმეტმა იხსნა და არც აქეთ მოუხედნია, არც იქითა, აღარც ძველი თანამებრძოლები მოუკითხავს, აღარც ახლებს აპყოლია, პეტროგრადისაკენ რომ ეწეოდნენ, ხელი აიქნია და ნატბევს მიაშურა; მიაშურა ნატბევსა და გუთანს მოეკიდა, გუთანს ეჭირა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდისა, მაშინაც გუთანს გამოეშვა საშუადღეოდა, სასამხროდ მოსულიყო თავის მეზრეებიანადა. მეზრეები იმისი ანუ იმათი დისწულები გახლდნენ, საარდადეგოდ ჩამოსული ახალგაზრდები, ცოცხალი, ხალისიანი, თვალეზკრიალა ახალგაზრდები. ისინი ბოლოს იხსდნენ, მეკალოეთა ბოლოსა. სტუმარს თვალი იქამდისაც მიუწვდებ-



ბოდა, მაგრამ ისინი ისევ ერეოდნენ თვალში, სჯობდა ისევ მახლობლებს მიჰბრუნებოდა: გვერდით მჯდომს ჰო იცნობდა, — იცნობდა რომელია, ყველაზე მახლობლად დაეგულებინა, იმას მომდევნო ძმა ამოსჯდომოდა, მოხდენილი ვაჟკაცი, უებრო მოცეკვავე, უებრო და სწორუბოვარი, გამოსაჩენი და გამოჩენილი ყველა ნადიმზე, ყველა მეჭლისზე, გაქცეული თუ განდევნილი მთავრობა რომ მართავდა განსაკუთრებული ზემოებისა თუ უცხოელუბთან პოლიტიკური ან სავაჭრო-ეკონომიური გარიგებების აღსანიშნავადა; საქმიან დროს, მარჯვენა ხელი გვარდიელთა უფროსისა, თუმცა გარეგნულად არ ექირა მალაღი თანამდებობა, მაინც ყველა იცნობდა, ყველამ იცოდა მაშინაცა, მერცია, რა ვუყოთ თუ დაეგდო ფორმა გვარდიელი ოფიცრისა, ხნულში ჩამდგარიყო, ხნულსა რწყავდა, თესვა უნდა დაწყებულყო. იმას რომ ძმა მოჰყვებოდა, ტყვედ ჩავარდნილიყო გერმანია-რუსეთის ომში, მერე ეგვიპტეში მოხვედრილიყო, მერე აღყირში, საქმე აეწყო, წელში გამართულიყო, მაგრამ იქ მაინც ვერ დაფუძნებულყო, სამშობლოს სევდას დაერია ხელი, სხვები რომ გარბოდნენ, ის მაშინ დაბრუნებულყო, მერე აღარც აქ უნდოდა, აღარც იქით ეწეოდა გული, შრომაც მობეზრებოდა, ეზარებოდა, წელი სწყდებოდა, გული მოსდიოდა, უფროსი ბიძა რომ არ ასვენებდა და ვეღარც გაეგო, რა წყალს მისცემოდა თუ მუშაობასაც არ დააძალბდნენ.

მიწას მიჰქონდა დარდი, მიწა იტევდა ყველა ფიქრსა, ურვასა, ვაებასა. მიწა აცხრობდა ყველა მღელვარებასა, შმაგ ვნებებსა, ვნებებს აღმრევთა ცხოვრებისა, მიწის აღრევა აღარ შეეძლოთ. სიმშვიდე ამოდიოდა მიწიდანა, ნატბევის მიწიდანა, ამიტომ თუ შემოკრებილიყვნენ, შემოკრებილიყვნენ და არ იცოდნენ თუ რა ელოდათ. ეგება აქედანაც უნდა აყრილიყვნენ, როგორც აყარეს რაჰის საერისთაოდანა, ერისთაობა გამოსწირეს, დაარბიეს, დასთხა-

რე თვალნი, ასჩეხეს, ვისი აჩეხავაც შესძლეს, ვინც გამოასწრო, გადმოვლოლიხი, იტრიას შეეკელლა სახლიკაცებსა, ვერც იქ იდგომილა, ვერ იდგომილა უმამულოდა, ნატბევს დაიუფლა მცირე მამული, იღვაწა, იწარმოა, ითავშისცემა, ამოიგო მთელი ნატბევი, ამოიგო და დაჰკარგა, აგერ ეჰაა, სულ ცოტა ხანია, რაც დაჰკარგა, ჩამოართვეს, დასტრეს, დაუნაწილეს სოფელსა, ამათაც არგუნეს სულადობის მიხედვითა, ჩამოართვეს და მერე არგუნეს, თანაც ბევრადაც მოსჩანდა, რადგან ერთად იყვნენ ძმები, ძმისწულეები, კვლავ ერთ ოჯახად ექირათ თავი, ბერძენით მოსჩანდა ერთად მოყრილი ცოტ-ცოტაობითა. სოფელიც თუ ერთად იქნებოდა, ერთად თუ არა, ორად თუ იქნებოდა? უბრალოდ როდი ითქმის, ორი ყმალა მოჰყოლოდათ ნატბევიში, იმ ორთაგან წარმომდგარიყო სოფელი, ორთაგან სოფელი წარმომდგარიყო, გამრავლებულიყო, ამათ ვერ ემრავლათ, მოსდევდათ ბედი, ბედი მყივარი, შინ არ აყენებდათ ბედი მყივარი და ვის საით აჰგებოდა ანდერძი, ვის საითა. ამათ მოელწიათ შინა, შინ მოეტანათ სული, სული მღელვარი, სული მომლოდინე, მიწას ჩასტკეროდნენ, მშვიდ მიწასა და მიწის სიმშვიდით იცხრობდნენ სიმწვავეს მოლოდინისა.

ვინ აუხსნიდა, ეგება ლეკოსაც არ გაეგებოდა ამდენი.

ამან მხოლოდ ის მოახერხა, სახელები მაინც გაიგო, ისიც დიდი გაჰირვებითა, იმის მიხედვითა, ვის როგორ უხმობდნენ, მაგრამ ერთად ისხდნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ, იშვიათად თუ წამოსცდენოდათ სახელი, მაინც გამოადგა იშვიათად წამოცდენილი, დაისწავლა, დაიზეპირა: უფროსი ბიძას დავითი რქმეოდა, მომდევნოებსა — კახაბერი, დიმიტრი, ძმისწულთაგან უფროსს, პირველმემხვდულრსა, როსტომი, მომდევნოებს, — გიორგი, ბაქარი. სხვათა სახელებიც მოესმინა, არ გასდევნებია, არ

ოთარ ჩხიძე
პირველი

ამერიოსო, ის სხვანი არც იყვნენ მარა-
ქაში გასარევენი, ისამხრეს თუ არა, აი-
შალნენ, იქით გავიდნენ, ჩახრიალასაკე-
ნა, შეეფარნენ ტირიფებსა, ტირიფებით
გადაიჩრდილეს. აქ სუფრა აალაგეს,
ესენი არ ამდგარან, ისევ დარჩნენ, ჩამ-
ღუმარდნენ, ფიქრმა წაიღო..

XVII

ეს იყო მძიმე საფიქრალი, მძიმე სა-
გონებელი... ზენათესვის გარდა რომ
არაფერი ენაღვლათ, მაინც დაუმძიმდე-
ბოდათ, ისეთი წელიწადი დამდგარიყო.

— ჰო, — თავი აიღო დავითმა, — გა-
ქირვება გველის...

— თუ გახსენი ბელღები და სოფელს
დაურიგე... — ნიშნი მოუგო კახაბერმა.

— ჰო, დაუღდასტურა დავითმა, დაუ-
ღდასტურა თუ ეურჩა: — მამ რას იზამ?

— სოფელს ვერ გააძღობ.

— ერთი ჭერიც დიდი რამაა.

— სოფელს ვერ შემოსამ.

— ერთი ფლასიც დიდი რამაა.

— სოფელს ვერ მოიმაღლიერებ.

— ერთის მაღლობაც დიდი რამაა.

— ჰიან კაკლადაც არა ღირს.

— ღირს.

— ღირდეს, რა ბედენაა?!

— ვერაფერი ბედენაა. — დაწია
ბაქარმა.

— სოფელს თუ შიან, შენ მაინც ვერ
გაახურებ თონესა. — დავითმა თქვა.

— ვისი შრომისა იქნება, რო? — ჩა-
იზულუნა კახაბერმა.

— არავინ იკითხავს, როცა შია...

— ბარემ კალოდან დაეარიგოთ, ბე-
ლღებში რაღას ვეზიდებით?! — ბუ-
ზღუნითვე გამოსთქვა ბაქარმა.

— უნდა ვიცოდეთ, რამდენი გვექნე-
ბა, რამდენხანს გავწვდებით სოფელსა.

— სოფელს ვერ გასწვდები.

— ერთი გოჯიც დიდი რამაა.

— ილაჯს თუ გავიწყვებტს ეგ ერთი
გოჯი?!

— სოფელი აღარ გავწყვებტს...

— კარგი ნუგეშია შე და ჩემმა ღმე-
რთმა... — ბაქარმა ჩიოცნა.

— კარგი ნუგეშია, — გამოეხმაურა

დავითი ოდნავი ამოხვრითა, ადრეულ წუთისოფელში.

— რა დალაგებს?! — ბაქარმა თქვა.

— გაქირვება, — კბილებში გამო-
სცრა კახაბერმა, — სიმშილი, სიტე-
ტლე, უსახლკარობა.

— ბუნაგებიდან გამოსულა ადამი-
ანი...

— ველარ დაბარუნებ, — დავითმა
თქვა, — ჩარხი მხოლოდ წაღმა ბრუ-
ნავს.

— მიუგდე წყალი და უქუღმაც გადა-
ბრუნდება.

— აბა მიუგდე?! — ჩაიციანა დავი-
თმა.

— განგება მიუგდებს...

— და ვინ განაგებს?

— ვინც განაგებს... — პირდაპირ პა-
სუხეს მოერიდა ბაქარი.

სხვები არ ჩარეულან, რალაცას მი-
სჩერებოდა დიმიტრი, წამწამსაც არ
ახამხამებდა ან არც არაფერს მისჩერე-
ბოდა, ეგრე გამოჩერებულიყო და ვინ
იცის არც ესმოდა, არც გაეგებოდა
ნალაპარაკევი; როსტომი დაჰყურებდა
თავის ხელებსა, თითქოს ისისაა აღმოე-
ჩინოს, თითქოს გაკვირვებულიყოს, ბი-
ჭოს, ეს რა მქონიაო; გიორგი ღიღინე-
ბდა თავისთვისა, ხმადაბლად ღიღინე-
ბდა, გადადიოდა და გადმოდიოდა, ერთ-
მანეთში ურევდა შინაურულსა, უცხოუ-
რსა, ხალხურსა, კლასიკურსა, წამო-
სტვენაც უნდოდა, ოლონდ ერიდებოდა,
კახაბერს მოსდიოდა გული, სტვენას
რომ გაიგონებდა, უხატრებდა, ადვი-
ლად დაიოკებდა ამ ნდომასა, გავიღოდა
მინდვრადა, ხნულში ჩადგებოდა,
უსტვენდა და უსტვენდა ტუჩების გად-
მობრუნებამდისა, ახლა ღიღინიც ეკმა-
რებოდა. ღიღინსაც დაუშლიდა კახაბე-
რი, ჭერ არა, მერე დიმიტრისაც შეუწყ-
რებოდა, რას მიმტერებინარო, როს-
ტომს შეუბღვერდა, რაო, რა კარაბადინს
ჩასჩერებინარო, არაფერი გამოეპარებო-
და იმის თვალსა, შეუნიშნავად არ დას-
ტოვებდა, თუ თვითონ არა, დავითს მა-
ინც ათქმევინებდა, შეუჩიჩხვირებდა,
ასტენდა, გააფიცებდა; ჭერ არა, ჭერ

არ ვაბრაზებულოყო კახაბერი, ელიდინა გიორგისა, ოღონდ არ წამოესტეინა, ელიდინა ისე უთავბოლოდა.

— ვინც განაგებს, ასე განაგებს, — დაბეჯითა დავითმა, — ჯერ ფულის რეფორმამ დასწია ხალხი უკანა, ახლა მოუსავლიანობამა, ძალადობაც თავისას სჩადის, აღივსება საწყაული და...

— აღივსოს, — გამომტერია კახაბერმა, — რალად უნდა დაურიგო?

— უნდა დაურიგო...

დომიტრის გადაპხედა კახაბერმა, შეცნა თქვი, პხედავ, თავისას არ იშლისო, გადაპხედა, მაგრამ იმან რომ აღარ შეაგება თვალი, მწვავედ ამოთქვა კახაბერმა:

— რას მიმტერებხარ?!

— არაფერსა, — დომიტრის თვალი არ მოუწყვეტია იმ არატრისთვისა, — რვა წელიწადს მივჩერებოდი ასე, ჩვეულუბა რკულზე უმეტესიაო.

— რითი ველარ გადაუჩვიე?! — გაწყრა დავითი, — რაც უმაქნისია, ჩვევდაც არ ვარგა.

— არ ვარგა, — დაემოწმა დომიტრი, — მაგრამ არის, ბევრი რამ არ ვარგა და არის.

— აღარ იქნება! — ტუჩები გამოხერა კახაბერმა.

— ღმერთმა გისმინოს, — უნდილად დაატანა დომიტრიმა, — დაე ღმერთმა განსაჯოს და გადაწყვიტოს, ვინც უნდა გადასწყვიტოს, მე ჩემდათავად მოვათავე.

— მოათავე თუ მოთავდი? — ჩაიცივნა დავითმა.

— თუნდ ეგრე იყოს... — უკვი სხვა წერტილი იპოვნა დომიტრიმა, ან არც არა იპოვნა, თავი მიაბრუნა, ჩაიკარგა იმა მხარესა.

— განდგომა ადვილია, — თქვა დავითმა, — ლაჩართა წესად იმიტომაც არის.

— შენ კატორია არ გინახია...

— ჰო არა გგონია, თავი დააღწიე კატორდასა?!

— დამეხსენი... — მოწყვეტითა თქვა დომიტრიმა, ადგა, გაეცალა.

მოუხმობდა დავითი, დაუყვავებდა,

მოუბოდიშებდა, დააშოშმინებდა, დააშეშებდა, მაგრამ აბუზღუნდებოდა, კახაბერი, აქვე თუ არა, მერე აბუზღუნდებოდა უდროუდროსა, წამოაყვედრებდა, ნიშნს მოუგებდა უდროუდროსა ან მწარე დროსა; უჯობდა, მორეოდა ლომბიერ გულსა, არად ჩაეგლო განაწყენება თუ გაოგნება, არავინ დაენდო, არავინ გამოერჩია.

— თუ გგონია, ძალიან შემცდარხარ, — ასე მიადევნა დავითმა, — ნურც ნურავის ეგონება, — ეს სხვა მღუმართა გასაგონადა თქვა, — ნურც ნურავინ გამოიღებს თავსა, ეს მინახავსო თუ ის მინახავსო, ყველას რალაცა უნახავს და ყველა ვერა ნახავდა ყველაფერსა. ყველაფერი არც არის სახარბიელო, ეს მაინც არ არის სახარბიელო ან გვეყოფა და უნდა ავიცილოთ.

— მაშინ დაზოგვა გემართებს... — გამოედო ისევ კახაბერი.

— უნდა გავცეთ. — თავისას ადგა დავითი, ადვილადაც არ გადავიდოდა, მხარის დამჭერიც არ უჩანდა კახაბერსა, ტუჩებსა ბერავდა, ეშლებოდა გაწყობილი უღვაშები.

— დამიღვა ესეც მგალობელადა... — გამოისროლა გაბერილი ტუჩებიდანა.

— არ ვეამებათ?! — უნაღვლოდ გაიღმა გიორგისა, — არც გასაკვირია ამ სიცხეში რა უნდა იყოს საამებელი.

— არც არაფერი, — დაუღასტურა დავითმა, — სასიამოვნოდ არც არავინ გიწვევს და თუ შენც გეხება, რასაც ვაზნობთ...

— ბრძანეთ, მომინდვია თქვენი ბრძენი გონებისთვისა.

— ხუმრობ ვითომა?!

— არა, რათა?! მომინდვია მეთქი, როგორც გენებოთ, გნებავთ გაეცოთ ნებითა, გნებავთ დაიცავით თოფიარალითა, მე ჩემდათავად თუ აქ ვიქნები, გნებავთ, მე თვითონვე ჩამოუღსრიგებ. გნებავთ, ავისხავ თოფიარალსა, ჩემთვის სულერთია, როგორც ინებებთ მეთქი,

ოთარ ჩანიძე
პორიანი

თუმცა მირჩევნიან, იარაღი მესხას, თუ აქ ვიქნენიმეთქი...

— არ დაგიშლია?!

— არა!.. რად დაგიშალო, ტლაპოში ვიდგე და ველოდო, როდის მოვლენ ჩემს წასაყვანადა?!

— რად არ გაჰყევი?!

— მეც არ ვიცი... აქაც საჭირო უნდა გყოფილიყავი..

— საჭირო იქნები...!

— როდისღა?!

— განა რა დრო გასულა?!

— ბევრი, წელწადში სამას სამოცდახუთი დღეა, სასწაულები ერთ დღეში ხდება.

— საუკუნობითა მზადდება...

— ჰა, ჰა, ჰა... გეგონება მათუსილა ვიყო, ცხრაას სამოცდაცხრა წელს ვიცოცხლო. ერთი მოკლე სიცოცხლისა ვარ, ერთი ჯანი მაქვს და თუ არ ჩავხარჯე, ჯავრი შემქვამს.

— ჩახარჯე.

— როგორა?! ან რას მედევებით ბიძაჩემებო, თქვენს ყაბულსა ვარ! თუ აქ ვიქნები, ჰო ყაბულსა ვარ თუ წავალ, ჰო წავალ და ის იქნება.

— დარჩები, — მოსჭრა დავითმა, — ბრუნდებიან...

— და ცვივიან, გზა მოჭრილია.

— პატიმრის წერილს ენდობი?!

— თვალი თვალსა ჰხედავს, რაღა პეიტარი უნდაო.

— ყველაფერს ვერ დაინახავ.

— რასაც დაეინახავ... ყოველშემთხვევაში აგერა ვარ; თუ წავალ, წავალ, თუ არა და აგერ ვიქნები, — მოსჭრა გიორგიმა, მოსჭრა და აჰყვა კვლავაც ღიღინსა, დაბალ ღიღინსა, „თავო ჩემოს“ ხმაზედა. ელიღინა, სხვაც წამოეწყო, გაჯიქებულიყო თუნდაცა, წუთისა იქნებოდა გაჯიქება იგი, დასთმობდა მალევე, გადაეშვებოდა, საითაც გაუშვერდნენ ხელსა, ოღონდ დარჩენილიყო, ოღონდ არ გადავარდნილიყო უცხოეთში, არ ეთმობოდათ; რაც უნდა იყოს, დაგვიჯერებსო, იმედოვნებდნენ, მხოლოდ როსტომის დაჯერება იყო ძნელი და სწორედ იმისი დაჯერება უნდოდათ ყველაზე მეტად. თუმცა რაღათ, —

როსტომი არ იმუქრებოდა წავალ, არც არავის აქეზებდა, არც მარტოა ერთოდა, ხმის ამოღებაც როდი უნდოდა თუ არ ჩააცივდებოდნენ. დიდ მარცხსა სცოდნია ასე, გამოუსწორებელ მარცხსა, სიცხესაცა სცოდნია, გამოანგველ სიცხესა, სიმწარე მარცხისა და სიცხე გამოანგველი შენივთებია ერთმანეთსა, შეწვნია, შეხლართვია. იდგა ლული სიცხისა, არ ირხეოდა ფოთოლი, თითქოს ჰაერი გაქევებულიო ან შუშადა ქვეულა, სქელ გაუვალ შუშადა. საქონელი ქაქაქაებდა, მერე ქაქაქასის თავიც აღარა ჰქონდა, ენა დარჩათ გადმოგდებული, კბილები დაკრეკილი, ყბები ჩამშრალი. კევრი არ შეიბმოდა, ან რაღა კევრი უნდოდა, ევრევე იხალებოდა ხორბალი, თავთავშივე იხალებოდა. საჩრდილობელშიც ჰო დახალულები ისხდნენ, მზისა არ უკვირდათ არაფერი, სამღურავს არ ამბობდნენ მზისასა, არც წუთისოფლისა უკვირდათ არაფერი, სამღურავს არ ამბობდნენ წუთისოფლისასა, მხოლოდ სხვანაირი უნდოდათ წუთისოფელი და ეს სხვანაირი როსტომს უნდა სცოდნოდა, ოღონდ ამოქმედებულიყო, ოღონდ გამოეღო ხელი. მაგრამ არ იძვროდა, თუ ამბობდა, ამბობდა საწინააღმდეგოსა, დავითისა და კახაბერის საწინააღმდეგოსა, უფრო კახაბერის საწინააღმდეგოსა, თორემ დავითს ხშირად თუ არა ხანდახან მაინც ჭკუაში დაუჯდებოდა ხოლმე იმისი ნათქვამი, თუ ათქმევინებდნენ ცხადია, თუ გამოიყვანდნენ სიცხის ლულიდანა, გონებას რომ მოჰკიდებოდა იმ ლულიდანა.

— უფროსი ძმა ხარ და უფროსობა უნდა გაუწიო, — ასე აბუზლუნდა კახაბერი, — უნდა ურჩიო...

— მამის ფასი ბიძები თავს ადგეხართ...

— ძმა მაინც ძმაა, ძმა იმითა სჯობს მეგობარსა, ძმაც არის და მეგობარიცაო.

— მეგობარი მეგობარია, მამის ფასი ბიძა სხვა არის.

— რის თქმა გინდა?

— არაფრისა... თუ არ დაგიშლიათ და ამას მოგახსენებთ, ჩვენ ახლა ვეღარა-



ფერს ვურჩევთ ერთმანეთსა, ოცდაათი წლისაზე ნაკლები ჩვენს შორის აღარავინ არის, ყველა დაგვცადა ცხოვრებამა ან გაგვეტყორცნა აქეთ-იქითა, გაგვეტყორცნა უხილავ ნაწილაკებადა, ჩაგება რაღაც აწყვეტილ სრბოლაში და სადა ვსრბვივართ ან რის გარშემო, აღარ გავგეგება.

— უფრო მკაფიოდ ვილაპარაკოთ, — სახე დაფეშხალა კახაბერსა, დაფეშხალა დაცინვისადა.

— უფრო მკაფიოდ არც გაგვეგება...

— რა არ გაგვეგება?! რომ შემოვიდნენ, არ გაგვეგება?!

— მაგას დიდი გაგება არ უნდა... როგორ ვიხსნათ?!

— სწორედ ესა ყველაზე ნათელი. — დავითმა შესძახა დარწმუნებითა.

— ყველაზე ბნელი, გაუშვალი, უკუნი, გონების თვალი ვერ გასწვდენია ამ უკუნეთსა.

— ბნელი გონება ვერც გასწვდებ... — ჩაისისინა კახაბერმა.

— არ აგხიბრდები...

— რატომო?! ახირდი!

— არ აგხიბრდები... ეგება მართლაც ჩამიბნელდა აზრი.

— რა თავს იკატუნებ? — გაიბუხსა ბაქარი.

— არა... ასე მინდა, მინდა მჯეროდეს, რომ ველარაფერსა ვხედავ და აღარც გონება მიჭრის.

— დიადი სურვილები გავჩენია... — ჩაიციინა დავითმა.

— უმწეობის სურვილები... — დააწია კახაბერმა.

— უმწეობისა...

— ვაყვაცს არ მართებს ტრაბახი უმწეობითა.

— არც ქაილილი შეშვენის.

— განსჯა ბრძნული და მოქმედება ვაყვაცური, აი რა შეშვენის.

— განააჯეთ ბრძნულადა, ვაყვაცობაც ეგება დამიბრუნდეს.

— ბრძნული ახლა ეს არის: შემჭიდროება გვემართებს, ოჯახი თუ დაირღვა, ველარც რას თავს ვარგებთ, ველარცა ერსა; შემჭიდროება გვემართებს, გაქცევაზე არავის უნდა ეჭიროს თვალი,

ისედაც რანი ვართ, ვერ გავმრავლდით... ჩვენი წინაპარი ერთი მოვიდა, ორი ყმა მოიყოლა, ორისაგან სოფელია. გასწვდეთ, რამხელა სოფელია, ჩვენი? სოფელს დავსახლებთ, კიდევაც რომ გავიყაროთ?! ეს უცხოეთში გაქცევის უინი რაღაა, რას უნდა მოეკიდოთ?! აგორებულნი ქვა ხავსს ვერ მოიდებსო; შემჭიდროება გვემართებს და ერთსულოვნება, აი, მთავარი სიბრძნე, დანარჩენი აქედან გამოედინება. — მტკიცედ ვანაცხადა დავითმა, მორჩა წინააღმდეგს ველარავინ იტყვისო.

— ეგ ძველი სიბრძნეა, დანარჩენი თქვი, — არ დააყოვნა როსტომმა.

— ძველია და კარგია.

— კარგია... დანარჩენიმეთქი, რა გამოედინება ჩვენი დროის შესაფერისადა?

— ისა რომა შენი შესაძლებლობის ბატონი არ უნდა სცდებოდეს მეკალოედა, ერს უნდა აფხიზლებდეს, ამზღებდეს;

— თუ გაქცენენ?

— აგრე რად იტყვი?! ის იყო დიდი პოლიტიკური დემარში.

— თუ არავის არაფრად ჩაუგდია?

— როგორთუ არაფრად, დიდი საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა და თუ აქამდის არ უცვნიათ ესენი...

— რომ იცნეს? ინგლისმა დაიწყო...

— დაიწყო... — ჩაიგვესლა კახაბერმა.

— ეს ჯერ კიდევ დიპლომატიური სვლებია. — დავითმა თქვა მრავალმნიშვნელოვნადა. — ბეცად თუ გაჰხედავ, სხვა გამოდის, ღრმად თუ ჩაუკვირდები, სხვაი.

— იმედია ყველაზე ბეცი, მე უფრო ბეცი სხვა არაფერი გამიგონია, თუ რაიმეს დავუბნევივართ, მხოლოდ იმედსა. გაიხედეთ აბა უკანა, დავლუბულვართ იმედითა, სხვის იმედითა, რილაცის იმედითა, მაინც არ ვეშვებით ამ უბადრუკ იმედსა, ამ ბეცსა და გაუტანელსა. რალა შორს წავიდეთ, აგერ არ იყო კანის კონფერენციის იმედები, იმედები გენუ-

მთარ ჩხიძე
ზორნიაჟი

ისა, ჰავისა, ლოზანისა, რა ქმნილა ის იმედები, რა ყოფილა ის იმედები, ამოცანა ამოცანათა, მარტოდენ ამოცანა, მეტი არაფერი, მისხალისოდენად არაფერი. ახლა აგერ ლონდონის კონფერენცია...

— ჯერ არ დამთავრებულა. — შეახსენა დავითმა.

— ჰა, ჰა, ჰა... მაინც იმედს ჩამოვეკიდოთ, ნიკაპით ჩამოვეკონწილოთ იმედის ჩანგალზედა, გაუძლებ? გაუძლებთ? თქვენ იცით... მაგრამ ნუ გავიწყდება, დამთავრდა კანის კონფერენცია, აღარც ახსოვთ, ჩვენ არც მაშინ გავხსენებდით. ევროპის ეკონომიური მოწესრიგება იყო იმათი მიზანი, მეტი არაფერი, არაფერი მეტი.

— ეკონომიკა ყველაფრის საფუძველი; საფუძველი საფუძველთა, ყველაფრისამეთქი და ცხადია სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისაცა. ევროპის ეკონომიკაში ჩვენი წვლილი საეჭველი არ არის.

— მაშინაც ასე ირწმუნებოდით, გენუაში გამოაშკარავდება. კათალიკოსმა წერილიც აახლა, არც გაიტანეს კონფერენციაზე. კონფერენციის წინ გენუის გაზეთებში გამოაქვეყნეს და ამით მოიცილეს თავიდან ჩვენი წვლილიცა და ჩვენი ფართიფურთიცა. სხვა იყო სანაღველებელი, სხვა ჰია ღრღინდათ და კიდევაც გამოსთქვა ლოიდ ჯორჯმა კონფერენციის დახურვის წინა, გახსოვთ: შინ რომ დავბრუნდები, ორი მილიონი უმუშევარი შემეკითხება, თუ რა გავაკეთე მე იმათთვისო, გახსოვთ თუ არა? თუ არ გინდათ გაიხსენოთ, რადგან ჩამოგიწყდებათ ეგ უბალრუკი იმედის ჩანგალი, ჩამოწყდეს, რად გინდათ, რად უნდა ეკონწილოს და იფართახლოს, რადა? არ ვიცის...

— შედარებები პოეტებს დაუთმე, — გაჰკილა დავითმა, — ისინი იმედს უკეთესად გამოსახავენ. და რახან გახსენება ანებე, ისიც გაიხსენე, ბარტუმ რომ განაცხადა: პარიზს რომ მივბრუნდები, რუსულ ფასეულობათა მილიონობით მფლობელი მომიკითხავს თუ რა გავაკეთე მე იმათთვისო. ამას ჩაუკვირდი! იმ

მომიკითხავთაცა ძალიან ბევრი ჩვენიც არის დაინტერესებული.

— ვიცის... მომეხსენება, დღი ერთ-სათვის მხოლოდ ფასეულობა ვართ, ვთქვათ, მაღარო ვართ მარგანეცისა და ჩვენი ღირსება, ჩვენი კულტურა, სულერი ავლადიდება, ჩვენი წარსული თუ მომავალი, მხოლოდ იმდა ფასობს, რაცა ღირს ჩვენი მარგანეცი საერთაშორისო ბაზრებზედა.

— კარგი გვარიანი ფასი აქვს, ყურადღებას იპყრობს და ჩვენც ყურადღება გვინდა, მეტი არაფერი, საერთაშორისო ყურადღება გვინდა. რითი მივიპყრობთ, რა ბედენაა, ოღონდ მივიპყროთ და გამოვიყენოთ.

— ვერ მივიპყარი... ლოზანის იმედმაც ჩავვიარა, ჯანდაბას, დამითმია შედარებები პოეტებისათვისა, მაგრამ პო ჩავვიარა იმა იმედმა? რა მღელვარება იყო, საქართველოს მიიწვევენო, აი, ნახეთ, მიიწვევენო. რის დემარშიო, რა დემარშიო, ვილას მიაჩნია მთავრობადა თუ სახელმწიფოს წარმომადგენლად. ჰმ, იმედი, ვისი იმედი, იმედი რისა? ლონდონის კონფერენციისა, ჯერ რომ არ დამთავრებულაო? ჰმ! მაკლონალდმა უკვე განაცხადა, ინგლისის მთავრობა სცნობს რუსეთის უფლებებს ამიერკავკასიის ქვეყნებზე, მთ შორის საქართველოზეო, განაცხადა თუ არა?

— იმას ვინა ჰკითხავს! —

— ახლა ვინა ჰკითხავს... ალბათა ჰკითხეს, არ მოეშვენ... იმედითა, ვაგლახ იმედითა.

— მაკლონალი რეგვენია. — უცოცმანოდ განაცხადა კახაბერმა.

— იყოს, თანაც გადაყოლია, იდარდოს იმისმა ერმა. თუ ბრძენია და იმათვე უხაროდეთ... ჩვენ ეს ლახვარი ჩაგვცა, ის არ იქნებოდა, სხვა ჩაგვცემდა, ლახვარი თუ არის, მომხმარებელიც გამოუჩნდება. კიდევ სხვა ამოიწვდის იმა ლახვარსა, სხვა ნურაფრის იმედი გექნებათ, არავისა სცხელა ჩვენთვისა, არავინ გაირჯება ჩვენს სასიკეთოდ. მიწა გამოგვეცლია ფეხქვეშა, წონასწორობა დაგვიკარგავს და დაქვანდებით... დედამიწაზე აღარც გვიდგია ფეხი, რო-



მელიდაც ასტეროიდზე მოხვედრილ-
ვართ, საკმარისია, ერთი ღრმად რომ
ამოვსუნთქოთ, მოვწყდებით და ჩავი-
კარგებით უსასრულობაში... ჰო... რო-
მელიმე ასტეროიდი გამახსენეთ, ყმა-
წყილებო!..

— ჰერმესი... — გამოსძახეს ყმაწყი-
ლებმა.

— ჰო... ჰერმესი... საქართველო ჰე-
რმესად გვექცა... — ასე მოსჭრა და ხე-
ლები აიფარა სახეზე. ოფლი მოსდებო-
და შუბლზე, თმის ძირებზე, თითებზე
ჩამოედინა ოფლი. საკინძეც გაეხსნა და
მოუჩანდა ოფლიანი გული. აღიოდა
ალმური, ჰაერი ენთო, ჰაერი იწვოდა,
ლალაპებდა, გაგანია გაუდიოდა. რის
საჩრდილობელიო, რა საჩრდილობე-
ლიო, როცა ვარვარებდა ყველაფერი.
ყმაწყილები იწუწებოდნენ ჩახრიალა-
სთანა, იწუწებოდნენ და სულს მოი-
თქვამდნენ.

XVIII

ამათ უფროდაუფრო უგუბდებო-
დათ სული, სიტყვაცა ვარვარებდა,
ხურდა, გაგანია გაუდიოდა.

— რეებსა ჩმახაე?! — შეჰყვირა კა-
ხაბერმა, შეჰყვირა სულმეგუბებულის-
ვითა რაღა თქმა უნდა.

— მოიცა!.. — ხელი ასწია დავით-
მა, — ვთქვათ, მართალსაც ამბობ, რა
მოხელეა მერე ეს სიმართლე, ვის გა-
მოადგება?! თავეკრძა და თავნება ადა-
მიანი არა ხარ, მაგრამ ესეცა ვთქვათ,
ვითომ თავეკრძა ხარ, ვითომ შენ რას
გარგია?! შენ არას გარგია, ჩვენ არ
გვარგია, ქვეყანას არას არგია, რა მო-
ხელეა ასეთი ფიქრები თუ განსჯანი?!
არაფერი, არას მაქნისია და გამოვიბე-
რტყოთ თავი, მე ვარ თუ შენა ხარ, თუ
ვინმეა კიდევ შენი ამყოლი, უნდა გამო-
ვიბერტყოთ, გავიმხნოთ თავი, სახსარი
გექებოთ; რაც უნდა მისჭირდეს, ერთი
მინც უნდა გვახსოვდეს, ყველაფერს
თავისი სახსარი აქვს, ოღონდ მიუღვე,
გადაუხსნელი არაფერი დაგრჩება. ასე
უნდა განსჯიდე, იმ სახსარს უნდა ეძიებ-
დე თავგადაკალული, იმედი არ მოგწონს,
მაგრამ არ უნდა ჰკარგავდე იმედსა, რომ

იპოვნი, მიაგნებ, შენსას გაიტან. ისე
ცხოვრება ამოებაა, სიმშვიდე თუ გგო-
დვას, ხოლო ახლა განდგომია, ლალატია,
მოლალატეს არავინ ვაეციოთხავს.

სუნთქვა აუჩქარდა კახაბერსა, ნათ-
ქვამი თუ მოიწონა, სიცხისას ნულარას
ვიტყვიოთ, სიცხეს თავისი გაჰქონდა ცხა-
ლია და ცხაღზეც უცხადესია. ოფლი
ჩაუშრა როსტომსა, თითქოს სუნთქვაც
გაეკმიდაო, ოღონდ ხელები მოიცილა
სახიდანა და რახან ხელები მოიცილა,
დაიძროდა ბაგეცა.

— ლალატი ბევრგვარია, — ბაგეც
დაიძროდაო და დაიძრა, — ზოგჯერ
თავგამოდებაც ლალატია, თუ ჰლუბავ,
ყველაფერი ლალატია. სახსარის იგავი
რას გიშველის თუ ვერ მიგიგნია სახსა-
რი, თუ ვერ მიგიგნია და ვერც მიაგნებ.
სახსარის იმედი რას გიშველის, როცა
ყველა გზა მოჭრილია, შინაურიც მოჭ-
რილია, გარეულიცა რამაც უნდა აგა-
ღეღვოს, დაგამშვიდებს ჰატარა ჭგუფე-
ბი, ტყედ რომ გასულან, ერთად ვერ
მოიყრიან თავსა; თავი რომ მოიყარონ,
ლაშქარი უნდა გადმოსხდეს ან განლაგ-
დეს საზღვართან, ლაშქარი კბილებამ-
დის შეიარაღებული, უზრუნველყოფი-
ლი, იარაღითა, ფულითა, ძლიერთა დახ-
მარებითა, სად არის მერე ეს ლაშქარი,
ეს დახმარება, ვთქვათ აქაც რომ აგყვ-
ნენ, შეიარაღო, შემოსო, გააძლო, სად
არისმეთქი?! ჩვენ მხოლოდ მთავრობა
გაგვექცა ჯალაბობითა, ლაშქარი არ გა-
მოვა იმა ჯალაბთავანა, რუსეთმა არმიე-
ბი გაიყვანა, ველარ შემობრუნებულა ის
არმიები, ვერ შეიარაღებულა, ვერ შემო-
სილა, ვერ გამაძლარა და ვერ შემობრუ-
ნებულა. ევროპა თვითონვე დაფავს
სულსა, არავის შემოსვა და გაძლომა
იმას არ შეუძლიან, ევროპა თვითონ ეძ-
იებს გამოსავალსა და ისე დაბნეულა,
რომ დაკმაყოფილდება, მეფის ვალები-
საგან თუნდაც ნაწილს თუ დაუბრუნე-
ბენ, რად გინდა იგავი სახსარისა, რად
გინდა გაბუნდოვანება, აი, სახსარი, ნა-
თელი, აშქარა, კანთიელი, ვის რას არგია

ოთარ ჩხვიძე
ზორიანი

ასეთი სახსარი! ვის გამოადგება ასეთი თავგამოდება! არც არავისა. ღალატი ესაა, ბრმა თავგამოდებაა ღალატი და როგორცა ბრძანებ, როგორც გაგვიგონია, მოღალატეს არავინ ვაიკითხავსო.

— ღალატი ეძიე შენში...

— მისხალისოდენადაც არა...

— მისხალზე მეტია და იზრდება თუ არ ამოქმედდები, ახლა განდგომია ღალატი.

— ახლა თავგამოდებაა ღალატი. მოგახსენეთ...

— ეფრეიტორის სტრატეგია, ჰმ!..

— უმჯობესი თავგზაბნეულ გენერლისაზე...

— რაც უნდა იყოს, — გიორგიც ჩაერია, — ევროპა მაინც ევროპაა, აგრე რად გადავიწურია იმედი?!

— მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმისი ხორცი ნუ მამჭამოსო. — გიორგის მიუბრუნდა როსტომი.

ისევ წაიღიანა გიორგიმა, თითქოს არც არაფერი ეთქვას, თითქოს იმას არ შეხებოდეს პასუხი, დიღინისთვისაც აღარ ეყო სული, წამოიჭრა თუ რაღაცამ წამოაგდო, — შიშმა წამოაგდო, ემანდ მართლა ჰო არ ამომქარდა სულით, მიაგდო ჩახრიალასთანა. გაქცევით ჩაუთვალა დავითმა. კახაბერმა ქეშად გაჰხედა, მერე ბაქარს დაადგა, თვალი, აბა ჰა შენ როდისღა წამოვარდებიო. კახაბერმა თვალი დაადგა, შეუტია დავითმა:

— თუ წამოიწყებ, უნდა გქონდეს სათქმელიცა, ნათქვამის უკან კიდევ რაიმე უნდა მოგდევდეს, ისე რა არის, ასე სიტყვა სიტყვაც არ არის, ზმულია.

— მე თუ ვიტყვი, კიდევაც მოვადევნებ...

— აბა, შენ იცი! — წააქეზა დავითმა.

— თქვი! — უბრძანა კახაბერმა.

— მე აღარსად წამსვლელი აღარა ვარ, — მუშტები შეაქანა ბაქარმა, — მეყო წოწიალი, აღარსად წამსვლელი აღარა ვარ, არც აქ დავანებებ არავის არაფერსა.

— რალა გავაჩნია! — ჩაიქოლოდუნა როსტომმა.

— დააცადე, თქვას!

— ვთქვი და ეგ იყო...

— რალა გავაჩნიათქო...

— რაც გამაჩნია.

— ჯანი... ყველა მოიღნობს შენს ჯანსა, ქვეყნად არ იქნება ისეთი ხელის უფლება, უშრომელად ლუკმა მოვიგდოს, არცა ყოფილა, არც იქნება.

ბაქარმა დააყოვნა შებასულება, ან აღარც უნდოდა თქმა რაიმესი.

— უთხარი! — ჩააცვიდა კახაბერი.

— ეგაა თუ ვიტყვი კიდევაც მოვადევნებო?! — გაჰკენწლა დავითმა.

— ეგაა არავის არაფერს დავუთმობმეთქი და თუ წამართმევენ, მისადევნებელიც მაშინ გამოჩნდება.

— კარგი სიტყვაა.. — მოწონება არჩია კახაბერმა.

— მუქარა უმწეობისა... — არ დაინდო როსტომმა. — ისეთს დავიმუქრები ჯერ რომ არსად გავგონილიყობ, დავიმუქრები და სასაცილოდ გავიხილ საქმესა. ქალიღი შეპფერის შემძლებელსა...

— ძალაც შემწევს...

— იყუჩე ძმაო! შენ იმ წლებში აქ არ იყავი... შენ არ განგიცდია არცა სიტკბო, არცა სიმწარე იმა მოკლე ღროისა, სიტკბო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სიმწარე აღრეულობისა. ო, რა სიმწარე იყო! ამოვიგეთ დაკარგული სახელმწიფო და აგვიტყდა დავა, ასე არ ივარგებს, ისევ ერთად უნდა ვიყოთო. სხვანაირადაც არ იქნებოდა, ხელისუფლებას სათავეში ჟურნალისტები მოექცნენ, არა სტრატეგები, არა ეკონომისტები, არა უმტკიცესი ნებისყოფისანი, არა, ჟურნალისტები, რეპორტიორები, მთელი ცხოვრება კოსმოპოლიტური აზრების ქადაგებას რომ შეალიეს. მერე უცებ გამოუტყვრათ სახელმწიფო, ერი აღიმართა და შეეშინდათ აღმართული ერისა, გონება აერიათ, აეთქვიფათ ერისა და კოსმოპოლიტებისა, აეთქვიფათ და აებურდათ. ასე იქნებოდა, ჩოჩხათის სას-

ავლაოზე მოგროვებულნი ვერ წაუძღ-
ვებოდნენ ერსა, დასი დაერქმიათ, რაც
უნდა დაერქმიათ. მხოლოდ ილიას თა-
ობა უთავებდა ამოგებულ სახელმწი-
ფოსა, ილიას თაობას არ აეთქვიფებოდა
კოსმოპოლიტიური და ეროვნული, ილი-
ას თაობა გაიყვანდა ერსა, კვლავაც გა-
იყვანდა საერთაშორისო ცხოვრების
დიდ არენაზედა:

ასეთი ბედი იშვიათად მოველინება
პატარა ერსა ან აღარც მოველინება. სა-
ხელმწიფოს მართვის დიდი ტრადიცი-
ები თუ დაგიკარგავს, ვერ შეინარჩუ-
ნებ ბედსა, სასწაულს ვერ შეინარჩუ-
ნებ... ვიდას მისტირიით, დამკარგავებ-
სა! ვიდასი იმედი გაქვთ, გამწირველე-
ბისა! რისი სახსარიო, რომელი სახსა-
რიო, რა სახსარი დაგიტოვეს ისეთი, ბე-
დის წყალობა რომ დაიბრუნო! გამოეთ-
ხოვე... ფიქრს ნუ იმღვრევთ, ისედაცა
ცხელა ან ვინ უწყის ამ სიცხის ბრალი-
ცაა...

— შენი აღრეული ლაპარაკი...

— შენი დალაგებული! თუ ისიც
სიცხის ბრალია, დალაგებული არ ეთქ-
მის.

— ვისზე როგორა მოქმედებს...

— ჩემზე ასე. — კიდეც მოიწურა
ოფლი როსტომმა.

— ბოდვასა ჰგავს. — მწვავედ მია-
ტანა დავითმა.

— ბოდვაა! — მოსჭრა კახაბერმა.

— რენეგატებს აწერინებენ და იმას
იმეორებ...

— არა ვკითხულობ იმათს ნაწერებ-
სა...

— რა წაკითხვა უნდა დალატსა?!

— დალატობს მომხრე, ვინც არ
ემხრობა, ან ეთანხმება, მოწინააღმდე-
გე ჰქვიან, ქართულად ასე უნდა გამო-
დიოდეს, სხვა ენებზედაც ასე გახლავთ.
არც ეეთანხმებოდ, ვხედავდი თუ რო-
გორ აკედებოდათ ხელში რა ტანჯვით,
რა სისხლით მონაბოვარი, ვხედავდი და
არ ვეთანხმებოდი. ვხედავ თუ რა ამოა
იმათი იმედი და არ გეთანხმებით. აქ
დალატი არაფერ შუაშია, მოლაღატეც
არავინ გამოდის, ხოლო ისინი, გვერ-

დით რომ უდგნენ მესაფლავეებადა, ახ-
ლა იმათ ბრალმდებლებად თუ მოგ-
გვლინებთან, მხოლოდ ტყავის გადარჩე-
ნა უნდათ, მაგრამ გარჯილან ამოდა,
ვერც ტყავს გადაირჩენენ და თავსაც
შეირცხვენენ შთამომავალთა წინაშე.
იმითთან შე საერთო არაფერი მაქვს და
არცა ვკითხულობმეთქი იმათს ნაწერ-
ებსა.

— აღარცა წერ...

— აღარცა ვწერ...

— რომ აღარცა ლაპარაკობდე...

— აღარცა ვლაპარაკობ... თქვენ-
თან... თქვენ იცით... აღარცა ვლაპა-
რაკობ.

— მაგას გედავები, — აქ კახაბერმა
რომ ჩაახველა, — მაგას გედავებით, —
მამინ ასე გაიმეორა დავითმა, — უნდა
ილაპარაკო, უნდა იმოქმედო, უნდა შე-
მოკრიბო დაფანტული ძალები, გატყუ-
ურებულნი, უნდა შემოკრიფო დროზე-
და, თორემ დაიშლებიან.

— გისმინოთ ღმერთმა!.. სხვა აღ-
არც აღარაფერი დაგვრჩენია ვედრების
გარდა. და ვედრების გარდა, სხვა რომ
აღარაფერი დაგვრჩენია, იმიტომაც
ამაოა ეგ დიდებული განზრახვა, ამაოა,
ბიძაჩემო, ბიძაჩემებო დიჯერო, რომ
ამაოა რომ თუ ვისმეს არ ეყრდნობი.
თუ ვინმე არ გეხმარება ნამდვილად,
ქეშმარიტადა...

— ამბობენ...

— არა, ამბობენ აქ არ გამოდგება,
უნდა გვიცნონ და გვეთათბირონ როგ-
ორც ტოლწორებსა, უნდა აღგვითქვან
და აღგვისრულონ, მერედა შეიძლე-
ბა...

— ჯერ...

— ეგ წილადობილია, ვერ გავითა-
მაშებთ წილადობილასა, თორემ დაგ-
ვემსხვრევა ეროვნული იდეალები, გა-
გვეფანტება, ველარ შემოვკრებთ.

— ისინიც ჰო უნდა ჰხედავდნენ რა-
იმე რეალურსა, საფუძვლიანსა, ჰო უნ-
და რწმუნდებოდნენ, რომ არსებობს
რალაცა... რალაცა ჰა?!

ოთარ ჩხიშიძე

გორიანში



— სადაც იარაღს ჩაპყრი, ფულს ჩაპყრი და ჯარს მიაშველებ, დასაყრდენი ყველგან აღმოგაჩნდება, ეს იცინა, ოღონდ ილაჯი აღარა აქვთ, ან არ ეგულლებათ დიდი რამ სარფა, ან უფრო ილაჯი აღარა აქვთ, ევრობა თვითონვე ლაფავს სულსამეთქი.

— საწყალი, — ჩაიგესლა კახაბერმა, — ეგება ერთი ორი ბელელი პური იმათაც მივაშველოთ, ჰა?!

როსტომი არ აპყვა ამ გესლიან ნათქვამსა, დავითმაც შეიკრა კაპები.

— იქ რაც საჭიროა, ისინი მოაგვარებენ... — თქვა დავითმა ცოტა შეყოვნების შემდეგ.

— ისინი?!

— ისინი...

— ისინი ვერაფერს მოაგვარებენ.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — სტუმარს მიუბრუნდა დავითი, — სლუმხართ... ღუმელი თანხმობის ნიშანია, მაგრამ რომელს ეთანხმებით ჩვენთაგანა? მართალი ვითხრათ, ვფიქრობ, ჩემს მხარეს დაიჭერთ, ჰა?

— რა მოგახსენოთ, — ხმა ამოიღო სტუმარმა, — იცით, თბილისშიც ასეა, ყველგან გაცხოველებული კამათია, მე გავუბრბვარ, პოლიტიკაში არ ვერევი.

— რატომ?!

— არ ვიცი, რატომ უნდა ჩავერიო პოლიტიკაში?!

— მომიხრია თითი, — დავითმა თვალი ჩაუკრა კახაბერსა, — ვერას მოგიგებთ, მაგრამ ეგება თქვენ მიპასუხოთ როგორმე, რატომ არ უნდა ჩაერიოთ პოლიტიკაში?!

— მოგეხსენებათ, მუსიკოსები... მუსიკოსი გახლავართ... კომპოზიტორი...

— ვისი მუსიკოსი ბრძანდები, ერისა არა?!

— არა... იცით რა... მე ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, ჯერ მხოლოდ...

— ჯერა თუ მერე ვისთვის ვინდათ თუ რაიმე ძალგიძთ, ერისთვისა, არა?

— თუ შევძელი...

— ვისთვისმეთქი, თუ შესძელით, ერისთვის არა?!

— ცხაღია...

— პოლიტიკაც ეგაა, ყველაფერი პოლიტიკაა, ჩვენ რომ ხორბალი გვაქვს და ამათ არა, ეგვეც პოლიტიკაა, ჩვენ რომ გვაქვს და გავცემთ...

— არ გავცემთ! — ჩაუჭრა კახაბერმა.

— მომითმინე!... — ცოტა არ იყოს შეუწყრა დავითი, — რას ვამბობდი... ახლა სხვა მოღვაწეობა არ არსებობს, ერი გამოსავალს ეძიებს და როგორც უნდა ილწოდეთ ერისთვის, პოლიტიკური მოღვაწე ბრძანდებით.

— გთხოვთ, — შეწუხდა სტუმარი, ჯერ დავითს მიმართა, მერე კახაბერსა, მერე როსტომსა, — გთხოვთ, ძალიანა გთხოვთ!..

— ბატონი ბრძანდებით!.. — ხელი აიქნია დავითმა. არც ძალას დაგატან, არც ჩაგჩიჩინებ, სტუმარი ბრძანდები, მოსულხარ, წახვალ, ოთხიგუთხივ გზა გქონია, თუ გკითხე, გკითხე ისე, თავაზიანობისადა, შენც პო რაიმე უნდა გეთქვაო, ეს იგულისხმებოდა ხელის იმ ერთ აქნევაში; თუმცა გაყევილს გატეხილი სჯობიაო, ერჩივნა ამას მიმხრობოდა, შესდავებოდა როსტომსა, თავისებური შთაბეჭდილება მოჰყვებოდა სიტყვას ქალაქიდან მოსული კაცისა, რაღაც ეცოლინებოდა, რაღაც ახალი, გამამხნევებელი, ამიტომაც გამოიწვია, თავაზიანობა თავაზიანობადა, ოღონდ ესეც ელო გუნებაშია, სიტყვა რომ გადაუგდო; ისეთი გადაციცებით შეპყურებდა მოსაუბრეებსა თუ მოკამათებებსა, ისე გადაჰქონდა თვალეზი ერთიდან მეორეზედა, იფიქრებდით, შიგ ჩართულა მთელის არსებითაო, შიგ ჩართულა და ელის თავის ჯერსაო იფიქრებდითო და იფიქრა დავითმაცა იფიქრა და წამოეშველა, აჰაა, იყოს შენი ჯგირიო. თურმე ტყუილა დააცეცებდა თვალეზსა, ამოღო წამოყელაყელავებულიყო. გუნება წაუხდა დავითსა, ახლა იგრძნო სიმწარე სიცხისა, ხელი მოისვა შუბლზედა, მშრალი ხელი მოისვა მშრალ შუბლზედა, გავოფლილვარო, ეგონა, ოფლი არ მოჰყვა, არ და-



იჯერა, კიდევ მოისვა, ხილაბანდი ამოიღო ჯიბიდანა, ისიც მიაშველა, მშრალი მოჰყვა ისიცა, მაინც ეგონა, წურწურით მომდის ოფლიო. არც კახაბერი გაოფლილიყო, არც ის ეგონა, წურწურით მომდის ოფლიო, თითქოს სიცხეც გადაეწყებოდა, მხოლოდ ის ახსოვდა, როგორმე გადაერწმუნებინა დავითი, არ გაეცა ხორბალი, არ გაენაწილებინა, არავისთვის მიეცა, არც ერთი კაცისთვისა, რაც უნდა გაჰკირვებული მოსდგმოდათ კარჯდა. ძნელი იყო გადარწმუნება, დავითმაც იცოდა ამოჩემება აზრისა, როსტომისა არ იყოს, ამ როსტომისაცა, ოღონდ უფრო იმ როსტომისა, ნატბევს რომ მოვიდა პირველად, მარტოდ რომ მოვიდა ორი ყმის ანაბარადა; პირველი ბარი რომ დასცა ნატბევის მიწასა, იმ ორი ყმისაგან სოფელი რომ წარმოსდგა, ხოლო იმისმა გვარმა ვერ იხიერა, ვერადავერ გამრავლდა, ხან რას შეეწირა. ხან რასა, ხან ვისა და ხან ვისა; ექვსი ვაჟკაცი ერთად არც მოგროვილა, მოგროვდა როგორც იყო, მოგროვდა კვლავაც შესაწირავად, ერთად შესაწირავად, შთამომავლებიც დაღინდალობდნენ ჩახრიალასთანა, იმათ მაინც ჯვარი სწერიათო. ასე ფიქრობდა როსტომი, ის როსტომი არა, პირველად რომ ბარი დასცა ნატბევის მიწასა, ეს როსტომი, მართლაც რომ მოსდიოდა ოფლი წურწურითა, ხოლო დავითი სხვასა ფიქრობდა, იწმენდდა გამშრალ კანსა და სხვასა ფიქრობდა, გადაავრჩებითო, გამოვიხსნითო, გავმრავლდებითო. ურყევი იყო რწმენა, შეუვალი უმტკიცესი, ოღონდ მხოლოდ რწმენა იყო და მეტი არაფერი, ეს ავულისებდა. დავითსა, მხოლოდ ამისი რწმენა გახლდათ, სხვებისა არა, დაშლილიყვნენ სხვები, დაწეწილიყვნენ, დაფუტკნულიყვნენ, ერთად იყვნენ და გადაკარგულიყვნენ აზრითა, გრძნობითა; კვლავაც ემორჩილებოდნენ ოჯახის უფროსსა, საქმეს ინაწილებდნენ იმისი თანხმობითა, იმისი ბრძანებითა, ოღონდ აზრს აღარ ინაწილებდნენ იმისასა, რალა შეჰკარავდა

ოჯახსა თუ არა აზრი? და გაგულისებულყო დავითი, იწმენდდა მშრალ შუბლსა, მშრალ ყელკისერსა, ეგონა, ოფლი ვერ შემინერებია, ოფლად დავიღვრებო. ცხელოდა, ვარვარებდა ჰაერი და მიწა იწვოდა, ალი ავარდნილიყო, ალი მოჰკიდებოდა ჯანსა და ტვინსა, გაქარწყლებულიყო კავკასიონის მწვერვალები, თრიალეთიც გაქარწყლებულიყო, ხოლო მთა ლიხისა... რა ქმნილიყო მთა ლიხისა,—ზღვა მოსდგომოდა, ზღვა მოედებოდა აქაობასაცა, მაგრამ აგვიანებდა, გაქცეულიყვნენ, შეპტებებოდნენ? მაგრამ ვინ იცის ზღვაც გადაეწვათ ალავარდნილებსა, ახანძრებულებსა ან ეგება იქ უკვე ცეცხლი მოსდებოდა, ცეცხლი სწვავდა წყალსა. იწვოდა მიწა, იწვოდა ჰაერი, ყველაფერი იწვოდა ერთობლივად... ხილაბანდი თვალეზზე აიფარა დავითმა, მირაქიათ, ჩაიჩიფიფა, აიფარა და ველარც ჩამოიღო, იგივე მომელანდება, ზღვა მომელანდება ცეცხლოდებულიო. იქ მხოლოდ თრიალეთის მთა უნდა ყოფილიყო, უნდა ყოფილიყო და აღარ იყო, რა ქმნილიყო იმა გავარვარებულ მზეში?! ვინდა ვაიგებუა, როცა ვარვარებდა ტვინიცა, ვარვარებდა სხეული და ოფლი ჩამშრალიყო...

- ასეთ დროს ნებისყოფაც აღარაფერი და წელში გასწორდა კახაბერი:
- არ გაიცემა!
 - ნულარ მივუბრუნდებით.
 - არც გავცილებივართ, არ გაიცემა!
 - ელოდებიან...
 - ელოდონ...
 - სოფელი მტერს გადაეკიდოს.
 - მტრობის მეტი რა იცის სოფელმა?!
 - მითუმეტეს...
 - სულერთია არ დაგიმადლებს სოფელი.
 - ნუ დაგიმადლებს...
 - ხარბია, მშურიან...
 - მითუმეტესა...
 - სულერთია გესვრიან...
 - დაე...

— გესროლონ დამშეულებმა...

;— გამაძღვრებმა მესროლონ...

— ნუ სჩადიხარ!

ნულარას იტყვი!..

ალარც ითქმოდა, გათანგულიყო ჰაერი, დღე გათანგულიყო, გათანგულიყო სულიცა. ჩახრიალასთან მიბინარებულეყვენ, ფეხები ჩაეყარათ წყალში, ცეცხლი ეკიდათ თუ ცეცხლს უკიდებდნენ წყალსა, კვარივით ენთო ფეხები წყალში. ტირიფი ეფინათ, გაქვევებულ ტირიფი, არც ეფინათ, ჩრდილიც გამქრალიყო, გათანგულიყო ტირიფიცა, იმისი ჩრდილიცა.

XIX

უფრო გაითანგა საღამოი. მანამდე მოთავდა კამათი საჩრდილობლისა ან არ მოთავდა, მაგრამ მიხედვდა უნდოდა სარწყავსაცა, სახნავსაცა, კალოსაცა, მიხედვდა უნდოდა და მიჰხედეს, რა ვუყოთ თუ არ იძროდა ნიავი, არც ღრუბლის ქულა გამოჩენილიყო, რა ვუყოთ მერე, საქმე თავისას მოითხოვდა, საქმე აძალებდა, აძლებინებდა გაუსაძლისში; თუმცა დიდი ბარაქა არაფერსა ჰქონდა, სარწყავსა თუ სახნავს თუ არ გამოვეყიდებით, კალოც ვერ მოთავდა, გაიღწა, ოლონდ ველარ განიავდა, — ნიავი არ იყო, რა განიავებდა, შეხვეტეს, აუგდეს ფიწალი. არ იქნა, არ გაეცალა ხორბალი ჰზესა, იქვე ცვივოდა, ერთადვე ცვივოდა ბზე და ხორბალი, გამოეცალნენ, დაელოდნენ, და მწუხრიც წამოვიდა. გავარგარებულე, ალაპლაბებულე, ხანძარმოღებულე, თითქოს ალარც დაღამდებო, ხანძარი შემუსრავს დამესაცა და მარადიული უკუნინდან გამოსული ხამყარო მარადიულ სინათლეს მიეცემო. რაც უნდა ყოფილიყო, უფრო გაითანგა საღამოი, კალოზე ველარ შეიცადეს, ვერ ივანშეს კალოზე. კედლებს შიამურეს, ეგება ვერ შეაღწია სქელ კედლებსა ამ გაგანია სიცხემო. შეეღწია, და დაუდგებოდა, რა გაუძლებდა, საღამოი ოთანში მაინც მოკალათებულეყო, ძვი-

გულად იყო, დიდი ფანჯრები ჰქონდა, დარაბებიც არ დაეტანებინათ; მაინც მარანს მიაშურეს, იქ მაინც შენახულიყო სიგრილე, საწნახელიც გრილი იყო, დიდი საწნახელი, მიეყუნდნენ საწნახელსა, ცოტა ამოისუნთქეს, კიდევ ცოტა და მერე ლამის გული ამოაყოლეს, ეგრეთი შვება მიეცათ. სუფრაც იქ გაშალეს, იქვე გაგრძელდა ის საუბარიცა. თუ კამათიცა, ის დარწმუნება თუ ურწმუნობა, ის გმობა თუ იმედოვნება.

იგივე გახლდათ, სხვა სიტყვები გამოერეოდა, სხვადასხვა მაგალითები მიემატებოდა, სხვაგვარად წამოეგზნებოდნენ თუ ამლელვარდებოდნენ სულერთთა, აზრი იგივე იყო, მხარეთა განლაგება თუ განწყობილება ისეთივე, კახაბერს ისევ უნდოდა გადაეთქმევიზინა დავითისათვისა და სტუმარიც ისევე შესცქეროდა ხან ერთსა, ხან მეორესა თუ მესამესა, ყველასას სათითაოდა, ჰო ყველასა რადგან საღამოს ყველა ალაპარაკდა და ყველა გაცილებით მეტსა ლაპარაკობდა ვიდრე შუადღისასა. რაც იყო თუ როგორადაც იყო, იგივე გახლდათ და გამეორებდ აღარა ღირს, თუმცა გამოერია ბევრი მახვილი სიტყვა, ბევრი ანდაზა თუ ზმა, ბევრი შედარება თუ მოგონება, მაგრამ მაინც არა ღირს გამეორებდა. რა ვუყოთ თუ დიდი რამაა გამოთქმის ხელოვნება, რაოდენი რამაც უნდა იყოს, უცხოზე მოახდენს უეცარ შთაბეჭდილებასა, ხოლო ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთსა, ძალიან კარგადა, რომ ამბობდნენ, ისიც იცნოდნენ, როგორი პასუხი მოედევნებოდა, მაინც ამბობდნენ, მაინცა დავობდნენ, იმ დღის საქმე მოთავებულეყო მოთავებულეყო ავად თუ კარგადა, ძილი წინ იდო, სხვა რა ელონათ ძილის წინა?

ჰო სხვა რა ელონათ... გაერთოთ სტუმარი. — ვართობილიყო ავითონ ამითი ერთობოდნენ, ისიც ვართობილიყო, თუნდაც ჩარეულიყო, თუნდაც დარჩენილიყო ისე გულმოდგინე მსმენელადა. მართლაც ვერ ინა-

ტრებდი უკეთეს მსმენელსა, თუმცა ბევრჯერ სიტყვაც მოაღდა ენაზე, მაგრამ დაასწრებდნენ რა თქმა უნდა, იგივესაც თუ წარმოსთქვამდნენ, წარმოსთქვამდნენ უკეთესადა, მარჯვედა, გაწაფულადა და მოსწონდა ხან ერთი, ხან მეორეი, ხან მესამეი, ყველა მოსწონდა, ცმუკავდა, მხრებს ათამაშებდა, კიდევაც წაიზმუკუნებდა ხოლმე, ასე თუ გასტანდა, რამდენიმე კამათს თუ შეესწრებოდა, ვინ იცის ველარც ჩაეჩუმებინათ, ვინ უწყის ველარც გაეხსენებინათ, აკი არ ერევი პოლიტიკაშიო. მაგრამ საქმე იქამდის აღარ მისულა, უცებ გამოერკვა, გამოერკვა როგორცკი ხელი აიქნია დავითმა, გახურებული კამათისას აიქნია ხელი, ძილის დროაო, აღრე უნდა ავდგეთო, დღეს რაც დავაკლდა ამ გაგანია სიცხისგანა, ხვალ უნდა გამოვასწოროთო; თქვა და აიშალნენ, ესეც წამოღდა და გამოერკვა, გარეთ რომ გავიდნენ, როსტომს აედევნა, ცოტა მომთმინე თუ შეიძლებაო.

გარეთ ანუ ეზოში ახალგაზრდები მხიარულობდნენ, იმათაც შეუძახა დავითმა. ცოტა გვაცალეო. ხვალ უფრო აღრე უნდა ავდგეთო. აღრე იყოსო. დაგეზარებათო. არ დაგვეზარებაო. აბა ვნახოთო. ვნახოთ და ვნახოთო. პო ვნახოთო და ახალგაზრდებს შერჩნენ ესენიცა, მანამდის განს გადგნენ, ანუ სტუმარმა გაიხმო განზედა, შიში გაუმხილა:

— ისე ლაპარაკობენ, ალბათ ჰგონიათ, თითქოს ვინმეს მოვევლინებინე, თითქოს რაიმე დავალემა მქონდეს, რაიმეს ვაწყობდე; ასე ეგონათ სხვათა და სხვათა, ბევრ გაუგებრობას გადაეყარე და აღარ მინდა აქაც განმეორდეს იგივე ან უარესი. თქვენ მაინც გამიგებთ...

— გაგიგებთ...
 — მე მხოლოდ...
 — ზიცი! — სტუმრის განმარტებანი აღარ მოინდომა როსტომმა, — რომ არც ვიცოდდე, მაინც არაფერს ვიგული-

სხმებ, რახან ელიზბარი მატყობინებს, თბილისს გაამგზავრეთ ეს კაციო, ცხადა, თბილისს უნდა გაგამგზავროთ, ცხადია, სხვა არაფერი ივულისხმება ამაში, რახან ელიზბარი ითვლევინება-მეთქი, იმას ითვლევინება, რაც არის, ამოსაცნობი არაფერია.

— გმადლობთ!
 — არაფერსა!..
 — რომ იცოდეთ, რა სიმძიმე ჩამომსხენით?
 — ვიცი...
 — ყველაფერი იცით...
 — იმდენი არაფერი. ამის მიხვედრა მაინც შემძლიან. ისინიც მიხვდნენ. თქვენს გასაგონად არაფერს ამბობენ. ჩვენთან ასეა, ამ ბოლო დროს ასეა ყოველთვისა. დაბნეულობას მოსდევს ბევრი კამათი, ასე ყოფილა, ასე იქნება. ყოველი გარდატეხა იწვევს მწვავე გრძნობებსა და მწვავე სიტყვებად მოედინება. ბედისწერა თუ აიტანს ადამიანსა, მორიდებაც დაკარგულია. ისე კაცმა რომ თქვას, კარგად დააღწიეთ თავი, ჩემი საქმეა მხოლოდ მუსიკაო, მუსიკა იყოს, გვიმღერებენ ახალგაზრდები...

გვიმღერებენო და უმღერეს, უმღერეს „ო, თვალთა შენთა“, ახალი რომანსი, შეფერილი აღმოსავლური მოტივებითა, ოღონდ ცხადია ვაწყობილი დასავლური რომანსების კვალობაზედა. გული გადაეხსნა სტუმარსა, გაიხარა, გაიხარა, აფოფინდა, პირველად გაიხარა მთელს იმ მგზავრობაში და ისე მოულოდნელი იყო ეს სიხარული, ისე აღმტაცი, ეგონებ, იფიქრა, ღირდა ყველაფრის გადატანა ამ ერთი წუთისთვისაო. ნეტარი წუთი გამოდგა, ნეტარი, საამთ, განუმეორებელი. ასეთი წუთებიცა სცოდნია მგზავრობასა, სცოდნია ბევრად მეტი სიხარულიცა, მოულოდნელი სიხარული, კიდევაც განმეორებულა, შენსცვლებია ფათერაკებსა, ეს მხოლოდ იმ ერთხელ გადაეყარა, იმითიც დამშვიდდა, ჩამოიბერტყა მტვერი ქართლის გზებისა, დასიცხული გზებისა,

დაქანცულობა ჩამოიბერტყა, თან მიაყოლა შიში, იმედგაცრუება, გადატანილი მღელვარებანი, ამდენი რამ მიაყოლა იმ მოულოდნელ სიხარულსა, ხოლო თუ გაუმეორდებოდა იგივე სიხარული, ალბათ აღარც გაიქცეოდა, აღარც არავის გაუგონებდა, შებრუნდებოდა ან თავიდან წამოიწყებდა იმავე გზასა, იმავე სურვილითა, წამოიკიდებდა ჩამწერსა და მარტოდმარტო გაუდგებოდა; ან ვის რაღათ უნდოდა, უბეში ედო ის უბებრო რუქა, უმიისოდაც ბევრნი გაიცნო, მხოლოდ გამეორებულყო ისეთივე წუთი, როცა თავი იპოვნა დაკარგულმა, როცა ზე ამოტივტივდა ღრმად ჩაყურყუმელებული. ამოტივტივდა ერთის გაკვირითა. ახლა არ იკითხავთ, ისეთი რა მოხდაო, — ის მოხდა, რომა „ო, თვალთა შენთა“ იმისი რომანსი გახლდათ, ორიოდე მაინც დაეწერა ისეთი თუ იმაზე ნაკლები ან უკეთესი, ნუ შევალთ ამის გარჩევასა, ჰო რამდენიმე დაეწერა, ის ერთი გახმაურებულყო, ისე გახმაურებულყო, წამოეწია შეპირების ქამსა, წამოეწია და ამოიტაცა ლურლუმიდანა. ცოტა კრთომა მაინც დაჰყოლოდა, იციან თუ არა, ჩემი რომ არისო; თუ იციან ჰო კარგი, თუ არ იციან, მაინც კარგია, კარგზე კარგია, დიდებულაო. თურმე სცოდნიათ და მოდი, ნულარ აღმაწერინებთ იმა ნეტარებასა: ჩადნა კაცი, ჩაიღვენთა, ჩაიწურა მღელვარებადა, იქცა თრთოლვადა, ათრთოლებული ზელებით ეხებოდა გიტარის სიმებსა, ერთგან მხოლოდ ერთგან ისე კი არ უნდა, აი, ასეო, ჰო აი, ასეო, ოლონდ თვითონაც აღარ გამოსდიოდა, ვეღარ მიეგნო, დამორჩილებოდა, იყოს, ისე უკეთესად გაისმაო.

და აქ მოთავდა წამი ნეტარებისა, ჭიშკართან ახმაურდნენ. — ესენი ყოფილიყვნენ. ახალმოწესენი, სოფლებს ჩამოჰყოლოდნენ. დავითალეთო, ცოტას შევისვენებთო. სხვაგან სადმეც შეისვენებდნენ. ოლონდ იქ მხოლოდ შესვენება იქნებოდა, აქ ვახშა-

მიც მოჰყვებოდა შესვენებასა, ცხენებსაც ქერი გაუჩნდებოდათ, ჰოდა აქ ვინ ჩივნათ რა თქმა უნდა, აქ შევისვენებთო თუ შეიძლებაო. შეიძლებაო და დეკიული აჰკიდეს, თვალიც გადაავლეს, ვინ იცის არ ეყოთო და ცხვარიც მიაყოლეს. ახალგაზრდები მაშინვე შეილაღნენ შიგნითშიგნითა. იქ სუფრა გაიშალა, ეზოშივე გაიშალა, ჭილობები დაჰყარეს ბალახზედა, სუფრები მერე გადააფინეს. იმათაც ჭილობებზე მოიკეცეს, ეყოთ, ბევრი იყო. მოიკეცეს, ოლონდ იარაღი უშლიდათ მოსვენებასა, აიყარეს იარაღი, მოეშვათ სარტყლები, ამოისუნთქეს. ამდენს მიადევნა თვალი სტუმარმა, მერე რაღა ექნა არ იცოდა, ახალგაზრდები რომ გაკრეფილიყვნენ, როსტომი ჭიშკრისაკენ გაემართა, მარტო დარჩენილიყო, მოთვალთვალესავით დარჩენილიყო, არ ივარგებდა, ვითუ შეემჩნიათ. ან ეგებ შეემჩნიათ, და არად ჩაეგლოთ, — სულერთია, ამას მაინც შიშმა დარია ხელი, რის ნეტარებაო, რა ნეტარებაო, რის იმედი, აცა, ეგება ჩემი სხვა რომანსებიც იმღერონო. არა ჰვადნენ ესენი რომანსების მომღერლებსა, ისე ჩასხდნენ, ისე ამოისუნთქეს, მართლაც პირისქარად არ გაუხდებოდათ ის ერთი დეკიული და თითო თუნგი ღვინოი. კარგი რამას ცხვარიც მიუმატეს, ჭვევრშიცა ტორტმანებდა ღვინოი. მაგრამ ამას რაო, ამას შიშმა დარია ხელი და როსტომიც წაუსამხარისულდა, ჩვენ წავიდეთ, ცოტა გავიაროთო. შიშმაც გადაიარა, გაჰქრა, ვითომცა ყოფილა, ვითომც არაო, თუნდაც შეემჩნიათ, აღარ ენადვლებოდა, როსტომი მისცემდა პასუხსა.

ეგება შეამჩნიეს, ეგება არცა, სულერთია არავინ გამოდევნებია, არავის არაფერი უკითხავს, ისე გავიდნენ ვიწრო ორღობეშია, ციციანთელებით სავსე ორღობეშია, ციციანთელებითა, ჭრიჭინობელებითა, გავიდნენ, გაჰყვნენ გაბმულ ჭრიჭინსა, გაბმულსა, ყურის წამლებსა, თითქოს გაუთავებულსაო, მაგრამ გააღწიეს, სასაფლაოზე გავიდნენ და დაშორდათ ჭრიჭინი ორღობისა. ორ-

ლობის კრიკინი დაშორდათ, ოღონდ იქ, სასაფლაოს მდუმარებაში ჩაესმოდათ, როგორც შორეული ხმა გამოუცნობი მარადისობისა, შორეული ხმა წარმავალობისა, გარდაგებისა, ხმა სამარისა, გაუგებარი, დაუცხრომელი, ხმა გარდასულთა, აქ რომ დარჩენიანთ და ტრიალებს, ტრიალებს ჰაერში, ტრიალებს, ბრუნავს, მოუსვენრობს, ვით დაკარგული, დაეძებს, ჰპოვოს, საღით აღმოხდა, რომ დაუბრუნდეს, რომ აღივსოს ხორციელებითა, რამეთუ არ არს უხორციო, არ არს, რასაც არა აქვს ხორცი, არა აქვს სახე; მაგრამ გარდაგებულა ხორცი იგი, მისცემია ხრწნასა, გარდაგებულა სახე იგი, მისცემია ლობასა და დაძრწის ხმა დაკარგული, დაძრწის სული, სული უსახო, მიუსაფარი, დაძრწის. დაძრწიან მარად მძებნელნი, მარად ვერ მოგნელი ვერარაისა და იგრიხება ჰაერი, იკლავება, იზნიჭება, იმსხვრევა, იღეწება, რამეთუ იღვსება ხმებითა, დაკარგული ხმებითა, მძებარი ხმებითა, რომელნი არ იგუებენ სახეთა სხვათა, არც ირწმუნებენ, რომ გახრწნილა სახება მათი. და ისმოდა ხმა შორეული, ხმა საოცარი, ხმა დაჯაფული მარადიული მოუსვენრობითა. და გარინდულიყვენ, ისხდნენ ერთიმეორის პირისპირა, საფლავის ქვებზე ისხდნენ და ყურს მიუბყრობდნენ დაჯაფულ ხმათა.

— მოსვენება თუ გინდოდა... — თქვა ბოლოს როსტომმა, თქვა ისე, თითქოს საფლავიდან ამოსახესო.

სტუმარი შეკრთა, მიაყურადა. მერე-ღა იკითხა კრთომითა:

— რა ბრძანეთ?!

— ეგება მოსვენებას ინებებდითმეთქი. გამოგიყოლიეთ... ეგება სიო ამოსინდეს, უფრო მოისვენებს აღამიანი.

— დიახ! დიახ... უფრო მოისვენებს. — დაატანა დამშვიდებთა, რადგან ხმა სამარისა როდი ყოფილიყო, არც დაკარგული და განაწამები ხმა ყოფილიყო, იქვე იღდა სახე იმა ხმისა, სახე ხორციელი, სახე მოფრქვეული მკრთალი ნათელითა, ძალიან მკრთალი, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ნათელითა.

— სასაფლაო დაწყნარებაც იცის... თითქოს განწმენდს აღამიანსა.

— იცის... იცის. — უფრო თამამად მიატანა სტუმარმა, უფრო დაიჭერა, ხმა სამარისა რომ არა ყოფილიყო.

— ასე მგონია, მიმბაძველნი კეისართა და იმპერატორთა, დროდადრო დამამობით სასაფლაოზე რომ გაიყვანო და მარტო დასტოვო, ბევრ რამეს გადაიფიქრებენ ან სხვაგვარად დაულაგდებთ ჭკუაი.

— ჰა?! ჰა, ჰა, ჰა... დიახ, დიახ! — გაბედულადაც გაიცინა სტუმარმა, ხმა სამარისა არა ყოფილიყო, გამჭრალიყო, ეჭვი თუ კრთომა.

— თუმცა ბევრს ესეც არ უშველის, ზოგს უფრო მეტად აღავსებს სისხლის წყურვილითა...

— რატომ?! — გაიკვირვა სტუმარმა.

— არის ხასიათი, არის ვნება, ამოვარდნილი კაცთმოყვარეობის საწყაოღანაო...

— ახ!.. არის... არის... — გაინაბა სტუმარი, ცოტახანს გაინაბა და უცებ შესძახა დიდი აღმომჩენივითა, — იცით, რა?! ვკონებ, ყველაზე უკეთესი იქნება თუ ყველგან ქვეყნის მმართველებად დააყენებენ მუსიკოსებსა.

— ჰა, ჰა, ჰა...

— ისინი არიან კაცთმოყვარენი, მგრძნობიარენი, ათრთოლებულნი აღამიანის ბედითა. იმათ არ მოეკიდებათ ზნე ტირანისა. მტარვალებად არ იქცევიან, არა, ღმერთს გეფიცებით!..

— ჰა, ჰა, ჰა...

— ღმერთს გეფიცებით... — ნაკლები მგზნებარებით გამოსთქვა, რადგან მოეჩვენა, როსტომის უკან, ცოტა დაცილებით საფლავის ქვამ წამოიწია, ან ვილაც წამოდგა საფლავის ქვიდანა, ქვაც თუ არ აიტანა, წამოჯდა ქვაზე, წამოჯდა შიშველი, მიაჩერდა როსტომის ზურგსა ანუ ამას მიაჩერდა თვალბში. ასე მოეჩვენა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ქვეშა, საფლავის ქვებითა და ქვის ჯვრებით მოდებულ სასაფლაოზე, მოეჩვენა და ჩაიჩიფჩიფა, — გეფიცებით...



— გერწმუნებით, — სიცილითვე გა-
ნაგრძო როსტომმა, — ისე გულწრფე-
ლად იფიცებით, რომ არ გერწმუნოთ,
გულწრფელობაც აღარ უნდა მწამდეს.

— ისე იცინით... — მეტი ველარ მო-
ადევნა, მოეჩვენა, სხვაც წამოკრა, ისიც
შეიშველი, ხელიც გაიშვირა თუ აქნია
ჩონჩხი, პირველად რომ წამოკრა, იმას
მოუქნია.

— ისე ვიცინი, ისე...

— აქ მგონი, — ჩურჩულით მიატანა
სტუმარმა, — სასაცილო არაფერია... —
ჩურჩულით მიატანა და ხმაც გაეპარა,
კიდევ მოეჩვენა და იმიტომა, ისინი ჰო
ისევე ისხდნენ, იქით მესამე ქვამაც წა-
მოიწია, წამოიწია და მთლად აღიმარ-
თა ანუ ქვაზე აღიმართა, ალბათ მიც-
ვალებული, სხვა ვინ იქნებოდა, აღი-
მართა ადამიანი, წელსზევით ადამიანი,
შეიშველი ადამიანი, წელქვევით მოსილი
ან შესაძლოა, ბეწვიანი, თხის ჩლიქები-
ანი, სატირის სურათი რომ უნახავს,
ისეთი.

— არა, არა, არ მიწყინოთ, — მოე-
ბოდიშა როსტომი, — ყველაფერი შე-
საძლებელია, იყოს მუსიკოსი, დმერთმა
ჰქნას მუსიკოსიც გამოგვეცადოს სახელ-
მწიფოს მეთაურადა, ოღონდ სახელმწი-
ფო გვქონდეს, ვინც უნდა იყოს მეთა-
ურადა, ოღონდ ბრძენი მრჩეველები ეხ-
ვივნენ გარსა, იყოს მუსიკოსი, მუსი-
კოსი იყოს, ოღონდ აქ მაინც ნულარ
ამიხირდებით, მუსიკოსი იყოს, მხოლოდ
შენი მასწავლებელი არა, არა, შენი მას-
წავლებელი და ჩემი მეგობარი გიორგი
ყანჩაველი არ იყოს, სხვა ვინც გენე-
ბოთ, თუნდაც აი, თუნდაც თქვენა
ბრძანდებოდეთ.

— რომ იცოდეთ... — თქვა სტუმარ-
მა და თითქოს ენა ჩაუვარდა: ჩაჯდა ის
მესამედ წამომდგარიცა, სამაგიეროდ
სხვა აღიმართა, ისევე წელსზევით შეიშ-
ველი, წელქვევით მოსილი თუ სატირი-
ვითა, სხვა აღიმართა თუ ამან ისკუბა,
ველარ გაიგო, თვალები აებნა, ენაც
ამიტომ ჩაუვარდა თუ ჩაუშრა.

— გნებავთ გამოესარჩლოთ გიორგი-
სა, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ამაოდ

გაირჯებით, გარწმუნებთ, ამაოდ გაირ-
ჯებით, რადგან დასაბუთება გაირ-
გულვატეხილობა მეორე ანუ გულვატე-
ხილობაა, ყველაზე მძიმე და მოუჩვენე-
ლი. მე გამიტყდა გული, როგორცკი გა-
ვიგე, „მეთერთმეტე“ სიმფონია დას-
წერა გიორგი ყანჩაველმაო. არ მომის-
მენია კანტანტაა თუ სიმფონია, არც მო-
ვისმენ, როგორც უნდა იყოს. მე იმი-
სი აღარა მჯერა. ნუ, ნუ მიწყენთ!

— ჰა?! — ბოლოს ეს აღმოხდა სტუ-
მარსა, ენა თუ ჩაუვარდა, ეს მაინც აღ-
მოხდა, რადგან დაიჯერა, რომ აღარ ეჩ-
ვენებოდა, მართლაც წამოდგა მთელი
სასაფლაო ან ის ნახევარი, როსტომის
ზურგით რომ მოსჩანდა, წამოიშალნენ
მიცვალებული, წამოიშალნენ სახეზა-
ნი, ხორცი ხორციელნი და მოხროვდ-
ნენ მიმოკარგულნი ხმანი, აბზუვლდ-
ნენ, აირივნენ, გახელდნენ, ჰპოვეს სა-
ხეზანი და შეიშობდნენ არ არეოდათ,
დაბრუნებოდნენ თავთავიანთსასა.

— ბუნებრივია თქვენი აღშფოთება,
— იოლად დასძინა როსტომმა, — ასე-
ცა სჩვევიათ ერთგულ მოწაფეებსა, მა-
გრამ გჯეროდეთ ჩემი წყრომაც ბუნებ-
რივია...

აღარც ხმა ეყო სტუმარსა, ორივე
ხელი გაიშვირა თუ გასტყორცნა და
ჩაჰკიდა თავი, ჩაჰკიდა და აარაცრაცა.
მაშ რა იქნებოდა, ისიც გიკვირდეთ, მე-
ტი რომ არაფერი დაემართა, იქ ჰო,
გადმობრუნდა თითქმის ყველა საფლ-
ვის ქვაი, წამოდგა ყველა მიცვალებუ-
ლი, აიშალა სასაფლაოი, სასწაული
მოხდა თუ განმეორდა ზღაპრად ნათ-
ქვამი, განმეორდა, აცხადდა, ასე თვალ-
დათვალა, ეს აცხადდა და ისიც ცხადი
იქნებოდა, გამთენიისას საფლავებში
რომ ჩაბრუნდებოდნენ, ამათაც ბარემ
თან ჩაიყოლებდნენ, უჩვენებდნენ თა-
ვიანთს ცხოვრებას, თავიანთს გასა-
ჭირსა თუ დალხინებასა, მერე ისევე
გამოაბრუნებდნენ ან აღარც გამო-
აბრუნებდნენ, დაიტოვებდნენ ბარემ
იქავე, მაინც აქა ხართ მოსასვლელ-
ნიო, გზაგზა ხეტიალით რაღას გაწვა-
ლდეთო, მერე რა გზაა, დანტემ ჰო აღ-



წერა რა გზაცა ყოფილა, ვილა გაუძლებს იმა გზასა, — ვერა ვერავინა, ვინც წასულა, აღარც გამობრუნებულა. არ უნდა, ჯერ არ უნდა, არც მერე უნდა თუ აკითხებენ ან ახლა თუ აკითხებენ? აი შებრუნდა როსტომი აუშღვრეველად, აუკვირლად, მიესალმა, ელაპარაკება ვითომც არაფერიო, კიდევაც იცინის, ვინ უწყის ერთხელ უკვე ჩაპყლია, ერთხელ უკვე გამობრუნებულა, თამაშად უჩანს კიდევაც თუ წაიყვანენ. როგორც ენებოს, ოლონდ ეს დაიხსნას, დასტოვონ, აქ უჯობს, აქ ურჩევნიან, ისიც ეყოფა ამბავს რომ გაიგებს, რაც გაუგია ისიც ეკარგვის, მაგრამ მაინც მოუსმენს როსტომსა, რომ მობრუნდება, თუ კიდევ მობრუნდება. დგება როსტომი, დგება და ამასაც ეუბნება, წავიდეთო, ხელსაც წაატანს. გააფრთხილებს, კიდევ კარგი როსტომი წაატანს ხელსა, ისინი არა, თორემ ვაპქრებოდა, თუ ვერ აიტანდა, ვაპქრებოდა, მაშ რა იქნებოდა. რაც აიტანა ისიც ძნელი გასაძლისი გახლდათ. თუმცა რა აიტანა? — ხელი მოჰკიდა, გამოიყოლა როსტომმა, ორლობისაკენ გამოიყოლა, ციციანათელებისა, ჭრიჭინობლების ორლობისკენა, იმავე ორლობისკენა, ოლონდ ვაგლახ რომ იგივე აღარ გახლდათ, ორლობე იყო ჯოჯოხეთისა, აღსასევე ჯოჯოხეთური ხმებთაა, ჯოჯოხეთური ცილითა, ისევე დაკარგული ხმების განგაშითა, უდასაბამო, უსასრულო ძიებითა.

ამისი გონება როგორადაც უნდა გახურებულყო, როსტომი უხსნიდა და წყნარებითა, ისინი არიანო. დასცხომით ბიჭებსა, გაუხდიათ, შეუხვენიათ სასაფლაოზეო, კარგა შელამებას დალოდებიან, პური მოშიგნიათ და ჩვენთან მოსვლა განუზრახავთო, კარგი რამას ჩვენვე ვეახლეთ, თორემ დავგიდგებოდა განკითხვის ქამიო, მაშ რაო, ესენი ჰო უკვე იქ არიან, ისინიც თავს წაადგებოდნენ და გამოიღებოდა კარი ჯოჯოხეთისა ნატბევშიო. ახლა თითქოს გვეშველაო, დავარწმუნე, აქა ბრძანდებოდეთ, აქ მოგივით ყველაფერიმეთქო, მე ასე დავარწმუნე და და-

ნარჩენი დავითის სიმარჯვეზე ჰკილიაო. იმედი გვექონდეს დავითის სიმარჯვეთა, ჩვენ მოვისვენოთო...

XX

ამისი მოსვენებისა რა მოგახსენოთ, ადგილი მიუჩინეს, ქვეშაგები მიუჩინეს, გაეხადა, მიწოლილიყო, მიწოლილიყო და მიელულა თვალები; ჰო ამისი რაღა მოგახსენოთმეთქი, დავითის საქმე იყო საჭოჭმანები: ესენი ეზოში უხსდნენ, ისინი სასაფლაოზე, ამათაც მოშიგნოდათ, იმათაცა, ამათაც მოწყურებოდათ, იმათაცა, შიმშილი იმდენი არაფერი, ამათ ჰო დაუკლა დეკეული და ცხვარი, იმათაც დაუკლასხვა დეკეული, სხვა ცხვარი გამოურჩია, გაძღებოდნენ და გზას გაუდგებოდნენ უჩუშარის პირითა, წყურვილი იყო, რა იყო, წყურვილი გამშრალი დღისა, აღმურავარდნილი დღისა, წყურვილი იყო, რაც იყოთ და კიდევაც დაეწაფენ მწყურვალნი, დაეწაფენ ნატბეურსა, ცოტა მომწვანო ღვინოსა, ყელს რომ კაწრავდა და მიედინებოდა თავის ნაკაწრშია. ვინ იცის რა ამოპყოლოდა მერე იმ ნაკაწრებსა, ვინ იცის, ჰა, — სიმღერაც შეიძლებოდა, ლანძღვა-გინებაცა, ისე უთავბოლო ყვირილიცა, უთავბოლო წოწიალიცა, ყველაფერი შეიძლებოდა ამდაგვარი ან მსგავსი ამისა, ამდაგვარი და ისეთი, ერთმანეთის გეში რომ აედოთ, ხოლო მერე, ჰმ, მერე იქნებოდა, რაც იქნებოდა, ან არც აღარაფერი იქნებოდა, ტყვია დაცხრილავდა, ცეცხლი გადამუგავდა იქაობასა; ჰოდა დავითის საქმე იყო საჭოჭმანებმეთქი, რა იღონა, რა გადიტანა ძნელი სათქმელია, ერთი ცალკე ამბავია, ცალკე ამბავი ერთი ღამისა, განსაცდელის ღამისა, თუმცა მშვიდობით მოთავებული ღამისა, მაგრამ იქამდის მიტანება ჰქირდა, ძალიანა ჰქირდა. იქამდე, იქამდისა, გათენებამდისა, როცა ესენი აქეთ ვაისტუმრა, ისინი იქი-

ოთარ ჩამიამ ბორიამი

თა, ერთნი აღმა, მეორენი დაღმა, ერთ-
მანეთის გზას ვაუყენა ერთმანეთის
ზურგშექცევითა. მერე მაინც გადაეყ-
რებოდნენ, ერთმანეთსა, ერთმანეთს
ექებდნენ და კიდევაც გადაეყრებოდ-
ნენ, ანუ ერთნი ექებდნენ, გაუბოდ-
ნენ მეორენი, მაინც გადაეყრებოდნენ,
სადაც იქნებოდა, მაგრამ რაც იქნებო-
და, იქნებოდა, იმ ღამეს არა იყო რა,
მართლაც რომ იყო და არა იყო რა.
მშვიდად გამოიძინა ნატბემა...

ამისი მაინც რა მოგახსენოთმეთქი:
დიღხანს იბორგა, იწრიალა, ელანდე-
ბოდნენ წამოდგარნი სასაფლაოდანა.
თუმცა აღარც აღარაფერსა ჰხედავდა,
არც არა ესმოდა რაი, მაინც ელანდე-
ბოდა, უფრო ელანდებოდა იმ სიციხიან
მღუმარებაში, მაგრამ ბოლოს მაინც
წაერთვა შფოთი თუ მოლანდებანი;
წაერთვა და რომ დაუბრუნდა, უკვე
დილა გახლდათ, ცხრათვალა მზეც იდ-
გა, ხეებიც ირწეოდა, შრიალებდა ფო-
თოლი, შრიალებდა გახალისებული, გა-
მოცოცხლებული, პირველი ყუნწუს-
ტი ფოთოლიც ჩამოდიოდა, პირველი
ან ერთადერთი, ოდნავ შეყვითლებუ-
ლი თუ არც შეყვითლებული, პირვე-
ლი თუ ჩამოდიოდა, ჩამოჰყვებოდა მე-
ორეცა, ქარი ამოვარდნილიყო, ნოტიო
ქარი, დასცხრომოდა გათანგულ ფოთ-
ლებსა. ჰო ქარი ამოვარდნილიყო,
ოღონდ ქარი ბევრგვარად ითქმის, ოც-
დაათამდის ჩამოსთვლის სულხან-საბაი,
ოთხი თუ ხუთიც მრავალწერტილით
აღუნიშნავს, იმის ღროს აღზათ დავიწ-
ყებოდათ ის ოთხი-ხუთი, მას მერე და-
ნარჩენი დავიწყებულა, ზენაქარიო, იტ-
ყვიან, ქვენაქარიო, ნიავიო, სიოო,
დიდი ქარიო, მორჩა და გათავდა, მეტ
გარჩევაში აღარ შედიან, ქარიშხალი
თუ წამოსცდება ვინმესა, მაინც დიდი
ქარიო, მაშინვე დასძენს, ვითომც ესეც
გაუგებარი გამხდარა განუმარტებლა-
დაო; აქ როგორ გითხრათ: ქარიშხლად
არ ითქმოდა, მეტი იყო ნიაგზედაცა,
მოდიოდა ზენაქრისადა, საბა ადვილად
შემოგვძახებს, რაცა რქმეოდა, მაგრამ
რა ბედენაა თუ არავინ ყურად არ იღ-

ებს, რა ბედენაა! ერთე სიტყვით შრო-
ალებდა ფოთოლი, ქარი უვლიდა
ლაღებული, სანატრელი, სალოცველი,
სალოლიაო.

ამისი მაინც რა მოგახსენოთმეთქი:
ქარი რომ ამოვარდნილიყო ეს უკვე
მოგახსენეთ, ამოესუნთქა სულიერსა-
ცა, უსულოსაცა, ეს არ მითქვამს; არც
საქირთა, მიხვდებოდი თუ უჩემოდაცა,
ოღონდ მაინც ითქვას, ვინ უწყის ვერც
მიხვდეთ ან სხვაგნით საითმე გაგექ-
ცეთ ფიქრი, ნუ გაგექცევთ, ჯერ ბო-
ლომდის არ მისულა ამისი ამბავი, არ
მოთავებულა ეს მოგზაურობა, მოთავ-
დება, შინ რომ დაბრუნდება თუ დაბ-
რუნდება... თუმცა ქარი ამოვარდნილი-
ყომეთქი. ქარს აჰყვა, ჩასდია ეზოში,
ადამიანის ჭაჭანება არ იყო არსადა,
რუს აედევნა, რუსა და ქარსა, რუ მი-
რბოდა, მისდევდა ქარი, ისიც მიდიო-
და ამ ორთა შუა, ამ ორთა შუა და კო-
მუნარის შუა. იქ კომუნარს ჩასდევდა
რუი. კომუნების ჩრდილებში კაბლოები
შენიშნა, აეყუდებინათ ძველი ფარც-
ხებიცა, ფარცხის წნელიც ეწყო ბლო-
მდა, კაციც მოსჩანდა, კუნძუე იჯდა,
ჩაჰკირკიტებდა თუ აწყობდა წნელებსა.
იმას მისაწორა, ჰკითხავდა, კალოსკენ
გაიკვლევდა გზასა, იცოდა, კალოზე იქ-
ნებოდნენ, როსტომი მაინც დახვდებო-
და კალოზე. ჰო იმას მისაწორა, თავს
წაადგა და ჩაახველა ძალის მოსაქრე-
ბადა. ამან ჩაახველა და იმან ამოჰხედა.
ამოსცინა იმისმა წვერულვაშმა, ლეკოს
წვერულვაშმა, არ გაგიკვირდეთ, ლე-
კოსამა, ამოსცინა და წამოიწია, ხელი
შეიწმინდა წინსაფარზედა, მხურვალედ
ჩამოართვა ხელი, მოიკითხა მხურვა-
ლედაცა რა თქმა უნდა, ვითარცა ძვე-
ლიძველი მეგობარი, დიდი, დიდი, დი-
დისნის უნახავი.

— საიდან?! — გაჰკვირდა სტუმარი.

— ეს არის მოვედი... — კოპები შე-
იკრა ლეკომა, — აჰა და შემომხედე, ეს
არის მოვედი და გამაძრო ყველაფერი.
სამუშაო სამოსი მომიყარა, ფარცხები
დასწანიო, არც სულისმოთქმაო, არც
მოკითხვაო, არც დღეგრძელებაო, ფარ-



ცხები დასწანო, სადაური სტუმარ-
მასპინძლობაა, ჰა, შენ გეცოდინება, სა-
დაურია?!

— რა მოგახსენოთ...

— არ იცი? არც მე ვიცი, — ხელე-
ბი გაშალა ლეკომა, — რალა არ მინა-
ხავს, რალა არ გამიგონია, მაგრამა ესა
არც მინახავს და არც გამიგონია. აქ
მოსვლა ამიტომაც არ მინდა. — აქ
ტუჩზე იკბინა ლეკომა, არ შეგეშინ-
დეთ, ძალიან არა, ოდნავ იკბინა, არც
ოდნავა, მხოლოდ კბილი დაიდგა ტუჩ-
ზედა, რალაც წამოსცდა, არ უნდოდა
წამოსცდენოდა, — შენ როგორღა გა-
დარჩი, არაფერი დაუქისრება?

— არაფერი...

— რა თვალზე შემოგხედა? მიკ-
ვირს... ალბათ რალაც ვასაოცარს გიმზა-
დებს, უსაქმოდ არავის დასტოვებს, არ
გეგონოს, გადარჩე უსაქმოდა თუ და-
გაცადა, მძიმე რამ გელის. — თვალი
ჩაუკრა, გასამხნეველბადა თუ ნიშნის-
მოგებითა ძნელი სათქმელია, — ჩემი
საქმე არც ისე ძნელია... მაგრამ მაინც
სადაური რა არის, არც დამსვა, საგულ-
დაგულო მოკითხვაც არ მათქმევინა,
ეგრევე, ზეზეულვე შემაჭამა, ერთად-
ერთი ჯამი ღვინო დამალევეინა და აგერ
აჰა, ჩამსვა ამ წნელის კონებშია.

— ეგება მეც მოგეშელოთ...

— არა, დაჯექი, — კუნძი წამოუწია.

— შენ რას მომეშელები, ამას ცოდ-
ნა უნდა, კარგი ფარცხი ნახევარი მოს-
ავალიაო, ნახევარიც ამინდია და გუთ-
ნისდელა რალასა ტრაბახობს, არ ვიცი!..
ჩემისთანად მეორე ვერავინ გამართავს
ფარცხსა. ჩემი ფარცხი, ჰმ!.. გაუშვი და
თვითონ იცის არც ხარი უნდა, არცა
მეხრე, არცა მთესველი. რად გელმე-
ბა?! მეც მედმეება, ცოტა ტრაბახი
გამომივიდა, მაგრამ რას ვიზამთ, გულს
ვიოხებ, ოლონდ ის რომ ვითხარი, ჩე-
მისთანად მერე ვერავინ გამართავს
ფარცხსამეთქი, ის მაინც მართალია.
მართალია თუ ტყუილია, რა მეფარც-
ხება?! ფერიცვალბაა დღესა, რა მე-
ფარცხება! ნამდვილი მუშა კაცი არც
უნდა მუშაობდეს დღესა, უნდა დალო-

ცის ფერიცვალბაა დღეი. ასე ყოფი-
ლა დაწყობდადებდიანა, ამისთვის არაფერი
ყოფილა, — აქ ხმა შეიცვალა,
ლა, გამოაჯგრა, — სადა ხარ აქამდისა.
რა დროს წანწალია ამ ცეცხლიკიდები-
სასა, — დავითის ხმას მიამგვანა და
მიხვდა სტუმარი, დავითს აჯგრისო. —
სადაური მიგებებაა?! ბევრი მინახავს,
უფრო მეტი გამიგონია, მაგრამ ასეთი
არც გამიგონია, არც მინახავს. შენა?

— არა...

— ჰასუხი არც უნდა, ვის ენახებო.
ვის გაეგონება?! არავისა, არავისა! აქ
არავისა, ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანა-
ში, ხოლო სხვაგან სადმე თუ არის,
იყოს, ჭირიც მომპამოს, არც მეკითხება,
არც არაფერი მესაქმება იმასთანა. ეს
საიდან იმსგავსეს, მხოლოდ ეს მიკვირს,
არაფერი სხვა არც გამკვირვებია, არც
გამიკვირდება, მე ლეკო თათაშელს მი-
ძახიან და იმიტომაც მიძახიან ლეკო თა-
თაშელსა, გაკვირვება რომ არ ვიცი,
ეს მაინც გამკვირვებია და ისე გამკვი-
რვებია, ლამის არის ლეკო თათაშე-
ლობაზედაც ავილო ხელი. მერე ვი-
ნა, მე, ლეკო თათაშელმა?! ნწ,
არ იქნება! მაშინ აქ უნდა ამო-
ვიკვეთო ფეხი, მაგრამ აქაც თუ ფეხი
ამოვიკვეთე, ლეკო თათაშელობაზედაც
უნდა ავილო ხელი, უნდა ავილო მაშ
რაო, როგორ იქნება ლეკო თათაშელი
უნათესაოდა, ნწ, არ იქნება!.. ხოლო
ნათესაობა სხვა რალა არის, თუ არ გეს-
ტუმრე, თუ არ მისტუმრე, თუ არ მომი-
ჯექი გვერდითა, თუ არ მოილხინე, თუ
არ მომალხინე, სხვა რა არისმეთქი, ერ-
თი მიბრძანე!.. ნურას იტყვი, სხვა არც
არაფერია, ვერც ვერაფერს იტყვი სხვა-
სა, ხოლო რასაც მე ვამბობ, შენი დას-
ტური არცა სჭირდება. ნურც მიწყენ,
უჯუნებოდა ვარ. უჯუნებობას მიეტე-
ვება. ან რას გებოდიშები, ერთი მიბ-
რძანე, რას გებოდიშები, ისეთი რა გი-
თხარი რო?!

— არაფერი!

მთარ ჩხიძე
პირიძე

— აბა, რაღას გეზოდისები?!
 — არ ვიცი...
 — არც უნდა იცოდეს... ვინც ბევრი
 იშრომა, ისიც მოკვდა, ეს ჰო იცი?
 — ვიცი...
 — ვინც ქონება მოიხვეჭა, ისიცა?
 — ვიცი...
 — ვინც ღიდება მოიხვეჭა, ისიცა?
 — ვიცი...
 — ბევრი არაფერი საცოდნელია,
 ვინც იღბინა, ისიც მოკვდა, ესეც გე-
 ცოდინება და რახან ყველა მომკვდა-
 რა, ვისაც როგორც მოენებება, ისედაც
 უნდა გაატაროს წუთისოფელი, მაგრამ
 ვერავის რომ ვერ გაუტარებია ისე, რად
 ვერ გაუტარებია? თუ ესეც გეცოდინ-
 ნება, მაშ ყველაფერი გცოდნია და მე-
 რომ გავჩუმდე, უკეთესი იქნება. თუმ-
 ცა ვიდრე გავჩუმდებოდე, უკეთ რომ
 გავაცნო ჩემი თავი, ისიც უნდა მოგახ-
 სენო, როსტომი და იმისი ძმები, ჩემი
 დისწულები რომ არიან, რახან გეკნი ჩე-
 მი დისწულები არიან, მაგათი მამა ჩე-
 მი სიძე გახლდათ და კაციც ის იყო. მე-
 რე რა კაცი, ჰეეე!.. ასი კაცითაცა
 სწვებოდი, წარბს არ შეიხრიდა, მოილხენ
 და, მოგალხენდა. უფროსი იყო. აი,
 ასეთი უფროსი მწამს! ესა?! ჰმ.. ამა-
 საც ეწვიე ასი კაცითა, წარბს არ შეიხ-
 რის, მაგრამ მერე რაო, ასივეს გაუჩენს
 საქმესა, ასივეს წაჰკისრავს იმავე წუთ-
 ში. სადაური რა არის, ვერ გამიგია და
 რახან მე ვერ გამიგია, მე, ლეკო თათა-
 შელსა, ვერც ვერავინ გაიგებს და
 სჯობს მეც დადღუმდე, სხვამაც ამაოდ
 არ იტყვიტოს ტვინი.

მართლაც დადღუმდა, წაიკისრა, სა-
 გულდაგულოდ ჩახლართა წნელი, ეტ-
 ყობოდა, ხელის სიმარჯვეცა ჰქონდა
 ან ეს საქმე მართლაც გაეგებოდა; ჰო
 დადღუმდამეთქი, ხოლო რახან მიდღუმ-
 და, მიყურდა, მიიღურსა, არ მიიღურ-
 სებოდა ეგრე უბრალოდა, რაღაცა თუ
 ამოეჭრა გულში, ამისი აყოლიებაც თუ
 უნდოდა, თუ ფიქრობდა, კიდევ რო-
 გორ ავიყოლიოო; ჰო ამას თუ ფიქრო-
 ბდა, თორემ გამოტყვევით აღარაფერს
 გამოუტყვებოდა, ისიც ბევრი გამოდი-

ოდა, ამ ოჯახში სტუმარივით არა მით-
 ბულობენო, ასე ახლო ნათესავებში
 ასე საპატიო თუ სადიდებელი, მაინც
 წამკისრავენ მოვალ თუ არაო, ისიც ბე-
 ვრი გახლდათმეთქი, თუმცა ყველაფე-
 რიც არ იყო, არა, არ იყო ყველაფერი,
 ყველაფერი რომ ყოფილიყო, ესეც უნ-
 და მოეხსენებინა: ვალსა და ვახშსა,
 უყარათობასა და ბედოვლათობას რომ
 გადავაგე ჩემი ავლადიდებაო, მერე
 ამათ შევეკედლე, ამათ შევკრი, აქამდის
 აქა ვარ შეკედლებული, სხვა გზა თუ
 თავშესაფარი არცა მაქვსო, ამათ უნდა
 გამიტანონ, მტერსა და ავსა, შვიი დღე
 რომ დამიდგება, ამათ უნდა დამიტი-
 რონ და მიწა მომაყარონო, ოღონდაო
 მანამდისაო, გაზაფხულდება თუ არაო,
 მინდორსა თუ ბაღ-ვენახებში გასვ-
 ლის ქამი დადგება თუ არაო, მეც
 ავითათებ, მოვედები ნათესავებსა,
 დღეობებსა ნათესავ-ნათელმირონებ-
 საო; ღვთისმადლთათ ბევრიც მენათე-
 სავება, ბევრი მენათელმირონება, დღე-
 ობაც ბევრი იცის ამ ჩვენ კურთხეულ
 მიწაწყალზეო, სტუმარმასპინძლობაც
 დიდ ზნეობად მოგვყოლია და ჩემს
 ბედს ძალი არ დაჰყვეს გვიან შემოდ-
 გომამდისაო. მერეო აქაც საქმე მოკმი-
 ერებულია, მეცა ვბრუნდები შინაო,
 რამდენიც უნდა იბუზღუნოს ამ ვაჟ-
 ბატონმა, არად ჩავაგდებ, კუქს არ მო-
 ვიმშვევ, გვერდებს არ გავიცევევ გაზა-
 ფხულამდისაო, გაზაფხულზე მზე გა-
 მათობოს, გამიყვანს გვიან შემოდგო-
 მამდისაო. ისეც მზეს ვენაცვალე და
 ჩვენს დიდებულ აღათსა, სტუმარმას-
 პინძლობა რომ დარქმევი, და ისე გა-
 მჯდარა ჩვენში, ლამის ღედის გინებას
 უფრო ავიტანთ ვიდრე ამ წესის მოშ-
 ლასაო; ამან რამდენიც უნდა იბუზღუ-
 ნოსო, როგორც უნდა დამსაქმოსო, ზა-
 მთრის საქმე მაინც ისეთი საქმელი არ
 არის, თანაცაო საქმე თუა, თვითონ უფ-
 რო მეტს აკეთებს და კაცი რომ შენზე
 მეტს აკეთებს, შენც აადევნებ ხელსა,
 როგორც უნდა გწყდებოდეს წელიო. —
 აი რა უნდა მოეხსენებინა თუ გამოტე-
 ხვა იყო, განდობა იყო, თუ გულწრფე-



ლობა და ნამდვილი მეგობრობა დამყარებულიყო ამათ შორისა; ეს უნდა მოეხსენებინა და ისიც გაემხილა: შენც გატარებდი გვიან შემოდგომამდისა მერელა მოგიყვანდი აქაო, მაგრამაო როგორღაც ფეხი ვადამიბრუნდა და ორთავემ აქ ამოგყავით თავიო; შენი თავი წამართვეს, მეც გამოგედევნე; შენც გამოგიხსნი, ვინსნი ჩემს თავსაცა, მამ აქ რა დამაყენებსო, ჯერ კალოზბაც არ მოთავებულა, თესვა კარს მომდგარა, ნწ, მე აქ ვამჩგრებელი არა ვარო, მერე რა დროსაო, ფერიცვლობა დღესაო!

აქ ცას აზნედა, ღრუბლები მისცურავდა ცაზნედა, ლურჯსა, კრიალა ცაზნედა, ღრუბელიც თეთრი იყო, თეთრი, გადაპენტილი. მერე ღრუბელიც აიმღვრეოდა ლურჯი ზეცაცა, ქარი იმიტომა ჰქროდა, იმიტომა შრიალებდა ხეები. ჰო მერე აიმღვრეოდაო, აიმღვრეოდა თუ აიგრავენბოდა, თავშიმც ქვა ეხალა მერე, ქარბუქიც იქნებოდა, ყინვა ყიამათიცა, თავშიმც ქვა ეხალა, მობრუნდებოდა, თბილი ბუხრები იცოდნენ იტრიელებმა, მობრუნდებოდა, მიეფიცებოდა იმა ბუხრებსა, მოიშუშებდა გვერდებსა, მოიშუშებდა ნაცემ-ნაბეგვსაცა; უამისოღაც ვერ გადარჩებოდა. ვერა, ვერ გადარჩებოდა სადმე ქალი თუ გამოჩნდებოდა სუფრაზე, თუ არ იცოდნენ ზნეი ამისი, თუ წინასწარვე არ გაფრთხილდებოდნენ, დაიწყნარებდა ბევრი სმისა და ღრეობისაგან აბურდულ გონებასაცა, გამოკაჟდებოდა, გამოიწაფებოდა საგაზაფხულოდა, მერე, ზეცა რომ აიმღვრეოდა და აიგრავენბოდა, ხოლო მანამდე ის პატარა ქარი და პატარა ღრუბელი, ის შრიალი ფოთოლთა კიდევაც საამო ვახლდათ, საამოცა და აუცილებელიცა, ფერიცვალობა დაწყებულიყო, აბა, დაწყებულიყო, და იმიტომაც დაწყებულაყო, სიცხე რომ არ უხდებოდა ლხინსა და ქეიფსა. ასე ამტკიცებდა ლეკო თათაშელი, ამტკიცებდა და მართალიც გამოდიოდა. ქეიფები წაებმებოდა, წაებმებოდა ლხინები, დღეობები გადაებმე-

ბოდა ერთიმეორესა, ფერიცვალობას მარიამობა მოედევნებოდა, მარიამობას გერთობანი, ივლიდა ასე შობა-ახალწლამდისა. ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა, დალუვდებოდა ბუხრებში კუნძები, ბუხართან სუფრა გადაშუქდებოდა დალუვებული კუნძებითა, დალუვდებოდა ბუხარში კუნძები, დალუვდებოდნენ ესენი სუფრასთანა, დალუვდებოდნენ ბუხრის კუნძებივითა, ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა. მაგრამ ეს მერე, ჯერ ფერიცვლობააო. ამოესუნთქა დედამიწასა შეება ეგრძნო წინადლით გათანგულსა.

ასე და ამდაგვარადა ფიქრობდა ლეკო თათაშელი, წაქისრულიყო, ფარცხსა მართავდა და ფიქრობდა ხმამაღლა, რადგან არაფერი სჩვეოდა საჩუმად, არც არაფერი, არცა ფიქრი. ფიქრს მორჩა თუ არა, სტუმარმაც იცოდა იმისი განზრახვა, თუმცა გამოეპარა ბევრი სიტყვა, ისე მკაფიოდ არა თქმულა, კარგად გაეგო, მინც ჩასწვდა აზრსა, განზრახვას ჩასწვდა; ჩასწვდა და ცოტა არ იყოს აფოფინდა, ისიც ჰო ამავე განზრახვით შეუდგა ქართლის გზებსა, ასევე ურჩევდა გიორგი ყაჩჩაველი, მართალია მერე ცოტა აებურდა გზაკვალი, მაგრამ აი, გამოსწორდა ყველაფერი, აი დამდგარა ფერიცვალობა, დიდი დღეობა, დიდი თავყრილობა უამრავი ხალხისა, დიდი ლხინობისა, გალაღებული სიმღერებისა. მართალია სიკეთეს არას გადაჰყრია ლეკოს თანამგზავრობითა, მაგრამ არ არს უბედურობა, ვილაკამ რომ არ მოითბოს ხელიო, თუ არ არს უბედურობა, სიკეთის ნიშანიც რომ არ გამოერეოსო, ასე ყოფილა თუ ისე, ფერიცვლობამდის მოიყვანა ამ დაბანდებულმა დღეებმა. ხოლო იმდამესვე თუ ესტუმრებოდნენ იტრიელებსა, ახლა უკვე თბილისში იქნებოდა, იქნებოდა ჩაწყნარებული, ჩამშვიდებული, მაგრამა რა ბედენა ყოფილა სიმშვიდე, მცირედი სურვილიც თუ

ოთარ ჩაიძიო
გორიანი

ვერ ავისრულებია! — ასე და ამდაგვარად მიადევნებდა სტუმარიცა, ოღონდ ხმამაღლა როდი, გულში მიადევნებდა, მერეცა სდუმდა, ფიქრს რომ დაეხსნა ლეკო თათაშელი, ახსნა რომ დაუწყო:

ახლა შენ მაინც აღარავის ახსოვხარო, არა, არ დაგივიწყებენ, მაგრამო წუხელის რომ ხვავი დარჩათ გაუნიავებელი, ჯერ ის უნდა შეიბინავონო, მერე სხვა საქმე გამოუტყვერებათო, ან რა გამოტყვერომა უნდა, ათას საქმეში შებმულან, ჯერ შენ არც გაგისხენებენო. ეგება კალოც არ შებან ფერიცვლობა დღესა, სხვა საქმეზე მაინც ხელს არ აიღებენ შუადღემდისა, შენც მერე მოგაკითხავენ, მერეცა იზრუნებენ შენზედაო. ეგება დღესვე არც გაგისტუმრონ, ეგება განუზრახავთ, ფერიცვლობას გაწვიონო, რას გაიგებენ ამათსასაო, ერთბაშად გეტყვიან, ერთბაშადვე თუ არ დათანხმდი, აღარც გაგიმეორებენო. ჩვენ რას ვიძიოთ თუ რა განუზრახავთო, აგერა ბაღს რომ გავცდებით, სერი მოსჩანს, ემ სერს რომ ავირბენტ, ვითომც ხელის გულზე გქონია ფერიცვლობის ტაძარი თავისი დიდი ვალავითაო. გალავანშიც ჰო ვერ დაეტევიან ამ დღეობა დღესა, მთლად მოფენილნი იქნებოან სერის წვერამდინსა, ჩვენც ავირბენტ, ისინიც იქვე შეგვეგებებიანო. თუ გინდა ცხენებს გამოვარჩევო, აქ არც არავისა ვკითხავ, თვალში რომ ჩავუვარდე თითსაც არ ამოისვამენ ჩემი დისწულებიო, საუკეთესო ცხენებს გამოვარჩევ, ავიჭროლოთ სანაქებო ცხენებთაო, მაგრამო ცხენი ტვირთია, ყურადღება უნდა, არ მოგვაცლის სალხენადა თუ სიმღერების მოსასმენადაო, არც დიდი მანძილია. მე არ მეზარება ფეხით სიარული, შენც არა გიჭირსრაო, ავირბინოთ ეს სერი, გადავდგებით თუ არა იქავე შეგვეგებებიანო. თბილისს გამგზავრებას თუ ინებებ, დღეობის მერეცა რაღა თქმა უნდაო, სადგურიც იქვეაო, მტკვარ ვალმაო, იქვეა, სულ იქვეო, რომ გადააფურთხო, ზარს მოხედება სადგურისასა, ასტეხს ნაუნაუსა და მატარებელიც გა-

მოვაო; მატარებელიც გამოვა და ჩვენც რომ დავქანდეთ სერ-სერა, ბორანა შეგვაგებონ მაშინვე, მივასრულებთო. ესაო, თუ წასვლას ინებებო, ესენი კიდევაც მადლობას მომახსენებენ, დროს რომ არ დაჰკარგავენ შენს გასამგზავრებლადაო; ჰო ესაო, თუ წასვლას ინებებო თუ არაო და რა გეჩქარებაო, მარიამობას ხახეს ვეწვიოთო, მანამდისაც ვეწვიოთო, მარიამობა იქვე ვავითენოთო, თბილისის ნაღები ხახეს ეწვევა მარიამობასაო, ი შენი გიორგიც იქვე იქნება, იქვე გირჩევს და იმისი უკულმა რჩევა აჯობებს ელიზბარ ხეთერელის წაღმა რჩევასო. მე ასე მიიქვამს, ჩემი თქმაც არ გინდა, შენ უკეთ იცი გიორგი ყანჩაველისაო, ხოლო ამა-სა გკითხავ დაქინებითაო, თბილისის ნაღები ხახესთან იქნება მარიამობა დღესა და შენ რაღას მიტლაკუნებ ამ თბილისში, ერთი გამაგებინე თუ ღმერთი გწამსო.

ვერც გააგებინებდა, პასუხიც არ უცდია, პასუხიც არ უნდოდა ლეკოსა, მართლა შეკითხვა ჰო არ იყო, დარწმუნება იყო შეკითხვის სახითა და კიდევაც დაარწმუნა, აიყოლია, ისევ აიყოლია, ერთხელ გამოსტაცეს ხელიდანა, ძლივს გამოსტაცეს და ისევ ჩაიგდო ხელშია, თვალი აღარ მიადევნეს მცირე ხნითა და კვლავ ამისი საალაფო გახდა.

XXI

ჰო ისევ ამისი საალაფო გახდაო... გაჰყვა, გაედევნა, გასდია ტუსტუსითა, წინა ღამემაც თუ წააქეზა, თვალთა შენთაო რომ უმღერეს, დაიმედდა, იქაც მიმღერებენო, ჩემს სხვა რომანებსაც იმღერებენო, ალბათ დაიმედდა, ისე გახალისდა, ისე აცმუკდა. ლეკო ჰო ყოველთვის აცმუკებულოყო და ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, აიარეს სერი ფერიცვლობისა, აიარეს ცმუკვა-ცმუკვითა, აიარეს, თავს მოექცინე, გადაჰხედეს ცმუკვა-ცმუკვითა, მაგრამ ფაფუ, არცა ლხინით, არცა სიმღერაო, არსად ჩარდახიანი ურმებით, არსად ნამწვი ღამისთევისაო, არსად მუშაითნი, არსად

ბერიკები, არსად ჯირითით, არსად ჭი-
 დაობა, არსად ჭვრეტა საპატარძლოთა,
 არსად მეწვრთმალენი, არსად დუღუკი,
 არსად ფანდური, არსად გუნდნი მო-
 ღრობეთა, არცა გადაპატრებანი რა-
 და თქმა უნდა. აქეთ მიიწვედნენ, იქით
 მიიწვედნენ, იქიდან სამღურავს შემო-
 უთვლიდნენ, ჩვენთან რატომ აგვიანე-
 ბო, რად არ გვილოცავ დროზედაო,
 აბა ჩვენსკენო, აბა ჩვენსკენო და კი
 ბიჭობა ეთქმოდა, საღამომდის თუ მა-
 ინც მიაღწევდა ფერიცვლობის გალა-
 ნამდისა. უთუოდ მიაღწევდა, ჰკუპაც
 რომ აღარ შერჩინოდა, მაინც მიაღ-
 წევდა, შემოუვლიდა, შემოიბანცალეზ-
 და, ვალმოხდილი იყო, ისევ ღრეობას
 მიეცემოდა ვალმოხდილი, პირნათელი,
 ალალი ფერიცვლობის ტაძართანა. შე-
 მოველებოდა ფერიცვლობის მუხებსა-
 ცა; ოდესდაც იქ მუხნარი ყოფილიყო,
 ღვთაება ყოფილიყო მუხნარისა. ფე-
 რიცვლობისა, ოდესდაცა, გარდასულ
 ეამსა, ოდეს ქრისტესი არა იცოდნენ
 რაი, მერე მუხნარი აკაფულოყო, მერე
 ღვთისშობლის ტაძარი აგვით, მერე მუ-
 ხნარს ისევ ამოეყარნა, მერე ღვთისშო-
 ბლის ტაძარი დანეგრიათ, მერე ღვთი-
 შობლის ტაძარი განეახლებინათ და
 აეკაფათ მუხნარი, მერე ისევ მუხნარს
 ვადაევლო ღვთისშობლის ტაძარზედა, მე-
 რე ისევ ტაძარი შემდგარიყო მუხნარ-
 ზედა, ვინ უწყის რამდენჯერ განმეო-
 რებულოყო ასე და ამდაგვარადა, ხოლო
 მაშინ რამდენიმე მუხნადა ხარობდა ტა-
 ძრის გალაგანში და მიმობანცალეზდა
 ლეკოცა, სხვანიცა და ლეკოცა ჯერ ტა-
 ძრის გარშემო, მერე მუხნების ირგვლი-
 ვა ან პირიქითა, ჯერ მუხნების ირგვლი-
 ვა, მერე გარშემო ვეება ტაძრისა. ში-
 ვნით ენთო კელეპტრები, აღიოდა ალი
 სანთლისა, აღიოდა დაღადისი შორწმუ-
 ნეთა. მუხნებსაც შემორტყმოდან სა-
 ნთლები, მუხნებსაც შემოვლობოდა ალი
 სანთლისა და დაბანცალეზდნენ მთვრა-
 ლნი ღვინითა თუ მთვრალნი რწმე-
 ნითა, ვედრებითა, სასოებითა, უამ-
 რავჯერ გაცრუებულო იმედებითა,
 კვლავაც ვასაცრუებულო იმედებითა;

ოლონდ ეს მანამდისა, მაშინ არა, არა,
 ცმუკვა-ცმუკვით რომ აიარეს სვეტი-
 ფერიცვლობისა და გადაჰხედეს ტაძარსა
 ფერიცვლობისასა, ნწ, მაშინ არა...
 მაშინ ასე გახლდათ: აიარეს ცმუკვა-
 ცმუკვითა, ჩაიარეს ფეხის თრეკითა,
 ის სერი, ფერიცვლობის სერი ჩაიარეს
 ფეხისთრეკითა. შუკვებსაც ჩაჰყენენ
 ფეხისთრეკითა, პირისპირ არავინ შე-
 მოჰგებებიათ, რამდენიმე ზურგს მოჰ-
 კრეს თვალი, რამდენჯერმე ფეხსაცა.
 გამოსადგმელსა თუ შებრუნებულსა,
 თუმცა სულერთია, მიეფართ ზურგიცა,
 ფეხიცა, გამოსადგმელი თუ შებრუნე-
 ბული, სულერთია, ყველა მიეფართ.
 მაინც იარეს, დიდი გახლდათ საფერი-
 ცვლოი, სერი თუ მოშიშვლებულიყო,
 ქვემო კალთებზე იქნებოდა ჯარ-ჯარა-
 მათი, უთუოდ იქნებოდა, ყოველთვის
 იყო, მაშინაც იქნებოდა; თუ მიმდუმა-
 რებულოყო იქაობაი, ეგეც არაფერი,
 წუთის მდუმარება დღეობამაც იცისო,
 ან ერთი პირი მდუმარება დღეობამაც
 იცისო, წყალისა არ იყოს; ჰოდა მაინც
 იარეს, იარეს და მიატანეს ტაძარსა სა-
 ფერიცვლოსა. იქ უცბად შეიცვალა ყვე-
 ლაფერი, აქ ხმა მოსკდა, ხორბოცი, მო-
 სკდა, ხმა გაისმა ადამიანთა, ხმა გაისმა
 საკრავთა. გამოვიდოდა ის ხმები გალა-
 ვნიდანა, გამოვარდებოდა, მოედებოდა,
 საფერიცვლო სერსა, საფერიცვლო კა-
 ლთებსა, ისევე მოედებოდა, რომ ახსო-
 ვდა ისევე. მაგრამ ხმები გახლდათ სხვა-
 ნაირი, სხვაგვარი, რომ ახსოვდა ისეთი
 არა, ხალხიც სხვანაირი იყო, სხვაგვარი,
 რომ მისჩვეოდა ისეთი არა, ღვებოც
 სხვაგვარი დამდგარიყო, რომ იცოდა,
 ისეთი არა. შუა გაპობილიყო ხალხი
 კარიბჭიდან ტაძრის კარამდისა ანუ ტა-
 ძრის კარიდან კარიბჭემდისა, გაპობი-
 ლიყო ჯარი, ნამდვილი ჯარი, რომ იტ-
 ყვიან ხოლმე, ხალხი მოჯარდაო, ისე
 არ იფიქროთ, ნამდვილი ჯარიმეთქი, ჯა-
 რი შემოსული, გზა მიეცათ მრუველი-
 სთვისა, მღვდლებიც მოსდევდნენ მრუ-

ოთარ ხანიძე
 ბოგნაძე

ველსა, თავში წაეშინა ხელები მრუვე-
ლსა, მღვდლებსაცა, შავოსანი ქალებიც
მოჰყვებოდნენ, ლოყებს ისოჯდნენ
ისინი ან თავშლის ყურებს იფარებდნენ
თვალებზედა, ყურებშიც იცობდნენ
თავშლის ყურებსა, ხმა რომ არ გაეგო-
ნათ, არ მოესმინათ სიცილი, ხარხარი,
არც ბრახუნს დოღისა, არცა საზეიმო
შემადლებანი სასულე საკრავებისა.
უნდოდათ თუ არა, ესმოდათ თუ არა,
სულერთია გამოიარეს საზეიმო სელი-
თა, თავშიცემითა, ლოყებისხოვეთა,
არც ამათ შეჰხედეს, არა შესჩივლეს,
არა შეჰხარეს, ჩაუარეს, წაეიდნენ უხმო
მოთქმითა, გულდათუთქული ვაებითა,
ვათანგული ვალაითა.

ესენიც აედევნენ, სდიეს, სდიეს და
მერე შეჩერდნენ, მაშინვე შეჩერდნენ,
მიხვდნენ თუ არა, ნეტავი რას მივდევთ,
რა გვესაქმება ამითანათ ანუ ჯერ ლე-
კო მიხვდა, ჯერ ლეკო შეჩერდა, მინა-
ხვედრი გაუმხილა ნიკოსა, ესეც მია-
ჩერდა მხრებაწურული, რა მოვახსენო,
აბა, რა უნდა გვესაქმებოდესო. ეს აღ-
ვილი გადასაწყვეტი იყო, გადასწყვეტეს
ადვილადაცა, ოღონდ რა ელონათ შემ-
დგომ ამისა, ეგ ველარ გაიგეს, ვერაფე-
რი ივარაუდეს ანუ ლეკომ ველარ ივა-
რაუდა, ესეც მისჩერებოდა მხრებაწუ-
რული თუ ახუხული, წარმოიდგინეთ,
როგორც გენებოთ, ოღონდ გახსოვდეთ,
აქეთ ტაძარი მოსჩანდა, იქით-იქით
შუკები, ცარიელი შუკები, ერთ-ერთში
რომ მრუველი ჩაიკარგა თავის ამალია-
ნადა, ის ერთიც გაინაბა, განაბულიყო
დანარჩენიცა, ამათ არავინ ეწეოდა არ-
ცა გულითადადა, არცა ცალყბადა; არ
ეწეოდა და ნუ ეწეოდა, დღეობა იმისი
დღეობა, პატივი არ იცისო, სამღურავი
იცის თუ არ ეწვიეთ, ღმერთო ჩემო, ნე-
ტავი ვის დავიმღურებო, ლეკო იმის
ლეკო არ გახლავთ, სამღურავი დაიტო-
ვოს დღეობისაო. ასე თქვა და შეატკა-
უნა თითებიცა, საგანგებოდაც ჩაახვე-
ლა, არ შეეკვდე, ადვილად არ დაიბნევა
ლეკო თათაშელიო. არც დაბნეულა,
ტაძარი უკან მოიტოვა, მოიტოვა იქვე
გახლართული შუკებიცა, მცირე რამ

ველი გადაირბინა, მიასწორა განცალკე-
ვებულ უბანსა, აქედან კაცლებში ჩი-
ლო იქით-იქით ვენახებში ჩამჯდარ
უბანსა. იქ ეგულებოდნენ ფანიელები,
ძველთაძველი მლოცველები ფერი-
ცვლობისა, არცა დიდად გამოჩენილნი
თუ განდიდებულნი, არცა დიდად გამ-
დიდრებულნი არასოდესა, ოღონდ გა-
მრავლებულნი, დასახლებულნი ცალ-
კე უბანადა, დასახლებულნი ცალცალკე
ოჯახებადა, ერთნაირი დაბალი ალიზის
სახლებითა, თანზომიერი კარმიდამოთბ,
ამწვანებული კარმიდამოთი, თანაზომი-
ერი სახნავ-სათესითა, წლიდან წლამ-
დის რომ გაიყვანდათ, მტრის დასაცინნი
არ გახდებოდნენ, არცა ხელშემყურენი
მოყვარეთა...

მაგრამ ამდენი არც ეკითხებოდა ლე-
კო თათაშელსა, რაც ეკითხებოდა, კი-
დევაც კარგად მოესენებოდა: რაც
უნდა მომხდარიყო, ფერიცვლობა დღეს
არ გასტეხდნენ ფანიელები, არც გამო-
ეფინებოდნენ, არ გამოშორდებოდნენ
თავიანთ კარმიდამოსა, ისხდნენ და
ელოდნენ სტუმრებსა, ისხდნენ განწმე-
ნილნი, გაფაქიზებულნი, მამაპაპური,
ყუათიანი ნაშხალითა, თუ ეწვეოდნენ,
მიეგებებოდნენ ჩუმი, ჩამტკბარი სიხა-
რულითა, თუ არ ეწვეოდნენ, გადაიწვე-
ვდნენ, ერთიმეორესა, ერთიმეორეში
მოილხენდნენ ჩუმი, ჩამტკბარი ლხე-
ნითა. აყალმაყალი იცოდა საფერი-
ცვლობა, აურზაურიანი დღეობა გახლ-
დათ ფერიცვლობაი, უფათერაკობა არ
იქნებოდა, უსისხლობაც არ იქნებოდა,
ბრმად გადმოჰყოლოდა მსხვერპლმეწი-
რვის უძველესი ადათი, ვინმე უთუოდ
გაიწირებოდა ბრმადა, რამდენიმე თუ
არა, ერთი ვინმე მაინც გაიწირებოდა
ბრმადა. ვილაც გაეშვდებოდა, რამდე-
ნიმე თუ არა, ერთი ვინმე მაინც გაეშ-
ვდებოდა, არ დასცხრებოდა უსისხლო-
და. ბრმად ეარა ბრმა წესსა, ბრმად ეა-
რა და ვიღოდა ბრმადა, თითქოს აღის
ენებს ამოჰყრიდა კრკონი, უძველეს
მუხნარში რომ დაანთებდნენ ხოლმე
ფერიცვლობის ღვთაებისთვისა, ამოჰ-
ყრიდა და კვლავაც მოითხოვდა თეთ-



რით მოსილ ასულსა, უმშვენიერესსა, გამორჩეულსა, ის მოითხოვდა, აქ ჭაბუკი თუ ვაჟკაცი წაიცილებოდნენ და ვინცა სძლევდა, ის იქნებოდა მთავარი ქურუმი, ვინც იძლეოდა, ის იქნებოდა მსხვერპლი გამორჩეული იმა უმშვენიერესი თეთრით მოსილი ასულის ნაცვლად. თუმცა ისიც საფიქრალია უფრო ხშირად გამორჩეული ასულისათვის წაიცილებოდნენ ხოლმე. და ვიდოდა ბრმადა უსაშინელესი წესი, უძველესი წესი, გადაადებული, დაგმობილი, ჩაქოლილი, ჩაწინლული, ვიდოდა ბრმადა, ბრუნავდა ბრმადა, გიზგიზებდა უხილავი კოკონი ფერიცვლობის ღვთაებისა, ხან ისე გიზგიზებდა, მოედებოდა ვეება ტაძარსა, ღვთისობის ტაძარსა, მოედებოდა და აალაპლაპებდა სისხლის ფერად, მოედებოდა და გაავარვარებდა, ცეცხლი ვერ ჩააქრობდა იმ სივარვარესა, სისხლს უნდა ჩაეჭრო. როგორ მომხდარიყო, როგორ შეთვისებულეყვნენ ღვთაება ფერიცვლობისა და ღვთისობელი?! ძნელი სათქმელია, ძნელ ცხოვრებასა, სიდუხჭირესა, ვაებასა, რბევასა, გვემასა, გაუტანლობასა ვინ უწყის რა უცნაურობა არ მოუწევია, ეს ეგება ნაკლებ საკვირველებადაცა თქმულიყო.

როგორც უნდა თქმულიყო, ლეკომ იცოდა, სიმშვიდე იქნებოდა ფანიელთა უბანში, როგორც უნდა დამთვრალიყო, ის მანც ახსოვდა, იქ შეეფარებინა თავი, იქ დაიფარავდნენ, იქ გაიტანდნენ და კიდევაც გაუტანიათ, თორემ აქამდის ვინ იცის რამდენჯერ შესწირავდნენ ღვთაებას ფერიცვლობისა. ბევრჯერ მოსჩვენებია, გიზგიზებდა ტაძარი, თუმცა ვიდაცა უკვე შემოჰკვდომოდათ, მაინცა გიზგიზებდა, არა ჰყოფნოდა სისხლი ერთისა, შიში გაუჯდებოდა, ძრწოლა აიტანდა, მაგრამ არ გადაუწყდებოდა იმედი, რადგან უწყინარ ხალხში იყო, ფანიელებში იყო. წყალს დაისხამდა, ბევრ წყალს გადაისხამდა თავზე და იცინოდა შიშინი, იმედიანი; ბევრ წყალს გადაისხამდა, დაუღებოდა გაფიცებული თვალები და ჩაქ-

რებოდა ტაძარიცა, აღარცა ფერი სისხლისათ, აღარცა წყურვილი მსხვერპლისათ. იმ დამეს ვეღარ მოასწრო, წყალი გადაესხა თავზედა, ისე მოულოდნელად მოხდა, ისე დაებნა თავგზაი, ვეღარ მოასწრო, ვეღარც გაიხსნა, თორემ ვინ იცის... თუმცა უწყინარ უბანში იყვნენ, უწყინარ ხალხში იყვნენ, ალბათ ჭიანჭველისათვის ფეხი არ დაედგათ, ალბათ არც არასოდეს არავისთვის ეთქვათ, თვალი შავი გაქვსო. სახე ჰქონდათ სასოებითი, მსგავსი ერთმანეთისა, თვალი აღსაგვებ თანაგრძნობითა, გული მფეთქავი სიკეთითა,—ვის შესწოროდნენ, ვისთვის წაეშველებინათ ხელი. ის ღლე სხვა გახლდათ, ის ღლე სტუმრისა იყო, სასტუმროდაც გადახსნოდათ გული, წყნარადა, მშვიდადა, მღუმარი სიხარულითა. სტუმარი სტუმარი იყო, გარჩევას არ მისდევდნენ, სტუმარი სტუმარი იყო და ლეკოც სტუმარი გახლდათ, ნიკოცა რაღა თქმა უნდა, სტუმარი იყო და ათი კაციც რომ ყოფილიყო ოჯახში, მხოლოდ ერთი მიუჯდებოდა სუფრასა, სხვანი თავს ადგნენ, სთავაზობდნენ, შეჰქონდათ, გაჰქონდათ, ემსახურებოდნენ. ტყუილია, რაც უნდა პატივი ეცათ, ესოდენ ღირსეულობას ვერსად განაცდევინებდნენ ლეკოსა. მეუფე იყო, მეუფე უნახავი, გაუგონარი, მეუფე ისეთი, ბრძანება რომ არ უნდოდა, თქმა არ უნდოდა, არცა ნიშნება, ისე სრულდებოდა ყოველი ნება მისი, სურვილი მისი. იქ აღარ ინებებდა? — გადაინაცვლებდა სხვა ოჯახში, იქაც ისევე, ფიანდაზად გაეგებოდნენ, მერე სხვაგნით გასწევდა გული, იქაც პომზადებულნი დახედებოდნენ, თითქოს მეფე მოგზაურობდა თავის სამეფოში, ბედნიერ სამეფოში და ტკებობდა თავისი ბრძნული განმგებლობის ნაყოფითა.

ტკებობდა ასე შეღამებამდისა... ღრუბლებით შეღამდა, ქინკვლაც წა-

ოთარ ჩხიძე
აიხიანაძე

მოიწყო, კიდევაც იელვა, ჰო ჯერ ეგონათ იელვაო, ერთბაშად გაშუქდა ღამე ბნელი, ღამე ღრუბლიანი, ოღონდ როდილა ჩაქუფრა ერთბაშად, იმატა შუქმა, იმატა და იმატა, მოშორებით თუ დაიწყო, მოაწია სულ ახლოსა, უსწრაფესად მოაღწია, ამათაც შემოენთო, ხანძარი შემოენთო, ძლივას გამოასწრეს, გამოიხედეს და რა დინახეს,—წვოდა ფანიელთა უბანი, ავარდნილიყო დიდრონი ქიაკოკონები, ალსა და ნაპერწყალს აეხია ჩაქუფრული ღამე. ხმებიც გასმოდა შემხარავი, მოულოდნელი, უცნაური. არა, ეს არ იყო ხმა ხანძრისაგან თავზარდაცემულთა, იყო ესეცა, მაგრამ სხვაც იყო, უფრო თავზარდამცემი; უფრო საშინელი, გაუგონარი. და მაშინ იმ გამგმირავ ხმებსა და საბედისწერო ხანძრის აღზე ფერიცელობის ტაძარიც ამოგივიგნა სისხლისფრად, ანუ დაიკლანა სისხლის ღვედივითა, დაიკლანა, დაიხნიქა, დაიგრიხა, როგორც რამ ქინი მარადიული წყურვილისა, სისხლის წყურვილისა. თვალები დახუჭა ლეკო თათაშელმა, შეაქრიალა და დახუჭა თვალები, გამოვარდა თუ არა ხანძარმოდებული სახლიდანა, პატარა, ალიზის სახლიდანა. თვალები დახუჭა, ოღონდა წყალი როდილა მოაფიქრდა, მირბოდა ეგრე თვალდახუჭული, მერე რაიმეს თუ წამოედებოდა, უნდა გაეხილა თვალიცა და მაშინვე გაეშორებოდა ტაძარი, სისხლისღვარ ჩამოდენილი. ალბათ ოდესღაც იქ რომ მუხნარი იყო ფერიცელობის ღვთაებისა, ისევე იზმორებოდა, იხნიქებოდა, ირხეოდა, ალს მოიდებდა დაუმცხრალსა, მარად მოგივიგნესა, მუქარაინსა, წავლევავთო, გადაგებუგავთო, მახვერპლიო, თორემ ვადაგებუგავთო. იმა მუქარას დააცხრობდა ერთი ასული, გამორჩეული, ულაამაზესი, უფაქიზისი, ამა ზმორებას რაღა დააცხრობდა? იყო ნდომა უსაშინელესი, გაუგონარი წყურვილი იყო სისხლისა. განა რამდენი დალია, განა როგორ გაფიცებოდა თვალები ან წყალი როგორ ვერ გაიხსენა, ვადაესხა, გაწუწულიყო, გალუ-

მბულიყო, აღარც გამშრალიყო თუ უშველიდა, თუ დაუღლებოდნენ თვალები ან ხსნა თუ იყო დაღობა იმისთა თვალთა...

X X X

ჰო უფრო გაწამებული... და მაინც დიდ მოგზაურთა შორის არ მოუხსენიებიათ ნიკოს სახელი, არც ასე ნიკოლა — ლეკომ რომ შეარქვა, არც ნიკულადა, ყველა რომ უწოდებდა, არცა ესტატადა, ნათლობის ჩანაწერების მიხედვითა, არა, არცერთნაირადა, სდუმან ენციკლოპედიები, სდუმან ცნობარები გეოგრაფოსთა, არც მონოგრაფიებშია საღმე ნახსენები, გაკვრითაც არ არის ნახსენები. ვერავის დავემდურებით, ხდება ხოლმე, მიფუჩჩინდება ბევრად მნიშვნელოვანი რამა, ვაზვიადდება უმნიშვნელო, წვრილი თუ უხეირო რამა, ხდება ხოლმე, დრომ იცის ასეთი თამაში თუ ეშმაკობანი, დროს გადაჰყვება, გადაჰყვება თამაშსა თუ ეშმაკობასა და მერე ვინ უწყის სულაც წაყვება ფერფლი დაიწყებისა, ვითომცა ყოფილა, ვითომც არაო. ზოგნი მშვიდდებიან, რა ბედენაა თუ ვის როდის დაივიწყებენო, ოდესმე დედაიწვაც აღარ იქნება და სახელგანთქმულ მოგზაურებსაც ველარავინ მოიგონებსო; ასე თუ იქნება, მანამდის კიდევ დიდი დროა, ძალზე დიდი. ათეული და ასეული მილიარდი წლები გაივლის მანამდისაო, ვითარცა ირწმუნებიან მეცნიერნი და ეს მართლაც დიდი დრო გამოდის, ძალზე დიდი, განუზომლად დიდი თუ გავიხსენებთ, რომ ქრისტეს აქეთ ჯერ ერთი მილიონი დღეც არ გასულა გასაოცარი ისტორიანი ჩვენი თუ სხვათა, გმირულნი, საამაყონი თუ სამარცხვინონი ერთი მილიონი დღის ამბავნიც არა ყოფილან, ჰო ამას თუ გავიხსენებთ, ნიკოს სახელი ამიერიდანაც რომ განადიდონ, აღამაღლონ დიდ მოგზაურთა შორისა, თუნდ ამიერიდანა, მაინც ბევრი აღარაფერი დააკლდება

თუ რამ დააკლდა, რას ინაღვლის, შე-
საძლოა სულაც დავიწყებულიყო, ხო-
ლო თუ გახსენებულა — თუმცა ვინ
იცის აღიარებენ თუ არა დიდ მოგზაუ-
რადა, ოღონდ აღიარებენ თუ არ აღი-
არებენ, ჰო გახსენებულა, ხოლო თუ
გახსენებულა, უნდა უმადლოდეს ჩამ-
წერ აპარატსა. სხვას არაფერსა, ჩამ-
წერ აპარატსა. რა სიხარულით დაჰქონ-
და, რა იმედი ჰქონდა, ვერ გამოიყენა,
არ დასცალდა და ვერ გამოიყენა, მაინც
იმან გაუწია სამსახური, ის გამოადგა,
ის დარჩა ნიშნად მოგონებისა, სახსო-
ვრად დარჩა. თუმცა ვაი იმ სამახსოვ-
როსა! ისე არ შეხედავდნენ, აღშფოთე-
ბა რომ არ მორეოდათ, ამან დაგვატე-
ხა უბედურებო... ჩვენ მაშინ პატარე-
ბი ვახლდით და ბევრი არაფერი ვაგვე-

გებოდა უბედურებისა, იმდენს მაინც
მივხვდათ, ეს შავი ყუთი თვალში
უზით ჩვენიანებს, არას გვეტყვიან, რომ
ავიგდოთო და ავიგდეთ, დავათრევდით,
გორგოლაჰები შევუდგით, ხრიკას გა-
მოვუბით, ლურსმები ჩავურჭეთ, ქვებს
ვურტყამდით, მალაყს გადავდიოდით.
ასე შემოგვემსხვრა და შემოგვეფან-
ტა, მალე შემოგვემსხვრა და შემოგვეფან-
ტა, რადგანაც სძულდათ ჩვენიანებსა,
ჩვენც დაუნდობლად მოვექვეით. გო-
ნებაში ჩავევარდით და ყველა სათამაშო
დავევიწყებოდა, ის მაინც გვახსოვდა
ის შავი ყუთი, კუთხეში რომ იდგა, შავ
მუშამბაგადაფარებული, ვიდრე ავი-
გდებდით, ვიდრე გავიბურთავებდით
ეზოში, ისევე გვახსოვდა, შავი მუშამ-
ბითა, ჩაბნელებული იდუმალი სიავითა.



მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი

ეს გაუმარჯოს ათასობით უნაზეს სიტყვას,
რომელსაც ეტყვი ჩემთვის უცნობ მშვენიერ ქალებს,
ასლო მეგობრებს, ლამაზ ბავშვებს

ან კიდევ დედას...

ხანში შესულა მზეჭაბუკი კეთილშობილი,
მაგრამ სიპერე შორსაა მეტად...
ეს გაუმარჯოს ვარსკვლავების უებრო ციმციმს
შემოდგომის უღრუბლო ცაზე,
თავთავიანი პურის ყანის ოქროსფერ სიბრძნეს
და სათუთ ხაზებს, შენი შუბლის მერქანს რომ
მოსაავს.

ეს გაუმარჯოს შუქს მაგიურს,
სინათლეს უცხოს,
ოკეანეში მანათობელ თევზებს რომ ახლავს...
ხანში შესულა მზეჭაბუკი კეთილშობილი...



მილიონობით მწვანე ეკლით გარემოცული,
მაღალ ხეებზე, ქარის ხმაზე და მთვარის შუქში
მწიფდება წაბლის მოსავალი.
ო, იქნებ ჩვენი სიყვარულიც არსებობს სადღაც,
შენ კი ვერ ამჩნევ ან გაშინებს სიმაღლე მისი.
მილიონობით მწვანე ეკლით გარემოცული,
მწიფდება წაბლის მოსავალი ვარსკვლავთა შუქში.



უნდა გიწოდოთ ისევ „ბატონო“,
სიტყვის უთქმელად გადავდგე გზიდან.
მივდივარ, მაგრამ რატომ, ო, რატომ,
ვზიდავ ამ წუხილს? თქვენ ფიქრობთ — ვზიდავ.
ვნახავთ ერთმანეთს მხოლოდ შემთხვევით —
„როგორ ბრძანდებით“, „ხომ არ ინებებთ“,
არა, თქვენ ხელზეც კი არ შემთხვევით,
მხოლოდ თვალები გაიღიმებენ.
არ გაიხსენებთ ძვირფას თარიღებს,
სულ არ ინადვლებთ, სულ არ შეკრთებთ.
ისე მოკვდებით, ვერც კი გაიგებთ,
ნახავთ ნეკროლოგს... ისიც შემთხვევით
ო, ნუთუ მართლა დავარჩით უცხონი,
უნდა გიწოდოთ ისევ „ბატონო“,
უკანასკნელი ქრება კოცონი,
მივდივარ, მაგრამ... რატომ, ო, რატომ...

უცხო რამ სხივი უცნაური ადგას შენს ფანჯრებს,
თუ ჩემი მზერა აციაგდა, აწ დაბინდული.
რასაც გაგიმხელთ, ჩვენს შორის დარჩეს:
მეტად დიდგული ბრძანდებოდით,

მეტად დიდგული...

იყო სიზმარი: გამოწვილი ხელები ფართო,
იყო გრიალი, გამოჭრილი მძლავრი ძრავიდან.
იქ იყო ფქვილი გამტკიცული, აქ იყო ქატო,
და სადღაც ჩემი მომლოდინე წუხდა მამიდა.
უგრძნობდა გული ელდას ჩემსას და სივავლახეს,
და ჩამოთვლილ ზვინზე კქონდა კიბე მიდგმული.
იქ ვარსკვლავების დველფი ეცხო ტანზე კალმასებს
(მეტად დიდგული ბრძანდებოდით, მეტად დიდგული).
მე ავდიოდი სველ კიბეზე და თოვლის კირით
ვიყავი სულ მთლად ავსებული და შეფიფქული.
მოაქანებდა ხევში წყალი გაყინულ ქვირითს
(მეტად დიდგული ბრძანდებოდით, მეტად დიდგული).
საგაზაფხულო მეცვა კაბა და ქარი ქროდა,
დაბელილ ხეებს უჩნდა ცრემლი გადახვითქული,
მოვარდნილ გრივალს (ჩემში!) ჩვენი ებრძოდა ოდა
(მეტად დიდგული ბრძანდებოდით, მეტად დიდგული).
„ივერიაში“ მეთხუთმეტე სართულზე მხატვარს
(ოთხმოცი წლისას!) ოთახებში ერთო მზისგული,
ქალს ადარებდა აფეთქებულ ნუშებს თუ ატამს
(თქვენ კი დიდგული ბრძანდებოდით, მეტად დიდგული!).

მე.. ეს ვარ, რაც ვარ. უცხო სხივი ადგას
შენს ფანჯრებს,
კვლავ ვეძებს მზერა დაბნეული და დაბინდული;
დე, დარჩეს ასე, ლოცვასავით უცვლელად დარჩეს:
მეტად დიდგული ბრძანდებოდით, მეტად დიდგული...



საქართველოს
ბიბლიოთეკა

იღუმალეზა

მოდით, შეხედეთ, ჩემო ძმობილო,
ცაზე ღრუბელთა ტვერი ფოფინებს,
გაუცურიათ ეს ცა მხარულით
და უძებნიათ სხვა სიხარული,
იღუმალეზის სურდათ სათავე
და გაარღვიეს რკალნი ცათანი,
მაგრამ, ძმობილო, ის სისადავე
იღუმალეზის —
ვისთვის სად არის?..

რაც ცოცხლობს, სუნთქავს...
ქვეყნად რაც არი,
ყველაფერშია ვნების მარცვალი...
სუყველაფერში ვნება ანთია,
და ყველაფერი ხვდება განთიადს.
— სუყველაფერში რაღაც თრთოლვაა
სუყველაფერში რაღაც ლტოლვაა
სუყველაფერში ვნების უინია,
თურმე ნურაფრის ნუ გეშინია,
ყველაფერშია შნო და მარილი,
ყველაფერშია ამ მზის არილი,
ყველაფერშია აზრი მართალი
და იღვრება მზისკენ თავთავი,
ეს თავდადმართი რომ არ სწყინდება,
მოიმღერს ღელე პაწაწკინტელა
და იღუმალის განკარგულებით
მოიჩქარაინ ნაკადულები,
ყველაფერს თავის ეშხი დაჰყვება,
ზოგი რამ ავ თვალს არ ენახვება,
ყველაფერს თითქოს ჩემი ხათრი აქვს
და ყველაფერი გულს მახატია.

გადი-გამოდის ველზე გუთანნი,
მიფრინ-მოფრინავს ლალი ფუტკარი,
სანთელს ადნება ნაზი ფარვანა
რაღაც ლხენით და დაუფარავად.
სადღაც საკენკი მიაქვთ ბედურებს
და თოვლზე ვაჩნევ მათს ნაფეხურებს.
შორს საკვამურის ბოლი ფრიალებს,
მე იმ ბოლისაც ვარ მოტრფიალე.
იქ სადღაც, ვიღაც კვდება საწყალი,
მე, იმ სიკვდილსაც ვერვინ მასწყალის:
ბეწვზე ვკიდიფარ ჩემი ქონებით
და მესვეიან ფიქრის ქორები.

ვიღაც მეძანის,
იქნებ მგზავრია,
წყალი სწყურია იქნებ ძალიან?
ან ამ ყურყუმელ შუაღამეში
იქნებ ვჭირდები იმ კაცს რამეში?
ვჯების ჩემგან უნდა ნუგეში,
— თბილი გული მაქვს მისთვის უბეში.
მგზავრია...

მოვა,
სუფრას გავეული,
დე, დაგვათენდეს ამ სიყვარულში.
რაკი ვარ ამ გზით ბაღაგ-ნასვამი,
მინდა, ვიფრინო ტოროლასავით.
მინდა კაცს სულში,
სულში ვაკოცო,
გზად მიმავალი
იმ გზით დავლოცო...
და როგორც ღმერთის დიდი წყალობა,
მოვასმენინო შაშვის გალობა,
მოვასმენინო ზვირთთა ჩქაფანი
და ნაკადულის სუსტი ქაქანი.
გავაგებინო თოვლის ძახილი
და მოვაყენო თოვლში მარხილი.
ვანახვო თმები ჩამოთოვლილი,
მივართვა სული —
წმინდა, ბროლივით,
მივართვა სული, როგორც ფანტელი,
ბნელში დაგუნთო თეთრი სანთელი,
გავაგებინო სუნთქვა სიოთა
და დავავიწყო, თუკი სციოდა.
ყოველდღე ფიქრი ფიქრზე მატულობს,
— ჩემო მიწაო, ანდამატურო,
ყოველდღე მხოლოდ
შენზე ვლოცულობ,
იღუმალეებით გარემოცულო,
ახლაც მანია კვალი ლენცოფის,
— მე რომ ცხრათავა დევებს ვებრძოდი,
მუდამ მესმოდა შენი წადილი,
ასე მიჭქროდნენ წელიწადები,
ისევ მალეღვებს შენი ტრფიალი,
ამწიე მალლა,
ამაფრიალე!
მკერდზე მიმიკარ,
ვიდრე მოვკვდები,
და მაამაყე შენი კორდებით.
ისევ შენი ვარ მთელი არსებით
და გეფერები, გეძვირფასები.

როგორ იზრდება

როგორ იზრდება ეს ჩემი ბიჭი,
როგორ ზეიმობ, შენც, გაზაფხულო...
ყველაფერის ასხნა მე ისე მიჭირს,
ის ახლა ფერად სიზმრებს ნახულობს.
როდესაც მღერის,
როდესაც მღერის,
უფრო ნათდება მისი მიზანი...
ვით ანთებული ასანთის ღერი,
ანთია.. თავის სხივებს მიგზავნის.
რამდენი ფიქრი მაწევს მის მშობელს,
რას არ ოცნებობს მისი მშობელი,
— ის უნდა თავის ზეცასთან ბჭობდეს
და ჰქონდეს ლხინი დაუშრობელი.
მას, როგორც სანთელს,
ვმფარველობ ქარში,
მთელი სიცოცხლე ამ ტვირთს ვნატრობდი...
ღმერთო, მიცოცხლე ეს ჩემი ბავშვი,
არ აუმღერო ლურჯი ტატნობი.
და თვიდან თვემდის
და წლიდან წლამდის
არ მოაშორო სითბო განგების...
ყური ათხოვე მის ყოველ წადილს,
თორემ უცეცხლოდ დავიდაგები.
მე მას ბოლომდე სინათლეს მივცემ,
ეს აღსარება იყოს თამამი...
— ის გაიზარდოს ოღონდაც ისე,
როგორი ფიქრიც ჰქონდეს მამამისს.
...როგორ იზრდება ეს ჩემი ბიჭი,
როგორ ყვაფილობ, შენც, გაზაფხულო..
ღმერთსა ვთხოვ:
მის სულს აშოროს ზინჯი,
ის ახლა ფერად სიზმრებს ნახულობს.



იური გავაკინი

გეწამს სული კაცის ამნაირი,
 ამ სულს — ჩვენთანს
 ლანრული შიშის ნატერფალი არ აჩნევია.
 ის,
 მზის კვერცხიდან გამოჩეკილ დედამიწიდან,
 ღონიერ ხვლებს
 გარინდებულ ცაში იწვდიდა.
 ბოლოს აფრინდა,
 შეერია სიჩუმის უღრანს, —
 გალაქტიკაში,
 ვარსკვლავებზე გაშალა სუფრა.
 ადამიანის ხმა ისროლა მზემდე ჭურვივით,
 ხმა — გატენილი
 ოდინდელი ლტოლვით,
 წყურვილით..
 ჩვენ ვნახეთ იგი,
 კაცი ვნახეთ
 ნამყოფი ღმერთთან..
 დავეპატრონეთ ცალ-ცალკე
 და სუყველა ერთად.

მერე კი, როცა
 სამუდამოდ აფრინდა ცაში,
 სახელი მისი
 ჩვენი ხსოვნის ჩარჩოში ჩავსვით.

მთელი ღამე
 ვარსკვლავები ვთვალეთ,
 მთელი ღამე
 გვიღიმოდა მთვარე.
 მთელი ღამე
 ვარსკვლავები ვთვალეთ,
 სათქმელს გვერდი ავუქციეთ,
 ვმალეთ.
 დილით გაქრა,
 აღარ ჩანდა იგი
 ორი ბავშვის
 ცოცხალ ღობის იქით.

დიდი ხანია

ალარ მესმის ვედრება ფუძის,
სულის მცივანა მარტოობა
სადღაც გაფრინდა...
შენმა სახელმა,
თეთრი შუქის ცახცახა ფუნჯით,
ყველა სახელი
წამიშალა ხსოვნის დაფიდან.
მღერის სიზმარი, —
მღერის ნატვრა გახარებული:
ზიხარ ეზოში
და ცხრა მული დალალებს გიწნავს...
და შენზე ფიქრით გაფოთლილი,
აყვავებული
ჩემი სიცოცხლე
ეფერება ცასა და მიწას.

გზადგვა

ვუცქერ ეზოებს:
ბავშვებიანს და ოდებიანს,
გლექკაცებს მკერდზე
მწვანე ყანა ატოტებიათ.
ჩონქოლით ხვდება
ყანა ზღვიდან
მოვარდნილ ნიავს.
ბიჭებს დოქებით
ცივი წყალი
მამებთან მიაქვთ.
შეფარებია ჩრდილში ვიღაც
მოკოჩილ ურემს.
ჭრელი ძროხები
ვერ იტევენ
ლაჯებში ცურებს-
გრილი ნიავი აფარფაშებს
პერანგებს სოველს—
და ტკბილი ხმები
„ოდოიას“ გულდაგულ ქსოვენ.

შენ მოხსნარები

არარაისგან მშვენებას ძერწავ,
შენ თვით ელვასაც დაგრძიხავ ულოდ...
შენთებული გაქვს ცხოვრება ცეცხლად
და სიკვდილამდე იდუღებ, სულო!

შენ მოესწრები (მოგეცა ლხენა,
ისემც არაგვმა სულ იარაგვოს),
კვლავ ამოიდგამს სიმწვანეს ენად
აპრილი

შენთან სალაპარაკოდ.

მოვლანდებია ოშკიც და ტბეთიც
და ატკივებულ ნატვრას უძლებდი...

ხშირად ყოფილა:

ვიღაცის ბედი

ატირებულა შენი კურცხლებით.

არ დაგიკარგავს სიმართლის გეში,

არ აგბნევეია თავგზა სურვილით.

მეგობრია ლექსით,

მაღალი ლექსით

გახარებულხარ გაზაფხულივით.

არარაისგან მშვენებას ძერწავ,

შენ თვით ელვასაც დაგრიხავ ულოდ...

შენთებული გაქვს ცხოვრება ცეცხლად

და სიკვდილამდე იდუღებ, სულო!



სინათლის ფრთავი

ვუცქერი ზეცას,
სიმშვიდე სუფევს...
ცას მოსწყდა უცებ ერთი კომეტა...
მოსწყდა კი არა,
მთვარის შუქზე
ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს პრომეთემ...
პრომეთე...
(ყინვა. ღამე უკუნი...)
ჩამოდის ციდან ჩირალით ხელში,
საუკუნეთა მესმის გუგუნე,
საუკუნეთა ოხვრა და კენესა...
ხმა ამოიღე, მითხარი რამე,
იზრდება სივრცე და საფიქრალი
ბროწეულივით გახლეჩილ ღამეს
მოუჩანს მთვარის მკერდი ფიქალი.
გაბაწრულია ჩვენი პლანეტა
ათასი იჭვით,
ათასი ფიქრით,
და დღე და ღამე ორი კარეტა —
არავინ იცის, საითკენ მიჰქრის.

კარს მომდგომიხარ, როგორც მევალე
თამასუქებით,
ბეჭდით,
ამაღით,
და დღე და ღამე —
ორი ყვეარი
ლოკავს ჩემს ფიქრებს,
როგორც ქვანარილს.
როგორ მატულობს ტვირთი თანდათან,
შენც გემატება და შენც ბერდები...
ცოტა ხანს კიდევ,
ცოტა ხანს კიდევ,
ცოტა ხანს კიდევ
ნა, ალელღები...
მადროვე კიდევ, გემუდარები...
გასაკაფი მაქვს ჩემი ეწერი,
ნუ დააჩქარებ ზარის დარეკვას,
შენ დაგიტოვებ თუ რამ შევძელი.

მდინარეს ჰგავს კაცის სული —
ხან მშფოთვარე ხან მარტივი...
ათას ნურვით გათასშული

მიაქვს სხეულივით ტივი,
და მკლავების ორთაყვირებს
მარჯუდ უსვამს, მადის.. მადის...
ეთხოვება ლურჯ ნაპირებს
ვერა, ველარ ნახავს კიდევ...
იცის, მიაღება მორევს
და ქვესკნელიც თვალს გაახელს...
ტალღა ზურგზე გაისწორებს,
დაშლის, ფსკერზე ჩაუძახებს.

მაგრამ მაინც არა ვკვდებით...
ყველა, ყველა უკლებლივ —
ისევე ამოვზღაპრდებით,
ისევე ამოვშუქდებით.
სხეულს — ჩაჩქანს ნაომარს
დავტოვებთ და ვბრუნდებით,
მრავალ დროდ და თაობად
ისევე გაგზაფხულდებით.
საუკუნენი როგორ მიჰქრინან.
როგორ ვმრავლდებით,
როგორ ვიზრდებით,
მათი ფიქრებით ჩვენც გვიფიქრია,
ჩვენც გვსიზმრებია მათი სიზმრები.

მე ვცოცხლობ შენი დიდი წარსულით,
შენი აწმყოთი,
შენი სვალეთი,
დედაო მიწავ,
შენ ხარ წინაპრის
ყველაზე დიდი დანაბარები,
ხზვებან სადაა?..
მაგრამ სიზმარში
მანაც რომ ვინმეს მიგამგაფნებდე —
შენს მადლს ვფიცავარ,
შენს მადლს ვფიცავარ —
სკულს იმავე წუთში მშვიდად დავლევდი.
მაგრამ რაი ვქნა, ერთადერთი ხარ
და სულ სხვაგვარი ჰქრინან ქარები,
როგორ მოგიკვდე,

როგორ დაგტოვო —
ოდეს გჭირდება ჩემისთანები.
მარტო ლექსები რა ბედენაა —
მარტო ლექსიათვის არ ღირს წვალება —
როს ეზმანება ცეცხლის ხარხარი
შენს პოლუსებს და სიგრძე-განედებს..

სინათლე არის საწყისი ყოვლის.

სინათლე — კვირტში,

სინათლე — ქვაში,

წვიმაში,

თოვლში, დუმბულში,

ქარში, —

თვით სინათლეში

არის სინათლე, —

სინათლე არის უკვდავი ბავშვი.

სინათლე მოდის,

სინათლე მღერის.

(სინათლის შუქზე კანკალებს ბევრი)

სინათლე აზრის,

სინათლე გრძნობის,

სინათლე შექმნის,

სინათლე მყნობის,

სინათლე ხმათა,

სინათლე ფერის,

სინათლე მიწის,

სინათლე ზეცის,

სინათლე არის მშობელი ცეცხლის.

იცვლება ყველა და ყველაფერი,

მაგრამ სინათლეს ვერავინ შეცვლის, —

რადგან სინათლე,

რადგან სიმართლე, —

ეს ორი ფრთაა საწყისი ყოვლის

განათებული ზღაპრულ ხილვებით

უსასრულობის ცისფერი გზები

და დედამიწა — თეთრი ფრინველი

მიქქრის და მიქქრის სინათლის ფრთებით.



ელგუჯა მალრაძე

გ ე ზ ე ბ ა

„ვისაც თავის ღრღში სამაგალითოდ უნ-
ბოვრია, ის ყველა ღრღში ცოცხლობს“;

გოთე

ყური მოჰკრა, საქართველოს უფლის-
წული ეკატერინე მეორის ფავორიტის
შტაბში იმყოფებაო. რა ეს გულის გა-
სახარი ამბავი ესმა, ისედაც გამკრთა-
ლი ძილი და მოსვენება ერთიანად დაჰ-
კარგა. მთელი ცხოვრება დაკარგულ,
სათაყვანო სამშობლოზე გულგასენი-
ლის დრტივებით, სევდით, კაეშნით,
საკუთარ ეთვიტომობაზე სოფლის
სამღურავით, უძეოდ გადაგებაზე წუ-
ხილით, მოთქმით და ვაებით გაატარა.
გარნა მუხთალმა საწუთრომ ესეც არ
აკმარა, შორეული მაგდებურგის ნესტი-
ან ციხეში გამომწყვდეულს გონების ნა-
ყოფი ნაჭირნახულები უკვალოდ გაუ-
ნიავა და განცილის ეტრატზე გადასა-
ტანად უკვე სიჭარბაგეში შესულს მოუ-
ხდა კვლავ წერად დაჯდომა. აურაცხე-
ლი ჭირ-ვარამის ამტანმა და თმენით
გაკაჟებულმა უტეხმა სულმა ამჯერა-
დაც გაუძლო გამოცდას და შთამომა-
ვალთა საბედნიეროდ გამარჯვება იზეი-
მა. საწუთროსა და მოახლოებულ სი-
კვდილთან მორკინალი, საიქიო სულთა
სასუფეველის არსებობაში ღრმად შე-
იკვებულ პოეტი ამ ცოდვილ ქვეყა-
ნაში ფიქრობს თავისი გონითი ნაღვა-

წითა და კეთილი საქმით დარჩენას.
უძეომა და „ბერწმა“ თავისი ლექსების
წიგნი იშვილა; ამ ნალოლიაგებ იმედს
ანდო თავისი გულის ზრახვანი, სუ-
ლის საიდუმლო რხევანი და ირწმუნა,
რომ შთამომავალთა შორის მხოლოდ
თავისი გონითი ნაღვაწით შესძლებდა
არსებობის გაგრძელებას, მომავალი თა-
ობები მისი ფიზიკური და სულიერი
ცხოვრების საიდუმლოთა წვდომას, მი-
სა ნაგრძობისა და განცილის აღქმას
მხოლოდ მისა ნაწერებით შეიძლებდ-
ნენ. ეს კი კარგად გაიცნობიერა, მაგ-
რამ ვერასგზით ვერ შეეგუა იმ აზრს,
რომ თავის ამ უკანასკნელ იმედს —
უკვდაგების იმედს, შთამომავალთა შო-
რის დარჩენის იმედს, დიდებული შოთა-
სავით მარადიული სიცოცხლის იმედს,
უნდა საბოლოოდ გამოსთხოვეოდა.
ხსნის სხვა რამ გზა კი არც მიწაზე
სჩანდა, არც ქვესკნელში ეგულებოდა
და არც ცად კიაფობდა. იძულებუ-
ლი იყო, დაფრთიანებული მერცხალი
თავის ქვეყანაში გაეშვა, მისი ჭიკჭიკი
და გალობა ევარაუნდა და უსასოქმ-
ნილი. მარტოდმარტო შთენილი ამ
განწირულის სულისკვეთებით განშო-



რბობდა მუხთალ წუთისოფელს. კარგად უწყობდა ისიც, რომ არც საქართველოსკენ სავალი გზა იყო უხიფათო და არც ქვეყანა ეგულებოდა მტერთაგან მოსვენებულს. ამიტომ იყო, რომ გული ეთანადრებოდა და ვერა და ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა კრემენჩუკს მირიან ბატონიშვილთან. არადა, თვითონ უსამშობლოდ ქვეულზე უკეთ ვინ იცოდა, რომ მის ნაშვილებსა და უკვდავების იმედს სამშობლო სჭიროდა... მშობელი ხალხისა და ენის გარეშე წიგნი ხომ უპატრონო მკვდრად უნდა ეგულა. იგი იყო კეთილი ნერგი, რომელსაც ჯერ მაინც საკუთარი მიწის სითბო, სინოყიერე და სურნელი სჭიროდა, განარებული და აყვავებული კი შეიძლებოდა სხვაგანაც გადარგულიყო, მას ვედარც ზამთრის სუსხი დააზრობდა, ვერც მზის მცხუნვარება მოერეოდა დასაჰკნობად. იგი ხშირად გადაწყვეტდა ხოლმე ამა და ამ დღეს წავალო კრემენჩუკს, მაგრამ დადგებოდა ის დღე და მიღებული გადაწყვეტილება ირღვეოდა, წასვლის მტკიცე ვადად ახლა მომავალი შეიღდღიურის ისევ რომელიმე დღეს აიქინებდა და ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე არ შეიტყო, რომ კრემენჩუკიდან ბატონიშვილის გამგზავრების დღე შორს აღარ იყო. მაშინ კი მეტი რა ჩარაჰ ჰქონდა, შეჰკარბა ნაწერები, ერთ წიგნად შეჰკონა, ორთვალა ეტლში ჩაჯდა და კრემენჩუკისაკენ გასწია. რის ვაივავლახით ჩავიდა ადგილამდე, ბატონიშვილთან შესვლაზეც ბევრი იწვალა-იდავიდარაბა, გარნა დარბაისლურად მიდგა-მოდგა, ძველი ფხა და მარიფათი გამოიჩინა და როცა ბატონიშვილის წინაშე წარსდგა, გული აუჩუყდა, ყიყვები ყელში გაეჩხირა, თუმცა გვრინი დაიოკა, დროზე მოუსწრო შვებისმომგვრელმა ცრემლმა. ლული უსინათლო თვლიდანაც დაედინა. ცრემლი არ შეუშმშრალებია, არც დაბლა გადმოუყრია, წელთა სიმრავლით დაღარულმა, სასოებით აღვსილმა, მავედრებელმა, მწვავე განცდათაგან

ცეცხლივით გავარვარებულმა თვალთაგან მონაწური ობოლი ლიტები თვითონვე შეიწოვა, ალბათ, იმ რწმენა-იმედით აღვსილმა, რომ ამიერიდან მისი გასაგისი ცივ ტრამალეზში უთვისტომოდ, უკვალოდ არ ინთქმებოდა და მშობელ ხალხთან ერთად სამარადქამოდ იცოცხლებდა საუკუნეებში. მას მხოლოდ ამ ერთხელ არ უმტყუნა ბედმა-მდეგარმა, ახდა მისი უსასოო იმედი — „დავითიანი“ ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

დანისლული გაზაფხული

ბიოგრაფიული ცნობები დავით გურამიშვილზე ძუნწია და ნაკლებმეტყველი. ჩამომავლობით თავადიშვილი. დაბადების ადგილი საგურამო, ყოფილი თეზმის-ხევი. დაბადების წელი — 1705. მკვლევარებმა ეს თარიღიც იმ ერთადერთი ცნობის წყალობით დაადგინეს, რაც პოეტს, საბედნიეროდ, სიბერის ეჟამს „წამოსცდა“. „კაცისა და საწუთროს ცილობაში“ საწუთრო ეუბნება პოეტს:

დასაბამითან მოციხხრა რიცხვი
ჩემისა ხნისაო:
შვიდ-ათას ორახ-ოთხმოც-და-ორისა
მე ვარ წლისაო
შენ მე საწუთროს მეძახი, წლისა
სამოცდაცხრისაჲლ

შვიდ-ათას - ორას - ოთხმოცდაორი (7282) მესამე იმპერიის წინაღობის დროს კალენდრის ანგარიშია, „დასაბამიდან ქვეყნისა“. ახალი კალენდრით ეს 1774 წელს ეფარდება, როცა პოეტი 69 წლისა ყოფილა. პოეტის მიერ ამ აშკარად თქმული ამბის მერეც ბევრი იდავეს სწავლულეებმა და დიდი კამათისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ბოლოსდაბოლოს შეთანხმდნენ, რომ პოეტი მართლა 1705 წელს დაბადებულა.

დავით გურამიშვილი პირველი ქართველი პოეტია, ვინც საკუთარი შემოქმედების ძირითად თემად აეტობიოგრაფია გაიხადა. მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ გურამი-



შეგლის ცხოვრების გზა დაწვრილებით ვიცით. პირიქით, მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი და კიდევ მეტიც, მთელი ათეული წლების ცხოვრების ამბავი სრული ბურჟუაზია მოცულია.

პოეტის მამა თავადი გიორგი გურამიშვილი მთელს კახეთში ერთ-ერთი მდიდარი და პატივცემული კაცი ყოფილა. სახელოვან დიდგვაროვანთა ამაყ შთამომავალს მომხდურ მტრებთან: ლეკებთან, სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლებში ბევრჯერ გამოუჩენია თავი და სწორუბოვარი ჩუბინისა და ხმალში უძლეველი მეომრის სახელი ჰქონია მოხვეჭილი. გიორგის თავისი ვაჟკაცური შემართებითა და გერგადიანობით თუ რამე მიუმატებია გურამიანთა წინაპართა დეკავაციური მხარ-მკლავების ოდინდელი დიდებისათვის, თორემ არა დაუტკობია რა. მისი სახელი დაღესტანამდე ყოფილა გავრდილი. ვაჟკაცობით გამოჩნეულ, ტანად ვეება და პირად მშვენიერ გიორგის სათნო, ნაზი და ღვთისმოსავი ქალი, კახეთში კარგად ცნობილი თავადების ვახვახიშვილთა ასული მშვეინარი შეურთავს. სწორედ მათი ქორწინების შედეგად გაჩენილა ქვეყნად ქრისტეფორე, გიორგი, დავითი და რამდენიმე ქალიშვილი.

დავით გურამიშვილი დედას მშვეინარს ჩვეულებრივი მომაკვდავივით უშვია ამქვეყნად. მისი დაბადებისას არც მოკაშკაშ-მოელვარე ვარსკვლავი უხილავს ვინმეს, აღმოსავლით ცაზე აღბრწყინებული და არც თაყვანისცემად მოსულან¹. მშვეინარს არც დაფნის გვირგვინით თავშემკული პირმშო სჩვენებია სიზმრად² და არც ის ჰგო-

ნებია რომ ცხრა თვეს მუცლით მოგიზიგებოდა მუგუზალს დაატარებდა³.

დავითი საგურამოს ზედა ნაწილში დაბადებულა, გორისუბანში⁴, არაგვის მარცხენა მხარეს, მაღლიდან რომ ტყიანი ფერდობები გადმოსცქერიან. რა იცოდა ჩვილმა, რა ბედი ელოდა მის უმწე მამულს, საგურამოს სანახები ხომ მისი დაბადებიდან სულ მალე ოსმალთა სათარეშო მოედნად იქცა.

დაბადებულა თუ არა, სახლ-კარი და საგურამოს შემოგარენი ტირილითა და ჭყვივლით აუკლია. ყრმას იმთავითვე საკმაოდ ძლიერი, გამყვიანი საკუთარი ხმა დაჰყვია და სწორედ იმ საკუთარი ხმით უმცნია ახლობელთა და ქვეყნიერებისათვის თავისი მოსვლა. ამის თაობაზე სიჭარბავეში შესულ პოეტს კარგად უოხუნჯია: ან კი მეტი რა შემეძლოს, რომ არ მეტირას და მეჭყვიცლა. ჩემს ამქვეყნად მოსვლას ხომ ბუკის დაკვრით, მალემსრბოლებითა და ნალარით ვერ შევატყობინებდი დუნისასო. რაც იმჟამად დახსნის ძალი მქონდა ის გამოვიყენე, ჭყვივლით გავაყრუე ყველანი, ჩემი გაჩენით თურმე ბევრი ძალიან გავახარე, უფრო მეტი სიხარული მომავალ თაობებს შემოვუნახე, ბევრნი თურმე მაშინვე, ჯერ კიდევ ყრმამ მარტო იმით დავმდულრე და დავანადვლიანე, რომ დედაჩემს

³ აღუქსანდრე დიდის (მაკედონელის) დედას აღუქსანდრეზე მუცელქმნილ ოლიმპიას ვიდრე დიდ სარდალს შობდა, ცხადლოვ ერგენებოდა, რომ საშოში მოგიზიგებო მუგუზალს დაატარებდა.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი ამის თაობაზე წერს: ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძინსა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა რომელი არს ხერკისა. და არს ამით შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თევზის-ხევი, აქუს ხერკას: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი სამხრით მთა ზედაძინსა, ჩრდილოთ ნოკორნა-ბოჯოქანს შორისი, გორანი, ჩამოსული თიანეთს მთილამ არაგვამდე; დასავლით არაგვი. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა-საქართველოსა გვ. 94.

მღვწეობა მხარბამ
ბრძოლა

¹ მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ ქრისტეს დაბადებას წინ უძღოდა აღმოსავლით ვარსკვლავის აღბრწყინება ცაზე: „სადა არს, რომელი-იგი იშვა მეფეთა პურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლით და მოვედით თაყუანის — ცემად მისა“. მათე, 2, 2

² ცნობილია, რომ რომაელი დიდი პოეტის ვერგილიუსის დედას ვერგილიუსზე ფეხმძიმეობისას ესიზმრებოდა ხოლმე, თითქოს დაფნის რტო უნდა ეშვა.

მესამე ვაჟიშვილად გავუნდი და რაკი მამრი ვიყავი, მოშურნეებს, ეტყობა, ვინებამი ცუდმა აზრმა გაუსრიალათ, ვაქეცად გაიზრდება და მამას მხარეში მალე ამოუდგებაო. ეს ფიქრები მერმინდელი ამბებია, თორემ მინდა გულწრფელად დამიჭერთ, რომ მაშინ შურსა, მტრობასა და სიყვარულზე არა ვიცოდი რაო.

დაბადებულა იგი შუადღისას, როცა მწველი მზის ალი და ზორმაკი ბუგავდა თურმე შახ აბასის ურდოთა მიერ ისედაც იავარქმინლ ქართლ-კახეთის ნაყოფიერი, მაგრამ ტყისაგან განძარცულ ქვეყანას. გორისუბნელ მუცლით შეზღაბრე დედაკაცებს და მჩხიბავებს, მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე უწინასწარმეტყველებიათ ყრმის მომავალი: „ჩვენს მძიმე დროში იცხოვრებს უზრუნველად, მოციქულის მიერ დათქმულ ასაკამდე მიაღწევს და თავის წუთისოფელს მშვიდად და უშფოთველად მოსტამსო“. გურამიშვილმა მოციქულის მიერ აღამიანთათვის ამქვეყნად დათქმულ დროს — 80 წელს კი გვარიანად გადააჰარბა, მაგრამ როგორი უშფოთველი, უზრუნველი ცხოვრებაც განვლო და რა სიამენიც იგემა, ამის თაობაზე ხომ „დავითიანში“ თვითონვე მოგვითხრო. მაცხოვარს რომ მართლაც შესძლებოდა ტყუილის, სიყალბისა და ჭორებისათვის მკითხავთა, ქადაგთა და წინასწარმეტყველთა დასჯა, მაშინ იმ დედაკაცებს ჯერ ამქვეყნად მიუსჯიდა არაადამიანურ სატანჯველს და იმ ქვეყნად კი ცეცხლსა და გენაში ჩაჰყრიდა.

გურამიშვილები, საერთოდ, მდიდარი და გავლენიანი თავადები ყოფილან, მათ თავიანთი აზნაურებიც კი ჰყოლიათ. ამის საბუთად საყმარისია დავიძოწმით ზაალ გურამიშვილის ერეკლე მეორისადმი მიერთმეული მოხსენება მისი ყმის, მიქელისშვილის საჩივრის პასუხად. ზაალს მიქელისშვილისათვის ხარი წაუერთმევია. ყმას ერეკლესთან უჩივლია. კახთბატონი გაჯაგრებულა, მაგრამ ზაალს თავი უმართლებია.

„ქ. ლ-თან ბედნიერის ხელშეწყობის კერა მოსცეს გურამიშვილის ხელმძღვანელობის ქვეშეყმის მიქელისშვილს თქვენთვის არზა მოურთმევია: ბატონმა ჩემმა ერთი ხარი წამართოო. ხარის წართმევის მიზეზი ეს არის, დავკარგე და არაფრით დამადგა, დედა მომიკუდა, რიგი იყო, რომ უნდა შემოეწია რამ და არაფერი შემომაწია, თუ აზნაურიშვილობს, მსახური უნდა მახლდეს ამისი, და თუ მოყალნეა, რაც სხუა მოყალნე კაცი მემსახურება, რატომ ესეც არ მემსახურება?“

ერეკლეს საქმის ვარჩევა მსაჯულთათვის დაუვალებია და მიქელისშვილისათვის ასეთი რამ უბრძანებია. „მიქელისშვილო! ამ არხით ბატონი შენი რომ ასე გიჩივის, ამის მოხსენებული თუ მართალი არის, ამას კაის გზით შეურვიდი, თორემ თუ სამართალში ლაპარაკი მოგიხდათ და სამართალში გამაძკუნა, ავით მოგივა“.

მე-15-17 საუკუნეებში გურამიშვილები არაერთხელ იხსენიებიან მატიაწყებსა და ქრონიკებში. გურამ ზედგინიძე, ალბათ გურამიშვილთა გვარის მამათავარი და გვარგუჯაბის დამდები, წიწამურის ბატონი ყოფილა.

ზედგინიძეები შიდა ქართლის ამილახორებად ყოფილან. ამილახორი ვახუშტის მიხედვით „არა არს გვარი“, ისინი მეფეებს მეგინიბეთუხუცესებად ჰყოლიათ განმწესებულნი. „ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი“.

ზედგინიძე — გურამიშვილებს ვრცელი და ნაყოფიერი მამულები ჰქონიათ. — ავჭალა არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჭალის ბოლოს არს ხევმარი, ჩამოვარდების მშრალი ხევი ჭვიტკირის — ლილოდამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინ-

5 საქართველოს სიძველენი, თბ., 1970, III, გვ. 503-504.
6 თ. კორღანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 205.
7 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 24.



დელი ქართლ-კახეთსა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამიანთ გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვინიერ ბრინჯ ბამბისა, პირუტყვით ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მითთ შექმობილი“⁸.

გურამიშვილთა გვარის დიდებაზე ისიც თვალსაჩინოდ მეტყველებს, რომ ქსნის ძლიერ ერისთავებთან ჰქონიათ ნათესაური კავშირი. ქსნის ერისთავებს კი სახნავ-სათესი უხვად ჰქონდათ, საქონელიც უამრავი დაუდიოდით და ქალ-რძაღლიც კარგად ჩაცმულ-დახურულნი ჰყავდათ. მათ არც პურ-ღვინო ჰკლებიათ და არც საქმელ-სასმელი. მათი სიუსხეთ და მადლით პოეტის ოჯახსაც დღეკეთილად უცხოვრია, ვიდრე ამინდი შეიცვლებოდა.

ამინდი კი უქმური მდგარა და არც რაიმე ნიშანი ყოფილა გამოკეთებისა. ვახუშტი ბატონიშვილისავე ერთი ცნობის მიხედვით, გურამიშვილები მღვიმელი ზედგინიძეების ჩამომავალნი ყოფილან. ამ ცნობას პოეტიც აშკარად არა, მაგრამ ნართაულად მინც ადასტურებს თავისი ანდერძითა და „საფლავის ქვაზედ დასაწერი“ ლექსით.

წმინდა იონე კახეთს ზედამენს
სახწაულობით ქვიტიკის ცრემლს აღენს;
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძვლებს ავლენს,—
ორნივ შვრებიან სასწაულს ამდენს.
ამ ორ მონახტერს მაქვსდა ალაგი,
სახაფლაო და ძვალთ შახალაგი,
ორივ ქვიტიკირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშვენებული...

პოეტისაგან დასახელებული საგვარეულო სამარხები ზედგინიძეებს მეფე გიორგი მერვესაგან მიუღიათ საჩუქრად, იმ დიდი ერთგულებისა და თავგანწირვისათვის, რაც განსაცდელში მყოფი მირონცხებული გვირგვინოსნისათვის აღმოუჩენია მათ სახელოვან წინაპარს.

დავით გურამიშვილის ერთი წინაპართაგანი — თაყა ზედგინიძე — სწორედ

იმევე სასაფლაოს იხსენიებს თავიანთ საგვარეულო სამარხადა და საძვალედ რომელსაც პოეტი აღწერს. სასაფლაოს ჩუქების ამბავი კი ასე ყოფილა: მეთხუთმეტე საუკუნეში ქართლში უმეფია მეფე გიორგი მერვეს, რომელსაც სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს კვლავ გაერთიანება ჰქონია გულში ამოჭრილი. გიორგი მერვეს, პირველ ყოვლისა, სამცხის დალაშქრა და ყვარყვარე ათაბაგისათვის ჰქუის სწავლება ჰქონია განზრახული. გურამიშვილთა წინაპარი იოთამ ზედგინიძე მეფის ერთგული თანამდგომი, მისი მორჩილი და ბრძანებების უსიტყვო აღმასრულებელი ყოფილა. იმხანად მეფე თავისი ჯარით ჯავახეთში ფარვანის ტბის ნაპირას მდგარა. ყვარყვარესა და მის მომხრეთ მეფე გიორგის მოკვლა უჩუბრად დაქირავებული მკვლელების ხელით განუზრახავთ. ეს ამბავი იოთამ ზედგინიძეს შეუტყვია და მეფე წინასწარ გაუფრთხილებია, შეთქმულნი მალულად მოკვლას გიპირებნო. პირადად კეთილშობილსა და სულგრძელ გიორგი მერვეს მოწინააღმდეგეთა ასეთი ვერავობა მინც არ დაუჭერებია: „მეფემან არა ირწმუნა“ ამბავით, ამბობს თავის ისტორიაში ვახუშტი, „ვინაიღვან უგონებელი (დაუჯერებელი) იყო მათგან ლალატი მეფისა“. იოთამ ზედგინიძეს ვერა და ვერ დაურწმუნებია გვირგვინოსანი თავის სიმართლეში, რის გამო იმ დამით მეფის საგებელში თავად ჩაწოლილა. გიორგი მეფე დარწმუნებული ყოფილა, რომ მის წინააღმდეგ სინამდვილეში არავითარი შეთქმულება არ ირსებობდა. იგი დასთანხმებია იოთამ ზედგინიძეს და ნება დაურთავს იმ დამით მის საგებელში ჩაწოლილიყო. შეთქმულნი უთენია წასდგომიან თავს მეფის კარავში გაართხმულ ზედგინიძეს, მძიმედ დაუჭრიათ, მაგრამ შეუტყვიათ რა, რომ გვირგვინოსნის მაგიერ საგებელში

⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 94.

მღვწეა მადარამ
გოდება

სხვა იწვია, ზედგინიძე აღარ მოუკლავთ, თუმცა ერთგული მოყმის კრილობები იმდენად მძიმე ყოფილა, რომ ზედგინიძეს სული დილაადრიან, მეფის ხელში დაუღვია. მეფე გიორგის „ნასისხლად და ერთგულების გამოჩენისათვის მღვიმე მოუცია არმადანად იოთამის ძისათვის სასაფლაოდ. უჩუქებია სოფელი ახალციხეც არაგვის ხეობაში, სადაც „სამოცი კუამლი კაცი ესახლა და ხუთი დახატული ჩარდახი მოწყობილი უბოძა სისხლად“.⁹

ადვილი შესაძლებელი და სავარაუდებელია, რომ გურამიშვილთა წინაპარი და გვარის დამდები სწორედ იოთამ ზედგინიძის შვილი გურამ ზედგინიძე იყოს, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნის მცხეთის გუჯარში იხსენიება და წინამურის პატრონი ყოფილა.

1627 წელს კახთა მეფეს თეიმურაზ პირველს გივი გურამიშვილისათვის სოფელი ლერწამი უჩუქებია:

„1627, მარტის 5.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე წყალობისა წიგნი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფემან, ხელმოწიფემან, ბატონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალმან ხვარაშან... თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს, ყმასა გურამიშვილს გივსა და ზაალს და მომავალთა სახლისა თქვენიანისა ყოველთავე... ვიბოძეთ სოფელი ლერწამი... ყოვლითავე მითთა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, სასაფლაოთა... გქონდეს და გაბედნიეროს... თეიმურაზ“.¹⁰

ცხადია, გურამიშვილების, თვითონ თეიმურაზისა და თვით საქართველოს ბედკეთილობა ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავის გადასრიალებასავით წამისი იყო და მარტის დღესავით ცვალებადი, მაგრამ ჩვენთვის ზაინტერესოა თვით ფაქტი, რომ ეს საკმაოდ ძველი, ქვეყ-

ნისათვის ნამსახური გვარი იმთავითვე აქცევდა გვირგვინოსანთა ყურადღებებს. პოეტს ღირსეული წინაპრები ჰყოლია. გურამიშვილები საქართველოსათვის ძნელბედობის წლებშიც ახლოს ყოფილან ჭიღოსნებთან. პოეტის მამას გიორგი გურამიშვილს ძვირფასი ქათობით მორთულს უვლია სამეფო ნაღებებში.

ზედაზენს ჩვენი სასიქადლო მეცნიერი ვახუშტიც „ზედაძენს“ ეძახის: „მთა კუხეთისა ანუ ზედაძენისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთებამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმის-ხევი...“

ვახუშტი შემდეგაც საგანგებოდ ჩერდება საგურამოზე, რაც უხსოვარი დროიდან გურამიშვილების სამკვიდრო ყოფილა, „ხოლო ამის შესართავსა და ნარეკვავის შესართავის ქვევით არს, არაგვის დასავლით, მთა სარკინეთისა და, აღმოსავლით, მთა მალალი კუხეთისა, გაკვეთილი არაგვით. ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისთვის, რამეთუ თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი. ამ მთის თხემსა ზედა, მკვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. შემდგომად მამათაგანმან მამმან იოვანემ ჰყო აქ, მონასტერი და ეკლესია სადგურად თვისად, და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამარიდამ სწიფეთს წყალი, და უღდა ქვემორ ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებო მოაკლდების. უკეთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა“.

აი, როგორი დამაჯერებელი ლეგენდების ბურუსითაა მოცული პოეტის მშობელი კუთხე. მთაზე წმინდა იოანეს მონასტერია, წმინდა წყალი სწვეთს,

⁹ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948 წ. გვ. 89.

¹⁰ საქართველოს სიძველენი, ტომი III, 1910, 537-538.



ძირს ავაზანია ქვისა, არც ივსება, არც იცლება და სამკურნალოდ იყენებენ.

ზედაზნის ტყიანი მთა არავის მარცხეა მხარესაა აღმართული და მცხეთის სანახებს ამყად ვადმოსცქერის. თუ ზედაზნის მთის ხევ-ხუვებში სქელი რძისფერი ნისლი ჩადგება, წინ რამდენიმე ხაბიჯზეც აღარაფერი სჩანს. სიავი ხევ-ხუვების იშვიათი სტუმარია, რის გამოც ირგვლივ ისეთი საძარისებური სიჩუმე დაისადგურებს ხოლმე, თითქოს ყოველივე მარადისობის იღუმალეებაშია დანთქმულიო. მყუდროებას აქ ხშირად სანადიროდ გამოსულ მტაცებელ ფრინველთა ფრთების ტლაშუნი და მათ უმწიე მსხვერპლთა ქოთქოთი და გნიასი არღვევს. ზედაზნიდან დანისლული კავკასიონის დათოვლილი მწვერვალებიც ჩანს და მუხრანის მწვანედ მოღაღანე ველებიც, იალაღებიცა და ბაღ-ვენახებიც. დიდი ყოფილა მათი ეშხი, ლაზთი, ჯადო და ანდამატი, რომ სიჭაბუკიდანვე სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი, თუ გატაცებული, პოეტი ღრმა სიბერემდე არა მარტო პოეტურ ხილვებში, არამედ ცხადად, ჭერტდა მათ და ვერავითარმა ძნელბედობის ბურუსმა, სხვათა სამოთხემ, ომის კვამლმა და ხანძარმა ვერ ჩააქრო ეროვნული კოლორიტის ის სახშილი, რამაც პოეტური სულის წვა და წვალება, აქ, გორისუბანში, ზედაზნის მთის ფერღობებზე, ზედაველაზე, ქსანზე და ლამისყანაში დაიწყო და ბოლო შორეულ მირგოროდში მოადევნა.

ზედაზენზე ერთი ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. ქამთა სიავისაგან ნატანჯი ციხე ჩამონგრეული ქონგურებით. ირგვლივ უზარმაზარი ლოდები ყრბა, თითქოს დევ-გმირთა მხარ-მკლავებს ვეღარ უზიდავთ საღოლაბე ქვები და ძირს დაუყრიათ.

აქ ღარბოდა ყმაწვილი დაეითი და ქვეყანა თავისი ეგონა, მის ქვეყანას კი ათასი ჯურის გადამთიელი მუდრეგი ეპატრონებოდა. ყალყზე იყო შემდგარი ივერიელთა ქვეყნის ბედის ეტლი

და ქრისტე ღმერთის ქომავობისა და ლიან ცოტა ვინმესღა თუ სჯეროდა. მომავალი პოეტი, მაშინდელი წესისამებრ, აღრევე გაუძიძავებიათ. ესეც ასახულია პოემაში: „სიტყვა ესე ღვთისა“—ში ქრისტე ეუბნება:

აჲ შენც ადამის ტომი ხარ, მით შემეცოდეო;
ხოფელსა შინა პატარა ზოქიქით ევდეო.
მივადე, ძიძას მიგვარე, ძუძუს მოკიდეო;
გახვი, გაქამე, ჩავაცვი ჩჩვილი გავზარდეო;

ღმუილანთ მიხა ყოფილა ის გლეხი, ვისაც წილად ზედა თურმე ბედნიერი სვე, აღეზარდა საქართველოს მომავალი დიდი პოეტი. მიხა, გიორგი გურამიშვილის გლეხი ყოფილა, მაგრამ ბატონის ვაჟიშვილების აღმზრდელს და ამით განებივრებულს თურმე ხმის ავად გაცემას ხელისუფლებით გათავხედებული მოურავი სტეფანე ოზიაშვილიც კი ვერ უბედავდა. მიხა ახმახი, ფერმკრთალი, მაგრამ ჯანღონით აღსავსე, საქმიანი ზრდილი ვაჟკაცი ყოფილა. ნადირობას გადაყოლილ, მიხას ოჯახური მეურნეობა მანც კარგად ჰქონია მოკვარახჭინებულო. სახლ-კარიც გვარიანი ედგა თურმე და შეძლებითაც ბევრ აზნაურიშვილს ტოლს არ უდებდაო. მამაცი და შეუბოვარი გლეხი სად არ უთრევიო საქუთროს. მეფის მცველ ჯარშიც უმსახურია, მრავალი ბრძოლა გადაუხდია, ნახმლევნაირევი სახე ჰქონია, და წინაპრებით თავზარდაცემი მჭეჭარე ხმის პატრონი ყოფილა. სწორედ ამიტომ შეურქმევიათ თანასოფლელებს მათი გვარგუჯანისათვის ღმუილანთი. თავისი გამყივანი შეძახილით მიხას თურმე ბევრჯერ დაუფრთხია მტერი, მაგრამ, რაც მთავარია, მათზე მისვლა გულდაგულ და ზმალდახმალ ჰყვარებია. ბრძოლაში გართულ ლევან მეფისათვის ერთხელ ლეკების ათკაციან რაზმს ალყა შემოურტყამს და მისი დატყვევება მოუწადინებია. სად იყო და სად არა, უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვროა ღმუილანთ მიხა გაჩენილა, ვიდრე რომელიმე მომხ-

ელგუჯა მალრაძე
გოდება

დურს ხმაღს დაჰკრავდა, ერთი ისეთი საზარლად შეუძახებდა, რომ ორი-სამი კაცი მარტო მისი მქუხარე ხმის გავონებაზე დასაფრულა და ხმლებისათვის ხელი უშვიათ, გულმოცემული მიხა მომხდურთ ჭიჭურ მიხტომია და ისედაც თავზარდაცემულ მეომრებს რისხვად მოვლენია. იქით მეფეს უმაიჯენია და თავდაშხმელნი ორ კაცს ადგილზევე აუჩენინათ. აი, ამ კაცს არგუნა ბედმა პატარა დავითის პირველი აღმზრდელი, მასწავლებელი და მწვრთნელი ყოფილიყო.

დავითი პატარა წამოჩიტულა თუ არა, მიხა თურმე უთენია მის სასთუმალთან გაზრდებოდა, გაადვიებდა, ტანზე ჩაცმაში წაეხმარებოდა და მერე მთელი დღე აღსაზრდელიცა და მწვრთნელიც ტყე-ველად დაეხეტებოდნენ. დავითმა მისგან ისწავლა ნიაგვიით მიმქროლავ ცხენზე უძრავად დგომა, ქვე ხტომა, ისევ შეხტომა, ხმლით ჩეხვა, კაფვა, ქვის სამიზნესათვის ჯირითის ტყორცნა, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა უკვე დახელოვნებული მოისარი, მოფარიკავე, სრულყოფილი მხედარი ყოფილა. დროს თავისი მოთხოვნები ჰქონდა და დავითიც დროის ჭეშმარიტი შვილი აღმოჩნდა. თურმე ყველაზე დიდი გასართობი მისთვის თანატოლების ხმაღში გაწვევა ყოფილა.

გონების პირველი საღესი პატარა დავითისათვის მანაც ბუნება იყო. ბუნების წიაღში, საკუთარი თვალით იხილა და ჩასწვდა იგი ცხოვრების უკუღმართ კანონებს. მის სპეტაკ სულში უსამართლობასთან ბრძოლისა და ჭიდილს ცხოველი სურათები, აქ, ბუნების წიაღში აღიბეჭდა და მერე მთელი ცხოვრების მანძილზე განუშორებლად სტანჯავდა და აწვავდა იმისი შეგნება, თუ რაოდენ უმწეო იყო ადამიანი ბუნებასა და ადამიანთა შორის გამეფებულ უსამართლობასთან ბრძოლაში. ბუნებაში ნახა მან ძლიერი როგორ სჩაგრავდა სუსტს, აქ პირველად იხილა როგორი დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული არსებობისათვის. ერ-

თის შრივ, თვალშეუღდაში მწვრთნელ მოხასხასე მთები, ანკარა წყაროების მხარაკრაკე ნაკადულები. მთიდან წათქით დაქანებული მდინარეები, უბიწო, ფეხდაუღდაში ლორთქო ბალახი, უღამაზესი ყვავილები; მეორე შრივ: ფრინველთა და ცხოველთა სამყარო, სირთა გალობა, ყაშყაში, ყიპყიპი, სტეენა, ქახი, კმინვა, ყრიყინი, ჟღერტული, გნასი და მათი ურთიერთი ყოვლად დაუნდობელი ბრძოლა-ჭიდილი არსებობის შესანარჩუნებლად. მერე ყველა მათზე მაღლა მღვამი, ღმერთთან მოდავე არსება — ადამიანი, რომელსაც სწამდა და სჯეროდა, რომ არსთავამრიგემ იგი შექმნა ბუნების ბატონ-პატრონად, მისი იყო ეს ვრცელი ველ-მინდვრები და იალაღები, ტყე, წყალი, თვითონ ისინიც, ურთიერთთან ქიშპს გადაყოლილი ფრინველნი და ცხოველები, ერთი სიტყვით, მთელი სამყარო, მაგრამ ბუნებაზე ბატონობასაც რომ არ სჯერდებოდა თვითონ ბუნების ეს უძლები შვილი და თავისივე თანამომეტა და სხვათა და სხვათა დაჩაგვრასა და დაწინვლას ლამობდა...

ადამიანთა ბუნების ამ უსამართლობის მხილველმა ყრმა გურამიშვილმა ცხოვრება ერთიან სასაკლოდ წარმოიდგინა, სადაც ერთნი „რაკი შემოქმედმა ასე ინება“ გულდაჯერებულნი და თავის ღვთის მოიმედენი მათი განგების თანახმად, „წესისამებრ“ მუსრავდნენ მეორეთ და სინდისის ხმაც სრულიად დამშვიდებული ჰქონდათ, იმ ვეფხვივით, რომელმაც მინდორში მობალახე ხარი ნახა, ტორი დაჰკრა, მოკლა, გადასანსლა და თავისი ბუნავისაკენ, ლაზათიანად დანაყრებულმა, არხეინად გასწია. მკვირცხლი გონების, ცნობისმოყვარე და შთაბეჭდილებიანი ბავშვისათვის, რომლის გული და გონება აღტყინებასა და სულეერ ძრწოლასაც ერთნაირად იოლად ეძლეოდა, თვალთ ხილულმა ასეთმა სურათებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა და იგი თავიდანვე დაჩაგრულთა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულთა მხარეს დააყენა. ალბათ,



შორეულ, ან სრულიად ახლო წინაპრისაგან მიიღო მემკვიდრეობად უსაზღვრო ოცნების ფრთების შესხმისა და ზეცის თაღებში ლაღად სრბოლის დაუოკებელი სურვილი, რადგან თავი ურჩხულთა, ზღაპრული დევებისა, ეშმათა და საერთოდ ადამიანს ჩასაფრებელი მტრების წინააღმდეგ უძლეველ მებრძოლად წარმოიდგინა. საშინელი და იდუმალებით მოცული ამბები იზიდავდა, გაუჟვალ, დაბურულ, ფესუებზე ტევრში ყიალი უყვარდა, ფათერაკებს ეძებდა, სადმე წასასვლელად მრუმე, უმთვარო ღამეს რჩებოდა, რომ სხვებზე თავისი უპირატესობა ამითაც დაემტკიცებინა. თავი იმ გმირად ესახებოდა, ვისაც გველე შაბისათვის უკვდავების წყალი უნდა გამოეტაცებინა და მშობელი ხალხისათვის დასარწყლებლად და გადასარჩენად მოეტანა.

დავითი ცხრა წლისა რომ შესრულებულა, მიხას მამისეულ სახლში მიუყვანია. მამას საკუთარი თვალით უხილავს, როგორ გამოქომაგებია მისი პირმშო ყმა-გლეხს, მაგრამ დიდჭირნახულსა და მრავალ განსაცდელგამოვლილ გიორგის სწორად ვერ აუხსნია შვილის საქციელი. მკათათვე მდგარა. ჰაერში თურმე სიცხის ბუდი ტრიალებდა და ჭრიჭინობლების გაბმული სიმღერა სიცხეს კიდევ უფრო აუტანელსა ხდიდა. გიორგის ყმაგლეხებს კალოობა ჰქონიათ. ალიონიდან კევრზე შემდგარ, სიცხისაგან გასავათებულ ანანია პავლიაშვილს კევრზე დგომაში თავისი თორმეტიოდე წლის ბიჭი შენაცვლებია. ბიჭი მაღალი ტანისა ყოფილა, მაგრამ მამაზე წონით, რაღა თქმა უნდა, მჩატე იქნებოდა. გიორგის მოურავს, გრილოში მოსვენებით მჯდარ სტეფანე ოზიი-შვილს დაუნახავს, შვილი რომ მამას შენაცვლებია, გაჯავრებულა, ჯერ მის ყიამყარლ ვინებას გაუჭკვეთავს ჰაერი და მერე შეუძახებია: — ემაგ წეროსავით აყლარწულ ცინდალს რა წონა აქვს, რომ კევრზე მდგომმა ჩაშლილი ძნა გალწეოს და თავთავს მარცვალი გააყრევიოს, ეხლავე დააყენეთ ცხენები, გადა-

მოხე კევრიდან, შე არგასაზრდელი შენა, და კევრზე ისევ მამაშენი შედგმს, თორემ ორთავეს ცემით სულს ამოგბლით!

ანანია მოურავის ბრძანების შესასრულებლად ზღაზვნით დაძრულა, ბიჭსაც დროზე ვერ შეუჩერებია ცხენები, გრილოში მჯდარი სტეფანე კი ქორივით წამოჭრილა და მამაშვილს სწორედ მამის წადგომია თავზე, როცა ბიჭს ცხენები. როგორც იყო, დაუტრეკებია. იმით განრისხებულს სტეფანეს, რომ მისი ბრძანება ფიცხლად არ შეასრულეს, ცალკე სიცხისა და ცალკე შიშით გათანგული ყმებისათვის მათრახი გადაუკრავს, ფანჩატურში მამაპაპურად მოკალათებულ გიორგის ყოველივე ეს საკუთარი, ბედნიერი ბატონის თვალით უხილავს, მაგრამ მოურავისათვის ერთი სიტყვა რაა, ისიც არ უთქვამს. ყრმა დავითი უცებ წამოფრენილა ადგილიდან, მოურავს მივარდნა და პატარა მუშტები გულმკერდის არეში დაუშენია. გიორგი გურამიშვილი შვილს გასწყრომია. პატარა დავითს უსამართლობისაგან გულში დაგუბებული ბოდმისათვის რომ გზა ვერ მიუცია, გაანჩხლებულა, აყვირებულა, მერე მიწაზე გაშხლართულა და ავზნიანივით მოჰყოლია ხელფეხის ქნევას. ბატონყმობის ჩვეულებრივ წესრიგსა და ადათს მიჩვეულ გიორგის კი შვილის უმიზეზოდ გაანჩხლება ვერა და ვერ აუხსნია და მეუღლისათვის შეუჩივლია: — ეს ბიჭი ავი ზნით დაავადებული კი არ გაგვეზარდოსო. მზევინარს სწყენია მეუღლის ნათქვამი და ტუჩაბზუებით უთქვამს — რა ვიცი, ჩვენ გვარ-გუჯაბში ავზნიანი არავინ გვირევიათ... მაშინ არც ცოლსა და არც ქმარს არ უფიქრიათ იმაზე, რომ არსებობს ძველისძველი, ლათინელ ავტორთაგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავი: „რომ ბავშვი არასოდეს არ ამბობს იმას, რაზეც სინამდვილეში გულმოსულია, იგი დიდი გულმოდგინებით მალავს ბოდმის

ელგუჯა მადრამე
გომევა



მიზეზს და თავის ვარაშ, ნაღველსა და დარდას ერთი შეხედვით უმიზეზო ისტერიული აფეთქებით გვიმხელს“.

ღმუილიანთ მიხას ერთხელ ათორღე წლის დავითი ვენახში ჩაუყვანია, ხელთ ოყიანი თოხი მიუტვია და თურმე ალიონიდან საუზმობამდე აბაყუნებინა. ვილაც მეჭორეს ეს ამბავი გიორგი ვურამიშვილის ყურამღე მიუტანია. ამბარტავან ბატონს წარბები შეუყრია, მიხამკაცრად დაუტუქსავს, მაგრამ ერთგული გლეხკაცისათვის ბოლოს მაინც შემარიგებლურად უთქვამს: „შენი მომავალი ბატონისთვის ასეთი უკაცრაული არ უნდა გეკადრებინაო“. დავითს მიხას თავსდანთხეული რისხვა უჩუმრად მოუსმენია, მამას არ შეპასუხებია, მაგრამ ნიქას უსამართლო დასჯაზე თავისი აღმფოთება იმიტ გამოუხატავს, რომ მეორე დღეს ბალახმოდებულ ზვარში ჩასულა და მთელი დღე უთოხნია. დამის მეხრეთავან ბულაყზე დასარწყულეზლად გარეკილ საქონელს თან რამდენჯერმე გაპყოლია, გუთნისდებებთან ერთად ალიონზე დგებოდა თურმე, რათა საქონლის უღელში გაბმისათვის ეცქირა და უთენია ცაში აჭრილი ტროლებების კვკვივი მოესმინა. ზედაზნის ხევხუვებში კუს, ზღარბებისა და გველხოკერების დევნა პყვარებია. პოულობდა თურმე ამ საცოდავ არსებათ და ტოლსწორებში მათი წვალებით ერთობოდა. ახატნელ ბიჭებთან ერთად უვლია სამწყემსურში. არაგვზე ჩარეკილ ბატებსა და ინდაურებსაც სდგომია მწყემსად და რქოსანი საქონლის მოვლა-პატრონობასაც ჩემულობდა თურმე. უყვარდა სათიბში სიარული. თივის ბულულებში კოტრიალი და გამზმარი თივის სურნელისათვის სული ელეოდა. რამდენიმე თვე ცხვარშიც ყოფილა, და მწყემსების ჯეცერი ცხოვრებაც ზედმიწევნით სცოდნია.

საგურამოს ზედა უბანში ყოფილა აღმართული საგვარეულო ციხე. აქ ამ „ვენახოვან, ხილიანი და ყოვლითა“ შემკულ შემოგარენში ქართლ-კახეთის მიჯნაზე, ქართლის შუაგულსა და არაგ-

ვის ჭალებში, ზედაზნის მთის დამრეც ფერდობებსა და ჯვრის მონასტრის ციხეცაბოებზე უძებნია ცნობისმოყვარე და ყოვლის ცოდნის წყურვილით გახელეზულ ყმაწვილის და ჭაბუკის გონებას გზა ხსნისა და მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ სცოდნია, რა ნარეკლით იყო აღსავსე მისი მშობლიური შემოგარენი, წინაპართა რამდენი თაობის ძელებითა და სისხლით იყო გაბოხიერებული ხსნის ის მტანჯველი გზა-ბილიკი, რაც საგურამოში დიწყო და შორეულ ცისქვეშეთში დასრულდა.

ღმუილიანთ მიხა წელმაგარი და შეძლებული გლეხი ყოფილა, მაგრამ მისი მეუღლე პატარა დავითს თურმე სავეტაბლას მაინც არ უდგამდა, აქაო და ბავშვი გაჭირვებას უნდა შეეჩვიოსო. ამიტომია, რომ პოეტს გაჭირვებისა და სიდუხჭირის ხსოვნა ღრმად ჩარჩენია გონებაში და სიბერეშიც ემდურის წუთისოფელს: „გამზარდა ჭირით, ძუძუთ და პირით, სხვას მიმცა ჭირით ფასითა ძვირით, ბევრჯელ მატირით მუცილითა მშვივრით...“ ეს იქნებ ტყვეობისდროინდელი სამდურავიც იყოს საწუთროსი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: დავით გურამიშვილს სოფლად გატარებულმა წლებმა ბევრი კარგი რამ შესძინა, რაც შემოქმედების ეკლიან გზაზე ტეშმართად წაადგა. ცოდვა გამხელილი სჯობსო, ასე მოძღვრიდა სამწყსოს მამაზეციერი და გულახდილად რომ ითქვას, სამადლო და კეთილი დავითის წინაშე მასაც ბევრი არაფერი მიუძღვის. პოეტური ნიჭი, მახვილი გონება, გარეგნული სიმშვენიერე მიჰმადლა და სწავლის გასრულება არ აცალა, ბედი შეუკრა, ჯერ ლეკების გზას გაუყენა და მერე სად არ ათრია. „ქაცვია მწყემსში“ ვილია მამას შესთხოვს, მასწავლეო. პოეტი ჩივის „არც მე ვარ სწავლით კარგად ნაზარდი, ძლივს მისწავლია ან-ბან-განდონი“. დავითს განათლება შინაური მიუღია. ჯერ კიდევ სრულიად პატარას ზამთრის გრძელ ღამეებში ენაწყლიანი ძიძისაგან მოუსმენია ათასგვარი ქართული თუ სპარსული ზღაპრები. ყრმა



დავითის ძიძას თავისი ქვეყნის სახელოვან შვილთა თავსგადახდენილი ამბებიც კარგად სცოდნია. ყმაწვილი თურმე სულგანაბული უგდებდა ყურს გლეხის ქალის მონათხრობს და გულში ამაყობდა, რომ მისი ქვეყანა და ხალხი თურმე ამდენი ჯურის მომხდურთ ერკინებოდნენ. დავითი გამორჩეულად იმ მღვდკაცთა სიჩაუქეზე ამბობინებდა ხოლმე ძიძას, ვისაც ბრძოლებში ბევრი „გადამთიელი“, „მუღრეგი“ (ეს მისი ძიძის სიტყვებია) დაეხოცა. სახელოვან გმირთა ვაჟკაცობით აღტყინებული „მცივრ ყრმა წიკვლასა ზედა ჯდებოდა“ და სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი ჯირითი, მოჩვენებით მტერთა ხოცვა-ჟლეტა, „ჯოხის ცხენით რბენა და ხლდომანი“ მის ახლობელ თუ შორეულ წინაპართაგან მტერთა მუსკრას დამსგავსებოდა. იგი მომხდურთ იმ გმირთა სახელით ებრძოდა, ვისი საარაკო საქმენიცი ძიძისაგან მოესმინა. ამიტომ ხან ცოტნე დადიანი იყო და ხან გიორგი ბრწყინვალე, ხან უსამართლოდ დასჯილი დემნა უფლისწული და ხან სააკაძე. საღამოობით ბუხართან ვატყრენილი კვლავ ხარბად ისმენდა ტბილდომოუბარი ძიძის მონაყოლ ქართველ გმირთა საგალობლებსა და სულთათანას. ვაოცებული და სასიამოვნოდ გაკვირებული იყო, რომ ამდენი ბრძოლის ვადამტანი მისი ქვეყანა და ხალხი ჯერ კიდევ ვერ გაენადგურებინათ და პირისაგან მიწისა საბოლოოდ ვერ აღეგავათ. სპარსელები, რომაელები, არაბები, ბერძნები, მონღოლები, თურქმენები და ვინ იცის, ვის არ დაეღაშქრა, თურმე მისი ქვეყანა, ვის არ წაესხა ტყვედ თვალტანადობით დარჩეული გოგო-ბიჭები, ვის არ გადაუწვავს ტაძრები, გაუტაცნიათ განძეული, დაუქცევიათ ქართველთა სახლ-კარი, გაუქუჟავთ მტერთან უთანასწორო და უსამართლო ომებში მდგრად მორკინალი ვაჟკაცები, დაუმდაბლებიათ ქალ-რძალნი, ვაუკაფავთ წალოკტივით აყვავებული ბალ-ვენახები, გაუნიავებიათ მის წინაპართა დოვლათი და რაც ჯორ-აქლე-მებისათვის ვერ აუკიდნიათ ცეცხლისა

და გენისათვის მიუციათ. მაგრამ მომხდურნი გაბრუნებულან თუ არა ქართველი კაცის გამარჯვე მარჯვენას კვლავ ფერფლიდან აღუდგენია და უღორძინებია ყოველივე და ყველაფერი. — იქნებ ჩვენი მოსისხლე მტრები დაწყნარდნენ და აღარ გვერჩიან, ძიძავ, — წამოსცდენია ერთხელ თემურ ლენგის ურდოებისაგან ხალხის უწყალო ხოცვა-ჟლეტის ამბით შეძრწუნებულ ყრმას.

— ეკ, შვილო, ჩვენი მტრების დაწყნარება რომ მართლაც შეიძლებოდეს, თვითონ ჩვენი ღვთის პირისაგან ვადვარდნილი დიდებულები არ მოისვენებენ, აშლიან ქვეყანას, ძმათაყვლელ ომებს გააჩაღებენ და სამოთხეში ისევ ჯოჯოხეთის მოციქულებს მოიწვევენ. ზოგს სპარსეთის ყაენის ნაწყალობევი თავი, თომარი, მურასა ხმალი და ხალათი ენატრება, ზოგს კი თურქთა ხონთქარის ქურქის ჩაცმის სურვილი არ ასვენებს...

იმდროინდელი ჩვენი ცხოვრება არავის ანებვირებდა, ქვეყანას ვასაჭირი აღვა და ქალ-ვაჟნი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ადრე მომწიფდებოდნენ ხოლმე. მოზარდთათვის და მით უფრო ყმაწვილებისათვის ოჯახური იღალია უცხო რამ ხილი ვახლდათ. მათ მკაცრი სპარტანული წესითა და რიგით ზრდიდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ დავითიცა და მისი ძმებიც გიორგი გურამიშვილმა აღსაზრდელად ღმუილანთ მიხას, გლეხკაცს მისცა. საბედნიეროდ, დავითს მარტო ღმუილანთ მიხა არა წვრთნიდა, თორემ ასეთი მასწავლებლის ხელში ნაზარდ ყრმას მხოლოდ ხმლის ვაჟკაცური მოხმარება, ცხენოსნობა, ნადირობა, უცხო ტომელი მარბიელი ლაშქრის ცხელ კვალზე მიყოლა, ციხე-სიმაგრეთა სააღყო ვარსშემოდგომა, იერიშზე გულდაგულ მისვლა, თავდაცვითი სანგარების მოწყობა და ბრძოლაში საჭირო სამხედრო თადარიგის დაჭერა ეცოდინებოდა.

დავითის დედას, დარბაისელ მანდი-
ელგუჯა ხალრაძე
ჯოდება



ლოსანს, ღვთისმოსავ მწვენიარს, შვილის სულიერ აღმზრდელად ვარსკვლავთმრიცხველობასა და მათემატიკაში ღრმად განსწავლული, ბერძნული და ლათინური ენების მცოდნე, ზედანის იოანეს ტაძარს შეხიზნული მღვდელი პავლე ლეკურიანის შვილი შეურჩევია. მამო პავლე მალე დარწმუნებულა, რომ საქმე ძალიან მკვირცხლი და გამჭირაბი გონების ბავშვთან ჰქონდა და მათემატიკასა და ვარსკვლავთმრიცხველობასთან ერთად აღსაზრდელისათვის ხაზვა და მიღებში წყლის მოძრაობის კანონები (ჰიდრაულიკაც) უსწავლებია.

განსწავლულ მღვდელს შეგირდისათვის არც ციურ სხეულთა სრბოლასა და შვიდი ცის საიდუმლოებაზე დაუკლია ცოდნა, მაგრამ ყველაზე მეტად ყრმა მაინც ფილოსოფიურ-რელიგიურ სწავლაში უწვრთნია. თეოლოგიურ-ფილოსოფიაში ყრმა დავითის განსწავლამ თავისი ნაყოფი პოეტის შემოქმედებაში გამოიღო. მამო პავლეს ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონია და როცა ილოცავდა თურმე ზედანის ეკლესია თუ გურამიანთ პატარა სამლოცველო მისი სმენად საამო სიმღერით ივსებოდა. პატარა დავითს ძალიან ჰყვარებია ხმელ-ხმელი, წარმოსადგეგი, მომხიზნავი გარეგნობის, ანაფორიანი თეთრწვერა ზუცესი და როცა ჰარმაგი მოხუცი იტყოდა დაწყებით ლოცვას: „სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ. თითქმის მღვდლის პირიდან პირველად გაიგონაო; ყრმა მაშინვე ჰკითხავდა: — თუ ჰეშმარიტი ღმერთი ერთია, მაშინ ძე და სული წმინდა ვინა არიან, მამო.

— ამ სიტყვებით, შვილო, ის ვინც ილოცევს, ამბობს, მე ვილოცავ მამის, ძის და სული წმიდის სახელით ანუ მათი შეწყვენი. მამა, ძე და სული წმიდა წარმოადგენენ ერთ ჰეშმარიტ ღმერთს და არიან სამი პირი ამ ჰეშმარიტი ღმერთისა. დიახ, შვილო ჩემო, ჩვენი ღმერთი სამპიროვანია, და სწორედ ამიტომ მართლმადიდებლები ღმერთს წმიდა სამებას ვეძახით. სიტყვით „ამინ“ ჩვენ ვადასტურებთ, რომ ეს ნამდვილად

ასეა. მერე მამო პავლეს ერთხანს ფიქრი წაიღებდა და ბავშვის საზღვარგარეთი განაოცები ჩუმად წარსთქვამდა: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა, რა სხარტი გონების ბავშვია“.

შეგირდიც კითხვას არ დაუგვიანებდა. — ეს რალას ნიშნავს, მამო?

— დიდება და ქება ეკუთვნის მართ ღმერთს, სამყაროს შემქმნელს, დაუსაბამოსა და უსასრულოს, სხვას რალას უნდა ნიშნავდეს.

— აბა ჩვენ რომ ვამბობთ: „დიდება მამასა, და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.“ ამინ“. ამაში რალა იგულისხმება, მამო?

— აქ შვილო ჩემო, ის აზრი გამოსქვივის, რომ ჩვენ ერთნაირად უნდა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მამა ღმერთს, ძეს და სული წმიდას. ეს დიდება ეკუთვნით მათ ამჟამად, ეკუთვნოდათ ყოველთვის და უნდა ეკუთვნოდეთ დაუსრულებლად უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ აქ ხდებოდა საოცრება და ღვთის სამებაში და მისივე ერთარსებაში შეექვებული შეგირდის ურწმუნო გონება თავისივე უნდობლობის გასაფანტავად მათემატიკას მიმართავდა.

— თუ სამი ეტოლება ერთს, მამო, და ერთი ეტოლება სამს, მაშინ ერთს რომ მიუმატოთ ერთი იქნება ექვსი და მაშინ ორჯერ ორი ოთხი რადა?

ყრმის საოცარი ლოგიკით განაოცები და უხერხულ ყოფაში ჩავარდნილი, მაგრამ ვარსკვლავთმრიცხველობაში ღრმად განსწავლული მღვდელი საშველად იმწამსვე ციურ სხეულთ მოუხმობდა ხოლმე.

— ჩვენი მნათობი — მზე არის ცხოველყოფელი, განმანათლებელი და გამათუბებელი და ვინაიდან ისინი არიან სამნი: ცხოველყოფელობა, ბრწყინვალეობა და სითბო და ამავე ღროს სამივენი არიან ერთნი და აქეთ ისეთი სხვაობა თითქოს არიან სამნი, ასევე მამა და ძე და სული წმიდა შეადგენს ერთ ღმერთს. მამა არის — ნათელი უზენაესი, ყოვლად ცხოველი, ძე მოზიმზიმე



ბრწყინვალეობა დიდად მშვენიერი, სული წმიდა მცხუნვარება უძლიერესი გავარვარებული, სიტყვ სიყვარულისა.

„დავითიანში“ ალბათ მამაო პავლეს თეოლოგიის ფილოსოფიაში განსწავლულობის გავლენით ასეთი სტრიქონები გვხვდება:

„დიდება შენდა ნათელი, ერთო სამ-სახეო!“

ან

ღავით თქვა ღვთისა ქებანი...
აქებდა ღმერთსა ცათაგან,
ყოველთა მისთა ძალთაგან,
ირაკა ისამა
საბაოთი იწამა,
მამის და ძისამა
და ხულის თქმისამა.

ცხოვრების დარჯჯავამოვლილი, განსწავლული და დაბრძენებული გურამიშვილი „დავითიანში“ ერთ ადგილას ჩასწერს:

მამის და ძესა და სულსა სიტყვით აქვხით
განყოფილება,
მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან, ამის არ უნდა
ცილება.
მამა უფნებლად მალდა ჭდა, ქვე ძეს ხვდა
მოცაკვდინება,
სულს რაღა შეეგებოდა, თვალთაგან არ
ახილება.

ახლა ძნელი სათქმელია, სად ჰქონდა ამოკითხული სამებისა და ერთარსების განმარტება მამაო პავლეს, თეოლოგიის რომელ ძველისძველ წიგნებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მამაო პავლეს კარგად სცოდნია სქოლასტიკაში გაბატონებული შეხედულებანი ნათელზე, რომ ქრისტიანობამ შეხედულება ნათელზე ძველი აღმოსავლეთიდან აიღო და მას მერე დაკანონებული იქმნა, შეხედულება: ღმერთი არის ნათელი, ღმერთის სიტყვა არის ნათელის გამოშუქება. ანტიკური ხანის ფილოსოფოსები აბტიკუბდნენ: იღვები ნათელს აფრქვევენო და ადამიანთა ცოდნა ამ სინათლით არის გაშუქებულიო. მათი მოძღვრების შედეგად შეიქმნა შეხედულება ღმერთზე, როგორც ნათელზე და ნათლის დასაბამზე.

ცხადია ისიც, რომ „დავითიანში“ მა-

მაო პავლეს ეარსკვლავთმრიცხველობა და მნათობებზე სწავლანმაც ჰყოფილი თავისი ასახვა:

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად
გალექსულია;
იგ სამივე ერთი მზე არის, არ ცალკე
გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა
სულია;
ვისაც სამება არა სწამს, სჯულთაგან
გარდასულია.

მამაო პავლესთან უბრალო მოკვლავი მღვდელი კი არა, ღვთაების მზესთან შედარებას თეოლოგიის ფილოსოფიაში ღრმად განსწავლულნი, მსოფლიო სახელის მქონე, წმინდა მამანიც მიმართავდნენ, თუმცა ეს შედარება თვითონ ღვთაებისათვის ერთგვარ საძრახ და სათაკილო საქმედ მიანდათ.

წმიდა ბასილიოს დიდი (330—379) — და ერთი არის სამი, რომელი არს ღმერთებო, ვითარცა სამი მზე ერთი მერორეში ჩასმული. ერთი განფენა ნათელისა.

წმიდა გრიგოლ ნაზიანელი (330—391) — ნათელი არის ღმერთებო ნათელი... ეს არის ერთი და იგივე ღმრთება სამი პირით, თითქო სამი მზე, სავსებით გაერთიანებული, მხოლოდ ერთსა და იმავე სინათლეს გამოსცემდეს... უნდა გეთაყვანოთ სამებას ერთში და ერთს სამებაში...

წმიდა მამა ეფრემ სირიელი (+373) — „მამა არის მზე; ძე არის სინათლე; სული წმიდა არის სიტბო“.

წმიდა იოანე ოქროპირი (344—407) — „ძე (იესო) განუშორებელია მამისაგან, ისე ვით შუქი მზისაგან“.

წმიდა ათანასე (295—373) — მამა და ძე არიან ერთი ისე ბუნებრივად და იმგვარადვე, როგორც მზე და ბრწყინვალეობა ერთი და იგივეა... სამება არის ერთი მზე და მისი ბრწყინვალეობა და ერთი ნათელი მზეში და ბრწყინვალეობაში... შუქთა ანარეკლიც ნათელია, მაგ-

ელგუჯა მარბაძე
ჯიღება

რამ არა მეორე, მზისაგან განსხვავებულ
ლი ნათელი, ან სხვა ნათელი, ან მასთან
შეუზიარებელი, არამედ საკუთარი ნა-
ყოფი მისი... ასევე არის ღმერთი
ერთი და სამება... მამა არის ნათელი,
ძე — შუქი, სული წმიდა — განმანათ-
ლებელი ძალა.

წმიდა დიონისე არეოპაგელი — ცი-
ურ ძალთა გამო მსჯელობისას დიონისე
არეოპაგელი არკვევს ანგელოზს რატომ
ჰქვია სხვა სახელთა შორის, აგრეთვე
„არწივი“ და ამბობს: „არწივი არის სიმ-
ბოლო მეფობისა, მწვერვალისაღმე მის-
წრადებისა, სწრაფი ფრენისა, სიმარდისა.
ცქვიტობისა საკვების ძებნაში, მზერის
მკვეთრობისა; იგი უმზერს თავისუფ-
ლად და პირდაპირ, რათა განჰვიტოს
ძსშუქნი, რომელთაც ღმრთიებრი მზის
სიუხვე ამრავლებს“. როგორც ვხე-
დავთ, დიონისე არეოპაგელი ღმრთიებას
უწოდებს აგრეთვე — ღმერთიებრი მზე!

წმიდა იოანე დამასკელი (700—790)
ამბობს: რათა გასაგებად ვახადოთ სა-
მების საკითხი, ჩვენ შედარებასაც კი
მივმართავთ. მზე ნათელი და მისნი
შუქნი (სითბო) და ეს არის ხატი ხი-
ლული უხილავისა, ხატი გრძნობადი
ზეგრძნობადისა... მართლაც ერთი სიტყ-
ვით რომ ითქვას, ღრმთებდა განუყოფე-
ლია პირებში (სამებაში), ძვე, როგორც
სამ მზეში, რომელიც ერთი მეორეს შე-
იცავს, არის მხოლოდ ერთი ნათელი თა-
ვისი შინაგანი შეთანხვითა“.¹¹

„მზეთა-მზის შესხმა და ჰემმარიტის
გზის თხოვნა დავითისაგან“ გურამიშვი-
ლი წერს:

დიდება შენდა, დიდება, ხაზით მზეთა-მზეო,
მიუწვდომელი ნათელიო, გრძელიო, ძველი დღეო,
უფალი უფლებათაო, მეფეთ-მეუფეო!
უბერებელიო, უკვდავო, მყოფო, შეურყეო, —
შენ გაქვბ და ვეაქვბი დაკარგული ტყვეო,
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო!
ვით მე ვთხოვ, ჰემმარიტო შენ გზა მაუწყეო!

ღმერთი, დიონისე არეოპაგელის მი-
ხედვით, ცხოვრობს მიუწვდომელი ნა-

თელის სასუფეველში, ადამიანთა მიწ-
ვის მზერას ამ ბრწყინვალეობაში მხოლოდ
წვეა, მისი ხილვა, არ შეუძლია, აბი-
ტომ ღმერთი მიუწვდომელი და მიუ-
წვდენელი ნათელია. გურამიშვილთან
ღმერთი, როგორც ვხედავთ, „მიუწვდომე-
ლი ნათელია“ იგი გრძელი, ძველი დღეა.
ბიბლიაში იგი იწოდება: „დიდი, სრუ-
ლი, უწინარეს საუკუნეთა“; ეს, კი იმას
ნიშნავს და ასე ღმერთი იმიტომ იწო-
დება, რომ იგი საუკუნეებს წინ უსწრებ-
და, იგი იყო „ღროთა უწინარეს“ და
თვითონ იგი „არს საუკუნე უსასრულო
და ყოველივეს ღრო“. დავით გურამიშ-
ვილმა ზედმიწევნით იცის ფილოსოფი-
ურ-რელიგიური მოძღვრებანი, ქრისტი-
ანული თეოლოგიის საფუძვლები და
ამიტომ, რომ მის ლექსებში ასე უხვა-
დაა მიმობნეული ღვთის ბიბლიიდან
მომდინარე სახელები. მზე, რომელიც
არეოპაგელის მიხედვით, არის მაგნი-
ტით ყოველივეს თავისაკენ მიმზიდ-
ველი, ამავე ღროს ღმერთის შუქთა-
მფრქვეველი ხატი.

მამა ხარ დაუხანამო, არა ვაქვს დახარულია,
ხიტყვა ვაქვს ძველ მოთხრობილ, გვხმენია აქ
მხოლოდ.
არა ხარ ღმერთი მტყუარა, ვაქვს ჰემმარიტო
სულია,
ერთი ხარ, მაგრამ ამ ხიტყვით ხამალ ხარ
ვალექსულია.
მზე და სხივი და ნათელი ვით ხამალ
ვალექსულია.
იგ ხამივ ერთი მზე არის არ ცალკე
ვაქვასხულია.

სახარებაში ნათქვამია, რომ მზე ერ-
თიანად დაპნათის მართალთა და ცრუთა,
ერთიანად წვიმს კეთილთა და ბოროტ-
თა ზედა (ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა
ვიყვარდეს მტერიცა და მოყვარეც),
„გესმა (რამეთუ თქმულ არს, შეიყვარო
მოყუთასი შენი და მოძულლო მტერი შე-
ნი.

ხოლო მე გეტყვი თქვენ: ვიყვარდეთ
მტერნი თქუენნი და აკუროთხედით
მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფ-
დით მოძულეთა თქუენთა და ულოცავ-
დით მათა, რომელნი გამძლავრობდნენ
თქვენ და გღვენიდნენ თქუენ.

¹¹ წმიდა და მამათაგან სამებასთან მზის შედარება ციტირებულია წიგნიდან „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“.



რათა იყენეთ თქვენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათისა: რამეთუ მზე მისი აღმოვალის ბოროტთა ზედა და ქეთილთა და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათე, 5, 45-48).

ჩვენ თვალნათლივ ვნახეთ, რომ დავით გურამიშვილი თავის შემოქმედებაში სცნობს სამება-ერთარსებას, იგი თავყანსა სცემს და ეაჭება „ღმერთსა სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულსა“. ამავ დროს მისთვის კარგადაა ცნობილი ის თეოლოგიური სწავლანი, სადაც ღვთაებას მზეს ადარებენ და თვითონ ღვთაებას მზეთა-მზეს უწოდებენ. ასევე მზეთა-მზეს უწოდებს თვითონ დავით გურამიშვილი პოემაში ღმერთს და მიიჩნია, რომ: „მზე სხივი და ნათელი სამად გალექსულია და იგსამი ერთი მზეა“. ჩვენი ღრმა რწმენით, ის ადგილები, რომლებიც პოემიდან მოვიტანეთ თვალნათლივ ადასტურებენ თეოლოგიის ფილოსოფიასა და მსოფლიო სასულიერო მწერლობაში დავით გურამიშვილის ღრმად განსწავლულობას. სულიერ მამათა სწავლანმა „დაუსაბამო ნათელზე“, „წარუვალ ნათელზე“, „დაუღამებელ ნათელზე“, „მიუწვდომელ ნათელზე“, „ყოვლად სახიერზე“, „სულთა ზონიერთა მზეზე“ თავისი ასახვა პპოვა პოეტი გურამიშვილის ცხოველ სტრიქონებში.

მან დამაყენა, წამოაყენა
მან მზეთა-მზემან შარავანდელი,
ბნელში მგდებარე გამოვდ ვარ
ვითა დავლამდი, ისევ ვახსენდი!

ეს მერმინდელი ამბებია, თორემ პატარა დავითს უფრო მკრეხელური აზრებიც ჰქონია. ძმის სიკვდილით შეძრწუნებულ ყრმა გურამიშვილს მოძღვრისათვის ერთხელ უკითხავს:

— ღვთის დასჯა თუ შეიძლება, მამაო?

— ეს რა ღვთის წყრომია შენს თავს და საიდან გებადება თავში ეს მკრეხელური აზრები, შვილო? — უთქვამს შეშფოთებულ მღვდელს.

— მაშინ უსამართლობას რატომ სჩა-

დის ღმერთი. მამაო? რას ერჩოდა ჩემს პატარა ძმას, რომ უღროოდ უხმო მის სულს ზეცაში, ხოლო ხორცი აქვე, ჩვენი ეკლესიის ეზოში დაგვაფლევინა? ან ჩვენს ქვეყანას რას ერჩის ღმერთი, მამაო? რატომ არ ჩაჰყრის იმ წუთკლებს ცეცხლსა და გვენაში, ვინც არ გვახვენებენ და ჩვენს მიწა-წყალს აოხრებენ?...

— ალბათ ჩვენთა ჩადენილთა ცოდვითათვის გვსჯის, შვილო!

— მაშინ ჩვენს მტრებს რატომ არ უბნელებს გონებას ვიდრე ჩვენს ანაკლებად გამოილაშქრებდნენ, იმათ ხომ არა სწამთ ჭეშმარიტი ღმერთი, ჩვენი მაცხოვარი, მამაო?

— არც მათ ასცდებათ განკითხვის დღე, შვილო.

— ვაი თუ გვიან მიუვიდეთ მისაგებელი, მამაო, და ჩვენმა მტრებმა ჩვენი გაუუყუვა მოასწრონ.

— სვეტიცხოველის საკურთხეველში რომ ქრისტეს გამოსახულუბაა მისი მხატვარი იცნობდა თუ არა მაცხოვარს პირადად, მამაო?

— არ იცნობდა, შვილო, ფრესკა გაცილებით გვიანაა შექმნილი.

— თუ არ იცნობდა, როგორ უნდა დავიჯროთ, რომ გამოსახულუბა ნამდვილადა ჰგავს მაცხოვარს, მამაო?

მამაო პავლე გაყუჩდა და არაფერი უბასუხა.

— თუ ღმერთი ყოვლის მხილველი და ყოვლის მცოდნეა, მამაო, მაშინ რად მიატოვა ზეციური საუფლო და ამ ცოდვილ მიწაზე რად ჩამოვიდა? ვანა თავისი საბრძანებლიდან გულთა მხილველს, ყოვლის მიჭრეტსა და ყოვლის მცოდნეს არ შეეძლო დაენახა, შეეტყო და გაეგო, რასაც მისი შექმნილი ცოდვილი ადამიანები სჩადიოდნენ?

ყოვლის წინასწარ მცოდნეს და ყოვლის შემძლეს ვანა არ ძალუძს ადამიანებს აუკრძალოს ის, რასაც ცოდვების ჩადენა ჰქვიან, და რისი გულისთვისაც

ელგუჯა მადრაბი
ჯოდება

ზეციური სასუფევლის ნაცვლად ადამიანები ცეცხლსა და გენაში სამუდამო სატანჯველად უნდა განიწირნენ? ადამიანის ვონება რად უმხედრდება უფლის ნებასურვილს, მამაო, რად ეწინააღმდეგება და ეურჩება? ადამიანი და მისი ვონებრივი შემართებაც ხომ უფლის შექმნილია?

ამდაგვარი ბავშვური გულუბრყვილო კითხვებით, თუმცა ბავშვის პირით მუდამ ქეშმარიტება ღაღადებს, ყრმა გურამიშვილს თავისი მწერტონელი უხერხულ ყოფაში ბევრჯერ ჩაუყენებია და მამაო პავლე მუდამ გულწრფელად ევედრებოდა თურმე არსთაგამრიგეს მიეტყვებინა ყრმისათვის მკრეხელობა.

დრო-უამი მაშინაც თურმე თავისებურად უწყალოდ ვიდოდა, დამეს დღე ენაცვლებოდა და ამასობაში ყმაწვილი ჭაბუკად ქცეულა. მის ძარღვებში კი ორივე მხრიდან ცისფერი სისხლი ჩქეფდა, ალბათ ამ ცისფერი სისხლის მიზეზით იყო რომ თვალის გუგები ჭროლა გამოჰყვა. ოთხი წყრთის სიმაღლეს ჭაბუკობაშივე მიადწია, მერე არც ვაზრდილა და უფრო აზოვანი ეთქმოდა, ვიდრე მაღალი. მხრებში ლალად გაშლილს გრძელი მკლავები და ვეება ხელის მტევენები ჰქონდა, უფრო ხმლის ვადის ჩასაბლუჯად შესავგანი, ვიდრე კალმისა. უღვაშები თექვსმეტის წლისას აეკოკრა. ვაღიმებისას რცხილის გულივით თეთრი, ნაფოტა კბილები გამოუჩინდებოდა ხოლმე. ხელის ჩამორთმევისას მოჭერა არ უყვარდა. მაგრამ ჯანის სიმრთელესა და სიმავრეს უმაღვე იგრძნობდით. წაბლისფერი თმა, დაფანჯული წარბები, კეხიანი ცხვირი, გრძელი წამწამები, გამოკვეთილი ნიკაპი და პატარა პირი, მნახველთ მყისვე დააცდენინებდათ ხოლმე, სანდომიანე შესახედავით.

ერთხელ ვარდობისთვის დასაწყისში მამაო პავლეს აღსაზრდელისათვის უთქვამს, მცხეთას გიორგობის დღესასწაულზე უნდა წავიდეთ და მსახურს უთხარი ჯორები შეგვიკაზმონო. დავითს მსახურისათვის დაუვალებია მამაო პავ-

ლეს ჯორი შეუკაზმეთ, მე კი ცხენით. ცხენოსნობაში სიჩაუქის ჩვენების მოწადინე ყრმას სულიერი აღზრდელისათვის ჯორზე შეჯდომაზე ცივი უარი უთქვამს და თავისი გაუტანია. გზად მიმავალთ თურმე თავზე გუგულმა გადაუფრინათ. მამაო პავლეს უთქვამს, მტაცებელი ფრინველის თავზე გადაფრენა კარვად არა მაქვს დაციდილი და უკან დავბრუნდეთო. დავითს ამწამსვე შეუგებებია პასუხი: გუგული, მამაო, ერთი შეხედვით მიავაგს მტაცებელ ფრინველს, თორემ თუ კარვად დააკვირდებით, ფარფარა ნისკარტზევე ეტყობა, რომ მტაცებელი არაა. იგი სრულიად უწყინარი ფრინველია, მავნებელ მწერებს ანადგურებს. ღვთის წინაშე მართო ის ცოდვა მიუძღვია, რომ ბუდეს არ იკეთებს, ეგ შეჩვენებული კვერცხს მიწაზე სდებს, მერე ბოლოქანქალას ან მხეწვიას ჩაუდებს ბუდეში და ბარტყებს იმათ აჩეივნებს და აზრდევინებს. დედალი გუგული სულ მარტო ცხოვრობს, მამალს მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა დაპეპლვის დრო უდგება ხოლმე.

— გუგულის ამბავი კარვად გცოდნია, შვილო, ეტყობა, ღვთის პირისაგან გადავარდნილ მისასთან ცულ-უბრალოდ არ დაეხეტებოდით ტყე-ღრეში.

— ცულ-უბრალოდ რად უნდა დავხეტებოდეთ, მამაო, გუშინ კაკანათით ისეთი ლამაზი ხოხობი დავიჭირე, რომ ქრისტეფორე ლამის გულზე გასკდა. მარტო მისი ჭრელი ფრთების შესხედვა ღირს ერთ რამედ. მერე კული როგორი აქვს. ცისარტყელის შვიდი ფერი მაგასთან არაფერია. თვალის გუგებს გარშემო კი მქაზე წითელი ბუმბული აქვს მოდებული. იმას ქვევით მომწვანო რგოლი ავლია, უფრო ქვევით კი თითქოს თეთრი საყელო აქვს გაკეთებული.

— მაშ ისიც გეცოდინება, დედალი ხოხობი რატომია შინაური ქათამივით შეუხედავი?

— ბუნებას მაგათი ჯილაგი ავრე შეუქმნია, მამაო, დედალი ხოხობი ბალახებში უნდა იჯდეს და მტრებისაგან თავს იმით იცავს, რომ გარემოს შეხა-

მებუღია. ვაზაფხულზე თოვლის დნობისას ყურადღება რომ მიიქცეოს, მამალი ხობობი ერთი ყვივლითა და ჭანჭახით აიჭრება ხოლმე ცისაქენ...

ყრმა გურამიშვილმა უცებ ბულბულის სტვენას მოჰკრა ყური და დადუმლა: — აი, ახლა იგი გულისსწორს უმღერის, მამაო, ეს კი მართლაც ბუნების საოცრება გახლავთ, ასეთი სმენად საამო და დამატყვევებელი გალობა ხშირად მშის ამოსვლის წინ და მშის ჩასვლის მერე, შებინდებისა და გამთენიისას იცის ბულბულმა, დღე იშვითად გალობს და ჩვენ დანავსული კი არა ბედნიერ ფეხზე მივდივართ სვეტიცხოვლისაკენ, მამაო. ბულბულიც ძალიან შეუხედავი, გონჯი ფრინველია, ბელურასა ჰვავს სივარჯეში, თუმცა მასზე ცოტა დიდია.

სჯა-ბაასში გართულნი მალე მცხეთას მიადგნენ. პირუტყვები დააბინავეს და ტაძრისაკენ ფეხით გაემართნენ. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი დავითს ადრეც ბევრჯერ ენახა, თუმცა თვითონ კათალიკოსის წირვის მოსასმენად და სანახავად პირველად იყო.

მდიდარსა და ღარიბს, მქონებელთა და არასქონეთ, ყველას მოჰქონდა შესაწირავი, ძღვენი. „მოაქუნდეს შესაწირავი და საკუმეველი, მანანი და გუნდრუკი“. მოჰქონდათ და მღუმრიად შედიოდნენ აღსავლის კარით საკურთხეველში. შედიოდნენ მღუმრიად, რადგან, „ღმერთსა ესმის მღუმრიადიცა ვედრებაი“.

დავითმა საკუთარი თვალთ იხილა, როგორ იდგნენ შეცოდებულნი სვეტიცხოვლის ტაძრის გალავნის შესასვლელ კარებში. ისინი ვანკრძალულნი, დარცხენილნი და მუხლადარეკილნი ევედრებოდნენ მორწმუნეთ, ელოკათ მათთვის და გამოეთხოვათ ზენაარსისათვის, ეპატებინა შეცოდებანი მათნი. თვითეული მათგანი შეტირებით იყო დასჯილი და გალავნის კარს იქით ვადაბიჯება ეკრძალებოდა.

მდიდრულად მორთულ-მოსირმულმა, გოროზად მავალმა უამრავმა ქალმა და

კაცმა და მათ გვერდით ღარიბულ სა-
მოსში გამოწყობილმა გლეხობამ, დანაკარ-
კონკილ-დაძონძილმა მათხოვრებმა და
უპოვრებმა დაკითხე წარუშლელი შთა-
ბეჭდილება მოახდინეს.

ჩამოქნძილი, დაბღრენილტალავარი-
ანი მათხოვრები, რომელთაგან ზოგი-
ერთ საპყარს შეუხორცებელიარიანი
ჭრილობები და სხეულის მახინჯი ნაკე-
თები სახალხოდ გაეშისვლებინა. ერთი
შეხედვით მორჩილნი, რაღაც თვინი-
რად იდგნენ და ელოდნენ... ელოდნენ
ამა ქვეყნის ძლიერთაგან ვანკითხვას,
ელოდნენ მათ მოწყალებას ალბათ იმ
იმედით, რომ აქ ღეთის ტაძარში ისინი
უფრო გულაჩვილებულნი იქნებოდნენ.

ყველა ქვეყნის ღარიბ-ღატაკებმა და
მათხოვრებმა კარგად უწყყიან, რომ შეძ-
ლებულთა ქისებში განგებამ მათი კუთ-
ვნილი წილიც ჩასდო და ისინი დამკრ-
თალნი, მორიდებულნი, მოკრძალებუ-
ლი და ხელგამოწვდილნი დგანან ხოლ-
მე, რათა ლოცვითა და თავდრეკიობით
როგორმე აიძლონ მდიდარნი ამა
ქვეყნისანი და გასაკითხი გააცემინონ.
გალავანში თავმოყრილ ზღვა ხალხში
გზა მაინც გაიკვლიეს და ტაძარში შე-
ვიდნენ. გუნდრუკი უქვე ეკმით და
ყნოსვას სანთლისა და საკმეველის საამო
სურნელი უღიზიანებდათ. მორწმუნეთა
მიერ დანთებულ უამრავ სანთელს ტა-
ძარი რაღაც უცნაურად გაებღვრი-
ალებინა. ირგვლივ საკმეველის მათრობე-
ლა სურნელი იფრქვეოდა. ტაძრის შიგ-
ნით აუარებელი ხალხი შესულყოფ, მაგ-
რამ სამარისებურ სიჩუმეს არავინ და
არაფერი არღვევდა. კათალიკოსის ამ-
ბიონზე ასვლის მოლოდინში ყველა
გატერენილი იდგა. დავითმა ქრისტეს
გამოსახულებსაკენ გააპარა მხერა.
ისე მოეჩვენა, რომ მაცხოვარსაც მომ-
ლოდინე სახე ჰქონდა. მხატვარს შთა-
გონებით აღვსილი, იქნეულთვალეზი-
ანი ბრძენკაცი დაესურათხატებინა. აშ-
კარად სჩანდა ფერების შერწყმის საო-

ელაგუჯა მალაშა
გოდება

ცარი უნარი. მორწმუნეთათვის ეს იყო სულჩადგმული სურათი, რომელიც მჭკრეტელთ თავისი შთამაგონებელი გამომეტყველებით ზებუნებრივი მადლფენილობით, კეთილშობილებით და სახის დიდებულებით იზიდავდა. სურათზე აშკარად ჩანდა დაბნეული ცხოვრების ღრმა კვალი, განცდათა სიღრმე, დიდი სულიერი ტკივილები, თითქოს თავისი გამომეტყველებით მაცხოვარს მრისხანე განაჩენი გამოპქონდა სწორედ მათთვის, ვინც მის დასასჯელად აღმართა მარჯვენა. მხატვრის ჩანაფიქრით გამოსახული იყო ღრმა ფიქრებში ჩანთქმული ბრძენკაცის ადამიანურ-ღვთაებრივი სახე, რომელიც უბრალო ადამიანთა ბედსა და უბედურებას შეუძრავს, მათთვის დამაშვრალა, მათთვის გაუწირავს თავი და მათთვის ასულა გოლგოთაზე. მოყვასთათვის უკისრია ამქვეყნიური ტვირთის შემსუბუქება და თავი სამსხვერპლოზე ზვარაკად მოუტანია. „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ გამო გამოუღვია თავი მხატვრისაგან სიბრძნის ბექლით დაღდასმულ ღმერთკაცს.

ხელოვანს თავი არ დაუზოგავს, რათა ნათელი ფერებით გადმოეცა იღუმალი, საკუთარ გულში ღრმად დაფარული სურვილი, რომელმაც ხელში ფუნჯი ააღებინა და ქეშმარიტი ღმერთკაცის, ყოველივეს წინასწარმჭკრეტის, ყოვლისმცოდნისა და გულთამხილავის სრული ხატება შეექმნა. ხაზები ნარნარაა, ფერები ნათელი, და დამაშვიდებელი ლურჯი ტონები სჭარბობს, რითაც მაცხოვარზე მორწმუნეთა წარმოდგენა ბრწყინვალედაა გახსნილი. მხატვარი აძულეებს მხილველთ ძრწოდნენ ბუმბერაზი ბრძენკაცის წინაშე, მჭკრეტელთა ეს შიში და კრძალვა კი ქვეშეცნეულად სიყვარულში გადადის, რითაც დამკვეთი მომხატვინებლისა და მხატვრის ნება-სურვილს ესხმოდა ფრთენი. დავითს მხერა მწუხარებისაგან დამაშვრალმა ღვთისმშობელმა მოსტაცა. ეს არ იყო წმიდა მარიამის ის ხატი, სადაც ღვთიური ნების შემსრულებელ ქალწულს სახეზე ბედნიერების იერი აქვს

აღბეჭდილი და ხელში ჩვილი ყრბი იტყუჭირავს.

ეს იყო ენითუთქმელი ტანჯვითა და ვაგებით აღსავსე. მწუხარებისაგან პირგამეხებული ქალწული, რომელიც ჯვარზე გაკრულ, ფერღში მახვილოგაყრილი სისხლმოთქრიალე შვილის წინ იდგა, თრთოდა, ცახცახებდა, შველას, შემწეობას და თანადგომას შესთხოვდა მამაზეციერს, მაგრამ ამაო იყო მისი ღაღადისი, ვაება და ცრემლი, რამეთუ ჯვარცმულის მტრებსა და მოყვრებს სასმენელნი განვებ დაეხშოთ.

3. ტირილი ღვთისმშობლისა

მოღით, ყოველნო შვამღვკვარნო დედანო,
 შეიყარენით!
 შემწყწარებ(ე)ლი აწ თქვენი მარიამ
 შეიყარენით,
 ესმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრემლინი
 გარდმოყარენით,
 სულს ეცით მისგან ნუგ(ე)ში, გულს ჭირნი
 უტყუარენით.
 ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისი, ღვთისა
 ცხებული,
 ეკლის გვირგვინით მოსიღღო, შიშველი,
 გაიციებებული,
 ჯვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა
 ლახვარიც ხებული,
 ათრთოლდა, ზარით დაეცა, ვახლა ვით
 დამარცხებული.
 მოედვა მწარედ სახმილი, შეიქმნა
 დადაგულობით;
 დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევნი
 გათანგულობით.
 თქვა: დამეკარვა საწუთრო ჭირნახულ
 დაკარგულობით,
 დამიქენა გულის ყვავილი, გავბდი ვით გალი
 რგულობით.
 იცემდა მკერდსა და გულსა, იტყებდა,
 ესრეთ ტიროდა:
 ვით შტოზედ მორჩო ახალი, ფესვ-არსოანო
 ძირო და
 ვირემ შენს ჩრდილთა ქვეშ ვიჯექ, მე თავი
 არ შემწიროდა,
 ახლაც გვ(ე)დრივარ, უშენოდ არ შექმნა,
 არ ვა(მ)წირო და.
 ვაიმე თვალთა ნათელს, ხსიო მის მწეთა
 მზისაო!
 ხაზით ვით ნორჩო, ნაყოფით, ძირ-კეთილ,
 შრტოვ ვაწისაო.

გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის
გზისაო.
შენ იყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ
რაზისაო.

ღვთისმშობლის განწირული სულის-
კვეთების მომზირალ ყრმა გურამი-
შვილს ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა.
იგი მავანთა და მავანთა უგულობამა
და ვულქვაობამ ააღლევა და შეაძრ-
წუნა. რა იცოდა მაშინ ყრმამ თუ მისი
ბედის კარაბადინში არა მარტო შვილის
დაღუბვის გამო უსაშველო მწუხარე-
ბით შეძრული ქალწულის ხატების ხი-
ლვა, არამედ ღვთისმშობლის ურვისა
და სევდის ამსახველი მუსიკის მოსმე-
ნაც ეწერა და ისიც შორეულ მაგდე-
ბურგში. იქ მოისმინა ტყვეობიდან თავ-
დახსნილმა გურამიშვილმა იტალიელი
კომპოზიტორის ჯოვანი ბატისტა პერ-
გოლუესის საეკლესიო საგალობელი
Stabat mater dolorosa,¹² როცა მაგ-
დებურგის ტყვეობიდან თავდახსნილი
ღვთისათვის მადლობის სათქმელად
ეკლესიაში შევიდა.

დავითმა ახლა სხვა კედლებზე გადა-
იტანა მზერა. კედლებიდან განაწამები
სახეებითა და თითქოს დამკრთალი,
მავედრებელი თვალებით შემოსცქერო-
დნენ წმინდანთა გამოსახულებანი, რო-
მლებიც ურჯულოებსა და უწმინდურთ
სასიკვდილოდ გაემეტებინათ, წმინ-
დანთ ღია ჰრილობებიდან სისხლი სდი-
ოდათ. დავითმა კედლებიდან მომზი-
რალ წმინდანთა თვალებში დიდი სუ-
ლიერი სიმტკიცე. უტეხი ნებისყოფა,
ქედუზრელობა და ბედს შეუთრიგებლო-
ბა ამოიკითხა.

უცებ წმინდა გიორგის გამოსახულე-
ბის გვერდით, ამბიონს უკან თეთრ

¹² Stabat mater dolorosa, ლათ. იღვა დამ-
წუხრებელი დედა. კათოლიკური საეკლესიო
საგალობლის საწყისი სიტყვები. ექვსენაა წმ.
მარიამის ტანჯვის აღწერას. ამ თემაზე მუსი-
კალური ნაწარმოები მრავალმა კომპოზიტორმა
შექმნა, მაგრამ მსოფლიო სახელი მხოლოდ
პერგოლუესს stabat-ს ხვდა წილად. იგი
დაწერილია ქალთა ორი ხმის, ორკესტრისა
და ორლანსათვის. პერგოლუე იტ. კომპ.
1710-1736.

ქართულ კაბაში გამოკვალთული, წალ-
ზე ფართო სარტყელშემორტყმულ
ქალის ხატება შენიშნა, ძალიან დააკ-
ვირდა, მაგრამ მასში ვერც ერთი წმინ-
დანი ვერ შეიცივნო. ქალს ისეთი განიერი
და მაღალი თეძობა ჰქონდა და ისეთი
პირშეგენიერი იყო, რომ ძნელი მისახ-
ვედრი არ იყო, მხატვარს იგი ხორციე-
ლი მშვენიერების სიმბოლოდ გამოესა-
ხა და მისი ხატება წმინდა ტაძარში
თვალსაჩინო ადგილზე, ალბათ იღუ-
მალ მიეხატა.

„ნეტარ არიან მოწმუნენი რამეთუ
სჯერათ“, ჩასჩიხინებდნენ საეკლესიო
მამები მორწმუნეთ და მათაც ღრმად
სწამდათ და სჯეროდათ, რომ ღვთაება
იყო ხელოვნების, ცოდნისა და სიბრ-
ძნის დაუშრეტელი ანკარა წყარო, სიბ-
რძნის სათავე, ყოველგვარი სიკეთის
დაუსაბამო საწყისი, „მზე“, „ნათელი
ნათელთა“, „ყოვლად ბრწყინვალე უხი-
ლავი ნათელი“, „სახიერება“. ამიტომ
იყო, რომ ხელოვნების სწორუპოვარი
ტაძრები შემკულია დიდებული ფრეს-
კებით, რომელთაც ყველა დროის მხა-
ტვრები ღვთის სადიდებლად ჰქმნიდ-
ნენ. ჰუმბარტი ხელოვანნი რწმენით
აღვსილნი მუშაობდნენ საპატრიარქო
თუ უმნიშვნელო ტაძრებში და განუშე-
ორებელი სილაზისა და ღირებულე-
ბის მხატვრულ ნიმუშებს ასურათხა-
ტებდნენ. საეკლესიო მამებმა ყველა-
ზე კარგად უწყობდნენ თვალთ ხილუ-
ლის შემოქმედების ძალა გონებაზე,
მათი სურვილი იყო მორწმუნეთა გუ-
ლი, გონება და სული ნიადაგ მორჩი-
ლებაში ჰყოლოდათ და რაკი იმისი
შესაძლებლობა არა ჰქონდათ, რომ
მორწმუნეთათვის ღმერთი ეჩვენებინათ,
მას უხილავი შეარქვეს, და მრევლს
კი მისი ხატით და ზეციური სასჯელით
აშინებდნენ. ისინი ყველაზე გამოჩენილ
მხატვრებს იწვევდნენ ტაძრების ფრე-
სკებით შესამკობად. ხატავდნენ დამა-
შვრალი ხელოვანნი ცოდნისა და სიბ-

ელგუჯა-მარამბე
გომდება



რძნის სიმბოლოდ ფრთოსან ქერუბიმებს ფრთებზე დაყრილი თვლებით. ქერუბიმთა ფრთებზე დაყრილი თვლების სიმრავლე სიმბოლო იყო ამ ფრთოსან ანგელოზთა ცოდნისა და სიბრძნისა. და როგორც საღვთისმეტყველო წიგნებიდანაა ცნობილი, ანგელოზთა სიბრძნით მკვებავ წყაროს დაუსაბამო, უსასრულო და განუსაზღვრელ სიბრძნის ნიშანს წარმოადგენდა ღვთაება, რომლის შიკრიკებად ითვლებოდნენ ღვთაებასთან ყველაზე ახლო მყოფი ანგელოზები, ქერუბიმნი და სერაფიმნი.

ანგელოზის გამოცხადებას „ცხადად“ თუ სიზმრად ჩვეულებრივ, აზრის გაელვების, აზრის გაჩენის მაუწყებლად სთვლიდნენ. მოაზროვნე ადამიანს დღეს არ უყვირს, როცა რაიმე აზრი უჩნდება და ამბობს, თავში ასეთი აზრი მომივიდა ან ასეთმა აზრმა გამიელვაო, ასეთი აზრი გამიჩნდაო. აზრის დაბადებას ჩვენს გონებაში, ჩვენ ზებუნებრივ ძალას აღარ მივაწერთ, ჩვენ აღარა ვართ აზრის კერპთთაყვანისმცემლები.

შუა საუკუნეებში და უფრო ადრე კი ადამიანს აზრი უფრო ღვთაებრივ საბურველში, ღვთაებრივ სამოსში განფენილი ეგულებოდა. თავის აზრს ადამიანი შემოქმედს მიაწერდა და აზრს ზეციურ, ამაღლებულ სახეებში წარმოსახავდა. აზრის გამოხატულების ფორმად კი ციდან ცოდვილ მიწისაკენ და უკანვე მიმოფრენ ანგელოზებს ვარაუდობდა.

სვეტიცხოველში ქრისტეს გარშემო უჩვეულო არსებანი რიალებდნენ. მხატვარს ერთი მათგანი ნახევარ ფრთოსნად დაეხატა. ეს სანახევროდ ფრთოსანი და სანახევროდ ადამიანური არსება ორბორობიანი ეტლის ზედადგარსა და ზეწარს ებჯინება. მეორე მრავალფრთიანია და ძნელი შესამჩნევი არაა. რომ ფრთებზე, ცაზე ვარსკვლავებით უამრავი ადამიანური თვალი აქვს გამოსახული. სწორედ ეს გახლავთ თაობიდან თაობაზე გარდმომავალი, სიმბოლოებით გამოხატული, სერაფიმებისა და ქერუბიმების ქართული სა-

ეკლესიო ფრესკული მხატვრობა. უამბო სიავეს გადარჩენილი ჯერ კიდევ უძველესი შემონახული კედლების მომხატველთა ნამუშავევი ამკაოდ გვიდასტურებს, რომ სხვადასხვა მისიით მიმომფრენი ანგელოზების ხატვა ჩვენს ეკლესიებში დიდად მიღებულია და გავრცელებული ყოფილა.

ლიტანიობის დაწყებამდე საეკლესიო გუხდა კათალიკოსის მაცხოვრისადსი აღვლენილ ლოცვა-ვედრებას „უფალო შეგვიწყალებს“, „შენ ხარ ვენახი“ მოაყოლა. სამთავროს ტაძრის მონაზონ-მგალობლების წკრილა პირველი ღვთაებრივ პასგებად დაიღვარა ტაძარში. ზედაზნის წმინდა იოანეს ტაძრის ვაჟებმა მეორე სთქვეს. ბანი თვითონ სვეტიცხოველის ღვთის მონებმა დააგუგუხეს, მათ სალოცავად მოსული ძრევილი აჰყვა და ტაძარი, სადაც ყოველი ქვა და დუღაბის უმცირესი ნაწილიც კი ექოს გამოსცემდა, ყურთასმენის დამატებობელმა, გულის, გონებისა და სულის წამლებმა ერთიანმა, საამო ხმებმა აავსო. ღვთისა და ქვეყნის საგალობელი ჰიმნებისათვის სულიერ მამებს, წყობილი მარგალიტებით, ისეთი სიტყვაამკაულები მოენახათ და ისეთი პანგები მიესადაგებინათ, რომ მათი მოსმენისას მორწმუნე მართლმადიდებლებს კი არა ღვთისპირისაგან გადავარდნილ სულით გლახაკთაც კი, თავი სულთა განსაწმენდელში ეჩვენებოდათ. მორწმუნეთ კი საგალობლები სულიერად ამაღლებდათ და ლოცვის მერმე ტაძრიდან ისეთი რწმენით აღვსილნი გამოდიოდნენ, თითქოს ამქვეყნიური ცოდვები ზმელთა და ცათა მეუფეს მათთვის მართლაც შეენდოს და მიეტევებინოს.

ტაძარში კვლავ ღვთის სადიდებელი საგალობელი დაირბა. საკურთხევის წინ მდგარი მგალობელი ბერების გუნდი ხმაში ოქროს აწნავდა. ამ სევდიანი სიმღერის პანგები, თეთრი გედის სიმღერასავით შიშის ზაფრსა სცემდა მსმენელთ, რადგან მორწმუნეთ სიკვდილს ასხენებდა და ჩადენილ ცოდვათა გამრ



ზეციური, გარდუვალი სასჯელით ემუქრებოდა. ამ საეკლესიო საგალობელს წერები ისეთი, გზნებით, გრძობითა და აღმაფრენით ასრულებდნენ, თითქოს მათთვის უზენაესის ნებით უკვე განხმულიყო კარი მეშვიდე ცისა და ალა მხოლოდ ტაძარში მყოფი მორწმუნენი ჰყოლოდეთ განსაწმენდელში, რომელთაც თითქოს ცოდვების მიტევებისა და განსაწმენდელის განვლის შემდგომ ცად ამალღება ელოდათ.

იმ დღეს კათალიკოსმა ჯერ საეკლესიო წმინდანთა წიგნებს შეასხა სიტბა: „ცეცხლი მარადის ეგზებოდეს საკურთხეველსა ზედა, — დაიწყო ხავერდოვანი სასიამოვნო ხმით მან და განაგრძო: არა მოვივით ოქროი, მავნებელი, არამედ წიგნი მარგებელნი სულთა ჩუენთანი“...

წირვა-ლოცვა კარგა ხანს გაგრძელდა და ჩვეულებრივ მატანიით დასრულდა.

ტაძრის შიგნით ლოცვა დამთავრდა თუ არა, ლიტანიობა დაიწყო. ყველანი ტაძრის ეზოში გამოეფინენ, ხატები გარეთ გამოიტანეს. ხელთ კელაპტრები ბჰყრათ და სვეტიცხოველის გარს შემოვლა იწყეს.

ამ ხელთუქმნელი ტაძრის აღმშენებელი ზუროთმოძღვრისა და კედლების მომატველთა მიმართ ყრმა გურამიშვილი წინათ მხოლოდ ბრმა თაყვანისცემისა და უღრმეს მოკრძალებას განიცდიდა, მაგრამ იმ დღეს, თითქოს მის სულსა და გონებაში რაღაც ახალი გრძნობა ჩაისახა, თითქოს პირველად იხილა ტაძარიც, ფრესკული მხატვრობაცა და ტაძრის შემოგარენიც. ჭაბუკმა ეზოში გოროზად გაიარა, რადგან მის გონებაში სწორედ იმჟამად გაცნობიერდა, რომ ეს ენითუქმელი მშვენიერება მის წინაპართა ნახელავი იყო. მათი შრომითი და გონითი ნაღვაწი. ამის შეგნებით ზვიადად თავაწუქულმა ყრმამ სულ სხვა თვალთ შეხედა ტაძარს; სულ სხვაგვარად წარმოუდგა გონებაში თავისი დიდებული წინაპრები. ისინი, ვისაც სწორუბოვარი, უკვდავი ძეგლების შენება და მოსურათხა-

ტება შეეძლოთ. ამ დღიდან ქართული ზუროთმოძღვრება, ქართული ფრესკა, ქართული ოქროსკედლობა და ქართული ლექსი მისთვის გაცნობიერებული სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი, ფასეული, „ვერვისგან ანაწონები“ და საამაყო შეიქმნა.

ტაძრის ეზოში გამოსული დავითი ახლა უფრო დაჟინებით დააქკერდა უბოვართ, რომელნიც ერთი შეხედვით დამკრთალნი, გალურსულნი და თავდადრეკილნი იდგნენ. დავითმა მათ თვინიერ, მავედრებელ, უსასო მზერაში თითქოს ის შუქი და უტეხი ნებისყოფის, ქედუხრელობისა და დაუმორჩილებლობის სხივი იპოვა, რაც ტაძრის შიგნით ფრესკებზე გამოხატულ წმინდანთა თვალელებში შენისნა. მაშინვე გააჩსენდა მამათ ჰავლეს შეგონება: ქრისტე გლახაკთა, დავრდომილთა და უბოვართა ღმერთი იყოო...

ტაძრის ეზოში გამოსულმა დავითმა მოლიტანიეთა შორის ვიღაც ტანკენარი, შაოსანი, ახალგაზრდა ქალი დალანდა. ქალის სხეულის მშვენიერებას ვერ ფარავდა წამოსხმული მადფორი სადედოი. მართალია, მამათ ჰავლეს შეგონებანი მუდამ ხორციელი სიამოვნების ამოებასა. ხორცის დათრგუნვასა და ზეციური სასუფეველის დამკვიდრებაზე საუბრით გასრულდებოდა ხოლმე, მაგრამ ასაკს თან მიინც თავისი მკაცრი მოთხოვნები ახლავს. დავითს უკვე თხუთმეტი წელი უსრულდებოდა და თვალნი უნდოდა თუ არა მიინც დიაცთა სავსე უბებებისაკენ ეპარებოდა. განიერ და მაღალთეძობიან ქალებს ვნებოან. ხარბ მზერას დაადევნებდა ხოლმე. ეტყობა ქალებს არსთაგამრიგემ რაღაც თილისმა, ჯადო, თუ ანდამატი დაანათლა, რომ ყველა მამაკაცს მალვითა თუ ჯიქურ თვალი მათკენ გაურბისო, — გაიფიქრა და ის თვალწარმტაცი, ხორციელი მშვენება კარგად აათვალთაღრ-ჩაათვალთაღრა. დაა-

ელგუზა მალრაძე
გონდვა

კვირდა და თითქოს მოულოდნელობისაგან გახევდა. კარგა ხანს იყო ასე. დაბოლოს, მიხვდა, რომ სწორედ ამ შაოსანი დიაცის ენითუთქმელი მშვენიება გამოესახა მხატვარს ამბიონის უკან, წმინდა გიორგის გამოსახულების გვერდით, სვეტიცხოვლის კედელზე. მერე ისე მოეჩვენა, რომ ქალიც შეფარვით, გარნა დაეინებით უტყვარდა, ერთი პირობა იფიქრა, ადამიანს რაც უნდა ადვილად სჯერა და კიდევ ეჩვენებოდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, თავისი თავის შემოწმება ეწადა. მოლოტანიეთა მომდევნო შემოვლისას ქალმა თვალი თვალში გაუყარა, დავითი გაოგნდა, დიხნა... სასიბებით მავედრებელთ ხელთ კელაპტრები და ხატები უჭირავთ, სვეტიცხოვლის ყოვლისშემძლე ტაძარს გარს ლოცვით უვლიან და მაცხოვარს ცოდვათა განტევებას შესთხოვენ, მე კი გონებაში ღვთისმგობელი აზრები მომდისო — უსაყვედურა თავის თავს. მერე თვალით მამო პავლე მოძებნა და იქაურობის მიტოვება გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს კვლავ გაუპირისპირდა ის შაოსანი, ისევ სტყორცნა თვალთა ისარი და იდუმალად გაუღიმა კიდევ, დავითი მომხდარმა ამბავმა ისე განაცვიფრა, რომ აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ერთი პირობა იფიქრა, ჭიქურ მივალ და გამოველაპარაკებო. იმ წუთს რა არ წარმოიდგინა... იმ შაოსანი ქალისადმი უდიდესი ლტოლვა იგრძნო. სისხლი აუჩქროლდა და ხორცმა ყივილი უწყო. ერთბაშად გადაავიწყდა ყველა და ყველაფერი. თითქოს რაღაც უჩვეულო ძალა მოემატა, მზად იყო ამ ქალის გამო ათას ზღაპრულ ურჩხულს შებოძა. მზად იყო ცისა და ქვეყნის დასასრულამდე უკან ედია მისთვის. უნდოდა, ეს სანეტარო ბურანი არ გაფანტულიყო, რომ არ დაეკარგა ის, რისი პოვნა სიზმრადაც არაოდეს უფიქრობა.

მოლოცველთ საღამო შეუმიჩნევლად წამოეპარათ. ჩამოწვა ლილისფერი ბინდი, რომელიც ნელიად ღამეულ სი-

ლურჯეში გადაიზარდა. მთვარე მარცხენა მხარეზე აღმართდა. ზედაზნის მთებმა და მთის მთებმა შარმა მოშრიალე ხეებმა ჩრდილები შავ მოჩვენებებად წამომართეს. მოულოდნელად ის შაოსანი მოლოცველთ გამოეყო, გონმიღებულ, გახევებულ დავითს მიუახლოვდა და ჩურჩულით უთხრა, — ბებრის ციხესთან მელოდე და მერე ჩემს თეთრონს უკან მსახურით საპატიო მანძილზე სდიე, თუ გინდა უკვდავების სამსალა შესვაო. ამის თქმა და ელვასავით უეცრად მოვლენილი მიღეთის ხალხში მოჩვენებასავით გაჰქრა. ახლა კი უცებ მოეგო ვონს დავითი, თვალის დახამხამებაში გაღავანს გარეთ გაჩნდა, იმ ეზომდე, სადაც ცხენი მიაბარა მგელივით იძუნძულა, რაკი ცხენს ზურგზე მოექცა, ქალი ველარსად წამივლო იფიქრა, გული დაიარჩენინა და ბედაური ბებრის ციხისაკენ გააჰქენა.

ცად აზიდული ზედაზნის მთის თხემების შავი ჩრდილები საღამოს სიმყუდროვეში მდუმარედ ჩაწოლილიყვნენ არავგის ქალზეში. ასეთი ჩრდილები ჩვეულებრივ, მარტოსულ მგზავრს შიშის ზაფრასა ჰგვრის. მაგრამ ცისიერი მარტო აღარ იყო. მან ძუს გუმანით იცოდა, რომ ყრმა ახლა მის მიტოვებას სიკვდილს არჩევდა. აკი დაუხვდა კიდევ დათქმულ ადგილზე.

ამორძალივით იჯდა მიმქროლავ ცხენზე ის, ვისაც აქ დარაჯად ედგა დავითი. ქალმა დაუბრებულებით ჩაუარა. დავითმა ცოტა ადროვა და მერმე უკან გამოენთო. წინ მიმქროლავმა ცხენმა გზიდან მარჯვნივ გადაუხვია, არავგზე გადებულ ვიწრო ხილზე შედგომის წინ ხაფი ხმით დაიჭიხინა და მერმე ზედ ჩორითთ გავარდა წიწამურისაკენ. დავითი უხმოდ იჯდა თავის ბედაურზე და ქალს უკან საპატიო მანძილზე მიჰყვებოდა. ვაკე საგურამო წინმიმავალმა ჰენებით განვლო, მთვარის შუქზე ვერცხლისფრად მოლაპლაპე არავგი მარცხნივ მოითოვა და აღმართს შეუყვა. ბიწმენდს რომ მიუახლოვდნენ, გაავებული ნავაზების



ყვეა გაისმა, მაგრამ მხედარმა ისე გაიარა ვიწრო შუკები, ვითომც აქ არაფერიყო და სოფლის ბოლოზე, პატარა ციხის გვერდზე მიდგმულ ორსართულიანი სახლის ალაყაფის კართან შეჩერდა. დავითმა იცოდა ეს სახლი. მიხასთან ერთად სანადიროდ მიმავალს ბევრჯერ მოუკრავს თვალი მჭახე წითელი ფერის აგურით ნაშენი განმარტოებული შენობისათვის. სახლს ირვკლივ წალოტვივით ბაღი ერტყა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი. სახლი სწორედ იქ იყო აგებული, სადაც ბიწუნდის პატარა ციხის ზედა კედლები თავდებოდა. ძველ ციხეს კარგა ხანა მორღვეოდა დახვავებული, სუროფათოლოთი დაფარული კედლები, გარნა ვიდაცის გამრჩვე მარჯვენას ძველი, პატარა ციხის კედლებიც მჭახე წითელი ფერის ქართული, ბრტყელი აგურით ხელახლა ეშენებინა. სწორედ იმ სახლის ალაყაფთან შეაჩერა ცხენი ქალმა, ჩამოქვეითდა, გალავანში შესასვლელი კარი თვითონ გახსნა და დავითს ცხენების თვალაში შეყვანა უბრძანა. ისიც კარგად გაწვრთნილი ყმა-გლეხივით დამორჩილდა. სახლი უკაცური დაუხვდათ, მაგრამ დავითს არ უკითხავს ასე დედაბუდიანად სად, არ რისთვის ვაკრეფილანო. მან კარგად იცოდა, რომ ყველანი სვეტიცხოველში დღეობაზე იყვნენ წასულნი.

დარბაზში შევიდნენ. ქალმა კელაპტრები აანთო. დავითი სინათლეზე უფრო კარგად დააკვირდა ქალის აშხვართულ ტანსა და წელთა მიმოტანას. სიარულისას არ მიიჩხეოდა. ნახად, ნარნარად მიჰქონდა მაღალი თეძოები. შავგრეზანი იყო. უბებში დიდრონი, ცისფერი თვალის გუგები ესხდა. სწორი ნაკეთები ჰქონდა და ისეთი ხვეული გიშერივით თმის პატრონი იყო, რომ მის დანახვაზე ბიბლიური ვოლიათი სამსონიც შურით შეიძროდა. ალბათ ნაქანდაკარი ფეხები და მკვრივი მკერდი ექნებო, გაუსრიალა გონებაში ავხორცობის შტოსა და ყლორტის გასახარმა საამო აზრმა ყრმას და გააქროლა. ნე-

ტავე ერთი მკერდგაღელილი მაჩვენაო, ინატრა. როცა ქალი საწოლთან მივიდა და ქვეშაგების სწორებას მოჰყვა, დავითის გონება რაღაც საიმედო ნეტარების ბურანში გაეხვა. აზრმა ოცნებათა საუფლოში შეაცურა და ხორცის ყვილის იდუმალ ხმას აჰყვა. ქალი დიდრონ თვალებს ისე აციალებდა და რამდენჯერმე ისე ეშმაკურად გამოჰხედა, რომ თუ დავითს ცოტა რამ იმედი ჰქონდა ჩადვრილს ვულში, იმ იმედს ვენების სახმილი კიდევ უფრო მოუკიდა. ქალი არ ელაპარაკებოდა, მხოლოდ გაუცინა, ლალისფერი ბაგენი გახსნა და მივრით მიწყობილი, უბიწო თოვლივით თვალისმომკრელი, ელვათა მკრთომელი კბილები გამოუჩნდა. დავითს გული ეუბნებოდა გადასულიყო „ღვთის ნაბრძანებ თმენას“, „აპყოლოდა გულისთქმას“, „ეწინამძღვრებინა თვალნი“, „ნდომა ვერ ეთმინა“, „მეცა უფლება ხარბთა და გაუმაძღართა თვალთათვის“, მაგრამ იღვა გაოგნებული და ჭოკმანობდა. ქალი კარგა ხანს შორით დაგოგმანებდა და საქმიანობდა. მოულოდნელად იგი ვაჟს მიუახლოვდა, ორი თითი ამოსდო ნიკაპქვეშ, დახრილი თავი მაღლა ააწევინა და თავისი ცისფერი წყალჩამდგარი თვალებით თვალბში ჩაჰხედა. დავითმა რაღაც მათრობელა სურნელი იგრძნო, სისხლი საფეთქლებში მოაწვა და სხეული ერთიანად დაებანჯა. ქალმა ხელი მოჰქიდა ჭაბუკს და საწოლისაკენ წარუძღვა. ისიც მორჩილი ბაღლივით უხმოდ მიჰყვა. ის მათრობელა სურნელი, ქალის მიახლოვებაზე რომ იგრძნო, სულს უხუთავდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სათქმელი ყელში დახიჩხირობდა, ეშინოდა, დალაპარაკებოდა. ქალი არ გამოეფხიზლებინა და ურთაშადა ყველაფერი ერთად არ დაეკარგა. ყველაფერ ძალუმაღ იგრძნო საფეთქლებში სისხლის მოძალემა, თითქოს საკუთარი გულის ბაგაბუკის ხმაც შემოესმინა რაღაცნაირად, შინაგანად

ელგუჯა. მალრამე
ზოღობა

აღტყინდა, ატროკდა, ციებიანივით აცა-
ხცახცა. როცა ახალგაზრდა ქალმა ძვირ-
ფასი ბლოხდის ლეჩაქი მოიხადა, მუქი
ლურჯი ხავერდის სახლართავიანი კაბა
გაიძრო და დავითის თვალწინ ჩაქიანი
მეწამული ფერის ყანაოზის პერანგა
დარჩა, დავითი მთლად გაოგნდა. ქალის
გამპრიახმა მსერამ უცებ შენიშნა ჭა-
ბუჯის შეკრთომა, ჩასდამოგნებმა თა-
ვისთვის გაიღიმა, მერე ყანაოზის პე-
რანგიც გაიძრო, აზღუდი და ბითავის
აღერსა ზედ შეიჩინა. ერთ წამს ვა-
ჟის თვალწინ ქანდაკივით იღვა, მერე
ეს ენითუთქმელი მშვენება ლოგინში
შეწვა და თავის უმწეო მოულოდნელო-
ბისაგან გონებაარეულ მსხვერპლს თა-
ვისთან მიუხშო. დავითი ერთ წამს და-
ყოვნდა, რადგან სწორედ მაშინ გაახ-
სენდა:

აზისთვის გწულობს, შვილო. შენ ღმერთი,
რომ კარგი ხაქმე შენა ჰქენ ერთი;
ვარდო გვირგვინებითა, თავის თავს ნებითა
გაძლევდა ქალი.

და სწორედ ცთუნება როცა გეძა-
ლება „თუ ღვთის მცნებაზე ივლთ-
მოდგინებ, დაითმენ, ღმერთი კეთილს
მოგაგებსო“. — გაახსენდა. გონება წი-
ნალუდგა გულისთქმას, მაგრამ ეს წი-
ნაღმღვებომა უმალ აჩქროლებული სი-
სხლის ყვილისაგან იძლია. „მისდია
თვალთ ნდომას, გარდახდა ღვთის მცნე-
ბას, ეშმაკთ თქმა ისმინა, გულით ვერ
ითმინა“, დაივიწყა დამოძღვრა სულიე-
რი მამისა და მისი ნაბრძანები: ელვი-
სებურად მიეახლა საწოლს, ქვეშავებში
შეუწვა, ფარჩის აზღუდი და მაქმან-
მოვლებული აღერსი თავისი ხელით
გახადა. ქალის ღვედივით მოქნილი
სხეული გველივით გაიკლაკანა. იგი
შტაქუნზე გულაღმა გადაწვა და ვნება-
მორეულმა ესლა ამოთქვა:

— ო, რა კარგი ხარ! როგორი მშვე-
ნიერი ყოფილხარ, სასურველო! რამ-
დენი ხანია მამაკაცი არ შემხებია. ისე
მაგრად მომხვიე მკლავები, რომ ძვლე-
ბი დამიბტვრიო, გვედრები, მატყინე
რაზე. მინდა, რომ მამაკაცის სიახლოვე
ვიგრძნო, თორემ სიზმრებმა გამათავეს,

მიჩვენებთთი კი ყველაფერი დასწავ-
ლოს ღმერთმა! მითხარი, რომ ვინაა
ვარ, პო. ყურში ჩამჩურჩულე, მითხარე
ვარხარ და გაღმერთებ-თქო. მომეფერე,
მომეალერსე, და რაც ენაზე მოგადგეს,
ყველაფერი დაუფარავად ყურში ჩამ-
ჩურჩულე. მინდა ვიცოდე, განკაცების
ქამს რა სიტყვებს ამოთქვამ...

ქალმა ხელები თავქვეშ ამოიღო და
ჯაილურსა. მისი ღვთაებრივი სილამა-
ზე და დედიშობილა სხეული, მთელს
სიცოცხლეში თავანკარად შენახულ,
ხანდაზმულსა და ნამარხულევ, დაყუ-
დებულ მორწმუნე ბერსაც კი აცთუ-
ნებდა. მით უფრო ახლა, როცა ვნების
სახმილმოდებული გულაღმა იწვა, და-
ბერილი ნესტოები უთრთოდა და ცეც-
ხლმოკიდებული სხეული ერთიანად
უცახცახებდა.

შიშველი სხეულის დამაბრმავებელმა
მშვენიერებამ დავითს თავბრუ დაჰხ-
ვია. იგი წყალში მხტომელივით უცებ
შეცურდა ვნების მორევეში და ადამიან-
თა უკვდავების სამსალს დაბადებიდან
მოწყურებული დაეწაფა „უკუწვებიან
რბილად შტაქუნსა და მოჰყვებიან ჩქა-
რად ქ.....“ როცა ატეხილმა ჟინმა გა-
უარა და დამშვიდდა, მაშინდა ამოიღო
ხმა: — უკვე ვიცი, რომ ცისიერს გეძა-
ხიან, ვიცი, რომ ქვრივი ხარ, მაგრამ ის
მითხარი, შენი ხატება სვეტიცხოველის
კედელზე საიდან გაჩნდა?

— მიმრქმელებს ჩემთვის ცისიერი
უწოდებიათ, აზნაურ გიორგი რატიშვი-
ლის, სვეტიცხოველის ძველ ფრესკათა
აღმდგენელი მხატვრის ცოლყოფილი
ვარ, ქმარი ამ სამი წლის წინ ლეკებ-
თან შეტაკებაში დამელუბა, ჩვიდმეტი
წლისა დაჰქვრივიდი მე სვედაესილი...

დავითი ტუჩებზე დაეკონა და ისე
ჩააჩუმა ქალი. აღარ უნდოდა კიდევ
სმენოდა რაიმე ავი ამბავი და ნეტა-
რება წამწვარებოდა.

ქალთა უმრავლესობას ხომ კატის
ხასიათი აქვს თანდაყოლილი. როცა
ეძალეები და კუდში დასდევ გაგირბის
და ქარიშხალივით მაშინ მოვა, როცა
არავინ უხმობს. ხასიათი ისეთი ცვა-



ლებადი ჰქონდა ცისიერს, ვარდობის-
 თვეში ამინდმა რომ იცის, ხელავ, კა-
 კაშა მზე დაჰნათის ქვეყანას, უცებ
 მოიღრუბლება, ცას დაგრაგნილი შა-
 ვი ღრუბლები გადაფარავს, ელვა მო-
 ჰაკვდავი გველივით გაიკლავნება, სად-
 ღაც მეშვიდე ცაზე ჰეჭა-ქუხილი ქვეყ-
 ანას შესძრავს, წამოვა თქეში, ღვარად
 დაღვრილი წყალი მიწას დაფარავს...
 უცებ გამოიდარებს, ჩამოწოლილი ღრუ-
 ბელი საღდაც ისე მალღად გაიპარება,
 რომ თვალს ვერ შეასწრებ, ცა მოისარ-
 კება და დედამიწის ტრფობით მოუღ-
 ლელი მზე კვლავ გულუხვად სტყორც-
 ნის სხივებს თავის საყვარელს, რათა
 უმისობით გაბლიკებული მკერდი გაუთ-
 ბოს და ისედაც ცოდვილი ქვეყანა კვლავ
 ახალი ყლორტებნაყარი ცოდვის ნაყო-
 ფით დაამძიმოს.

რაკი ქალთან სათხოვარი და სავედ-
 რებელი აღარაფერი დარჩა, სათქმელიც
 აღარაფერი ჰქონდა და ჰაბუკი გაყუჩდა.
 ენებადამცხრალ ჭალს კი ახლა ენა ექა-
 ვებოდა და ლაპარაკის საღერღელი
 აეშალა. სირცხვილი ორივე მხრიდან
 მღუული იყო და იგი ოთახიდან უხ-
 მოდა და უხმაუროდ გაძურწულიყო.
 ცისიერი ერთბაშად ატიტინდა. წარამა-
 რა იმას ეკითხებოდა ჰაბუკს: — ჩემ-
 სავით თუ გყვარებია ვინმე? ოდესმე
 სხვას ჩემსავით თუ შეიყვარებ? მაც-
 ხოვარი დაიფიცე, რომ სიკვდილამდე
 გეყვარები და ჩემთან იქნები!

ცისიერი, მართალია, ოცი წლისა იყო,
 მაგრამ ცხოვრებას მისთვის ადრე ეჩ-
 ვენებინა მკრჩხალი ბრჭყალები, ამი-
 ტომაც ძალიან მალე მიხვდა, რომ მათ
 შუა პირდაბჩენილი. უზარმაზარი უფსკ-
 რული იყო. და მწარე სიმართლით გულ-
 მოკლულმა ესლა ამოთქვა: ვიდრე ეშხი
 და ლაზათი შემრჩება, მანამდე მაინც
 მიერთგულე და ნუ მიღალატებ!

— თუ სიყვარულსაც მორჩილება,
 აღამიანის ნების შეზღუდვა და თავი-
 სუფლების გაყიდვა. სჭირდება, ესეც
 აღამიანის დამამონებელი გრძნობა ყო-
 ფილაო, — გაიფიქრა დავითმა და ხმა-
 მალლა კი არაფერი უთქვამს.

ყრამ პასუხი დაუგვიანა, ცისიერს
 კი ეტყობა, გონებაში ის ერთადერთ
 სანუკვარი აზრი უტრიალებდა, რომ
 ეს ახოვანი ჰაბუკი მხოლოდ მისი სა-
 კუთრება, თვალეში შემეყურე, ნების
 უსიტყვო ამსრულებელი, შმაგი მიჯ-
 ნური ყოფილიყო და სხვა არაფერი.

— დავით, მითხარი, რომ ქვეყნად
 ყველასა და ყველაფერს გირჩევნივარ,
 რომ ჩემს ვარდა თანამეცხედრის შერთ-
 ვამდე არავის შეიყვარებ, რომ ჩემთან
 ყოფნამ გაგაბედნიერა, თორემ შენმა
 დუმილმა სული გადამილია და მოთმი-
 ნება მეკარგება.

დავითი თითქოს კრიჭა შეუტერესო,
 ხმას არ იღებდა. მაშინ ქალმა უციღუ-
 რეს ღონეს მიმართა: ამოთქვი რამე,
 თორემ ჩემს ტოლსა და ფარდს მეც
 ვიშოვი და თვალებს დაგიყენებო, —
 დაემუქრა.

— შენა ხარ პირველი ქალი, ვისაც
 დავუფლავ, და ჩემს გრძნობებში ჯე-
 რაც ვერ გავრკვეულვარ, არც ის ვიცი,
 რა უნდა ვითხრა, არც ის, როგორ მო-
 გეალერსო და არც ის, როგორ შეგი-
 ნარჩუნო, ცოტა მაცალე და იქნებ შენ-
 ზე ჯვარიც დავიწერო! — წარმოთქვა
 მან ალაღად და ქალს უძირო ვენებით
 აღსავსე წყლიან თვალეებში ჩაჭხედა.

ცისიერმა გადაიკისკისა. ყრმას ხუ-
 ქუჭ თმამი ხელი შეეუცურა, მწველი ტუ-
 ჩები მის ტუჩებს შეუწება და გაილურ-
 სა. დავითმა ბედის განჩინებაზე ძლი-
 ერი ქალის შემოსალტული სხეულის
 სიმხურვალე და სიღბო იგრძნო. ახლა
 ზედაც რომ დაკვდომოდა ქალის სხე-
 ულს, არ ინადვლიდა. გულახდილად გა-
 მოუტყდა კიდეც, — ნეტავი სიკვდი-
 ლი ასე მოგვისწრებდესო, — უთხრა,
 ეგონა, როგორც კი განშორდებოდა ცი-
 სიერს, ყველაფერს, რასაც მიღწია მა-
 შინვე დაკარგავდა. შეეშინდა. ისიც
 კარგად იცოდა, რომ შიშის გრძნობა
 მამაკაცისათვის მომაცყენებელი რამ
 იყო. სწორედ ამიტომ იყო, საკუთარი

ელგუჯა ვაღრაძე
 გომდბა

თავისთვისაც არ უნდოდა გაემხილა, რომ შეშინდა.

განცხრომის სასუფეველში ჩანთქმულთ სიმყუდროვე დღეობიდან მომავალთა სიმღერამ დაუფრთხო, — ახლა კი დროა ერთმანეთს გავშორდეთ, ხვალ ითანეს ეკლესიაში დილის წირვაზე შეგვხედები, — უთხრა ქალმა. დავითმა ჰაიპარად ჩამოიბრინა კიბე, თავლიდან ცხენი გამოიყვანა, უნავივრზე შეფრინდა, გზაშარაზე გამოახტუნა თეთრონი. მათრახი ოდნავ გადაჰკრა და დღეობიდან დაბრუნებულ, გზიდან გვერდზე მიმდგარ მლოცველებს ისე ჩაუქროლა, თითქოს შორეთიდან მომავალი მხედარი ყოფილიყო ვინმე.

მოაგელვებდა ამხედრებული, განკაცებული ყრმა ბედაუტს და მისი ფიქრი ისევ ცისიერს უტრიალებდა. თვალწინ ისევ ცისიერის ნაქანდაკარი ფეხები, შოლტივით მოქნილი სხეული, ცისფერი თვალეები და ელვათა მკრთომელი, მიჯრით მიყრილი კბილები ელანდებოდა... გულის კარი სასიყვარულოდ თვითონვე გაიღო, სიყვარულზე დამპატიყა... იქნებ და მართლაც მე ვარ ჯვარდაწერილ მეუღლის მერე მისთვის პირველი მამაკაცი? ვინ იცის, იმიტომ დამიახლოვდა. რომ სიყვარულში უწვრთნელი ყრმა ვიყავი? ო, რა ცეცხლოვანი გზნებით აღსავსე ქალია! არა, ჩემამდე მას მართლაც არავინ ჰყოლია, თორემ ასეთი გზნებით ვერ მომეალერსებოდა. რა საოცარი ცისფერი გუგები უსხედს თვალის უბეებში?! სახე კი ხორბლისფერი აქვს. ალბათ ანდამატი და უფსკრული ცისიერივით იზიდავს ადამიანს. ვნებიანი ყოფილხარო, სწორედ ასე მითხრა. ამ ქალმა იმსხვერპლა ჩემი სიყმაწვილის უბიწოება! ეჰ, პირიქით უნდა ყოფილიყო! რა ზეადმტაცი ქალია! არა, მას ჩემამდე საყვარელი არა ჰყოლია. — გაიმეორა მან პატივმოყვარეობით ნაკარნახევი სიტყვები, რადგან გულით ეწადა ეს ახრი ჭეშმარიტება ყოფილიყო. იმწამს გულით ისურვა, რომ ის ხორბლისფერი სხეული, სრულიად შიშველი რომ მჩინა, მისი

საკუთრება ყოფილიყო. მერე გულით ინანა ამ ქვეყნად ცისიერზე გვეყნადეს ვლა. შეინანა ისიც, რომ იმსხვერპლა პირველი მამაკაცი, ვინც ცისიერი დააქალა, შეშურდა კარგა ხნის წინათ გულგანგმირული მეტოქისა, გულხარბიან ადამიანი დაასკვნა. ამაოებაო წუთისოფელი, გაიფიქრა და გალავნის შესასვლელი პატარა კარი მამაკაცური სიღინჯითა და სიღარბისლით აღესილმა შეაღო.

მეორე დილით ზედახნის ითანეს ეკლესიისაკენ მიმავალ გზას უთენია დაადგა. მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო. დღისა და ღამის სამანზე ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებდა. წინ ყვილით აუფრინდა ღამის მეხრეთა სიხარული — ტოროლა. იგი ცისკრის ვარსკვლავისაკენ გეზაღებული აიჭრა ცაში და გალობა დაიწყო. დავითს ნელა მიჰყავდა თეთრონი. უნდოდა გზად გადაჰყოფოდა სასურველს. ზოზინობდა, მაგრამ აღმართი მაინც სწრაფად გათავდა. გზად კი არა, იქაც ვერავინ დალანდა, ვისაც ცისიერს მიამგვანებდა. უცებ ვიღაც პატარა ბიჭი მიეახლა და ხელში უსტარი ჩაუღო. დავითი იმწამსვე გამოვიდა გალავნის ვარეთ, გრაგნილი გახსნა და ხარბად ჩაიკითხა: „შეუძლოდ შევიქენი და დანაბირებს ვეღარ ვასრულებ. შევინანი და გვმობ ჩემს უღირს საქციელს. მინდოდა წმინდა ითანეს სამლოცველოში დამეფიცა, რომ ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეცოდება. მინდა საკუთარი თავი დაგსაჯო და აღარასოდეს შეგხვდეს. ჩემს გულს მეტად დიდი და შეუფერებელი დაუსახავს შესასრულებლად. ცოტა მაკალე და იქნებ შენზე ჯვარიც დავიწეროო შენ სთქვი. დიახ, სწორედ ასე სთქვი, რამაც მე სულხორციანად შემძრა. სწორედ შენმა სიტყვებმა მაგრიპობინა, რომ ჩვენს შორის დიდი პირდაღებული უფსკრული ძევს. ალბათ წამოიზრდები, მაგ ციურ სფეროდან მალე დაეშვები, შესაძლოა, მე არაფერი მითხრა, მაგრამ ადამიანები ფრთებშეკვეცილი ფრინველებივით ვართ, შორს



მარტო ოცნებებით დაფარფატებთ. იმასაც ვხედავ, რომ სიცოცხლის გაზაფხული და ვარდობისთვის თოვლივით მდინება ხელში. არ იფიქრო ამ ჩემი უაზრო წინააღმდეგობით შენი ჭაბუკური თავმოყვარეობის გახელება მინდოდეს, ყველაფრისათვის მე თვითონ ვიხმე და განინება ჩემს თავს მევე უნდა გამოვუტანო. სურვილის დათმენა, სხეულის და ხორცის დათრგუნვა, მოთმინება, აი, რას მოითხოვს ჩვენგან არსთაგამრიგე. გულწრფელად მტკივა გული, რომ შენ, უწვერული ჭაბუკი, რომელსაც ხორცი დაგნებდი და დღეს გული გადავიშალე ჩემი ცხოვრების მოღრუბლულ ცაზე აღმობრწყინდი. რომ შემეძლოს, გულწრფელად შემოგწირავდი ჩემს მთელ სიცოცხლეს, შენი სუნთქვით ვისულდამოვდებდი, მაგრამ რა ვქნა, რომ წინასწარ ვკვრეტ ჩემს სავალალო ხვედრს. თვალწინ მხატვის მომავალი, მეშინის უფრო მეტად არ შემვიარდეს გული შენზე, ვიცი, სულ მალე სასიერო ყოფაში აღმოვჩნდები, შენ ჩემი გრძნობა სასაცილოდ აღარ გეყოფა, მე კი მეტი უბედურების ატანა აღარ შემეძლია. ღვთის მაცუდრებელი გლახასავით გემუდარები, გთხოვ, გეაჭები, გვედრი ნულარ მოინდომებ ჩემთან შეხვედრას. ნუ ისარგებლებ ჩემი სუსუსტით, დამტოვე ჩემი სევდიანი ფიქრების ამარად. ჩვენი შეხვედრის განმეორება აღარ შეიძლება. მოგონებებიც კი ტანში მზარავს და ცოდვათა განტეევებს ვვედრი ყოვლისშემოქმედს. მაკარე, რასაც ჩემის სინდისის ქენჯნით განვიციდი, დამტოვე ჩემს მოგონებებთან მარტოსული, ჩემთან შეხვედრას ნულარ მოიწადინებ, მშვიდობით, მარად სასურველო! ჩემთვის დაკარგული ჭაბუკო! ეს არის ჩემი უკანასკნელი აღსარება. დავშთები მეუდამ შენი სიკვდილამდე კეთილისმსურველი, ცისიერი“.

წერილი ჩაიკითხა, კითხვისას დღლაედა, რამდენიმე წამს ღრმად ჩაფიქრებული იყო. ქალის სულის აღსარებამ ცუდ ხასიათზე დააყენა, მაგრამ გუმა-

ნით მიხვდა, რომ ასეთი წერილის დაწერა მხოლოდ უსაზნოდ შეყვარებულ ქალს შეეძლო. არ შეხვედრის მუდარა პირიქით უნდა გაეგო და მის გულს ძუზე გამარჯვებული ხვადის სიხარული დაეუფლა.

მისი გონების დღიურში კი თითქოს ჩაბეჭდესო: „იმ სანეტარო ღამის დავიწყება მე არ შემეძლია. ალბათ ვერც ცისიერი შეიძლება. იმ ღირსსახსოვარ წამებს ჩემს მეხსიერებაში მხოლოდ სიკვდილი თუ ამოშლის. ლიტანიობა არ იყო დამთავრებული, როცა ცისიერი ღვთის ტაძრიდან ადრეულ წასვლას არ მოერიდა. გულისტქმას დაურიდებლად აპყვა და თავისთან მიხმო. ახლა კი განტეევებს მეაჭება. არა და არა! ჩვენ ურთიერთს ბედნიერება უნდა მივანიჭოთ! ჩვენ ხომ სხვათა თვალთაგან შორსმყოფები უნეტარესი წუთებით დავტკებით. ტაძრიდან იღუშალი ლტოლვილნი ღამის სიბნელემ შეგვიფარა. მე იქ, მის სახლში, გადავიხადე განკაცების დღესასწაული. იმ ღამისა და ცისიერის იღუშალებით მოცული სიყვარულის დავიწყება მე არ შემეძლია! არა, ასეთ ძვირფას ციხე-სიმაგრეს ალყას ვერ მოვხსნი! სიყვარულით ვნებულს მევედრება მივატოვო! უნდა იცოდეს, რომ ზოველი ვნებული კერპია და ურყევი! სიყვარულის გოლგოთაზე ასულს ვერავითარი ვედრება და აჯა იქიდან ვერც ნებითა და ვერც ძალით ვერ ჩამიმიყვანს.

ღიას, ველარ ჩამომიყვანს. გადაწყვეტილება მიღებულია. გაიმეორა გონებაში და გულმა უმალ ბიწმენდისაკენ გაუწია. ვარნა დღისით მზისით იქ მისვლა რომ არ ეგებოდა. ეგეც იმ წამსვე იაზრა. სხვა-გვარა არა ჰქონდა, შებინდებამდე უნდა ელოდნა და მერე ჩუმად, ქურდულად შებარტულიყო ქალის საწყოფელში. თვალწინ ისევ ცისიერი დაუდგა. მის ქუძირო თვალთაგან კი არ გამოკრთოდა, აშკარად იხილვოდა

ელგუჯა ვაღრაძე
გონება



ენებიანი გულისთქმა. დავითის მშერა თითქოს აშიშვლებდა ქალს, და მის ნაქანდაკარ სხეულს უსურვაზივით ზედ ეტმასნებოდა. კვლავ მოეძალა ცისიერის ქალური სიმდიდრის დაუფლების დაუოკებელი ნდომის წადილი. ამ წუთას იგი თვითონ იძარცვებოდა გრძნობათაგან და ქალთან სიახლოვის სურვილი ჰკლავდა. პირი აბივით გაუხდა. ცისიერის გრძნობის განძარცვის მოწადინე თვითონ უფრო იტანჯებოდა. იდგა გაოგნებული, წარმოსახვით ვნების მორევში დაცურავდა, მაგრამ მალე ფრთამოტეხილი ფრინველივით ოცნებათა საუფლოდან დაბლა დაეშვა. მათრობელა ცხოველ ზმანებას მოერია, საკუთარი წადილი დასთრგუნა და თავი იმით ინუგეშა, რომ მამათ პავლეს დამოძღვრა გაიხსენა: „ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულება ცთუნების დამლევაა, შვილო, ცხოვრება თითოეულ ჩვენგანს ხანგრძლივი გამოცდის წინაშე აყენებს. ხსნის გზა თავდადრეკილებმა მოთმინებით უნდა განვლოთ და რადგან ცთუნებას ვერც ერთი სულიერი ვერ ასცდება ჩვენი ცოდვები სასობებით უნდა მოვიწინაოთ, ვილოცოთ მუხლმოდრეკილებმა და ვევედროთ უფალს მოგვიტევოს შეცოდებანი ჩვენი, ვილოცოთ მოთმინებით, გულწრფელად და გულმხურვალედ, რამეთუ ლოცვა იღუმალი, შინაგანი კავშირია უზენაესთან“. ლოცვა შინაგანი კავშირითა უზენაესთან, ამის გახსენებაზე ისევ ზედაზნის წმინდა იოანეს ეკლესიის ეზო გადასჭრა, წმინდა სახატეს მიაშურა, კარგანხმულ ტაძარში შევიდა და ლოცვად დადგა. წმინდა სახატეში შესვლისას ჰაბუკი გურამიშვილი ეზოში მოსიერნე მღვდელმა დალანდა, მაშინვე მანაც სახატეს მიაშურა და კარის ზღურბლიდანვე, ჟამის შესაფერი, მაცხოვრის სიტყვები წართქვა: „ვითარცა დღე და ღამე არ დაცხრებნიან მიმოვლობას, ისე კეთილმორწმუნენი არ დაცხრებნიან ეკლესიასა შინა სიარულსა“.

დავითმა ლოცვას გული ვერ დაუ-

ლო, მალე მოათავა, გარეთ გამოვიდა, გალავნამდე თითქოს სადმე შეეკრწა, ბოლა მგელივით იძუნძულა, ცხენს მოახტა და ქვევით სოფლისაკენ დაეშვა. ის დღე მის ცხოვრებაში ყველაზე ნძიმე დღე გამოდგა. დრო უსაშველოდ გაგრძელდა. ეჩვენებოდა, რომ თეთრ სუღარაში გახვეული გარემო სულ ასე იქნებოდა, მზე დასავლისაკენ აღარ გადაიხრებოდა, და დაღამებას აღარაფერი ეშველებოდა. მის გულს აღარც ფრინველთ ქიკქიკი ესალბუნებოდა. ბულბულის ხმასაც კი მოჰკრა ყური, მამრი უგალობდა გულისსწორს და საალერსოდ უხმობდა, მაგრამ ვერც ამ უზენაესმა გალობამ მოიყვანა ხასიათზე. ცელქი ნიავი ხეთა ფოთლებს თავის ნებაზე ათამაშებდა. პაერში გაზაფხულის საენტარო მათრობელა სუნი ტრიალებდა. ტყეში შესასვლელ ბილიკებს გველის გვიმრები მოსდებოდა. აქა-იქ ველური ყაყაჩოებიც შენიშნა.

მისი ყურადღება მიიბყრო მწვანელ მოხასხასე გველისმარწყვამ, რომლის ყვავილები სამყურას ფოთლების სიმწვანეში დაღარში ნაცარწყაყრილ და მერე გადაიხრეკილი ნალვერდლებივით გიზგიზებდნენ ყვითლად. აქა-იქ ცისფრად ჭიატებდნენ სუროს იისფერი ყვავილები.

ნაკვიანვეი ფერისულა წითლად და ყვითლად ლღანებდა და ირგვლივ მისი ყვავილების ნელსურნელება იგრქვეოდა. პაერში აუარებელი ბაბუაწვერა რიალებდა. ხეებს მამულა მორეოდა, ზედ ტკობასავით მიჰკვროდა და ხეთა ტანს მწვანედ ახასხასებდა. წყლის მოგუდულმა ხმამ მარჯვნივ მიახედა. ვიდაცას უზარმაზარი ხე მოეჭრა, გზისპირას გაეხსნია, მორი თან წაეღო, და ვეება ტოტები იქვე დაეყარა. ნეშოს წყალი დაეგუბებინა. ტოტები წყალში თასნიბოგანებულიყო და ეს ხელოვნურად შექმნილი ჭანჭრობი თეთრ ღუმფარებს დაეფარათ. უცებ ჩამობნელდა. დავითმა მალა აიხედა და ნახა, რომ მნათობი ღრუბლების ტყვეობაში



მოქცეულიყო. არც თვითონ იცოდა რად, მაგრამ შავი ფიქრები მოეძალა, პირქუში სასოწარკვეთილება დაეუფლა, უცებ მოიღუშა, მოიღრუბლა, გული როგორღაც დაეხურა და ავმა წინაგრძნობამ შეიპყრო.

საგურამოში ჩამოსულმა შეიტყო, რომ ბიწმენდს მოთარეშე ლეკების გუნდი დასკემოდა და საგურამოელ სხვა მღევრებთან ერთად მანაც ბიწმენდისაკენ აფრინა თეთრონი. ბიწმენდში ჩასულ დავითს ავი წინაგრძნობა ავად და შავად აუხდა. შეიარაღებული ხალხი სწორედ იმ ეზოში ტრიალებდა, რომელშიაც ღამით თვითონ აპირებდა ქურდულად შეპარვას. მთელს სოფელს დედაწულიანად იქ მოეყარა თავი. იქვე შეიტყო გულის სალახვრო ამბავი. მოთარეშე ლეკების რაზმი პირველად ცისიერის სახლს დასხმოდა თავს. შინ მყოფი ხუთი ყმაგლეხი უწყალოდ აეკუწათ და ქალის გატაცება სდომებოდათ. მომხდურთაგან ორნი ყმა-გლეხებს დაეხოცათ ხაჩაკლებით. და ერთიც ცისიერს პატარა სატევრით ემსხვერპლა. ქალის შეუპოვრობით განრისხებულ მომხდურთ ცისიერი იქვე განეგმირათ და ახატნის ტყისაკენ ექნათ პირი.

როგორც წინის მცოდნესა და თავადისშვილს დავითს ერთმა საგურამოელმა მღევარმა დაწერილი ქალადი მოუტანა და უთხრა: თურმე საწყალი ქალი რაღაცასა სწერდა, როცა თავს ლეკები წასდგომიან, წაიკითხე თავადისშვილო, თუ რამე საინტერესოა, გვითხარი, თუ არა და დახიე და ქარს გაატანეო. დავითს რაკი ცისიერი ცოცხლებში აღარ ეგულებოდა, ერთი სული ჰქონდა გვამი მაინც ეხილა და გულში გამოეტირებინა თავისი სიყვარული, მაგრამ როცა წერილში თავის სახელს მოჰკრა თვალი, ცნობისმოყვარეობამ სძლია და წერილი ბოლომდე ჩაიკითხა: „არ ვიცი, შევიძლებ თუ არა შენს წინაშე თავის მართლებას. არც ის ვიცი, ვარ თუ არა დამნაშავე და საპიროა თუ არა ეს ყოველივე? აღარ ვფიქრობდი თუ ჩვენი შეხვედრისა და ჩემი წერილის შემდეგ

კიდევ ავიღებდი ხელში კალამს და რისამე დაწერას განვიზრახავდი. თუმცა შენ ხნოვანებით ძალიან ნორჩი ყმაგლეხი ხარ, მაგრამ გვედრი როგორც გონებით მოწიფულ ჭაბუკს არა და არ იფიქრო, თითქოს ეს იყოს ქალური ვაპრანკვა-განაზება, ჯადო, თილისმა, არა! მე შენ ვეღარ შეგხვდები! ეს ჩემი გულიდან მომდინარე ხალასი სიტყვებია. არაფერი ცხოვრებაში მე არ გამაჩნდა, გარდა ერთი პატიოსანი ქალის სახელისა და ისიც უყოყმანოდ შენ შემოგწირე. ახლა დასაკარგი აღარაფერი მაქვს. ასეთი ყოფილა ალბათ ზენაარსის მიერ დაწესებული ჩემი თანამდევ ბელი და ბედმდევარს ვინ გაჰქცევია, რომ მე გავექცეოდი? ამაზე უკვე ხელი ჩავიქნიე. წამისად მიგიღე და ჩავთვალე ჩემი დამსხვრეული იმედების მკვდრეთით აღმადგენლად, ჩემი დაჭრილი სულის მკურნალად, ჩემი უსასოო გრძნობის განნაცოცხლებლად, მაგრამ ამ წამს შენ ჩემი სიყვარულის ჯალათად მიმაჩნინხარ! ამას იმიტომ არ გწერ, თითქოს რამეში გადანაშაულებდე, მაგრამ ჩემი სურვილია, შენ ჩემი სიყვარულის ჯალათი იყო, რომ ჩემი სათუთი გრძნობის წაბილწვა სხვა მამაკაცმა ვეღარ შეიძლოს! გულწრფელად ვწუხვარ და მეტად მწარედ მეტკივა გული, რომ ჩემი ცხოვრების მოღრუბლულ ცაზე აღჩნდი მოკიადე ვარსკვლავად. ყოველ აღამიანს სურს შეიცნოს შეუცნობელი. შენ უწვერულვამო ჭაბუკი ხარ და ყოველივე წინა გაქვს. მე კი ცხოვრების მკრჩხალმა ყინვამ ერთიანად დამიზრო სიყვარულის ნორჩი ყვავილი. შენ არწივის მართვესავით გაქვს გასაშლელი ფრთები და საქართველოს ზეცის თავანზე უნდა ბოინობდე მიწყვი, შენ ჩვენს უბედურ ხალხს უნდა ჰყავდე შემწედა და ქომავად. შენ შეგწევს ამისი დახსნის ძალი! შენმა სიტყვებმა, შენმა აზრებმა და ჯერ კიდევ ჭაბუკის მამაკაცურმა ძლიერებამ მე ამაში

ელგუჯა ვაღრაძე
გოდება

ღრმად დამარწმუნა და დამაჯერა. შენ მომავალი ცხოვრების გზაზე არა მსურს თუნდაც სიყვარულის ხუნდი და ბორკილი გედოს და გბორკავდეს. თუ ჩემი თავი ვინღეს მითინეო, — მითხარი მინევეს ის ჭეშმარიტი აზრი, რაც ჯერ კიდევ უწვერულმა ჭაბუკმა ამოთქვი: ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, ღმერთმა ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალი უნდა იყოს, ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, ადამიანის აზრი და ნება მეორე ადამიანის აზრსა და ნებას არ უნდა მონებდესო. მე არ მინდა შენ თუნდაც სიყვარულის მონა და მორჩილი გიხილო, მე მინდა შენ ლაღად და თავისუფლად დანავარდობდე ყველგან და ყოველთვის! მშვიდობით მარად სანეტარო, და ჩემთვის დაკარგულ კაბუკო! გული მეუბნება, წინ დიდი სარბიელი უძევს; დიდი გზა უნდა განვლოს, ბედის განჩინებაში დიდი მომავალი უწერიას, ამიტომ უნდა იყო თავისუფ...“

წერილი აქ წყდებოდა. ეტყობა, უმწეო მსხვერპლს სწორედ წერის დროს წაადგნენ თავს წუნკალი სულთამხუთავები. გულმოკლული, დარდიანი, დამწუხრებული და გაბოროტებული დაბრუნდა მშობლიურ სახლშია ჭაბუკი გურამიშვილი.

გულისმომწყველელი კაფშანი, ვაება გულისა, შფოთვა და დრტვინვა გონებისა, ამბოხი სულისა, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა და შელახული თავისუფლებისა, ყველაფერმა ერთად შემოუტია და ყველაფერი ერთად აღსდგა მასში. ცისიერის ბედში დავითმა თავისი ქვეყნის უბედობა შეიცნო და გაიცნობიერა.

ო, მრისხანე და მკაცრო ბედის განჩინებაჲ! პირქუშო სვევ! ნეტავ რას უმზადებ შენს უმწეო მმსვერპლს, ჩემს ქვეყანასა და მამულს? დაკარგულ სატრფოზე და სამშობლო ქვეყნის სვეზე ჩაფიქრებული ჭაბუკის გოდება მალე უცას სწვდებოდა და დაბლა ქვესკნელამდე აღწევდა. მისი გოდება მიაგავდა გოდებას იერემიასი, რომელ-

მაც, რა კი მისი წინასწარმეტყველება ახდა, ნაბუქოდონოსორმა მართლაც დაიკარო ურარტუ, დაანგრია იერუსალიმი და ებრაელები ტყვედ წაასხა, დაიტირა თავისი ხალხის უბედურება და დასწერა „იერემიას გოდება“. იმ დამეს ჭაბუკმა გურამიშვილმა ცრემლით დაალტო ბალიში, გამოეთხოვა ჭაბუკობას და უკვე მოწიფულმა მოაზროვნემ ეჭვი შეიტანა ღვთის სიტყვებში: „ვინ ქვა გესროლოს, დაითმინე, შენ ვითარცა ხემან მსხმოიარემან ნაყოფი კეთილი აგემე“. ნუთუ უფალმა დათმინა და მსხმოიარე ნაყოფის მტრისათვის მირთმევა ხვედრად მხოლოდ ჩემთვის? ხალხს არგუნა? ბევრი იფიქრა, და დაასკვნა:

— არა, არა მჯერა, რომ ჩვენი დოვლათისა და სიცოცხლის ხელმყოფთ. მათ, ვინც ჩვენ ქვას გვესერის, ჩვენი მოკვდინება და ჩაქოლვა სწადია, ვითარცა ხემან მსხმოიარემან ნაყოფი კეთილი უნდა ვაგემოთ? ადამიანი გარეული მხეცივითაა, მისი არსება მარტო წყალობით არ მოინადირების, „შიში შეიქმს სიყვარულსაო“ — ბრძანებდა შოთა.

შერაცხვა

„ამისათვის ეწოდა სახელი მისი შერაცხვა. რამეთუ მუნ შეურცხვა უფალმან ბაგენი ყოვლისა, ქვეყნისანი“ (შეხაქმე, 11,9).

„შეერიათ ქართველთაცა ყოღვა ტყვეთა და იცვლებოდაცა ქვევა-ზენნი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წყნითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტეანულისათა ცოლვითურთ“.

ვახუშტი „საქართველოს ცხოვრება“.

ქართველთა ზნის შერყვნისა და ქრისტეანულის რჯულის წესთა შეცვლის საქმე განსაკუთრებით დააჩქარა როსტომის მეფობამ ქართლში (1632-1658). ეს როსტომი იყო ძე დავით მეათისა — დაუთხანისა. იგი სპარსეთიდან მოვიდა როსტომ სააკაძესთან ერთად, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ დახასიათების მიხედვით, იყო კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული



ყოზილბაშთაგან. ყაენმა მას მისცა სპასალარობა, გამოატანა დიდი ლაშქარი და წარმოატანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა. ეს ხოსრო-მირზა, ერანის სპასალარის როსტომ სააკაძის დახმარებით, ავიდა ქართლის ტახტზე და იწოდა როსტომ-ხან როსტომ მეფედ.

როსტომ მეფე უხვად ასაჩუქრებდა მის მხარეზე გადასულ თავადებს. მის საზღვარდაუღებელ გულუხვობასა და ძვირფას საბოძებებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. იგი ქართველ თავადებს მცირე არმადანად აძლევდა აგრეთვე შესამოსელს, რასაც წინათ ქართველნი თურმე ძალიანაც არ დაგედევდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია: „როსტომ მეფე აძლევდა ქართველთა ლეინის ხალათებსა და მცირესა მისაცემსა, რამეთუ მაშინ ქართველთა არ იცოდნენ კაბა და არა ჰყუარობდნენ მორთუასა... მაშინ იყვნენ ქართველნი გულწრფელნი და გამოუცდელნი ყოზილბაშის ხერხისა და ტყუილისაგან, და ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა... და მას ეამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის მოყუარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყოზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდნენ და რაყამით იშოვნინდნენ მამულებსა.

ამან აღაშენა სახლი ყოზილბაშური, კეკელუად და ტურფად ნაგები, (მემოილო) მოფენილობა, სმა-ჰამა, გამოჩენება და კეკელობა, და მიიქცნენ სრულიდ წესსა ზედა ყოზილბაშისასა, და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა — წმინდება, ცოდვა იგი სოლომგომური და მეძაობა და დღათა თანა აღრევა.

კულად ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლება ციხისა შინა მყოფთა თათართა: განძლიერდნენ თათარნი და

კანდიერებდნენ ქართველთა ზედა და რომელნიც იყვნენ ქართველნი. მოყუარებნი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დღად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა, და, რომელნიცა იყვნენ სიმართლის-მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნავდენ: მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი, და აქებდენ ქართველნი დარბაისელნი, და მათცა აგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მხეველნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა.

და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჰამა ყოზილბაშური და დიდად სირცხვილი უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელობა...

და იყო სმისა და ჰამისა მოყუარე და გაცემდა არა-მცირედსა საბოძვარსა სმასა ზედა. და ამისა ეამსა შინა არ იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყვნენ ფუფუნეულ და ხორცთმოყუარე, რამეთუ თვით სამღვდელთადაცა და მღვდელთ შთავარნიცა მიღრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა. გოდებისაებრ იერემიასა, რამეთუ იყვნეს მოყუარე ღვიინისა და ზმისა და შეუებისა და განცხრომისა, უმღერდნენ ურთიერთის სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა. ამას შინა მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნავდნენ ყოველნივე“. „ქართლის ცხოვრება“ გვ. 418-424-425.

აი, როგორი მანვე თესლი ჩაიყარა, გალივდა და აყვავდა საქართველოს ოდინდელი დიდების ოქროს ყანაში. სპარსთა, არაბთა, სელჯუკთა და მო-

ელაშუა მალარამი
გოღება

ნლოლთა ბატონობამ საქართველოს ხოდაბუნებსა და თვალუწვდენელ ზვრებში ეკალ-ბარდი და ნარ-ეკალი დათესა. მძლავრობდა მაჰმადის რჯულის აღმსარებელი მუსულმანური სამყარო. მშვიდობიანი აღმშენებლობითი ცხოვრების საუკუნეები სჭირდა იმ ნარ-ეკლისა და ეკალ-ბარდების ამოძიკვას. რა უნდა ესაშველა მცირერიცხოვან ქართველობას მოძალებულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში? როცა 1571 წელს თურქეთის ხონთქარის დახმარებით ძალამიკემულმა ყირიმის ხანმა დევლეთ-გირიემ ძლევით გადავლო მრავალი ასეული კილომეტრი, მოსკოვი დალაშქრა, გადაბუგა და ააოხრა. ნაალაფევით კმაყოფილმა დევლეთ-გირიემ მოსკოვზე მეორე წელსაც ილაშქრა და რალაც ორმოც კილომეტრზე მიუახლოვდა თვალუწვდენელი ქვეყნის დედაქალაქს! სამუხუხაროდ, მეტად გულგრილად უქცეოდნენ ქრისტეს რჯულის აღმსარებელი ქვეყნები ერთმორწმუნეთა რბევას, ტყვევნასა და აკლევას. სხვისი ჭირი გულთან ახლოს არ ეკარებოდათ. მეტად ზანტად და დიდხანს იყვროდა კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ კავშირის ძიება და მიღწევა ქართველობას დადგრილი სისხლის წითელ ნაკადულებად დაუჯდა. ქართველი მეფეები მინც იმედის თვლით გაიყურებოდნენ. ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რის გამო გამძვინვარებული მეზობლები ფარეხს შესეული მგლებით იკლებდნენ ქვეყანას.

ჯერ კიდევ 1555 წელს ურთიერთ-შორის დადებული ზავით დაინაწილა ორმა მტაცებელმა საქართველო. ზავის მიხედვით: ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ირგუნა. იმერეთი, გურია, ოდიში და აფხაზეთი თურქეთმა. ქურქი გაინაწილეს და ქურქის პატრონებს არას ეკითხებოდნენ. გადამითელ მუდრეგთა შორის დადებული ზავი საქართველოს მესვეურებს სავალდებულოდა და შესასრულებლად სრულიად არ მიაჩნდათ. ყველაზე სამ-

წუხარო ამბავი კი მინც ის იყო, რომ თვითონ ქართველთა შორის ერთმანეთი არ არსებობდა. ქვეყანაში ვაჭარაში წიაში სამთავროებად დაიშალა, დაქუცმაცდა, სამთავროები მტრების წაქეზებითა და მხარდაჭერით ერთიმეორეს ეჭიშვებოდნენ, მერე მეფეს უხირდებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ, ორგულობდნენ და ივერთა ქვეყნის ბედი ჩარხუკულმა ტრიალებდა.

საქართველოს ისტორიაში 1632 წელი იმით აღინიშნა, რომ ირანის შაჰმა ქართლში თავისი მოადგილის „ვალის“ დანიშვნა გამოაცხადა. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ და ისინი ქართლში ირანის შაჰის მოადგილეებად „ვალი“-დ იწოდებოდნენ. 1676-1688 წლებში ქართლში მეფობდა გიორგი მეთერთმეტე, ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზის შვილი. გიორგი მეფე შაჰს აშკარად ეურჩებოდა და მალულად მის საწინააღმდეგო აჯანყებისათვის ემზადებოდა. შაჰს გიორგის საქმიანობა-აჯანყებისათვის სამზადისი არ გამოჰპარვია, იგი მეფობიდან გადააყენა და მის ადგილზე კახთა მეფის თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე დანიშნა. ერეკლე I ქართლში 1688-1703 წლამდე მეფობდა. 1703 წელს გიორგი მეთერთმეტემ შაჰს სამუდამო ერთგულება შეჰფიცა და ქართლის ტახტი კვლავ დაიბრუნა. ირანის მპყრობელმა გიორგის ქართლის მეფის ტიტული დაუბრუნა, მაგრამ სამოღვაწეოდ ირანშივე დატოვა და მის ნაცვლად ქართლის ტახტი მის ძმისწულს ვახტანგ ლევანისძეს ჩააბარა. ესაა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი მეფე ვახტანგ მე-6, რომელიც ქართლში 1703 წლიდან ვანიშინის — მოადგილე — ნაცვალის წოდებით მეფობდა. ამავე დროს ეკუთვნის ქართველთა კიდევ უფრო წინ წაწევა თვითონ შაჰის კარზე.

ირანის შაჰების კარზე ქართველები ოდითგანვე დიდი პატივით სარგებლობდნენ. შაჰების ყველაზე უფრო



დაახლოებულ პირთა შორის მათ მუდამ ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირათ. მაგრამ ქართველების დაწინაურება ირანის მმართველობაში განსაკუთრებით გაძლიერდა მეჩვიდმეტე საუკუნიდან. ამ დროიდან ქართველები ხშირად ინიშნებოდნენ ირანის ჯარების მთავარსარდლებად, ყულარაღასებად — შაჰის მცველთა ჯარის უფროსებად. ცალკეული პროვინციების მმართველებად, ირანის დედაქალაქის მოურავებად, სხვადასხვა სამხედრო ადმინისტრაციულისა და სამოსამართლეო თანამდებობაზე. ქართველობას ირანის სამხედრო და სამოქალაქო მართვა-გამკეობაში დიდი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ მათი მოღვაწეობა სპარსთა დედაქალაქში მართო ამით არ შემოფარგლულა. როგორც ჯავახიშვილის, ჯანაშისა და ბერძენიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიიდან ვეცნობით, ქართველი პოეტები: ზურაბ ბეგი, ფაზლალი ბეგი, შარმაზან ბეგი, ზეინალ ბეგი, ქაიხოსრო ხანი, ალი ხან ბეგი, და სხვანი სპარსულ ენაზე წერდნენ თავიანთ პოეტურ შედევრებს და დიდი აღიარებაც ჰქონდათ მოპოვებული პოეტებით გალადებულ ქვეყანაში. სპარსეთში მოღვაწეობდნენ ქართველი მხატვრები, რომელთაც შესძლეს თავიანთი კვალი დაეტოვებინათ იგავმიუწვდომელ აღმოსავლურ ფერთა გამების, დიდი პანოებისა და დეტალების უბადლო შემსრულებელ დიდოსტატთა შორის. ირანის მისხანე და ყველაზე მძლავრი მბრძანებლის აბას პირველის კარის ისტორიკოსი ისყადერ მუნში ამის თაობაზე შენიშნავს: „იომბეგმა (ქართველმა) უდიდეს წარმატებას მიაღწია. მას მეტად ნაზი ფუნჯი ჰქონდა. იგი დეტალების ხატვის დიდოსტატი და შეუდარებელი წელოვანი იყო. ყალმით ხატვასა და მთების გამოსახვაში მას იშვიათად მოეძებნებოდა ბადალი. იგი ასევე უნაკლოდ ასურათხატებდა ჯგუფს — მეჯლისს დავით გურამიშვილის საქართველო-

ში ცხოვრების, რუსეთში გარდახვეწისა და იქ დამკვიდრების პირველი ათწლეული მკიდროდაა დაკავშირებული ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის მეფობისა, სამეფოდან აყრის და უკეთესი მერმისის მოლოდინში რუსეთის საიმპერატორო კარზე სტუმრობის წლებთან. ლეკების ტყვეობიდან ლტოვილიმა დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირა და მიანდო ვახტანგ მეექვსეს და მის ძის ბაქარის პოლიტიკურ აღლოს, მრწამსსა და მიზნებს. ქართლში შაჰის მოადგილედ დამკვიდრების დღიდან პოეტი და ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწე მეფე ვახტანგ მეექვსე საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. იგი ძალზე ცოტა ხანს უძღვებოდა ქვეყანას, მაგრამ ბევრი კარგის გაკეთება მოასწრო. მან ჯერ გამაჰმადიანებული ერეკლე პირველის დროს დაწინაურებულნი დაითხოვა და გადააყენა. მერე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, წინამორბედი მმართველის მიერ რისხვადატეხილთ მიხედა და უბოძა „უბრალოდ წართმეული“ ყმები და მამულები. ვახტანგ მეექვსის მალალი ყურადღება სულიერ მამათა ცხოვრებას მისწვდა. მან მოიწვია საეკლესიო კრება, გადააყენა ერეკლე პირველის მიერ დანიშნული კათალიკოსი და ეკლესიის მეთაურად თავისი ძმა დომენტი დასვა. ამ ღონისძიებით მან ქვეყანაში დასაყრდენი ჰპოვა. ეკლესიის შემომტკიცების შემდეგ ვახტანგ მეექვსემ დასვა სწავლულნი კაცნი, შეაგროვებინა ძველი ქართული, ებრაული და ბერძნული სამართლის წიგნები, თან საკუთარი „სჯულიც“ დაურთო და ერთ კრებულად გამოაცემინა. ვახტანგისეული სამართლის წიგნი ქართველი საეკლესიო და საერო დიდებულ კაცთა კოლექტიური გონითი

ელგუჯა მალრაძე
გომდგა



შრომის ნაყოფია და იგი, პირველ ყოვლისა, გაბატონებული კლასების ინტერესების გამოხატველ ძეგლს წარმოადგენს. ვახტანგის მონაღვაწები კანონთა კრებული, რაღა თქმა უნდა, ქართლის სამეფოსათვის შეიქმნა, მაგრამ მალე ამ წიგნს მთელს ფეოდალურ საქართველოში დაეკისრა სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის ამავე პერიოდს ეკუთვნის მის მიერ შედგენილი კანონთა კრებული „დასტურლამალი“. ეს წიგნი მე-18 საუკუნეში მოქმედი კანონი იყო. „დასტურლამალი“ უნიკალური სამართლებრივი ძეგლია მთელს საქართველოში, რომელშიაც დანტერესებულ მკითხველს შეუძლია მე-18 საუკუნის საქართველოს ფრიალსაინტერესო და მრავალმხრივი ცხოვრების ამსახველი ამბები ამოიკითხოს. წიგნი შეიცავს უხვ მასალას, სამეფო გადასახადებისა და სამეფო ხაზინის თაობაზე. წიგნი იძლევა ცნობებს გლეხთა დაბეგვრისა და „დებულების“ (კანონით დაწესებული გადასახადების ზომა) შესახებ, აქვე ჰპოვა თავისი ასახვა გადამხდელთა სხვადასხვა ჯგუფებისადმი კუთვნილებამ, იძულების აპარატმა, სასამართლო ორგანიზაციამ. ერთი სიტყვით, ბატონყმობის რიგმა და წესმა. ეს წიგნი იყო ქართლის სახელმწიფოს კონსტიტუცია და სახელმწიფო სამართალიც. ვახტანგ მეფის თაოსნობითა და რუმინეთში მოღვაწე ქართველი ბერის ანთიმოზ ივერიელის დახმარებითა და შემწეობით დაარსდა ქართლში სტამბა 1709 წელს. აქამდე წიგნი მთელს საქართველოში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, ამიერიდან კი წიგნი სტამბური წესით დაიბეჭდებოდა და უფრო ხელმისაწვდომი გახდებოდა. ვახტანგ მეექვსის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ახლად დაარსებულ სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასტამბვა. ვახტანგმავე მიჰხედა საქართველოს ისტორიას. მემატრიანეთა შეწყვეტილი საქ-

მიანობის მოთავეობა მან ბერ გენატი-შვილს დააეალა. „სწავლულ ჩგუფმა, რომელსაც ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა, ბრწყინვალედ გაართვა თავი ძნელსა და რთულ საქმეს და საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე დიდი რუდუნებითა და გარჯით გასრულებულ იქმნა.

ვახტანგის მეფობის ხანაშივე წარმატებით მოღვაწეობდა მისი აღმზრდელი დიდი ქართველი მწერალი სულხან საბა ორბელიანი. როგორც ცნობილია, იგი იყო არა მარტო მწერალი, არამედ დიდი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დაუღალავი ჰორუსუფალი და ავტორი იმ მეცნიერული ლექსიკონისა, რომელსაც ქართული ენისათვის დღესაც ფასდაუდებელი მეცნიერული ღირებულება აქვს. საქართველოდან იღუმალად ლტოლვილ და რუსეთის საიმპერატორო კარზე მყოფ ვახტანგ მეექვსეს წარუდგა ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნისი პოეტი დავით გურამიშვილი.

ვახტანგ მეექვსე წარმატებით ხელმძღვანელობდა ქვეყნის სამეურნეო საქმიანობასაც. მან ქართლიდან აყრილი და კახეთს გახიზნული გლეხები თავის მიწაწყალზე დააბრუნა, გააყვანა არხები, გააშენებინა ბაღ-ვენახები, მიჰხედა მესაქონლეობას, აავსახლეები, შეაკეთა ეკლესია-მონასტრები, გააყვანინა გზები, აავებინა ხიდები და სხვა. მეფე პოეტი ამის გამო ცოტა იკვებინდა კიდევ:

ქციის რუ ხუნანს წავიდე, გაღმიოად
 მოვრწყე ველანი.
 მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი
 ჩავსხი ყველანი.

სიონის ტაძრის კედელზე ახლაც იკითხება ვახტანგის ბრძანებით გაკეთებული წარწერა, რომელშიც გვირგვინოსანი პოეტი სიამაყით აღვინიშნებული აცხადებს აღვადგინე და შევაკეთეო მტერთაგან იავარქმნილი სიონი. ამავე ამბავს პოეტურადაც გადმოგვცემს:



„ტიფლისის სიონი ხელახლა შევეძრწე ქანდაკებულად და ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად“.

მაგრამ ტანჯულ ქვეყანას განა დიდხანს დააცილიდა მაცდური საწუთრო აღმშენებლობით მუშაობას? ის ცხრა წელი კი 1703-1712, რაც ვახტანგი ქართლს განაგებდა, დიდად წაადგა ქვეყანას. ქართლის ბედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მის ფარგლებს გარეთ გადაწყდა. 1709 წელს აჯანყებულ ავღანებთან ბრძოლაში დაეცა ირანის ჯარების მთავარსარდალი, ქართლის კანონიერი მეფე გიორგი მეთერთმეტე, ის, ვის მოადგილედაც ვახტანგი ითვლებოდა. შაჰმა ქართლის მეფედ და ირანის მთავარსარდალად იმჯერად ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა. ვახტანგი კი ისევ მოადგილედ დარჩა ქართლის ტახტზე. 1711 წელს ქაიხოსროც ავღანელებთან ირანელთა გაუთავებელმა ბრძოლამ იმსხვერპლა. ვახტანგი ირანს გაემგზავრა, რათა ქართლის ტახტი დაემტკიცებინა და შაჰისაგან თავს ღილით შემკული თაჯი დაედგა, მაგრამ მის მტრებსაც არ ეძინათ. ქსნისა და არაგვის ერისთავებმა და ყიზილბაშმა მეციხოვნეებმა მის წინააღმდეგ შეჰკრეს პირი. ვახტანგის ერთგულებაში დევკვებულმა შაჰმა ვახტანგი რჯულზე დაჰპატიჟა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. გაჯავრებულმა ირანის მბრძანებელმა ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგის ძმა გამაჰმადიანებულს იესე დასვა და ვახტანგი თავისთან დაიტოვა. იესემ ქართლის ტახტის მიტაცებაც არ იკმაბრა და შაჰს მისწერა, ქართლის ტახტზე მორტყმით ჯდომას ვერ შეეძლებ, თუ ვახტანგი თქვენი სამეფო კარიდან არ ჩამოიშორეთო. შაჰმა იესეს თხოვნა შეუსრულა და ვახტანგი სპარსეთს სატახტოდან შორს, ქირმანში გადაასახლა. აქ ცხოვრობდა იგი პოლიტიკურ ამბებს ჩამოცილებული, სანახევროდ პატიმარი და უფლებააყრილი. ვახტანგის მომხრე ფეოდალებმა ბევრნაირი ხერხი და ღონე სცადეს მათი მოწყალე მეფის ტახტზე დასაბრუნებლად, ამაოდ დაშვრნენ, მაგ-

რამ არ დაწყნარებულან. ბოლოს მის აღმზრდელს სულხან საბა ორბელიანს შეუჩნდნენ, იქნებ ევროპა დაგვეხმაროს ფულით და ვახტანგი ქირმანის ტყვეობიდან გამოვიხსნათო. სწორედ ამ მიზნით გააგზავნეს დიდი მეცნიერი, მწერალი და სწავლული სულხანი საფრანგეთის მეფის ლუი მეოთხემეტისა და რომის პაპის კარზე, მაგრამ ქართლის ფეოდალთა მოწინავე ნაწილის მოწოდებასა და სურვილს აქაც სასტიკი იმედგაცრუება და მარცხი ელოდა. სულხან საბა ორივეგან ტკბილად მიიღეს, მაგრამ უკან უსახსროდ დააბრუნეს. დასავლეთ ევროპიდან სულხან საბამ დიდი იმედების სანაცვლოდ მხოლოდ პაპის კეთილი სურვილებითა და დალოცვებით აღსავსე ეტრათი ჩამოიტანა. რაკილა ხსნის გზა სხვა აღარსაიდან სჩანდა, ქართლის დიდებულებმა ვახტანგს ურჩიეს, გამაჰმადიანებულისყო და კვლავ დაებრუნებინა ტახტი. საგონებელში ჩავარდნილმა, უთაჯოდა და უჭილოდ დარჩენილმა პატიმარყოფილმა მეფემ ბევრი იტოჰმანა, მაგრამ თავის მომხრეთა და გულშემმატკივართა ნებას დაჰყვა და 1716 წელს სჯული დასთმო. შაჰმა ვახტანგს კვლავ დაუბრუნა ქართლი, მაგრამ 1719 წლამდე თავის სამსახურში დაიტოვა ირანს. ქართლს ვახტანგის შვილი ბაქარი განაგებდა. 1719 წელს კი მრავალტანჯული მეფე კვლავ დაუბრუნდა თავის სათაყვანებელ ქვეყანას. მაგრამ ქართლი აშლილი დაუხვდა.

ირანში მყოფმა ვახტანგ მეექვსემ კარგად შენიშნა, რომ ამ ოდესლაც დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს მზე დასავლისაკენ გადაჩრილიყო. აჩიტომ მან მტკიცედ ამოიჭრა გულში ქართლში დაბრუნების შემდეგ ახალი გზები ეძებნა. ირანის მზის ჩასვლა და სამეფო ლომის დასნეულება არც მეზობელ ქვეყნებს გამოჰპარვიათ. რუსეთმა და ოსმალეთმა საგულგებელ საკბილოს გულდაგულ დაუწყეს მზირვა.

ელგუჯა მალრაძე
გოდება

რათა ლუკმა ხელიდან არ გაეშვათ და გადასასანსლად თავიანთ უძირო ჯამში ჩაეგდოთ. სხვის ხარჯზე ხელის მოთბობაში დაოსტატებულმა თურქეთის სულთანის კარმა „დახმარების“ და „მფარველობის“ ხელი ერთმორწმუნე შირვან-დაღესტანს გაუწოდა, რათა „ურწმუნოთავან“ დაეცვა. რუსეთმა კი თავის მომავალ მოკავშირედ „ურწმუნოთავან“ შევიწროებული ერთმორწმუნენი, ქრისტეს სჯულის აღმსარებელი ქვეყნები, დასახა და მათთან დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება. გულუბრყვილო ვახტანგ მეფემ მალე ირწმუნა და თავიც დააჯერა, რომ დაუძღურებულ ირანის ბატონობას თავს დააღწევდა და ერთმორწმუნე რუსთა მხედრობის დახმარებით თურქთაგან მინატაცებ ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგო) ნაყოფიერ მიწებს კვლავ ქართლს შემოუბრუნებდა.

წინასწარი მოლაპარაკების შედეგად (ქართლის ფეოდალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ვახტანგმა როგორც ინება, ისე უადამრყვიტა ქვეყნის ბედი) პეტრე დიდი დარუბანდისაკენ დაიძრა თუ არა, ვახტანგიც თავისი ჯარით აიყარა და შირვანს ჩავიდა. რუს-ქართველთა მხედრობა აქ უნდა შეეყოლა ერთერთს. ვახტანგი სამ თვეს ელოდა რუსთა მხედრობის გამოჩენას, მაგრამ ჯარის ნაცვლად მას რუსთა ელჩი მოუვიდა და განუცხადა: პეტრემ ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადასდო და უკან გაბრუნდაო. ვახტანგი ორი პირდაღრენილი, გაალმასებული მხეცის წინაშე მარტოდმართო აღმოჩნდა. შაჰს იმ ცხელ გულზე ძალი არ შესწევდა, თორემ ორგულობისა და დალატისათვის ქართლს მიწის პირისაგან ალგვიდა. მაგრამ ირანის სწეულმა ლომმა რაც შეიძლო ის მოიმოქმედა. ვახტანგს ქართლი წაართვა და საბატონოდ გამაჰმადიანებულ კახთა მეფეს კონსტანტინე-მაჰმუდ-ყული-ხანს გადასცა. თურქეთის სულთანის კარი კი ოსმალურად ფრთხილად იქცეოდა, ვახტანგს საყვედურობდა რუსთა მომხრეობას და პოლიტიკური სიფხიზლის მოსაღწეებელ მეკავშირეობის ტკბილ ნა-

ნინას უმღეროდა. ყველაზე უფრო ცუდი შედეგი, რაც ვახტანგ მეფის უხედაობას მოჰყვა ის იყო, რომ თურქეთი და თურქეთი შეთანხმდნენ, ჯერ კიდევ ცოცხალი ირანის ლომის ტყავი გაინაწილეს და აღმოსავლეთ საქართველოც ზედ მიაყოლეს. თურქეთმა კასპიის სანაპირო რუსეთის საკუთრებად აღიარა, სამაგიეროდ რუსეთმა სცნო თურქეთის უფლება ირანის ჩრდილოდასავლეთ ნაწილსა და აღმოსავლეთ საქართველოზე.

კონსტანტინე, კახთა მეფე ვახტანგზე უფრო შორსმკვრეტელი აღმოჩნდა. იგი შაჰის ძღვენს არ დახარბდა, მისი რაყამი გვერდზე გადასდო, ქართლის მეფეს მოციქულები მიუგზავნა, შეხვედრა სთხოვა და მოლაპარაკება შესთავაზა. ვახტანგმა თათბირი მოიწვია. თათბირის საიდუმლო მიზანი ცნობილი გახდა ვახტანგის ძმის, გამაჰმადიანებული იესესათვის, რომელსაც არ ექაჰნიკა ქართლ-კახეთის შეკავშირება და ამ მხრით თავისი ძმის, ვახტანგის გაძლიერება. მან იმწამსვე წერილი აფერინა კახთა მეფე კონსტანტინესთან და იღუმალ „ანობა“, შენი მოკვლა აქვთ განზრახული და თუ თავი გიყვარს, ვახტანგის მობატონება უმალ უარსკყავიო. კონსტანტინე ამ საექვეო ამბავში იმანაც დაარწმუნა, რომ მისი თანმხლები კახელების ჯარი ქართლელებმა ერთიანად გამარცხეს და ქართლ-კახეთს შუა ომი გარდუვალა შეიქმნა. კონსტანტინემ ახლა უკვე სპარსთა ყაენის რაყამი ააფრიალა ჰაერში და ვახტანგ მეფეს ქართლის ნებით დათმობა მოსთხოვა. განაწყენებულმა ვახტანგმა ჯარის შეყრა ბრძანა. კონსტანტინემ რა შეიტყო, ვახტანგი საომრად ემზადებოდა, ქართლს ელვისებურად დაესხა თავს. შეუტია თბილისს, ვახტანგი ოტებულ იქმნა და ქართლის დედაქალაქი კონსტანტინემ ჩაიბარა. ვახტანგმა კი იესესაგან მოყვანილი თურქებიც ჩააბა საქმეში, მაგრამ ვერას გახდა, გაცლა ამჯობინა და რუსეთს იღუმალ გაემგზავრა. მოსკოვს მყოფმა ვახტანგმა რამდენიმეჯერ სცადა ქართ-

ლის ტახტის დაბრუნება, მაგრამ ყოველთვის ხელი მოეცარა.

ძმათამკვლელ ომში მოპოვებული გამარჯვებით ვერც კონსტანტინემ იზეიმა, რადგან მის მამაპაპისეულ კახეთს ლეკები შეესივნენ. თურქთა აუტანელმა მძარცველობამ და დაღესტნელთა გაუთავებელმა თარეშებმა აიძულა ქართველობა კვლავ მოეკრიბა ძალები და მტერს ხმალამოწვდილი შეებოდა. ამჯერად ოსმალის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარს წინ კონსტანტინე კახთა მეფე და გივი ამილახვარი უძღოდნენ. ეს ბრძოლა მოხდა 1724 წელს და ცნობილია ზედაველაზე გამართული სისხლისღერის სახელით. გამარჯვება პირველად ქართველებს დარჩათ, მაგრამ მოლაღატე იესემ გაქცეული თურქები უკან დააბრუნა, მტრის სიმრავლემ თავისი ჰქნა და გამარჯვებით ოსმალებმა იზეიმეს. ზედაველაზე მომხდარი ომის შემდეგ ქართლ-კახეთის საქმე კიდევ უფრო უკუღმა დატრიალდა. კახთბატონმა კონსტანტინემ ახლა სპარსელებს აქცია ზურგი და თურქებს მიემხრო. მან დროებით კიდევ იმეფა კახეთში, დაიახლოვა ლეკების ბელადები, სათარეშოდ ქართლს გაუსია და ნაალაფევის წილის მიღებასაც არ თაკილობდა. ამის გამო თურქები დამდურნენ და მოჰკლეს.

მოხდა მოულოდნელი სასწაული და დაუძღურებულმა ირანის სარდალმა თაჰმასპ-ყული-ხანმა შესძლო თურქთაგან გაეთავისუფლებია განჯა, შემახა და თბილისი, გამარჯვებით გათამამებულმა სარდალმა თავი შაჰად გამოაცხადა და რუსეთს კასპისპირეთის დაცულა მოსთხოვა. ამ ამბავმა უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ვახტანგ მეფის იმედს რუსთა დახმარებით გაენთავისუფლებინა ქვეყანა. ვახტანგმა უარჰყო ნადირ-შაჰის წინადადებაც დაბრუნებოდა ქართლს, როგორც შაჰის ყმადნაფიცი მეფე. იგი აღარც მოსკოვს წაბრძანდა, ასტრახანს დაესახლა და 1737 წელს იმ გზას დაადგა, რომელზეც წინათ არ გავლო.

ეს იყო საქართველოსათვის მეზობელ ქვეყნებთან რთული და აწეწილი ხელმწიფოებრივი ურთიერთობების, თვითონ სამთავროებად დაშლილი ქვეყნის დაძაბული შინაგანი წინააღმდეგობების, ძმათამკვლელი ომების, რელიგიური ვერ შემწყნარებლობის, გარგმეთუ შინაურ ხუშტურიან მეფე-მთავრების ხელისუფლებით გათავხედებული თვითნებობისა და ძალმომრეობის ეპოქა. ამ დროს სჭირდა ივერთ ქვეყანას კვლავ „ზეციური მადლით“ ცხებული მმართველის გონებრივი შემართება. სახელმწიფოებრივი ყოველი საქმის შორსმკვრეტელობით განსჯა, — გადაწყვიტა. ქვეყნის პატრონის ძლიერი მარჯვენა, ფხიანი ხმალი, სამშობლოსათვის ერთგულთა და გაბედულთა დაწინაურება, ორგულთა საქმიანობის საამკარაოზე გამოტანა, მუდმივი ჯარის შექმნა და, ერთი სიტყვით, ქვეყნის სათავეში ისეთი კაცი, როგორც იყო აღმაშენებელი. რაც შეეხება ვახტანგ მეექვსეს, იგი ალბათ განათლებისა და კულტურის მდეროშედ იყო დაბადებული, ბედმამდევარმა კი ხელთ ხალხის მართვის სადაეები მისცა, საბრძოლო დროშა შეაჩეჩა, ქვეყნის საქე ჩააბარა და მამამდიანური ფანატიკური რწმენით აღვზნებული ხალხების აზვირთებულ ზღვაში უკომპასოდ შეუშვა. არ ჩანდა ნაპირი, ხსნის გზის ძიებაში პოეტი-მეფე დაიბნა და გოვინდა... იგი უსასოოდ უხმობდა თავისივე გონებით დასახულ მშველელს, მაგრამ მისი განწირული სულისკვეთება აღმოსავლური ბარბაროსობის უკიდვანო ოკეანეში უწყალოდ დაინთქა. ვახტანგი დამარცხდა და ბოლმანაღველს პოეტური მეტყველებით იმსუბუქებდა:

ღამიონა კაეშანმა სევდა მომხვდა მისთვის
წამლად,
ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად გულსა
ვაწვევ მისად კალმად.

ელგუჯა მალრაძე
გოდება



არცთუ ისე შორეულ ეპოქაში ცხოვრობდა ვახტანგ მეექვსე, რომლის თანამედროვეც იყო დავით გურამიშვილი, მაგრამ საქართველოს ისტორიის ანალებში დავით გურამიშვილი არსად ჩსენიება. ეს სრულიად ადგილად გასაგები ამბავია. პოეტის ბედის ვარსკვლავს ცთომილი ციალი, ჭერ კიდევ მისი ქაბუჯობის ხანაში, 1729 წლის თიბათვეში დაუწყია, მკათათვის პირველ რიცხვებში კი იგი ძირს დანარცხებულა. ქართლის ცხოვრების მატანე დუმს. ქართლის ცხოვრებაში დავით გურამიშვილის სახელი თუნდაც იმიტომ ვერ მოხვდებოდა. რომ უცხო მხარეში გადაკარგული პოეტისათვის ჩვენი ძნელბედობის ქამთააღმწერელს მოცალეობა არ ექნებოდა. ჩრდილოეთის დიდი ამბების ისტორიულ მატანეში კი ვის გაახსენდებოდა ერთი შამაცი რიგითი მეომარი თუ ოფიცერი, რომელიც ფრიდრიხის ჭარების წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომაა რომ დუმს ქამთააღმრიცხველი შინაურიცა და უცხოც. საბედნიეროდ, ამ ისტორიულ ხარვეზს თვითონ პოეტი ავსებს. დავით გურამიშვილი თვითონ ქმნის თავისი ცხოვრების პოეტურ მატანეს. ამით ის დიდ საქმეს აკეთებს ისტორიისათვის, თუმცა თვითონ ისტორიამ წაუყრუა და გვერდი აუარა პოეტისა და მეომრის ცხოვრებას. გურამიშვილის ცხოვრების ამბავი ესაა იმდროინდელ საქართველოს ცხოვრების „გოდების დიდი წიგნიც“ და ჩვენი სასიქადულო პოეტის პირადი ცხოვრების ოდისეაც. მრავალი ჭერ კიდევ ამოუხსნელი, გაუშიფრავი, ბურუსიანი ნისლოვანი ადგილია ამ წიგნში, მრავალი ლირიკული წიადსვლა სცვლის ისტორიულ ფაქტს, მაგრამ როცა უფრო სრული ბიოგრაფია არა გვაქვს, თვითონ პოეტის მონათხრობი უძვირფასეს რელიქვიად და დოკუმენტად იქცევა.

როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის თხზულების ერთ ნაწილში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრება მე-18 საუკუნეში. ქართული

ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა კორნელი კეკელიძემ დავით გურამიშვილის მიერ აღწერილ ისტორიულ მოვლენებს პოეტის მიერ ამ მოვლენების კრიტიკული ათვისებისა და დოკუმენტური გადმოცემის გამო „ქართლის ჭირი“ უწოდა. (სათაური ალებულია გურამიშვილისავე ლექსის 163 სტროფის პირველი სტრიქონიდან). ისტორიკოსებმა მარი ბროსემ და ვარლამ დონდუამ კი დავით გურამიშვილის „დავითიანი“ სამატიანეო მნიშვნელობის თხზულებად მონათლეს და დაამკვიდრეს კიდევ იდეა, ამ წიგნიდან. როგორც სამატიანეო წყაროდან, ისტორიული მნიშვნელობის ცნობათა ამოკითხვისა.

გურამიშვილისათვის ისტორიული ამბების თხრობას თავისი განსაკუთრებული შინაარსი, აზრი და დანიშნულება აქვს. მისგან ისტორიული ამბების შთამომავლობისათვის შემონახვა თავის გარკვეულ მიზანს ემსახურება. ხოლო, ვიდრე ამ მწარე სიმართლეს იტყოდა და შთამომავალთ ნამდვილ თვალთხილულ ქეშმარიტებად ამცნობდა, საგონებელში ჩაეკარდნილ პოეტს ბევრი უჭოქმანია.

ამ ამბის თქმა გარჩევითა, გულმან ამაღ
მინება,
 ბევრი ავი გამოჩნდების, ჩვენი, მახედ
მერცხვინება...
 მტერს შეხმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
 რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს
გინება.

უკომპრომისო დავა პოეტს საკუთარ თავთან ჰქონია, მისი გონება მედგრად შესიტყვებია სამშობლოს უანგაროდ მოყვარულ მამულიშვილის გულისთქმისა და გრძნობას. ჩვენი შესარცხვენი ბევრი ავი საქმე გამოჩნდებისო — უნადვლია, მტრების გასახარ საქმესა ვიქმო — შეთანადრებია გული, მაგრამ ფარად უწინამძღვრებია შოთა: „თქმა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლაადო“ და მწარე სიმართლის თქმის მძიმე, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მიუღია:



167. „ტყუილი ვმთქვა, ჩემი თქმული
 შეიქნების რა სავარგი?
 მართალი ვმთქვა, მეშინიან, ვა, თუ
 გავხდე დასაკარგი!
 კაცს მის მეთი არა აქვს რა სიკვილის
 უკან თან საზარგი
 სულს მიუძღვის ზორცთ ნაქნარი:
 ავსა ავი, კარგსა კარგი“.

172. „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით
 კი ავად მოუხდების,
 მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ
 მოუხდების!
 წამხდენელთა და მძაძველთა კიდეც
 სხვაც რამ წაუხდების;
 ძრახვავე სჯობს სამძახვთა, ძრახვას
 კაცო მოუფთვებებს“.

173. „ამად სძრახვენ, ვინც ავს ჩადის,
 კულავ ღაღარ ჩაიღინოს,
 სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი
 თვალთა არვინ ჩაიღინოს
 კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა
 მაიხდინოს,
 თორემ ბოლოს ვით იქნების,
 ავზედ ძრახვა დაიციღინოს?“

177. „მე კი ვმფარავ, მაგრამ ჩემი სატიკიარი
 არა მფარავს;
 მეტად მწარედ გული მტკიავ,
 მაურთოლებს და ტანში მწარავს!
 ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო,
 აღმა მხვენლსა, დაღმა მზარავს,
 ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს
 ამამთხრელს, ამამზარავს!“

ასე და ამგვარად, ბევრი ყოყმანის
 შემდეგ გურამიშვილმა მწარე სიმართ-
 ლის დაუფარავად თქმის გაბედული გა-
 დაწყვეტილება მიიღო.

ვიდრე ქვეყნის ამბავთა თხრობას
 უშუალოდ შეუდგებოდეს გურამიშვი-
 ლი, მეცნიერულად განსწავლული და გა-
 ნათლებული კაცი, რომელიც აკადემი-
 კოს ბროსეს აზრით, „იყო მთელი ენ-
 ციკლოპედია, რომელიც საკმაოდ კარ-
 გად წარმოგვიდგენს იმ ქვეყნის განათ-
 ლების მდგომარეობას, სადაც ერთ კე-
 თილშობილს შეეძლო ასეთი ფართო
 ცოდნის მფლობელი ყოფილიყო“,
 თავს მოვალედ რაცხს მკითხველს გამო-
 უცხადოს თავისი სახელი და იქვე აუწ-
 ყოს, რომ სიტყვა ღვთისას ხილად ამ-
 ბობს „ხილად ვსთქვი“, რადგან ცხოვ-
 რების წყაროს სათავე ხე ცხოვრებისა
 სამოთხიდან, ედემიდან, დასაბამიდან

მიდის. როგორც გრიგოლ ნოსელი „კა-
 ცისა აგებულებისათვის“ გვაუწყებს, „ხე-
 ცხოვრებისა“ იყო სამოთხის შუაგულ-
 ში და მისი ნაყოფი იყო ცხოვრება. იქა
 ჰყვაროდა კეთილად „ცხოვრების ხე“.
 იოანე დამასკელის მიხედვითაც „ხე
 ცხოვრებისა“ სიცოცხლის წყაროა,
 ცხოვრების მომნიჭებელია. გრიგოლ
 ნოსელისავე განმარტებათა მიხედვით
 „ხე ცხოვრებისა“ არის სიკეთე, ქეშმა-
 რიტება, სიბრძნე ყოველი. ყოველი ეს
 თვისება კი თეოლოგიის ფილოსოფიის
 მიხედვით ღვთაებისათვისაა დამახასია-
 თებელი, რის საფუძველზეც უნდა და-
 ვასკვნათ, რომ „ხე ცხოვრებისა“ არის
 ღვთაება, „ხატი და დიდებაი ღმერთი-
 საი“ კაცთა მოდგმაში, ღვთაების ხატე-
 ბა, მისი სახე ადამიანში. პოეტი დაუ-
 ფარავად, ყოველგვარი იდუმალი აზრის
 უქონლად აცხადებს ყველას საყურად-
 ლებოდ, რომ ჯგარზედ ვნებულის ამ-
 ბავს ცრემლთა საღვრელად მოგვითხ-
 რობს, „ხილად გადმოგვცემს ღვთის
 სიტყვას“, რგავს იგავთ ხეს შეუძქვა-
 ვად, რადგან უეკლოდ ნაყოფნი მისნი
 ვარდნი ადვილად იკრიფებიან, ყრმანი
 მის მიერ დარგულ იგავთ ხეზე დასარ-
 ხეველად ადვილად ადვილიან, „ამ წიგნს
 წიგნად მოიხმარებენ“ და პოეტს ნათ-
 ქვამს ადვილად მიუხვდებიან.

აზრი, რაიც ჩვენ ნამდვილ ქეშმარი-
 ტებად გვეჩვენება, უფრო ადვი-
 ლად მისახვედრი, თითქმის ყველასათ-
 ვის მისაწვდომი და თვალში საცემი
 რომ გახდეს, გავიხსენოთ ვახტანგ მეექ-
 ვსე სჯულმდებლის „სამართლის წიგნი-
 დან“ ერთი მუხლი: „ვინც კაცმა ქვეყა-
 ნასა და ქრისტეს რჯულს უორგულოს,
 კიდეც ხედავდეს, იმით რჯული წახდე-
 ბოდეს, იმას მიჰყვეს. ღუთისა და ბა-
 ტონისა — ორისავე მესისხლე იქნების,
 და ყოველივე ავი იმაზე მართებული
 არის“.

ოფიციალური კანონი აიგივებს ქვე-
 ყანასა და ქრისტეს რჯულს, ორივეს
 ღალატს ერთნაირად გმობს და ქვეყნისა

ელგუჯა მალრაძე
 გოდება

და ქრისტეს რჯულის მოღალატეს ერთ-
ნაირი სასჯელით ემუქრება — ორსავ
მოსისხლე იქნების და ყოველი ავი: ძელ-
ზე გასმით სიკვდილი, თავის მოკვეთა,
თვალეზის დათხრა და სხვა, იმაზე მარ-
თებული არის.

ესაა დამოუკიდებელი ქვეყნის —
ფეოდალური საქართველოს სახელმწი-
ფო ნების გამოხატულება და ამ კანონის
ერთგულება მეფეს, ერსა და ბერს
ერთნაირად ევალეზოდათ. ეს კანონი სა-
ქართველოსთვის — სუვერენული სა-
ხელმწიფოსათვის, მაჰმადიანური რჯულ-
აღმსარებლობის ხალხებით კუნძული-
ვით გარშემორტყმული ქვეყნისათვის.
ქრისტეს რჯულის, სასიცოცხლო მნიშვნე-
ლობის ამღიარებელი და დასტურის
დამცემი კანონია. ამ კანონის პირველ
ნაწილში სამეფო ხელისუფლების მიერ
მიღებული პრეზუმპციით დასტურდება
იურიდიული ფაქტი, მისი უქვევლობა,
მისი უცილობლობა, მეორე ნაწილით კი
გათვალისწინებულაა სანქცია, თუ ვინ-
მემ გაბედა და დაარღვია კანონი. ქვეყ-
ნისა და ქრისტეს რჯულის მოღალატეს
კი ამ კანონის სანქცია ერთნაირი სისას-
ტიკით სჯის. ამით ჩვენს იმისი თქმა
გვინდა, რომ ჩვენს წინაპართათვის ქვე-
ყანა — საქართველო და ქრისტეს რჯუ-
ლი განუყოფელი, ერთიანი ცნებები იყო
და ქრისტეს რჯულის მოღალატე —
ქვეყნის მოღალატეც იყო და პირიქით.
სწორედ ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის
ასეთმა ერთგულებამ და მათს წარმოდ-
გენაში ქვეყნისა და რჯულის განუყო-
ფელმა ერთიანობამ ჩააგონა ჩვენს წი-
ნაპრებს ერთმორწმუნე რუსეთთან და-
კავშირების აუცილებლობა.

ქრისტეს რჯულისა და სამშობლო
ქვეყნის განუყოფელმა ერთიანობამ
გააწოდებინა მსასობელი, უძარღვო
ხელი ქართველ მეფეებს ერთმორწმუნე
რუსეთისაკენ. თუ ყოველივე ამას სა-
თანადო სისრულითა და ჭეროვნად გა-
ვითვალისწინებთ. მაშინ ადვილად ასახ-
სნელი და გასაგები ხდება, თუ რატომ
მიმართავს ასე შიშობად დავით გურამიშ-
ვილი წმიდა ღვთისმშობელსა და მის

ძეს — ქრისტეს. მამაღმერთი, ქრისტე,
ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელსა და მის
ების სხვა ატრიბუტები და საქართველო
დავით გურამიშვილისათვის ისეა ერთ-
მანეთს გადაჯაჭვული, რომ როგორც მის
თანამედროვეთ, ეს ყველაფერი პოეტს
განუყოფლად ესახება.

გურამიშვილმა კარგად იცის, რომ
ქრისტეს რჯული ქართველთათვის ესაა
სამშობლოს ერთიანობისა და სიმტკიცის
სიმბოლო, რვალი, რომლითაც იქმდე-
ბოდა ქვეყნის სულიერი მხნეობა, პირ-
ბასრი ფოლადის ხმალი, რომელიც
ფიცხელ ბრძოლებში უნდა გარჯილიყო,
სულის საოხი საგზალი, რომელმაც უნ-
და დააპუროს და არსებობის შესანარ-
ჩუნებლად სამკედრო-სასიცოცხლო
ბრძოლისათვის ამზადოს თაობები. გუ-
რამიშვილისეული ღვთისმშობლის მოთ-
ქმა, ურვა, სევდა და განუზომელი მწუ-
ხარება დაგმობილ, ჭვარცმულ, დალახ-
ვრულ შვილზე აქედან იღებს სათავეს.
ვიდრე ქრისტიანული სარწმუნოების
დროშის ჩრდილქვეშ ეგულება ქართვე-
ლობა გურამიშვილს, რომელიც ამ
დროს შორეულ უკრაინაში ცხოვრობს,
თავისი ერი ბედისაგან განაწირად მა-
ინც არ მიანჩნია. იგი სასოებით ევედრე-
ბა ბნელის სხივებით შუქმომდენ მნა-
თობს, წყვილიადმი გზის მაჩვენებელსა
და ცოდვათაგან გამწმენდს, სამოთხის
კარი არ გადაურაზოს იმათ, ვინც ღვთის
სიკეთე ბოროტისაგან ვერ გაარჩია, მა-
თი მაცხოვრებელი წამწმენდელად ჩას-
თვალა, ღვთის საიდუმლო გასტეხა,
ურიგო სიტყვა შეჰკადრა უფალს, გარ-
ნა უმწიფართა და უდანაშაულო, უბრა-
ლო და წმინდა კაცი მათ ავად მიიჩნიეს,
მოჰკლეს, მზე და მთვარე დაბნელეს,
ვარსკვლავნი დააფრქვიეს და მერე რის-
თვის? და აქ პოეტი ჩამოთვლის იმ სას-
წაულებრივ ქმედობათ, ახალი აღთქმის
მიხედვით ქრისტეს რომ მიეწერება:
მკედართა აღდგინება საფლავით, კეთ-
როვანთა და წყალმანკით დაავადებულ-
თა განკურნება, ბრმათათვის თვალის
ახელა, ყრუთათვის სმენის დაბრუნება,



საპყარტა მორჩენა, წყლის ღვინოდ გა-
 ლაქცევა. მცირე პურით ბევრთა დანაყ-
 რება და სხვა. შემდგომ პოეტი წვრილად
 აღნუსხავს იმ სენტენციებს, რაც სუ-
 ლიერმა მამებმა ქრისტეს სახელით იქა-
 დაგეს. მშვიდად ცხოვრება, ერთმანეთი-
 სათვის უდიერის არ კადრება, გლახაკ-
 თა განკითხვა, მშვიერთა დაპურება რის
 სანაცვლოდაც უფალი სამაგიერო სიკე-
 თეს იმქვეყნად ჰპირდებოდა მორწმუ-
 ნეთ. პოეტმა იცის, რომ ადამიანთათვის
 თავგანწირული არსთავამრიგე, მომთმე-
 ნი და სულგრძელია, იგი ადამიანთათვის
 ეწემა და თავისი მოცაკვდინების უფ-
 ლებაც კი მისცა ჭკუით გლახაკთ, მით
 უფრო შეუწდობს უმეცართა და უგ-
 ბილთ მის მგომბელობას, კვლავ მწედ
 და მშველელად დაადგება თავს ივერთა
 ქვეყანას. პოეტს სწამს და სჯერა ქრის-
 ტიანული ღვთაების სიკეთე, მისი სულ-
 გრძელობა, ამაში თავისი თანამემამუ-
 ლეთა დარწმუნებას ემუტრება და თავს
 არ იზოგავს. იგი ურჩევს და მოძღვრის
 თანამემამულეთ დაეწაფონ ქრისტესაგან
 მომდინარე ცხოვრების ანკარა წყაროს,
 რამეთუ მყარალ-ზნოიანის ჭურიდან,
 მხოლოდ საწამლავი მოედინების და
 ქვეყანას წაახდენს. და რადგან ერთი
 არს ჭეშმარიტი ღმერთი ყოველთა
 ქმნულთა, ჭვე დანთქმულის გონება ძნე-
 ლად თუ შესწვდების მის სიმადლეს.
 უსმინონ მის თქმულს, მიჰყენენ მის
 მცნებას, ნუღარას ეკვობენ, ერწმუ-
 ნონ, რომ „ღვთისაგან ნივთობს ყოველი
 ნივთი, მას აქებენ ანგელოზნი, ცა, ქვე-
 ყანა, ბნელ, ნათელნი, იგია ყოველივეს
 უცილველი მპყრობელი, რაც ქვეყნად
 მოუფენია, ყველა ჩვენთვის, ადამიან-
 თათვის განაჩინა და ჩვენც გვმართებს,
 რომ ღმერთს დავუთმოთ ის, „რაც სწავ-
 ლად გვემით გვატკინა“. ვინც წინასწარ
 განგებ არ დახუჭავს თვალს, მისთვის
 ადვილად შესამჩნევი ჭეშმარიტება იქ-
 ნება, რომ ქვეყანაში, სადაც საეკლესიო
 იერარქიის ყველაზე უფრო მაღლა სა-
 ფეხურზე მდგომი ქართლის კათალიკო-
 სი დომენტიც კი, საერო ხელისუფლე-

ბის — ტანტისა და მეფობის ხელში
 ჩაგდების მიზნით, მზად იყო დაეჭვებ
 მამა-პაპათა რჯული, ომფორი გაეძრო,
 ტიარა მოეხადა და მუჰამედი ელიარე-
 ბინა ჭეშმარიტ ღვთაებად, აი, როგორი
 შერყენილი ყოფილა ქცევა-ზნენი ქარ-
 თლისანი, როგორი ქვეყნის დამაქცევე-
 ლი ყიზილბაშური ზნე-წესები იკიდებ-
 და თურმე ფეხს დავითის სამშობლო-
 ში და რატომაა, რომ თავის შემოქმედე-
 ბაში ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფალი
 და ნამდვილი მამულიშვილი სამება ერ-
 თარსების, ქრისტეს, ღვთისმშობლის
 და ყოველივე ქრისტიანულის ერთგულ
 ქომაგად და თავგამოდებულ დამცვე-
 ლად გვევლინება. ქართული ზნისა და
 წესის, ქართული ტრადიციებისა და
 ჩვევების, ქართული ენისა და ქართული
 მიწის ათასი ჭურის მომხდურთაგან
 თავდასაცავ, სამშობლო ქვეყნის უცი-
 ლობელი დაღუპვისაგან თავდასახსნელ
 საშუალებად პოეტს მხოლოდ ქრისტეს
 რჯული ეგულება. ეს რწმენა უზარმა-
 ზარ, უძლიერეს ქრისტიანულ რუსეთში
 ყოფნამ და რუსთა და უკრაინელთა
 გვერდით ბრძოლამა და ცხოვრებამ კი-
 დევ უფრო განუმტკიცა. სწორედ ამი-
 ტომაა, რომ პოეტი ცდილობს დაარწ-
 მუნოს და დააჯეროს მკითხველი ქრის-
 ტეს რჯულის სიკეთესა და უპირატესო-
 ბაში. იგი შეგნებულად და ურყევად
 დგას, ღიღი სულხან-საბა ორბელიანი-
 ვით, ქრისტიანობის აქტიურად დამც-
 ველთა მოწინავე ხაზზე. იცავს ქრისტეს
 რჯულს და თანამემამულეთ ცდილობს
 ჩააგონოს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ სამ-
 შობლოს ხსნის გზა ქრისტიანულ ქვეყ-
 ნებთან კავშირშია, რუსეთსა და უკრაი-
 ნასთან განუყრელ კავშირშია. იგი უწ-
 ყალოდ ამხელს თავისი დროის ხუცეს-
 ბერებს, რომელთაც თვითონ შერყევით
 რწმენა და სხვის მასწავლებლად ყოფ-
 ნა აღარ ძალუძდათ: „არ დაიჯერეს, არა
 ქნეს საარწმუნო დასაჯერები“.

ელგუჯა მალრაძე
 გომდგა



დაყრუდნენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს
 გასაშტერები!
 თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი
 ქნეს ვერები,
 დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით
 გამრავლდნენ მტერები.

საქართველოს ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ერთიანი საქართველოს დაქვეყნისა და სპარსთა მომძლავრების დღიდან ირანის შაჰები საკუთარ სამეფოს ისე არ უმტკიცებდნენ ქართველ მეფეებს, თუ ისინი მაჰმადის რჯულადმსარებლები არ იყვნენ, ან მეფედ დამტკიცების წინ არ გაამაჰმადიანებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ეღიბებოდათ ხოლმე ქართველ მეფეებს საქართველოს სამეფო ტახტზე ასეულა. ყოველი ახალი მეფის დამტკიცებას წინ უძღოდა დასამტკიცებელი კანდიდატის ირანის შაჰის კარზე წინასწარი ზღბება და იქ სამეფო ინვესტიტურის მიღება. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა აქვს დაცული ვახუშტი ბატონიშვილს.

შაჰისაგან დამტკიცებული ქართლის კანონიერი მეფეების გიორგი მეთერთმეტისა და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ინვესტიტურის მისაღებად ვახტანგიც ირანს უნდა გამგზავრებულიყო. ვიღერ იგი ამ შორეულ მგზავრობას შეუდგებოდა მისი გამეფების თაობაზე თავისი სიტყვის თქმა ევალეობდა ქართლის ეკლესიასაც. ვახტანგის გამგზავრების წინ სულიერი მამები მართლაც შეკრებილან, უმსჯელიათ და ქრისტიანული ეკლესიისათვის მეტად უცხო დადგენილება მიუღიათ „ეჰა უცხო, რამეთუ ქრისტესთვის აიძულელებულისა ვახტანგისათვის ნება — მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღვდელთათაგან“. ვახუშტის ამ მოხმობილ ციტატში გამოხატული აზრი სწორად აქვს განმარტებული პროფესორ ვ. დუნდუას, რომელსაც ჩვენც ვემზრობით. სულიერმა მამებმა საქართველოს მეფედ და ირანის შაჰის ნაცვლად — ვალიდ წარადგინეს ვახტანგ მეექვსე, იმ პირობით, თუ იგი გამოუსლიმდებოდა. „ქრისტესათვის აიძულელებული“

აქ ნიშნავს, რომ მას, სურდა თუ
 ქრისტე უნდა დაეგმო და თუ ქვეყნის
 მეფობა ეწადა, მუჰამედს უნდა ზიარე-
 ბოდა. საეკლესიო მამათა საქციელით
 განცვიფრებული ვახტანგი ამის თაობა-
 ზე წერდა:

ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული
 შეურაცხვეს,
 არას კერქსა არ უქნია, ჩემს საქმეზე
 იმათ რაც უყეს.
 მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელობა
 ბერნი დაუყეს,
 ჩემს ცოდ-შვილობა ტყვედ ეძებდნენ,
 საქონელი ივარყვეს
 თუმცა ვიყავ ამათ რჯულზე, მამ ესენი
 რას მტერობდენ
 თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ,
 მამ ისინი რათ მაქრობდენ?

დავით გურამიშვილმა, როგორც განათლებულმა და ქვეყნის ქეშმარიტმა მამულიშვილმა, კარგად უწყის, რომ ქვეყნის წახდენის ძირითადი მიზეზი ერთიანი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებასა და უფლისადმი შერაცხულობაშია საძიებელი. ორთავე მისთა უფალთ ქართველნი თავდადრევილნი მორჩილებდნენ ვით წესი იყო. მაგრამ ხალხი შესცდა, ცოდვის მორევში ჩაცვივდა, დაივიწყა ღვთისა და მეფის ურიცხვი მოწყალებანი, გაორგულდა. სიტყვით ერთს ამბობდა და საქმით სხვას აკეთებდა, მათ გულელებში ზაკვამა და გესლმა დაიბუდა. ისმინეს ეშმაკთ თქმა, ხალხს ხუცეს-ბერებიც აჰყენენ, მათაც დაცაიფიწყეს ქეშმარიტი რჯული და „მაჰმადის ქოლანი“ — მსახურნი შეიქმნენ:

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის
 ძვირისა,
 ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატება
 პირისა;
 ავაჯაობა, ქურდობა, ვზეზზე დახსდომა
 მზირისა,
 ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა,
 ობოლთა, მწირისა!

რაკი ქართველთ ქეშმარიტი ღმერთი დაივიწყეს და სცოდნეს, ღმერთმაც ცოდვისა წილ პასუხი მიაგო: — ქვეყანა შეიძრა, ცა რისხვით შუა განიპო, მადლიდან ლოდის ნახეთქის ოდენა სეტყვა



წამოვიდა, ვენახები მირეგვ-მორეგვა, ქარბობოლამ მიწა და ნახნავეები გამო-
აშრო, ყანებს მკალი შეესია, შეიმუსრა
ძალი პურისა, გახშირდა მებთა დაცემა.
იყო გაუთავებელი ელვა და ქუხილი, მა-
ცოცხლებელი ნამი კი მაინც არსიდან
სჩანდა, გოლვამ დასწვა ბალახი, განაღ-
ვურდა ხილი, ქვეყანას მოველინენ მხეც-
ნი, გარეულნი ნადირნი მჭამელნი კაცთა
ხორცისა, ხალხსა და პირუტყვის უცნაუ-
რი სენი და სახადი დაერიათ, სისხლითა
და გვამებით ავსებულა ხეები. ცოდ-
ვილთა უწყალო განკითხვის აი ასეთ
სურათს ხატავს დავით გურამიშვილი
1721 წლამდე. 1721 წელს კი იგი თექვს-
მეტის წლისა გახდა. იმ დროში ასეთ
ასაკში მყოფი კაცი თუ ქალი უკვე მო-
წიფულად ითვლებოდა. რაღა თქმა უნ-
და, დავით გურამიშვილი გამოჩაკლისი
არ იქნებოდა და ისიც შეიძლებდა თვა-
ლით ნახული და პირადად გაცდილი
ამბების კრიტიკულ აღქმასა და შეფა-
სებას. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ
იღებს იგი თავისი თხრობის სათავედ
1721 წელს.

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ
ათას-შვიდას-ოცდა-ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ეხმა,
მოხსენსა ღმერთსა.

და რაკი ცოდვა ქვეყნად, წინა წლებთან
შედარებით კიდევ უფრო მომრავლებუ-
ლა და ღმერთისათვისაც მავანთა და მავ-
ანთა მოხსენების საფუძველზე, დაწე-
რილებით გამხდარა ცნობილი იმდრო-
ინდელ ქართველთა მკრებელური შე-
ცოდებანი, მასაც არ დაუხანებია და სა-
ქართველოს წინააღმდეგ აღმოსავლითა
და სამხრეთით მტრები აღუძრავს.

აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ
სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს
უყვას, ან კახეთსა!

დავით გურამიშვილს სურს დაარწმუნ-
ოს თანამემამულენი, რომ ქართველ-
თათვის ციო თავს დატეხილი ღეთის
რისხვა მათი უგვანო საქციელას შედე-
გია. მისი გულწრფელი წადილი და

წმინდა განზრახვა ჰგავს სულიერ მამა-
თა საწადელს დაეჭვებინათ მოსწონებ-
ნი, რომ ისინი სამართლიანად ისევე-
ბოდნენ ადამიანთა პირველცოდვის ცა-
მო. რამეთუ, მათი აზრით, პირველცოდ-
ვილის გამო დაიკარგა კავშირი „ზესთა
საუფლოსთან — ზესთა სოფელთან,
დამბადებელთან“. პლოტინი ამის თაო-
ბაზე წერდა: „ადამიანებმა დაივიწყეს,
რომ ისინი ზესთა სოფლიდან წარმო-
მავლნი არიან, მსგავსად იმ ბავშვებისა,
რომლებიც ადრე ჩამოაცილეს მშობ-
ლებს, იზრდებოდნენ განცალკევებით,
და არ იციან არა მარტო ის, ვინ არიან
მათი მშობლები, არამედ ისიც, ვინ არი-
ან თვითონ ისინი“.

ქრისტიანული მსოფლგაგების მიხედ-
ვით, ცოდვილი პირველსახისაგან დაცი-
ლებული თავისი არსისაგან ჩამოშორე-
ბული ადამიანია. სწორედ ამიტომ ეწო-
და ადამს: „უცხოქმნული“, „მომწყდა-
რი“ და „დაცემული“.

„აღმოსავლით აღძრული“ მტერი სა-
ქართველოს ძველისძველი მტერმოყვა-
რე ირანია, სამხრეთით კი თურქეთის
მომლაკრება იგულისხმება. შემდგომ
პოემაში აღწერილია დიდთა თუ მცირე
ერთა მტრობა საქართველოს მიმართ და
ძმათამკვლელი შინააშლილობანი, რო-
მელმაც ის ნაყოფი გამოიღო, რომ:

მოვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან
ამოიღო!
თარჯ-თომირიან ჭიღონანი გავეხადა,
ქმნა უჭიღო!

გურამიშვილი შემდგომ აღწერს ვახ-
ტანგასაგან იმ სანუკვარი ამბის შეტყო-
ბას, რისი მონატრულიც თვითონ გვირ-
გვინოსანი ბრძანდებოდა. ვახტანგს რუს-
თა მეფის პეტრე პირველის ჩაფარ-ელ-
ზნი მიუღიდნენ და სამხედრო კავშირა
შესთავაზეს. მეფემ მაშინვე აწვია დარ-
ბაზისერნი და ბჭობა გამართა. დარბა-
ზობაზე ბევრი დიდებული რუსეთთან
კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა მხო-
ლოდ იმის გამო, რომ ვიდრე ჩრდილო-

ელგუჯა მალრაძე
გოღობა



ეთის დიდი ხელმწიფე გვიშეგლის. ჩვენ, ჩვენი ვარდაცხვებდებით. ვახტანგს კი თავის გულში საჭირობოროტო საკითხი რუსთა სასარგებლოდ წინასწარ უკვე გადაწყვიტა: „მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა“. მან ლაშქარი აწვია და განჯას წავიდა.

პოემაში გურამიშვილი არა ჰფარავს, რომ ქართველი დიდებულნი ასეთი კავშირის წინააღმდეგი იყვნენ. „მესამე კიდეც მოიბა, ორი საბელი თავს ება“, გაიძახლანენ მეფის მოწინააღმდეგენი. ვახტანგმა სამი თვე დაჰყო განჯას, მაგრამ პეტრესაგან ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო. თვითონ პეტრემ კი სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებების გამო აღმოსავლეთში ლაშქრობა ერთი წლით გადასდო და უკან გაბრუნდა. ერთსულოვნება რუსეთისათვის მხარდაჭერის საკითხში დიდებულებსა და მეფეს შუა კი არა, მეფესა და მის ძეს შორისაც არ სუფევდა თურმე. ბაქარი სპარსეთის ყენთან კავშირის მოძებრე ყოფილა.

ერთმანეთის ნაფიქრი მათ მოხწონდათ
ამად არა:

მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყენისა კარა

როგორც აღვნიშნეთ, შინაურმა მტრებმა მეფე ვახტანგი ყენთან დაასმინეს. ორგულობისათვის. ყენმა ვახტანგს ქართლის შეფობა ჩამოართვა და ქართლის ტახტი კახთა მეფეს კონსტანტინეს უბოძა. კახთა ბატონმა ჯერ შორს დაიპირა ყენის „წყალობა“ და ვახტანგს მოლაპარაკება შესთავაზა. ქართლ-კახეთის შეკავშირების იდეა ვახტანგის ძმას იესეს არ მოეწონა, კახთ-ბატონს კონსტანტინეს წერილი მისწერა ქართლებს შენი შემოტყუება და მოკვლა აქეთ განზრახულიო, რის გამო ეს კეთილად დაწყებული საქმე ჩაიშალა და ძმათამკვლელი ომი გარდუვალი შეიქმნა. კახთ-ბატონი ელვისებურად შეიჭრა ქართლში, თბილისი დაეცა, მას მიჰყვა გორიც და ვახტანგმა გაცლა ამჯობინა. მან სცადა თურქთა ძალების დახმარებით ტახტის დაბრუნება, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა და დიდი ამალით რუსეთს გაემგზავრა.

ძმა იესე, რომელიც თურქთა მხარე დაქვრივით სარგებლობდა. „იესე ვახტანგის მათ შერჩათო“, წერს გურამიშვილი. კონსტანტინემ კი ვერ ისარგებლა გამარჯვებით, რადგან კახეთს ლეკები მკალივით მოსდებოდნენ. „ქართლი ოსმალომ დაიპყრო კახეთი ლეკთა მოლაპარაკებით, მოთქვამს პოეტი. კონსტანტინე კახთა მეფემ მიანიც მოახერხა თავისი შერყეული სამეფო ტახტის დროებით გამაგრება და 1724 წელს იგი ოსმალთა წინააღმდეგ მიმართული ქართველთა ზედდაველაზე გამართული ბრძოლის მეთაური შეიქმნა. ზედდაველა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ფართოდ გაშლილი ველია და ხილისთავსა და დოღეს შორის მდებარეობს. როგორც გურამიშვილი წერს, ქართველებს ისე მაგრად შეუტევიათ, რომ გამარჯვებაც მოუპოვებიათ, თურქნი შეშინებულან და თავისათვის გაქცევით უშველიათ:

„მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით“-ო, წერს აღფრთოვანებული პოეტი. მაგრამ იესე ნამეფარის ღალატს ბრძოლის ბედის სასწორი ისევ თურქთა სასარგებლოდ გადაუხრია: „მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალატევით“-ო, ნაღვლიანად დასძინს გულმოკლული პოეტი, რომელიც მკვლევარებს სამშობლოს დამცველთა რიგებში ეგულვებათ.

ზედაველაზე გამართული სისხლისღვრისა და ქართველთა დამარცხების შემდეგ, როგორც გურამიშვილი გვაუწყებს, ქვეყანა კიდეც უფრო გავერანებულა. კახთა-ბატონს კონსტანტინეს სპარსეთისათვის ზურგი უქცევია და თურქთა ხონთქრის ქურქი ჩაუცვამს:

მოისრა ზშირი ქვეყანა, გახდა ვერანად
ტრამლადა
სულ წართაცეს, თუ ვინმე შამში მოურჩა
მოურჩა
დადეღღებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ
წამლადა:
მამლადა,
აღარვინ დარჩა ფარხავი პატრონად ქვეყნის
მამლადა,
კახს-ბატონს კონსტანტილესა საქმე მოუხდა
ყოლათი



ტანთ ხვანთქრის ქურჭი ჩაიცვა, დასთმო ყვენი
ხალათი;
მტერს დამორჩილდა ნებითა, ვეღარა ქნა რა
ძალათი
ზიენდო თავის თავზედა ახმარებინა ჯალათი.

მოსკოვს მყოფი ვახტანგი კარგახანს ამოდ ელოდა თურმე ამინდს. როცა რუსეთის ტახტს ანა იოანეს ასული დაჰპატრონებია, ვახტანგი პეტერბურგს გამგზავრებულა და დედოფალისათვის საქართველოს განთავისუფლების საქმეში სამხედრო ძალით მხარდაჭერა უთხოვია. ანა იოანეს ასულს დახმარება აღუთქვამს. ქართველთ მაშინვე ნავეების მშენებლობა დაუწყიათ, რადგან ედილის წყალს უნდა დაჰყოლოდნენ, მაგრამ ექვსი წლის მშენებლობას მთელი ერთი თვე მოსდომებია. ორი თვეც ზღვის სანაპირომდე ჩასვლას დასჭირვებია. ადგილზე ჩასულ ქართველებს წინ სვიმონ აბრამიშვილი შემოხვედრიათ, რომლისაგანაც ავი ამბავი შეუტყვიათ. შემახა ისევ სპარსეთს დაეჭირა. სპარსეთის ჯარების სარდალს, მოხერხებულსა და ცბიერს ნადი-ყულის სპარსეთის მტრებთან ბრძოლებში დიდი ნიჭი და შემართება გამოუჩინია. მას მალე წაუტრთმევია ხელისუფლება (1736 წ.) თავის ყოფილი მბრძანებელისათვის და თავი შაჰად გამოუცხადებია. იგი ნადირშაჰის სახელით გამეფებულა. ენერგიული და გაბედული მოქმედებით ნადირშაჰს კავკასიაში თურქების ძალმომრეობისა და ბატონობისათვის საზღვარი დაუდგია. ქართლსა და კახეთში მას მამაშვილი თეიმურაზი და ერეკლე გაუმეფებია, თურქთათვის კი კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა უგემებია. მათთვის უწყალოდ გამოუგლეჯია ხელიდან აზერბაიჯანი და ჩრდილო სომხეთი და სპარსეთისათვის შეუერთებია. რუსეთში თავისი წარგზავნილი ელჩის — ხულეფა-მირზა-კაფის საშუალებით ნადირს ისიც შეუტყვია, რომ ვახტანგსა და ბაქარს მოლაპარაკება ჰქონდათ რუსებთან და მათი მხედრობით თავს უნდა დასხმოდნენ შემახას და საქართველოს გათავისუფლება იქიდან დაეწყოთ. ნადირს სამხედრო წარმატებებს რუსეთის იმპერატორთა კარი შეუტყვინია. დედოფალს ანას განკარგულება გაუცია და თავის ჯარს თურმე კასპისპირეთი იმ იმედით დაატოვებინა, რომ სპარსეთს თურქეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ გაიხდიდა. იოლი წარმატებებით გათამამებულ ნადირს ვახტანგის ციხეც შეუშუსრავს და თურქები იქიდანაც გაუყრია. ნადირი მერე რუსებს მიჰბრუნებიათ და დერბენდის, სულაქისა და ბაქოს დატოვება მოუთხოვია, რაც დედოფლის ბრძანების თანახმად რუსთა მხედრობას თავაზიანად შეუსრულებია. დავით გურამიშვილის პოემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნადირს ვახტანგ მეფისათვის კაცი მიუგზავნია და ქართლის ტახტს დაჰპირებია, თუ იგი შაჰის ყმადნაფიც შეფობაზე თანხმობას განაცხადებდა. ვახტანგი არ მინდობია ნადირშაჰს, აღარც მოსკოვს დაბრუნებულა, თავისი ამაღლის ნაწილთან ერთად დარჩენილა ასტრახანს და 1837 წელს იქვე მიუბარებია სული უფლისათვის. ეს ამბები დიდი დამაჯერებლობით, ცოდნითა და მეცნიერული სიზუსტითაა მოთხრობილი დავით გურამიშვილის პოემაში. პოეტმა შემოგვინახა ბევრი ისეთი ისტორიული ფაქტი და დეტალი, რაც შემდგომში დროის უწყალო ხელით დანთქმულა და საისტორიო ანალებში ვეღარ მოხვედრია.

როგორც აღვნიშნეთ, 1724 წელს ვახტანგ მეფე აიყარა და ორი ათასი ქართველით რუსეთისაკენ ჰქმნა პირი. რუსეთს უფრო მეტი ქრისტიანი მეომარი შემწე სჭიროდა საზღვრებზე დასასახლებლად, მაგრამ ვახტანგმა თან მეტი მოსახლე ვერ იახლა.

„ვითარცა სთვლის ეამს ადრე მწვანედ მოხასხასე ფოთოლნი გაცვივნულნი და ფერდაკარგულნი მიმოდაიტაცებთან ქარისაგან“, აგრე გაფანტა საწუ-

ელგუჯა მალრაძე
გვლითა

თრომ კიდით კიდე ქართველნი რუსთა ვრცელ ტრამალებზე, ნოყიერ უკიდე- განო, მაგრამ უცხო მიწაზე მიმოდაფი- ნნა ისინი ბედის განჩინებამა, თუ მა- ვანთა და მავანთა წინდაუხედაობამა და გაუფრთხილებლობამ. ქართველნი ისე განხეულან, ვითარ მიმოსთესნა ძე- ნი ადამისნი, არსთაგამრიგემ განდევ- ნა რა ისინი ედმიდან. მრუდედ გად- მოუხედავს თვითონ ცხოველყოფელ წნათობსაც სვეგამწარებულთა და უსამ- შობლოდქცეულთა ზედა. და იტყოდ- ნენ ისინი თურმე გულის საოხად ფსალმუნის სიტყვეს. „სასუმელი ჩვე- ნი ცრემლითა ჩვენითა განვზავეთ“ და ტანჯულ ყოფას ლოცვებითა, ვედრები- თა და გულში მჭიდებისცემით იოხებ- დნენ.

გურამიშვილს მართალია არავითარი აკადემია არ დაუმთავრებია, სისტემა- ტური განათლება არ მიუღია და შინა- ური განათლების ამარად დარჩენილა, მაგრამ „ვსა და შავს“ საწუთროს გა- დარჩენილი მისი ლიტერატურული მემ- კვიდრეობა ცხადყოფს. იგი სათანადოდ ზიარებია ძველსა და მის თანამედროვე სასულიერო, საერო მწერლობასა და ფილოსოფიას. საკმაოდ კარგად სცოდ- ნია ბერძენთა ენა და შეუსწავლია რუ- სული და უკრაინული ენები. რაც შეე- ხება თვითონ-პოეტისაგან ვაცხადებულ „სწავლის სიმოკლეს“, უწრთენელობა- სა“ და „ცოდნა-მცირობას“ ეს სწორედ იმდაგვარი თავმდაბლობის შედეგია, რის გამოც საქართველოში ქართველი ხუროთმოძღვართაგან ნაგები ბევრი ტა- ძარი, ფრესკა და ოქრომჭედლობის იგავმიუწევლომელი, ნატიფი გემოვნე- ბით ნახელავი ნაკეთობა უავტოროდ არის ჩვენამდე მოღწეული. ანტიკურსა და თეოლოგიის ფილოსოფიაში მისი განსწავლა ექვემოუტანლად დასტურდებ- ბა მისივე ნაწერებით. ხოლო ხარბ და გაუმძაღარ სასულიერო პირთა მკაცრი მხილება, გმობა, გაჭირდვა-გაკილვა და მათ ავ-ზნეთა სააშკარაოზე გამოტანა ავტორის რწმენის ნაკლებობაზე სულაც არ მეტყველებს. მას საფუძვლიანად

შეუსწავლია ჩვენი საერო მწერლობა და ალბათ სიყრმეშივე უარუყვირებულ- ბულბულიანობისა, სპარსული მიქას- ტებისა და ბაიათების ხელოვნება. ტო- ტებნაყარ, ალვასავით ცად ატყორც- ნილ, შტოგანფენილ, მარადმწვანე წშირფოთლოვან და აყვავებულ პოე- ზისის გურამიშვილისეულ ხეს ნოყიერ ქართულ ნიადაგში აქვს გაბარჯღული ფესვები. მისი დავითიანი არის სიბრძ- ნის საუნჯე, მისი დახვეწილი გემოვნე- ბისა და განსწავლულობის ძეგლი. მის წიგნს არ ეთქმის კრებული ლექსთა. ესაა სამშობლო ქვეყნისა და პირადი უბედობის გამო ეტრატზე გადატანილი მწარე სიმართლე, გულისმომწყვლელი კაეშანი, ძირმწარე სამსალა, სვედიანი გულის სასოწარკვეთილი დრტივნვა- ლადადი, უიმედო დარდი, უცხოთა კარ- ზე მყოფი პოეტის ჯერ იძულებითი და ნერმე ნებსით ავადმოსასმენი ოდისეა, განწირული სულის სასოწარკვეთილი ძახლი ბნელში, მშველელის ამო ძიე- ბა და ხმობა, არათვისტომთადმი ბრმად მოიმედეთა სათხოვნელად გაწვდილი ხელის უსასო პოტინი, ალაგ ელვასა- ვით გამკრთალი სხივით იმედნეტლის გულწრფელი აღფრთოვანება, მერმე კი ყველაზე და ყველაფერზე ხელჩაქნე- ულის სასომიხილი ვაება, გულგატე- ხილის ყრუ პირქუში სევდა, იმედაყრი- ლის ნადველი, განწირულის უსაშველო ყვირილი, ცრემლიანი გოდება, ფიზიკუ- რი და სულიერი თვითმყოფობისათვის ძალისხმევა და უკანასკნელ ამოსუნთქ- ვამდე ბრძოლა.

სამშობლოს არჩევანის უფლება ჯერ ძეხორციელს არა ჰქონია. არც მე შე- მძლო საქართველო ამერჩია სამშობ- ლოდ. მე ჩემსუნებურად დავიბადე ქარ- თული ცან ქვეშ — ქართულ მიწაზე. მე ქართველმა ქალმა მშობა და ქართ- ველმა ძიძამ მაწოვა ძუძუ. ასეთი იყო მამაჩემის სურვილი და განგების ნება, როგორც თვითონ იგი იტყოდა. ჩემთ- ვის არც სჯულის თავისუფალი აღსა- რების უფლება მოუტია ვინმეს. ქრის- ტეს რჯული და მცნება ჩემს წინაბრებს

უღიარებიათ სახელმწიფო სარწმუნოებ-
ბად და მე იგი როგორც წინაპრებისა
და მშობლების სარწმუნოება, რო-
გორც იტყვიან, ჩემსუნებურად მივიღე.
ქართული სიტყვა, ქართული ენა, ქარ-
თული ზნე, ქართული ადათი, ქართული
პანგი და ქართული სულისკვეთება მე
ჩემსუნებურად შევისისხნობრცე და
ჩემსუნებურად წარმოვთქვი ქართუ-
ლად პირველი სიტყვა. შევეჩვიე ქარ-
თულ პანგებს, შევიძინე ქართული ზნე
და როცა თავი ვიცანი, უკვე კარგად ვი-
ცოდი, რომ სისხლითა და ხორციით, სუ-
ლისკვეთებითა და რჯულითაც, გონები-
თა და ენით და ერთი სიტყვით, ყველა-
ფრით საქართველოს შემადგენელი და
განუყოფელი ნაწილი ვიყავი. შეიძლე-
ბა ყველაფერი გამოიცვალო კაცმა, მაგ-
რამ მშობლებისა და სამშობლო ქვეყ-
ნის გამოცვლა შენს ნებასურვილზე
არაა დამოკიდებული, ამისი განჩინება
იქ, ზეცაში იწერება და მიწაზე სრულ-
დება. ასეთია პოეტის შინაგანი მონო-
ლოგი.

ირანისა და თურქეთის ბრძოლას
ამიერკავკასიისათვის, რომელიც 125
წელიწადს გაგრძელდა და 1639 წლი-
სათვის დასრულდა, თან მოჰყვა დიდი
კულტურის დაღუპვა, ქვეყნების იავარ-
ყოფა და საქართველოს გაჩანაგება. გა-
ვერანდა ნახნავ-ნათესები, მოიშალა
სარწყავი არხები, საირიგაციო ნაგებო-
ბანი, აჩეხა ბალ-ვენახები, გაიკაფა ხე-
ხილი და ქვეყანა ერთიანად გაპარტახ-
და. ირანელები ანგრევდნენ, აოხრებდ-
ნენ დაპყრობილ ქვეყანას და სპარსე-
თის შიდა ოლქებში ასახლებდნენ მო-
სახლეთ, ოსმალები კალოში ჩაშლილი
ძნასავით კევრით ლეწავდნენ ყველასა
და ყველაფერს. სპარსელთა და თურქთა
გამანადგურებელ ლაშქრობებს ზედ
დაერთო მათგანვე ზელგახსნილი მოს-
ყიდული და წაქეზებული ლეკების აღ-
ვირახსნილი თარეში. მტრებმა განალა-
გეს საქართველო, დააბეჩავეს მშრომე-
ლი ხალხი, დასცეს განათლება. გარეშე
მტრის თარეშს, როგორც ეს საყოველ-
თაოდ ხდება ხოლმე, მოჰყვა შინააშ-

ლილობანიც. დაითესა უნდობლობა,
ეჭვი, მტრობა და შური. ჩამოვარდა ქვეყ-
ნის შორის უღლი. გაუტანლობამ კარ-
გა ღრმად ფესვები და ქვეყანა ერთიან
სასაკლაოდ იქცა. მთავარი უბედურება
მანც ის იყო, რომ მტრებმა შესძლეს
ძმათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადა-
კიდება და „კახელების აღმა ხნული
ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“. რუ-
სეთთან კავშირის იმედს იმხანებში ის
მოჰყვა, რომ ზედაველაზე გამართულ
ბრძოლაში ქართველთა ჯარი ისევე და-
მარცხდა და გამარჯვებით გათავხედე-
ბული ოსმალთა ურდო ქართლს შეესია.
ქართლ-კახელთა, თუშ-ფშავ-ხევსურ-
თა ლაშქარს გორის ციხეში გამაგრე-
ბულ თურქთა ურდოს განადგურება
ჰქონდა გულში ამოჭრილი... გორის ცი-
ხეში იდგა თურქთა მთავარი ძალა. ზე-
დაველაზე გამართულ ბრძოლას უნდა
გადაეწყვიტა ქართველთა ყოფნა-არ-
ყოფნის საკითხი. ამ ომში ღებულობს
ქაბუჯი გურამიშვილი პირველ საბრძო-
ლო ნათლობას. გვინდა ის შავი და საბე-
დისწერო ღღე ჟამთა სიავის წყვილი-
დში როგორმე განვპირითოთ და აღვად-
გინოთ. 1724 წელი. ზედაველა ქართ-
ველთა საომრად შეყრილ ჯარს ძლივს
იტევს. „არ იმართვოდა ლაშქარი ზე-
დაველაზე დატევით“, — გვამცნობს
პოეტი. თეთრ ცხენზე ამხედრებული
ქაბუჯი ჩიქურ ჩასცქეროდა თვალბში
მხედრებს. ვინც წინ უნდა გადაღობე-
ბოდა მომხდურთ. მეზრძოლები ისე
მშვიდად ისხდნენ ცხენებზე, თითქოს
დაბლა ჩამოხდებოდნენ თუ არა გაშ-
ლილი სუფრა და გულუხვი მასპინძელი
ილოდათ. დავითი დაჟინებით აკვირდე-
ბოდა მეზრძოლებს. მაგრამ მღელვარე-
ბის ნიშანწყალი სახეზე არც ერთს
არ აჩნდა. თითოეულმა მათგანმა ალ-
ბათ ძალიან კარგად უწყოდა, რომ სიკ-
ვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იდგა და
სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო
შინ აღარ დაბრუნებულიყო. მაგრამ ისი-

ელაგუჯა მალრამძ
გომდგა

ნი ხომ თავიანთ ქვეყანას, თავის ოჯახსა და ცოლშვილს იცავდნენ. ალბათ, ეს აკაეზებად და ბრძოლის წინ სიმხნევესა და სიმშვიდეს ჰმატებდათ. ხსნის სხვა გზა მათ არ ვააჩნდათ. აქ მოუხდათ დუშმანი და რაკი მომხდურთ ძალით უნდოდათ იავარეყოთ ქვეყანა, დაპატრონებოდნენ მათ შვილებს, ქალ-რძალთ, წაერთმიათ ქონება, — შეევი-ნებინათ რჯული, დაეკარგვინებინათ თავისუფლება და მოეოხრებინათ ქვეყანა, მათაც ძალისათვის ძალა უნდა დაეებირისპირებინათ. უხეში ძალა ქცეუ-ლიყო უხეზაეს მსაჯულად და ახლა ამ უხეში ძალის წინაშე ყველაფერს უკან დაეხია.

აღიონზე დაჰკრეს ბუკსა და ნალარას, ბუკების გამყვიანმა ხმამ და ნალარის სულში ჩამწვდომმა, გულის შემზარავ-მა ჰყვიტინმა საომრად აღანთო ქართ-ველნი, თავდავიწყების ექსტაზში შეი-ყვანა ვაჟკაცები და ახლა ერთი დამახი-ლი სამშობლოსათვის კმაროდა, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ან მტერს შეჰკვდომოდნენ და ან თვითონ მოეს-რათ მომხდურნი. ო. რა ხაფი ხმით ავი-ვლებდნენ საყვირებს მეტუკენი, რა სა-ზარლად ბლაოდა ნალარა და რა უწყა-ლოდ სცემდნენ დაფდაფებს მედოლენი.

დაე, მტრისათვის უფრო გულსაკ-ლავად გაისმოდეს განთიადისას დაკ-რული ხმა ნალარისა, და დოლისა „კახ-მა ბატონმა მომართა დაფდაფნი და საყვირები“... ეს ხმა ხომ მტრისათვი-საა სმენად საშიში, დამზაფრავი და სა-სოწარმკვეთი. მაშ, ხიფათიანი განთია-დის ეს ხმა კარგი ამბის მახარობელი ყო-ფილიყოს ქართველთათვის. დაე, კვლავ გრგვინავდნენ ბუკები, დაე, ისევ გუ-ლის წამდებად ჰყვიტინებდეს და ბლა-ოდეს ნალარა, ყველაფერი ალბათ სა-სიკეთოდ გადაწყდება და დამთავრდებ-ბო, ასე ფიქრობდა ჰაბუკი გურამი-შვილი.

მალე შეტევისა დაუკრეს და ქართ-ველ ცხენოსანთა ყიყინის დაცემა და მტერზე ხმალშემართული მისვლა ერთი იყო. ასეთ გულდაგულ მისვლას ური-

ცხვი მტერი არ ელოდა. ქართველნი ცხენოსნებმა გადაქელეს მომხდურნი რიგები, ყველაფერი ერთმანეთს მსხვერპლად რია, ხმლების ჩახაჩუხი, სასწრაფოთა მუახე ხმა, ვაჟკაცური საომარი შეძა-ხილები, დაჰრილთა კვნესა, გმინვა და მშველელთა ხმოზა. შუადღის შემდეგ ოსმალებმა ცხისსაკენ ბრძოლით უკან დახევა იწყეს, ამით გათამამებული ქარ-თველთა ლაშქარი გარს შემოადგა ურუმთ და მათ მთლიანად მოსრას ლამობდა.

ივლისის წყნარი დღე მდგარა. ბული ზანტად მიიზლანებოდა თურმე ლურ-ჯად მოკამკამე ცისკენ. რომ ბრძოლის ყიყინა, ნალარის ხმა, ხმლების ჩახაჩუ-ხი, შეძახილები და დაჰრილთა კვნესა-გოდება არა, ალბათ ჰრიტონობლების გაბმული ზუზუნი წაიღებდა ყურთას-მენას.

პოეტიც საქართველოს თავისუფლე-ბის გუშავთა ჯარშია, ეს ჩანს მის მიერ აღწერილი ბრძოლის ამბების უშუალო-ბიდან. მისი ნაღველიდან, რაც ლალატს გამოუწვევია:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა
 მწკალტვეით,
 არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატვეით,
 მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე
 შატვეით,
 მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე
 ნალალატვეით.

შინა მოლალატენი კი ნამეფარი იესე, ვახტანგ მეექვსის ძმა და დიდი სულ-ხან საბას ძმა ერასტი ორბელიშვილი ყოფილან. ისინი უძლოდნენ თურმე წინ თბილისიდან თურქთა მამველ ძალებს-სო. დიდად გარჯილან კიდევ, თავის თვისტომთა წინააღმდეგ.

ჯერ გამარჯვებული ჯარის და ისიც ოხმალთა ურდოს ველურ თარეშს რა-ღა ფერების გამუქება დასპირდებოდა ხატვის დროს და დავით გურამიშვი-ლიც მოკლედ მოსჭრის:

ვაი, იმ დღეს! ოხმალნი ბევრს უბრალო
 სისხლსა ღვრიდნენ,
 საცა შეხვდით მუშა-კაცი, გლახა მწირსა
 თავსა სჭრიდნენ,

გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა წარში
პურიდენენ,
ტანთ მარხველი არა უვანდა, მელა-ტურა
გამოხვრიდენ!

შავბნელი წარსულის ერთი უსაზარ-
ლესი შავი სურათია გადმოცემული და
ალბათ სიტყვაც უძღურია ზედაველაზე
გამართული ხოცვა-ჭლეტის დასასუ-
რათხატებლად. საქართველო სასაკლა-
ოდა და გლოვის ველად უქცევიათ ვე-
ლურ ოსმალთ.

ბრძოლის წაგებისა და „ქვეყნის წახ-
დენის“ შემდეგ კალიასავით მოდებული
ურდო ვის რა ხეირს დააყრიდა. გურა-
მიშვილებიც აბარგებულან გორისუბ-
ნიდან, ნაწილი ავკალაში დასახლებუ-
ლა, ნაწილი კი ლამისყანას, ქსნის ხეო-
ბაში. ჭაბუკ პოეტს, მართალია, ახ-
ლობლებთან ერთად უცხოვრია, მაგ-
რამ დიდად გულწაკლულად ყოფილა:

ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი
სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე,
ლამისყანასა

ქსნის ხეობისათვისვე შეუფარებიათ
თავი ურუმთაგან ლტოლვილ კახთა მე-
ფე კონსტანტინეს და მის ამაღას. მათ-
ზე უფრო ადრე ლაშის ყანისა და ოკა-
მის მიდამოებში სახიზარი ქართლის
მეფე ვახტანგ მეექვსესე უბოვნია. ყო-
ველივე ამისი მიზეზი კი ის ყოფილა,
რომ ვიდრე კონსტანტინე — მაჰმად-
ყული ხანი ურუმს ებრძოდა, კახეთს
ლეკები დაჰპატრონებდნენ და ოსმალო-
თაგან დამარცხებულ კახთბატონს რაკი
თავის ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა,
ჯერ ქსნის ხეობაში უქებნია თავშესა-
ფარი, ხოლო შემდეგ ფშავეში ასულა.
დავით გურამიშვილი კი, როგორც კა-
ხელი თავადი და ახალბედა მეომარი,
ალბათ კახთა მეფის კონსტანტინეს გარ-
ში იმყოფებოდა და ჯერ ქსნის ხეობა-
ში ამოჰყოფდა თავს, შანშე ქსნის ერი-
სთავთან თავშეფარებულ კახთბატონ-
თან ერთად და ალბათ მერე ფშავეში,
სოფელ თვალღვიშიც აჰყვა მეფე კონს-
ტანტინესა და მის ამაღას. ჩვენი მემ-
ტიანენი არას ამბობენ ამის თაობაზე,

მაგრამ მათ მაგიერ გურამიშვილი რა-
ღადღებს:

კახთა ბატონმა მიმართა ფშავეხვესურეთის
კიდემა,
კახთა ცოლშვილით თვალივსა მძლივ ფეხი
მოაკიდემა:
რაც ხანი იყენენ, სარჩოსა ვერც სთესდეს,
ვერცა მკიდემა,
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ
პურღვიწივ უიდემა.

მშვიდობიანი ტაროსი არც ქსნის ხეო-
ბაში მდგარა და ვერც იქ შეხიზნული
ვახტანგ მეექვსე და მტკბარა სიმყუდ-
როვითა და მოსვენებით. ლეკთა თარე-
ში ქსნის ხეობაში მომძლავრებული
ყოფილა. მოთარეშე ლეკების მოლაშქ-
რებთან ერთ-ერთ შეტაკებისას ვახ-
ტანგ მეფეს ცხენი წაჰქცევია, თვითო-
ნაც დაცემულა, მაგრამ უმალ წამომხ-
ტარა, უმარჯვნია და ამაღის წევრებთან
ერთად კვლავ სამკვიდრო-სასიცოცხლო
ბრძოლაში ჩაბმულა. სწორედ ამ დროს
გამოუვლია გზად შანშე ქსნის ერისთა-
ვის შეილისაგან სხვილოს ციხეში წარ-
გზავნილ ათიოდე მხედარს და შეჭირვე-
ბაში მყოფი თვისტომნი რომ უნახავთ,
იმწამსვე ბრძოლაში გადაშვებულან.
როცა მომხდურნი აუკუწაით, მაშინდა
დინტერესებულან ერთმანეთის ვინაო-
ბით. დავითსა და მის თანამგზავრთ
მოგვიანებით შეუცვნიათ ერთ-ერთ
მებრძოლში უბრალო სამოსში გამოწყო-
ბილი ვახტანგ მეფე, გვირგვინწართ-
მულ ვახტანგს იმ დროს უკვე მტკი-
ცედ ჰქონია გულში ამოჭრილი სამშობ-
ლო ქვეყნიდან დედაწულიანად აყრა
და რუსეთს გადასახლება, რაც მისი
და მისი ამაღის წევრთა მისაშველებ-
ლად მისულ ჭაბუკთათვისაც კი არ და-
უმაღავს. „იხილა, რა მეფემან ეხე ვი-
თარებანი ქართველთა იწყო სხვისა გან-
ზრახვა“, — წერს თანამედროვე. სამ-
შობლო ქვეყნისა უბედობითა და მის
მკვიდრთა გაუტანლობით გულარძნილ
გვირგვინოსანს ასეთი სიტყვები დას-
დენია: „მართალია, ზოგიერთი წამხდა-

ვლავუჯა მალრაძე
გოდამა

რი კაცის უღირსმა საქციელმა რწმენა შემირყია, მაგრამ ჩვენი ხალხის სულიერი მხნეობისა მწამს, მის მკვდრეთით აღდგომა და აღორძინება მჯერა, ეს იმედი ჩემს გულში კელაპტარივით ანთია და ჯერაც არ ჩანავლებულა. ხანდახან მაინც მეუფლება საზარელი აზრი და ვფიქრობ, იქნებ ჩვენი დრო მოვჭამეთ, გვძლივა ბინდისფერმა, ვაგვირისხნა ზეციერი მეუფე ჩვენი, რისხვით მობრუნდა ჩვენს თავზე შეიდიცის ბორბალი, დსალუპავად განვიწირენით და ჩვენი კეთილი წალკოტი ჯოჯოხეთის ყარაჩ ველურებს უნდა დარჩეთმეთქი. ხალხის შესაგვანნი მაინც რომ იყვნენ კიდევ ჰო, მაგათი წვრილმანი ჩარჩ-ვაჭრული სული ისე ვერ მოისვენებს თუ მავანთა და მავანთ კარდაკარ არ იწანწალეს, ცასა და ქვეყანას თავი არ შეაბეზრეს, თავიანთი თითლიბაზობით ვინმე არ დაატყუეს, მოაღორეს, აცთუნეს... მერე სულ ყველაფერი რომ ზედაპირული და მოჩვენებითი აქეთ: მოშურნენი, ურცხვნი, გაუტანელნი, წამსისიანებელნი, ღიზნი, დამსმენნი, ლაჩარნი, ვერაგნი და უტიფარნი, ყოველგვარ ნიჭთა სამამაკაცთა მოკლებულნი და მუდამ სხვისი იმედით მოქმედნი. აი, ანდაგვარი მეზობლებით გარშემორტყმულებმა ანკი როგორ გავუძელით მოძალებულ გაალმასებულ მტრებსა და ჟამთა სიავეს? რამ ვადაგვარჩინა, რომ არ ვადაგვიხმია ხეცხოვრებისა? რამ შეგვანარჩუნებინა ჩვენი მეობა, რამ აგვატანინა დარდი და ნალველი. ჩვენი მიწა ხომ დასაბამიდანვე სისხლის წვიმებით ირწყვოდა, იცვლებოდნენ თაობები, მონაცვლებოდნენ გარეშე მტრები. მაგრამ ჩვენი ხალხისათვის ამ მონაცვლებობას სასიკეთო არა მოუტანია რა. ქართველთათვის დარი არაოდეს დამდგარა, ჩვენს ზევითცა მუდამ მოქუფრულ-მოქუფრუხებული ყოფილა. მტრები ჩვენს დაღვრილ სისხლში როგორც ემბაზში ისე ბანაობდნენ, ჩვენივე ჭრილობებიდან მოთქრიალვე სისხლის მდინარეებით გვიქადდნენ წალეკვას, ჩვენივე დათხეული წმინდა

სისხლის მორევში გვიპირებდნენ ჩხ-
რჩობას ათასი ჯურისა და ჯილავისა და
დამთიელნი. განათლებული კაცობრი-
ობა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად
გვთვლიდა და არ ვიცო, ასე უღვთოდ
რად გავიწირენით. რატომ შემოგვადგა
გარს შინაური და გარეშე ყველამ
და ყველაფერმა ჩვენდა სამტროდ
რად მოიცალა? რა დაუშუავეთ მუჰამედს,
რომ განუწყვეტლივ გვიგზავნიდა
მისდამი ფანატიკური რწმენით აღსავსე,
დაუნდობელ ჯალათებს და ჩვენს ქვეყანას
აპარტახინებდა, რით ვერ დავიმსახურეთ
ჩვენი სათაყვანებელი მაცხოვრის
სიყვარული, რომ მწუდა და ფარად
არ მოგვევლინა? ჩვენმა ხალხმა ხომ
სიყვარულიცა და სიძულვილიც პირდაპირ
გაცხადებული იცის. არავისათვის არაფერი
წავგვირთმევიცა, არავინ დაგვიჩაგრავს,
არავინ ხელგვიყვია! თუ სამოწყალოდ
შეგვიკედლებია ვინმე, ჩვენს მიწაზე
დაგვისახლებია, ჩვენი სარჩო-საბადებელი
გვიწილადებია, ნუთუ ამ სიკეთისათვის
უნდა ბოროტი მოგვაგონ, გაგვიციდონ,
გვიღალატონ, გვიმუხთლონ... აი, ჩემთვის
ამოუხსნელი დილეგებია... რამდენი
ღამე მითევია აქ და ქერმანში თეთრად,
მაგრამ ამ საქირბოროტო კითხვებზე
სწორი პასუხი ვერა და ვერ ვიპოვე.
თქვენ გაგანდეთ ჩემთვის ამოუცნობ და
უპასუხოდ დარჩენილ, ძნელად
გასაბრტყობ საკითხთა რიგი და
ვითარცა სამშობლოში დამრჩომ
უპაბუტო შეჰფერის, მათზე
პასუხის გაცემაც თქვენ უნდა
ითხოვოთ. თუ ჩვენს სატიკიარს
სწორ აქიმობას გაუწევთ და
ქვეყნის სხეულს ღირსეულ
მკურნალებად მოველინებთ,
ბარაქალა თქვენ! შთამომავლობაც
დაგლოცავთ და მეც წინასწარ
დამილოცინებართ!" ეს უთქვამს
მეფეს და მსმენელთათვის პირი
მოურიდებია, რომ მის თვალთაგან
მონაყურის ცრემლი არ შეენიშნათ.
იგი ერთხანს წასასვლელად
მომზადებულა, გარნა თვითონვე
დაყოვნებულა და საკუთარი
თაოსნობით წამოწყებული
მონოლოგი ბოლომდე
მოუყვანია: ამქვეყნად
კაცნი



ტანჯვისათვის დაბადებულან, ყოველი ადამიანი მოწამებრივი სიკვდილით დავანებს ხოლმე მუდმივ სამყოფელში, ყველა მტვრადა და მიწად იქცევა, მაგრამ ჩვენ ცნობიერებაში მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ცხოვრება სტოვებს თავის ღრმა კვალს, აი, ისინი ვისზეც სწერდნენ და ისინი, ვინც თავის ცხოვრებაზე თვითონვე მოგვითხრო. გოდება სოფლის ამობაზე, კაცთა სვეზე, უიმედო ყოფაზე, ბედნავს სიყვარულზე, უაზროდ დაღვრილ სისხლზე, უდროოდ დამქანარ, გასაშლელად აფეთქებულ მშვენიერ ყვავილებზე, კაცობრიულ სევდაზე, ბოროტისა და კეთილის საწყისზე, უნაყოფოდ დანთქმულ და უძეოდ გადაგებულ თაობებსა და ხალხებზე, აი რა ყოფილა და რა იქნება მიწვივ ჭეშმარიტ პიტიკოსთა, მოქანდაკეთა და მხატვართა შთავონების მკვებავი უშრეტი წყარო და დიდრონი მხატვრული ტილოების შექმნის დაუსაბამო მიზეზი და საბაბი. თორემ სიამეზე, რაც ერთის წამითაა, დაწერილი და შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებნი ისევე წამიერად ცხოვრობენ ამქვეყნად და ისევე სწრაფად ქრებიან როგორც სიხარული. ადამიანთა მოდგმას მხოლოდ იმათი სიყვარული ახსოვს, ვინც ამ მტანჯველ, ნარეკლით მოფენილ გზაზე ბედნავსი სიყვარულითა და მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა. ტანჯული ქვეყანა, მტანჯველი გზა, მტანჯველი გრძნობა, ადამიანის ხელითვე დათესილი და მომკილი სიკვდილი, მდინარეებად დაღვრილ სისხლზე გოდება, ტანჯვა-ვაება, დასაღვრელი სისხლის წინაშე თრთოლვა, ძრწოლა, შიში და კეშანი აი, რა უშფოთებს გონებას კაცობრიობას. თაობები გმობენ და შეაჩვენებენ ხოლმე უაზროდ დაღვრილ სისხლის მთესველთ, გარნა იმ მგომბელთა, სხვათა გამკიცხავთა და შემაჩვენებელთა შორისვე აღჩნდებიან ხოლმე ნაკადულებად დაღვრილი სისხლისა და კაცთა ხოცვა-ჟლეტით სახელგანთქმულთა მებოტბენი: რამზესს, ჰანიბალს, ალექსანდრეს, სულას, იულიუსს, პომპე-

უსს, თემურლანგსა და შაჰაბაზს იქნებ ცხოვრების ვარიეტაჟზე, სხვა მიღრეკილებები ჰქონდათ, მაგრამ დიდების შარავანდელი და ცათსწორის მქუხარე სახელები ხალხების ხოცვა-ჟლეტით მოიბოგეს. მერე ხომ აღმოჩნდნენ მწერლები, რომელთაც მაგათი სახელები დიდების შარავანდით შემოსეს? დიდება და სახელი კი მით უფრო დიდია, რაც მეტი სისხლია დაღვრილი, მეტია ტყვედწასხმული, მეტია დავლა და ალაფი. ჰომეროსიდან და ვერგილიუსიდან მოყოლებული მწერლებს მიერ, ყველაზე მეტად, ისინი არიან ხოტბაშესმულნი, განდიდებულნი, შექებულნი და ამაღლებულნი, ვინც სხვებისაგან ხმლის ფხიანობით, საომარი ხრიკებით, საზრიანობით, ვაჟკაცური მხარ-მკლავებით, გულოვნობით, მამაცობით, არაჩვეულებრივი ძალ-ღონით და სხვა ამდაგვარ ბრძოლაში საჭირო თვისებებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. რა უკეთებით ამ ხოტბაშესხმულ გმირებს თავიანთ საზრიანობით? მათი გონება ჰომეროსის ოდისევსივით, ტროადის ცხენისმგავსი გამოგონებებით ყოფილა მიწვივ დაკავებული. მათი საზრუნავი მუდამ ის ყოფილა, პირდაპირი იერიშით შეეღეწათ სამშობლოს დამცველთა ციხის ბქენი. თუ შიგ ათასგვარი ხრიკებით შეეღწიათ. გარს შემოწყობოდნენ ციხეს თუ ალყით გაეტეხათ. მათ ნიადაგ იმაზე უფიქრიათ, თუ ცრუ დაპირებებით როგორ ეცთუნებინათ მეციხოვნენი და მოპირდაპირის ცხენოსანი, თუ ქვეითად მებრძოლი მოლაშქრენი და ვინც ყველაზე უკეთ ახერხებდა ციხის აღებას, მოწინააღმდეგის მოტყუებას და ხალხის შემუსვრას, მუტრიბნი და მომღერალნიც იმათზე იმღეროდნენ სახობრო სიმღერებს, მათზევე ითხზებოდა ხალხური ლექსები და მწერლებიც მათ აქებდნენ და ადიდებდნენ.

ასე დათესილა ამქვეყნად აურაცხელი სიკვდილი, ასე დაღვრილა აურაც-

ელგუჯა მაღრაძე
გოდება

ხელი სისხლი... უგლოვიათ თაობებს და განუზომელი ყოფილა მათი სევდა და კაეშანი...

სიხარული კი ერთის წამითაა. ეტყო-
ბა, ადამიანს არც ძალუქს დიდხანს მხი-
არულება. ადამის მოდგმას, ბოლოკე-
თილ სიყვარულზე და სიხარულზე
დწერილი წიგნები ჰკუამსუბუქ კაცთა
ქმნილებებად მიაჩნია. ჩანს, ჩვენს მოდ-
გმას თანდაყოლილი აქვს მძაფრი გან-
ცდებისადმი შინაგანი ლტოლვა. ეს ძა-
ლიან კარგად უგრძენიათ ძველ რომა-
ელთ და თვისტომთა პოლიტიკისაგან
ჩამოშორებისა და ხალხში სახელის
მოხვევის მიზნით ტყვედწასხმულთ საქ-
ვეყნო ასპარეზზე ხან მხეცებთან აბრ-
ძოლებდნენ და ხანაც ერთმანეთს აბო-
ცივებდნენ უწყალოდ. ბევრი რამაა ამ-
ქვეყნად გამოვლენილი და მუგუზალი-
ვით ნაცარში ღრმად დაფარული ბევ-
რი ბოროტებაც იმაღვის. მაგარი, კე-
თილი საწყისი არსებობს და ხსნისაკენ
მავალ მტანჯველ აღმართზე ხალხს ეს
ნუგეშიდა ასულდგმულებს“. ეს უთქ-
ვამს მეფეს, გარინდებულა და თავი
ფიქრებისათვის მიუცია. მსლებელთ
გვირგვინიღებულ ვახტანგისათვის ცხე-
ნი მიუგვრიათ. იგი დარბაისლურად
ამხედრებულა ბედაურზე და სმენად-
ქცეულ მოყმეთ უმალ განრიდებია.

ვახტანგის აყრისა და ქართლიდან
გასვლის შემდეგ შინააშლილობისა,
არეულობის, უთავბოლობის და ლა-
ლატის ცეცხლი ახალი ძალით გაღვივე-
ბულა, თუმცა სარბიელზე სამოქმედოდ
გადახვეწილ მეფის ნაცვლად, სხვანი
გამოსულან. ზედაველაზე გამართული
სისხლიანი ამბების შემდეგ მთელი
თორმეტი წელი ქართლ-კახეთი ხომ ოს-
მალთა უღელქვეშ გმინავდა. ოსმალთა
თარეშს ზედ დართვია ლეკთა მარბიე-
ლი ლაშქრის გახშირებული თავდასხ-
მები. კაცი კარში ვერ გავიდოდა უი-
არაოდ, სახლში ვერ დაიძინებდა გულმ-
შვიდად, სახნავ-სათიბში, მკასა და ლე-
წვისას მუდამ იარაღსხმული უვლიათ,

ვისაც სარჩო-საბადებელი ჰქონია, გა-
მოქებაულებსა და ციხე-სიმაგრეებში
შეხიზნულან. დაუგდიათ სოფლებში
ცურად უკაცური კი ყველაფერი ეშ-
მაკისა! თავს ენგრეოდათ თურმე სახლ-
კარი, გადაშენებულა წალკოტივით მო-
ვლილი ბალ-ვენახები და ბახჩა-ბალებს
ასკილი და ჭინჭარი მოსდებია. იმ შავ-
ზნელი დროის სახსოვარია ჩვენი ნაღვ-
ლიანი ლექსიკონი: ნასახლარი, ნაწის-
ქვილარი, ნაყანევი, ნავენახარი, პარ-
ტახი, ნაფუძარი...

მრავალი ხალხური ლექსი და ლეგენ-
დასავით ამბავი შემორჩენილა ქართლ-
კახეთში ლეკთა თარეშის იმ დუხჭირი
დროის მოსაგონებლად. მოთარეშე ავა-
ზაქნი სოფლებში იჭრებოდნენ, უწყა-
ლოდ ჟღერდნენ მოხუცთ, ახალგაზრდა
ქალ-ვაეს იტაცებდნენ, მიჰქონდათ ვაი-
ვაგლახით მოყვანილი ჭირნახული, მიჰ-
ყავდათ ტყვეები და ვერანდებოდა ირგ-
ვლივ ყოველი.

იმ ტყვეთა შორის საზარელი ბედის
წყალობით, ვინ იცის, რამდენჯერ და
რამდენი გენიის პირმშოც მოხვედრი-
ლა, მაგრამ მტაცებელნი რას დაგიღვე-
დნენ პოეზიას, მეცნიერებასა და ხე-
ლოვნებას! მათთვის თვითეული ტყვე
იყო ნაალაფვევი დავლა და ისინი პატ-
რონებისათვის რაც შეიძლება ძვირად
უნდა შეესყიდებინათ, ანდა ალუპოში
ბაზარზე პირუტყვივით გაეყვანათ და
გაეყიდათ.

ჭაბუკი პოეტი ლამისყანაში დამკვიდ-
რებულა ნათესავეებთან. ობლად დარ-
ჩენილ ქვეყნის ბედზე გულდამწვარ ჭი-
რისუფალს, აქ უნამია ცრემლი, სულის
საოხად, და როცა შეუტყვია, რომ რუ-
სეთს გახიზნულმა გვირგვინოსანმა თან
იახლაო: ცოლ-შვილი, მახლობლები,
დიდკაცობა, ქვეყნის ბურჯად ნაგულ-
ვები მთელი სამეფო ამაღა, ორი ათასა-
მდე კაცი ხმლისა და კალმის მფლო-
ბელნი, მწერალ-მწიგნობარნი, მეცნიერ-
ნი და სახელმწიფო საქმეთა სამართლით
გამგებელნი, გულმდუღარედ მოთქვამ-
და თურმე:



წამლა მბრუნავმა დროჟამა უყუღმა შექნა
 ტრიალი
 ფრთა მოკრა ქართლსა, კახეთსა, შექენვეინა
 ბრტიალი:
 მამლები ტურამ დაქამა, დედლები დარჩა
 ტიალი,
 მიღგა ყოვი და ყორანი დანაწყებინა
 წკრტიალი
 მოიხრა ხშირი ქვეყანა, გახლა ვერანად
 ტრამლადა!
 სულ წარტაცეს, თუ ვინმე შამპში მოურჩა
 წამლადა,
 დადედელებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ
 მამლადა
 აღარვინ დარჩა ფარსავი პატრონად, ქვეყნის
 მამლადა.

ვახტანგ მეექვსის აყრა და რუსეთს გადასახლება, მართალია, იძულებით მოხდა, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, გაქცევა და ხალხისა და ქვეყნის მიტოვება ბედის ანაბარა! მეფე და მისი ორთათასიანი ამაღა თავიანთი ამ საქციელით მიაგავდნენ ზღვის ფრინველებს, რომელთაც მოსალოდნელი საშინელი ქარიშხლის მოახლოება წინასწარ იგრძნეს, დასალუბად განწირული გემი მიატოვეს და თავი ნავსაყუდელს შეაფარეს. ისეთი განათლებული და სწავლული მონარქისაგან, როგორც ვახტანგ მეექვსე იყო, დავით გურამიშვილი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მოელოდა სასწაულებს, სინამდვილეში კი თავში კეტივით დასცა, ჭერ ძმათამკვლელო ომი და მერე საჭის მპყრობელი გვირგვინოსნისაგან სრულიად წინდაუხედავი და მოუფიქრებელი ნაბიჯი — ქვეყნიდან აყრა და უცხოთა კარზე სამოწყალოდ წაბრძანება. აუხდენელმა ოცნებებმა, განუხორციელებელმა იდეალებმა და დამსხვრეულმა იმედებმა ერთიანად დაცალეწა ქაბუკის ილუზიები და მეშვიდე ცაზე აფრენილი, ლაყვარღმი ოცნებებით მონავარდე, გონებაგანხმულ პოეტს უფრო ძალუმად განაცდევინა თავისი ქვეყნისა და ხალხის ტრაგედია.

ქართლის მეფისაგან ქვეყნის წინდაუხედავად მიტოვებამ დავითს თავისი სულიერი მოძღვრის პავლე მღვდლის და-

მოძღვრა გაახსენდა: „არ არის ამქვეყნად წყალული და სატკივარი, რომ თავისი წამალი არა ჰქონდეს, მხოლოდ მეფეთა თვითნებობასა და ხუმტურთანაა უძღური ყველა მალამო, შეგონება და საფენი“.

საქართველოს გამგებლად ოსმალებს ეინმე ისაყ-ფაშა დაუსვიათ. მასაც, როგორც ეს ტირანთა წესია, ერთმანეთისათვის წაუსისიანებია ძმები და დაწყებულია ქვეყნის დამლუბველი კინკლაობა:

შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის
 ძვირისა,
 ამპარტავნობა და შური ურცხვად გატეხა
 მირისა,
 ავაზაკობა, ქურდობა გზებზედ დასხდომა
 მწირისა,
 ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა,
 მწირისა.

ქვეყანაში ოსმალთა ურდოს დაუნდობელ, უწყალო, პარპაშზე იასე ტლაშაძე¹³ ასე გულსაკლავად მოთქვამს: „აღარ მოვიდა ქართლში მზე, აიგოს ღრუბლით, ნისლითა, ურუმნი ხელსა იბანენ ქართველებისა სისხლითა“.

მომხდურ გადამთიელთა ავკაცობის მლოდინით გაბეზრებული გურამიშვილების ოჯახი სწორედ ამიტომ გადასულა ლამისყანას, ქსნის ხეობაში.

ომან ხერხეულიძე (მდივან-ბეგი) „საქართველოს ცხოვრებაში“ ასე ავნიწერს სამშობლო ქვეყნის სავალალო ყოფას: „წელსა 1724 მეფე ვახტანგ და ბაქარ წავიდნენ რუსეთს, წელსა 1725 ძმა მეფისა ვახტანგისა მეფე იესე გამაჰმადიანდა (იგულისხმება ოსმალთა სჯულზე გადასვლა ე. მ.) და კვალად

¹³ ეს ის იესე ტლაშაძეა, რომელიც რუსეთს გაჰყვა მეფე ვახტანგს, მერე თავისი ნებით წამოვიდა ისევ სამშობლოში და სტამბოლს ახლდა კათალიკოს დომენტის. პოეზიაში იგი რუსველის მიზმაძეგლია, შექმნა საისტორიო პოემა „კათალიკოს-ბაქარიანი“.

ელგუჯა მალრამაძე
 გოდება

მისცეს ოსმალთა მეფობა ქართლისა-
გარნა არა იგი აუფლეს ნებისაებრ თვი-
სისა და მოკვდა იესე წელსა 1733.

ამასვე წელსა კახთა მეფეს მაჰმად-
ყული-ხანს უღალატეს ოსმალთა და
მოკლეს სამზირალში და მრავალნი თა-
ვადნი და გლეხნი მოსწყვიტეს მის-თა-
ნა. გარნა კახეთი ვერა ნებისაებრ თვი-
სისა დაიპყრეს და მაშინ მოინდვეს მჰა
კახთა-მეფისა მაჰმად ყული-ხანისა თე-
იმურაზ და მისცეს მეფობა კახეთსა,
ვინაიდგან ნებავდათ დაპყრობაცა კა-
ხეთისა, მსგავსად ქართლისა“.

როგორი იყო ვახტანგ მეექვსის რუ-
სეთს გადახვეწისას პოლიტიკური
ფონი თვითონ რუსეთში? პეტრე პირ-
ველი დახმარებას არც ესწრაფოდა თა-
ვისი ქვეყნიდან ლტოლვილ გვირგვინოს-
ნისათვის, სატახტო ქალაქში შესასვლე-
ლი კარის ბჰენიც საიმედოდ დაგმანა.
პეტრემ კარგად უწყოდა, რომ ამდენი
ხალხის მასპინძლობა გაურკვეველი ვა-
დით მძიმე ტვირთად დააწვებოდა ხა-
ზინას. ასტრახანის გუბერნატორმა ვო-
ლინსკიმ ვახტანგს პეტერბურგში შე-
სასვლელი ვიზა სამეფო კარის უკითხა-
ვად აღუთქვა, ხოლო პეტერბურგს გა-
გზავნილ მოხსენებაში კი დასძინა: „მა-
რთალია, გასაჭირშია, მაგრამ სიამაყეს
არ სტოვებს და მეფურ პრეტენზიებს
აცხადებს“. პეტრე დიდი კი ასე ვა-
რუდობდა: სადმე სოლალში დავასახ-
ლებ ამალიანად, თან საზღვარს გაამაგ-
რებენ და თავსაც თვითონვე მოუვლია-
ნო“. მართალია, სატახტოში შესვლის
ნებართვა მიცემული იყო. მაგრამ ქარ-
თველები პეტერბურგის ხილვას ვერ
ელისნენ და მოსკოვს დაესახლნენ. რუ-
სეთის სამეფო ხაზინა მთელი ათი წე-
ლი კვებავდა თავისი ქვეყნიდან ლტოლ-
ვილ ქართველთ, თუმცა ამ წყალობას
მათ საკმაოდ გარკვევით ამადლიდა. უნ-
და ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აქ ქრის-
ტიანული სათნოება და ღვთისმოსაობა
არაფერ შუაშია. მეფის რუსეთი იმე-
დოვნებდა, რომ სპარსეთიდან გამარ-
თულ დიპლომატიურ და სამხედრო პა-
ექრობაში ვახტანგ მეფეს წარმატებით

გამოიყენებდა. მაგრამ სპარსეთის ცი-
ტატნობზე ნადირ-შაჰის ელვისებური
აღზევებამ ყველას ნაცარში ჩაუგდო
კოვზი და პირში ჩალაგამოვლებული
დასტოვა. ამ ამბავმა კი, კიდევ ერთხელ
შეატრიალა ჩარხუკულმა ივერთა ქვეყ-
ნის მეფის ბედის ეტლიც.

ქართველ მკვლევართა ერთი ნაწი-
ლის აზრით, პოეტი ლამისყანაში ეზი-
არა სიყვარულის ციურ სიამეს. აქვე
დაიდგა ოჯახური ურთიერთობის ჯერ
საოცნებო, გარნა მსწრაფლ მოსაბეზ-
რებელი და მძიმე უღელი. პოეტის გა-
მიჯნურების ამბავს ზოგიერთნი პლატ-
ონურ-ზეციურ საბურველში ჰხევენ,
ზოგიერთი სულაც გვერდს უვლის, დუ-
მილს ამჯობინებს და არას გვაუწყებს.
ასახელებენ მისი თავდავიწყებული სი-
ყვარულის საგანსაც — აზნაურ გარა-
ყანიძეთა ასულს, რომელზეც თითქოს
დავითმა თექვსმეტი წლისამ დაიწერა
ჯვარი.

გადაჭრით შეიძლება მხოლოდ ერთი
რამ ითქვას: გურამიშვილი ადამიანია
ზეციური მადლით ცხებული გონებით,
ნიჭით, ნაკლითა და ღირსებით. მას
უყვარდა, სძულდა, განუცდია მარცხი-
ცა და წარმატებაც, სიყვარულიცა და
ერთგულებაც. იგი ყოველგვარი იგავე-
ბის გარეშე ლაპარაკობს თავის ახალ-
გაზრდულ ვნებებზე, არაერთხელ იგო-
ნებს მათ და ცხოველად გულზე დაჩ-
ნეულ განცდათა განსენებით კვლავ სი-
ამეს განიცდის:

როცა დავკაცდი ჰკვას მაშინ შავსცილი,
ლამაჰ ქალს შავხვდი მიჯნარად ვავხდი...

ღრმად მორწმუნე ღვთისმოსავისაგან,
როგორადაც გურამიშვილს ზოგიერთი
მკვლევარი გვიხატავს, მეტი რაღა აღია-
რებაა საჭირო? სასიყვარულო ეპიზოდს
პოეტი მხოლოდ თავისი ცოდვის სა-
ცლუსტრაციოდ იხსენებს, თორემ რამ-
დენი მსგავსი სასიყვარულო სათავე-
დასავლო ამბავი დაკარგულა სამუდა-
მოდ, ვინ იცის?

ძნელი და თითქმის შეუძლებელია
დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცეს,

როდის მოხდა ეს ამბავი, სად მოხდა, ვისთან და როგორ, არც ის ჩანს მთლად გარკვევით, როდინდელი ამბავია, რომ ჩივის: „მყავს მოვანშენი, თავში წამშენი“. საქართველოში ჩამომდგარი დიდი და უსაშველო ღამის სიბნელის გასანათებლად მოცრიატე სხივები არა კმარა, აქ უფსკრულები სჭარბობს სავალ ბილიკებს და ჭერჭერობით ბევრი რამ ჭერ კიდევ უკუნითაა მოცული. ერთი კი ცხადია. ერთი ბილიკი ლამისყანიდან იწყება: ირტოზის მთების ძირზე გაივლის, მჭადიჯვარზე გაივსკებს, ბერთა მთასა და ნაოზას შემოგარენზე ცისარტყელასავით შვიდფრად იელვებს, არავგამდე მიაღწევს, იქ უკვლოდ გაქრება, მაგრამ ვერცხლისფრად მოლაპლაპე მდინარისგაღმა ისევ აღჩნდება კვალი,

ნაკვალევი კობორტისა და ზედაზნის მთებზეც აშკარად ატყვია, ერწოსა და თუშეთზეც გადაივლის და დროებით დადესტანში, უნცუქულში დამთავრდება. მერე კვალზე მიყოლა კავკასიონთან მიგვიყვანს, იქიდან რუსეთს, უკრაინას, ყირიმს, ფინეთსა და პრუსიას მოივლის, ისევ უკრაინაში მირგორდს ბრუნდება და იქ წყდება...

ბურუსითაა მოცული გურამიშვილის ცხოვრების გაზაფხულის ამბავი სამშობლოს უბედურება ნისლად დაეფარა მისი რჩეული შვილის ბავშვობას, ყრმობასა და სიჭაბუკეს. დავითისაგან ხსენებული ისუ ზირაქიც ხომ ამასვე გვიდასტურებს: „ვითარცა ნისლმა დაეფარე ქვეყანა“.

(გაგრძელება იქნება).



სტეფან
შენ
დავით
დავით
დავით
დავით
დავით
დავით
დავით
დავით
დავით

გარეთ ვეღარ გავბედე და
აედრის შიშით სახლში დავერჩი.
სახლში დავერჩი და შენს სახეს
წვირით ვხატავ ცხელ ლადარში.
შევიჩვია ქორეთს ქარი,
ხეზე გამშრალ პერანგს ბერავს.
ჩვენს გადახმარ წიფელაზე
აღარ ჯდება წიფობელა.
და საღამოს ცხელ ლადარში
როცა ვხატავ სახეს შენსას,
რახედ სტირის სველი შეშა...

გ ა ნ ს ე ნ ე ზ ა

როცა სოფელში ისევ შებინდდა
და ირგვლივ დადგა სიმშვიდე სრული,
ქარს ამოჰქონდა თონეებიდან
ახლადჩაკრული შოთების სუნი.

მთვარემ ორღობე უხმოდ დატოვა,
დღე მიიღია ფოთლები ცვენით...
შენ მომავლადი მამინ რატომღაც
და თვალთა უპე ამევესო ცრემლით.

მ ო ნ ა ტ რ ე ზ ა

ნეტავ და თქვენთან ისევ მათამადა,
გემო მაგემა თქვენი არყისა,
კეცზე დამცხვარი მჭადი მაჭამა და
იმ თქვენი დერვის ყველი მალისა.

ვისმენდე ჩემზე ნათქვამ სამღურავებს
და ნაბახუსარს მიგდებდეთ საცინრად.
მერე დამავდო ზევით ნაპურგაღზე
და მთელი ღამე გარეთ მაძინა,

ჩ ა ნ რ ქ ე რ ი

ვალაკტიონს

არტახებიდან გასაქცევს ეძებს
და ძველ წარჩოში აღარ ჩერდება...
გადმოვარდება მდინარე კლდეზე,
დაიმსხვრევა და აჩანჩქერდება.
ტალღებს ვეება აფრებად აშლის,
სივრცეს ზღაპრული ხმებით აღავსებს.
უცნაურია!
მდინარეთა თვითმკვლევლობაში
არის ხინათლე, მოძრაობა
და სილამაზე.



თვალებში უმზერს საუკუნეს
 და ედავება
 ავგურთა ცეცხლი —
 მოლანდება ყაყაჩოების...
 გრგვინავს ორკესტრი
 თავდადების და უკვდავების
 ხარაჩოები!
 სართულები!
 ხარაჩოები!
 დადაბლდა ზეცა,
 შესხნილია ყველა კარები...
 ქვეყნის რიჟრაჟი
 საყვირივით
 მაფხიზლებს,
 მანჯღრევს,
 მაფრინავს მზისკენ
 ჩემი ქვეყნის შემოგარენი,
 ვარსკვლავებივით
 ეზიღებდა თვალები ფანჯრებს.
 მე ვღგაფარ შენთან,
 შენი დროის ერთგული შვილი,
 პიტალო ტინებს
 მკერდგადახსნილ
 ედემად შევცვლი
 და თუ შენს ღიმილს
 ჩემი ცეცხლით რაიმეს ვშველი,
 დაარქვი ამას
 ერთგულების
 მართალი ცეცხლი!
 და ვიწვი, რადგან
 ჩემს მომავალს სინათლე უნდა
 და ვფხიზლობ, რადგან
 ძილი უნდა სათოს და დათოს,
 ტკივილს კი, ტკივილს
 მოთმინებით ვიფარავ გულთან,
 რადგან ღიმილი
 ვერასოდეს
 ვერაფრით დავთმო.
 ეს შენ ხარ ასე
 რომ მაქვსებ
 და თვალებს მინთებ,
 და შენთან ერთად

სართულ-სართულ
მივიწვევ მალლა,
გამორბის დილა,
თბილისის ზღვა ივარცხნის ზვირთებს,
როგორც ყოველთვის,
იმ სიგიჟით
მიყვარხარ ახლაც.
თვალეში უმწერს საუკუნეს
და ედავება
აგურთა ცეცხლი —
მოლანდება ყაყაჩოების...
გრგინავს ორკესტრი
თავდადების და უკვდავების —
ხარაჩოები!
სართულები!
ხარაჩოები!

დ ი ლ ა

ის მოდიოდა
ფეხაკრებით გამთენიისას
და სამტრედეში გვიფრთხობდა მტრედებს.

ზღაპრების კუნძულს ვმორდებოდით
შებინდებამდე,
შებინდებამდე ცხრაკლიტურში იღვა
წიქარა.

ის მოდიოდა
ფეხაკრებით გამთენიისას
და სამტრედეში გვიფრთხობდა მტრედებს.

ს ი მ ი ნ დ ი ს ფ ა რ ი გ ზ ე ბ ი

აედარში ცეცხლს ვეფერები,
დარში —
მარჩინალ ბელტებს.
ვერ იქნა,
ვერ მივატოვე
სიმინდისფერი გზები.
მიწაზე მე ვარ პატრონი,
ღმერთი ვგანმგებლობ ზვეიდა.
ვერ იქნა,
ვერ მივატოვე
სიმინდისფერი გზები.

გაგმეწლებია კაკალი,
გაგბერწებია ვაზი,
ტიალი ქარი ქაქანით
გამხმარ კეფაზე გაზის.

უყურებ ჩამქრალ სანახებს,
ვერაფერს გახდი ლოცვით...
როგორ დაფარავს ამ ნაღველს
შენი პატარა ბორცვი.

მაგრამ ვის დაემდურები
და შელამებაც მოდის,
შეგიცხადებენ ტურები,
გამოგიტირებს ჭოტი.



მორჩა.

გათავდა.

მიიღია დღე ვარდფურცლობის,

მიდიხარ ჩემგან,

როგორც უცხო,

როგორც უცნობი.

მოდის საღამო,

შელამებამ უნდა წაღეკოს

ძველი წისქვილი,

ძველი ზარი,

ძველი სამრეკლო.



— ან
მომე-
ამწი
ოტაწი
უცხოებმა
— უმ ცმ
სა... იობ
ამ
— ან
— იობ

ერევა ბინდი ზემო იმერეთს
და შემოდგომა მიცურავს ბინდში...
როგორც სოხობი ყელს მოიღვრებს,
ამოფრინდება ჭალიდან შინდი.
და სიყვითლესი გადასულ მტევანს
ხელში ჯამივით ვიღებ და ვთვრები...
ვით უძვირფასეს განძსა და მძევალს,
შენს ნაფეხურებს ინახავს გზები.
შენი მსუბუქი ნაბიჯით ქარი
გზას გადაჭრის და გაქრება ტვერში...
ლამაზი, როგორც გაშლილი მკლავი,
დაღლილი, როგორც ვენახი რთველში,
შენს დედულეთში გულადმა წვეხარ,
ამ ცის და მიწის ზნე გაქვს და ფერი
და სიყვითლესი გადასულ მტევანს
მე ხელში ვიღებ — მტევანი მღერის...
ვიცი, ეს დღენიც, ადრე თუ გვიან,
ამიბდავლდება, როგორც ნახირი,
მაგრამ სანამდე ყვირილას მიაქვს
სიფხიზლე, როგორც შავი მანდილი.
სანამ ინათებს, შენზე სიმღერებს
ვერ წამართმევენ დრო და წამები
და უსაყვარლეს ზემო იმერეთს
თვალებით ვსვამ და ვეთამამები.

უქლავი ვილი

მე მახსოვს დედა მეძახდა უტას
და წარმართული მოკლე სახელი
ისე, ვით სველი ბალახის სუნთქვა
კვლავ მავსებს თრთოლვით და ჟრუანტელით.

მე მახსოვს დედის ჩივილი: — კმარა,
სხვის კარზე ყოფნა, სხვისი ლოგინი...
და შემოდგომის ფერწასულ ქარვას
ეფინებოდა ზამთრის ლოდინი.

მახსოვს ჩურჩულით ნათქვამი: — შევილო...
ესლა კი ვისმა სიტყვამ გამათბოს...
რის დავიწყებას ძალიან ცდილობ,
არ გავიწყდება თურმე არასდროს.

ნაძალადევი დაგაქვს ღიმილი,
დაეხეტები სოფელში ცალი
და მხრებზე გაწევს მთელი სიმძიმით
დაუბრუნებელ დღეების ვალი.

ამ აგარაკზე პატარა სახლი
მარტოა, როგორც სევდა ფარული...
სანამ ამოვა ზაფხულში ხალხი
თვითკმაყოფილი და მხიარული,
მე შემომჩინდა სურვილი ნახვის,
გაკვიპარე და მალულად ვნახე
ქალაქის გარეთ პატარა სახლი —
ეს ჩემი სიყრმის ფიქრების მხარე-
რაც მადარდებდა, დღეს არ მადარდებს
და მაინც, სევდა ერევა ღიმილს,
რადგან წარსული ამ სახლს ანათებს,
ვით შორეული ვარსკვლავის სხივი.
დაძველდა ფიქრი მზესა და თოვლში.
არც სინამდვილე არის ახალი:
ჩამოქცეულა ზღაპრული კოშკი
და გათხოვილა მზეთუნახავი.
მე მხოლოდ ნატვრა შემრჩა და სახლი
ვნახე, ვით სიყრმის სევდა ფარული,
სანამ ამოვა ზაფხულში ხალხი
და ღამეს შეცვლის დღე მხიარული.

ქალაქის თავზე ღრუბლები
ჯაჭვით დაუბამთ თითქოს.
ტალღა ნაპირზე ბრუნდება
და ნიწის ერთ პეშეს ითხოვს.
ტანმაღალ, შიშველ ზეგბს
ფითრივით ეკერის დარდი...
დღეები მისდევს დღეებს
და წელაწადი გადის.
და ნელი ცეცხლით იწვის
სურვილი მალე ნახვის
ჩემი სევდიანი მიწის,
ჩემი მხიარული ხალხის.

ნეტავ ბოლომდე დამელია
შენი სიყვარულის ბროლის წყარო...
მოგონება ანთებული სანთელია,
ქარისგან როგორ დავიფარო.

უადვილესი საქმენია:
წყენა, დავიწყება, განქიქება...
მოგონება ანთებული სანთელია,
ამთიოხრებ და ჩაგიქრება.

სიკეთე

კაცია, ადამიანი,
 იცნობენ, ვითარც უწყინარს,
 რაზომცა მართალი არი,
 იმდენად სახე უბრწყინავს.
 თავი თუ თვითვე დაიბი,
 იწვოდე, ვისი ბრალაია,
 ღარიბი, ვინმე არიფი
 იწვეები, სულში ქარია,
 ქარია, ქარს აყოლილი
 მინდვრებზე დაიფანტები,
 სიკეთეს გადაყოლილი,
 მოჰკვდები? — დაიბადები!



200

ილია
 აროსია

**ფრთა შეგასხა და ცის ლაქვარდში
გაგანავარდო**

ჩემო ოცნებაჲ,
ჩემო იმედო,
ჩემო სურვილო,
რა დღიდან გაჩნდი, ტრიალ მინდორში დაგასახლე,
ამორვეველი,
მუხის ბორჯალზე;
შემოგაბურე მწვანე ფოთლები,
რომ ვინმეს ავად არ დაენახვო,
მე კი — დავდივარ ჭრელ ქალაქებში,
და როგორც ერთი მრავალთაგანი
ჩემთვის ყრუდ ვცხოვრობ და ვოინბაზობ,
რადგან არ ძალმიძს,
რადგან ჯერ კიდევ შორსაა ჟამი,
ფრთა შეგასხა და ცის ლაქვარდში გაგანავარდო.

და მხოლოდ ზოგჯერ, მალულად თუ მოგეახლები,
იმ მუხის ძირას,
ხორცით უძღური,
შმაგად მწყურვალე სულს შემოგტყორცნი
და ვხედავ:
ზიხარ,
ზიხარ უძრავად,
ფესმორთხმული და მსრებგაშლილი გაპყურებ სოფლებს,
გაპყურებ კლდეებს,
გაპყურებ ტაძრებს მიტოვებულთ
და ცინე-კოშკებს,
უკვე დარღვეულთ,
და უნებურად ყელში მოწოლილ კენესას და ყივილს
აოკებ ტუნთან მიტანილი ჯიუტი თითით...
ან იქნებ,
იქნებ ახლო არს ჟამი?!

მეზართვა ვაჭიუვილს

ჩემი პირობა ესაა, შეილო, —
და, ჩემი თხოვნაც:
რადგან სურვილით და, კიდევ ვნებით
გაგიწილაღე სიხსლი და ხორცი,
ხოლო ბუნებამ შეუცნობელი მოგანდო სული,
რადგან მოგისმობს ძველს სამსხვერპლოზე მიწა ქართული,
ვალდებულებას შენი აღზრდისა — არ გავექცევი:

(ცოდნა — სულს ჰკითხე!)

ხოლო ის ჩემი საქმე და ტვირთი
და კიდევ ჩემი შესაწირავი — არ გევალება,
და თუ მამული ჩემგან მოითხოვს ცდას და წვალებას,
თავს მე გაეწირავ.
და არ მოგმართავ უძლური კითხვით,
როგორც არაერთს სევდიანად მოუმართნია:
ჩვენ ვერ შევძელით,
აბა, თქვენ იცით,
ახალგაზრდებო,
საცდელი გიცდით...

არა და არა,
პირობას გაძლევ, ამ სიტყვებით არაოდეს შენ არ მოგმართავ,
ოღონდ, ერთსა გთხოვ:
ცხოვრება ისე ჰქმენ და წარმართე,
არ მოგეშალოს ლურჯი ზეციდან წამოსული სიკეთის ხმები,
და როს თამამად გადააბიჯებ ქართულ მიწაზე
მუდამ მოგესმას ჩემი ყუვილი წინაპართა დაჩეხილ ძვლების
და მხოლოდ ცუდლუტ ოცნებებით ნუ მოირთვები, —
ხილვით სწვდებოდე კობტაგორაზე

მუზარადიან ჯაყელს და ცოტნეს,

თავის შეწირვა ქვეყნისათვის არსად მოგშლოდეს,
მომავლის რწმენა სატანჯველშიც მტკიცედ გაგკონდეს
და თვით შენს მშობელს,
ჰო, თვით შენს მშობელს, —
თუ დაეცა და გასცა სიმართლე —
პირველმა შენვე დაჰკარ მახვილი...
ნუ ერიდები მოკვდავთა ცოდვებს,
რადგან ზეციდან,
(მალე გაიგებ)
სულ სხვა მადლის ისმის ძახილი.

ის — ვინც შორს არის

ის — ვინც შორს არის,

(რისთვის გაშინებს ხმა შორეულის?!)

ვინც აფერადებს გადაზნექილი ღრუბლების ქულებს,
ვინც გადევლება ფეხშიშველა შიშველ ტრამალებს,
ვინც მთრთოლავ ძარღვებს ცაში სჭიმავს ცისფერ ზოლებად
და დუნე ღღეებს თავდავიწყების ტყვიებით ცსრილავს,
ის — შენ გეძახის!

შენ კი ოთახში გამოკეტილი,

ბრმასავით მფრთხალი,

როგორ ცახცახებ მისი ძახილის გაგონებაზე,

მერე, უცბური ღვლავით შემკრთალი, გარბიხარ გარეთ,
რომ გაიგუდო გულგრილი ქუჩის შმაგი სიცილით
და, მაინც, ხედავ:

ჟველას,
შენსავეთ,
ჩუმად,

ფარულად.

ყალბად მომღიმარ ნიღბის ღრმულეებში,

პირის უფსკრულში,

ნაოჭებში,

თვალის გუგებში,

სტკივა და თოშავს იმ შორეულზე მწარე წუხილი და სიმარტოვე
ისე — ვით ფერდში ფოლადის დაშნა.

ყურევი მღვარი გვეის ნახილი

ჩემო ქალაქო,

ჩემო ყოველმხრივ შემოზღუდულ მთიანო ყურევე,

შენ მიმაჯაჭვე მშვიდ ნავთმისადგომს

და მხოლოდ ზოგჯერ, ხევეებს შორის,

ოკეანეთა სივრცეს გავყურებ.

უზარმაზარი ჩემი გემბანი,

მკერივი ლითონის გლუვი ფერდები,

ფოკ-შტევენნი და დიდი გროტ-ანძა

შემოხლას ითხოვს ბოზოქარი ტალღის და ქარის,

შენ კი — დამაბი,

და ამ მთელეზარე მთიან ყურეში

ჩემი ცხოვრება ყრუ სიმშვიდეა და მყუდრო ტანჯვა.

დიდი ხანია,

გაშეშებული ჩემი კომპასის მკვირცხლი ისარი,

ბნელ კაიუტებში გამომწყვდეული ზღვის ოცნებებიც

უსაქმურობის მძაღე თუთუნით

თავს იბრუებენ გულნადვლიანნი...

ნუთუ არ გესმის — მიხმობს ცისკარი,

ნუთუ ვერა გრძნობ —

ფსკერისკენ მითრევს მე ეს ნადველი მძიმე ლოდივით,

და სანამ სულმთლად გადამელია სული მთავარი,

აუშვი ღუზა — ოცნების მტერი,

თავისუფლების გადახსენ კარი,

წინ გამაქანე,

ლურჯ სივრცეებში ცხოვრება ისევ ამიღორძინე.

ნუ მიკრძალავ მას — რაც შემფერის,

თორემ რას გარგებს, უკვალოდ თუ ჩავიძირები

ამ მომქანცველი მწარე ლოდინით.



გიი ბუთხუნი

ყანდაუკელეზი

მინდორზი

თურმან ტაველაშვილა ბარი მიწას ღონე-რად ღაქრა და სიერცეს ვახედა. შორს ველებზე ზამთრის თხელი ნისლი გაწოლილიყო, ვარდისფრად შემღვრეულ ცაზე მზის ცივი დისკო ზანტად ლივლივებდა, შეწითლებული დრუბლებიდან ქარი გამოქროდა და დილის სუსხით არემარეს თოშავდა. აქა-იქ გაფანტულიყენენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები, გამეჩხერებულ ზერებში შარშანდელ მოყინულ ვახებს ითვლიდნენ და მათს რაოდენობას ბლოკნოტში იწერდნენ.

მწკრივს თურმანიც დაღმა დაუყვა, მოყინული ძირები დათვალა და მერე ბარვას შეუდგა. მიწა რიგთა შორის ტრაქტორით იყო მიხსული. იქ, სადაც სახნის ვერ გაეგლო, ახალგაზრდები ბარავდნენ. აქ მუშაობდა მთელი ბრიგადა. თურმანი მათ ხელმძღვანელობდა. იგი დანარჩენებზე ასაკითაც უფროსია და გამოცდილებაც მეტი აქვს.

სამუშაო სკოლა რომ დაამთავრეს, გოგობიჭებმა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოაყალიბეს, რომელშიც ოცდაათამდე ახალგაზრდა გაერთიანდა, მათი ხელმძღვანელობა ლუიზა ცანკაშვილი მიენდო.

ახლა ცივი ზამთარია, მაგრამ ახალგაზრდები დილის სუსხს როდი ებუებთან, განთიადისას კოლმეურნეობის კანტონის წინ შეგროვდებიან და დიდი ავტომანქანით ზერებში მიეშურებიან. იქ მოკლე დღის განმავლობაში მუყაითად მუშაობენ და საღამოს ისევ მანქანითვე ბრუნდებიან.

საქმე ჯერჯერობით დიდი არაფერია, მარტო მოყინული ვაზის ძირები უნდა აღრიცხონ და ვაზის ძირებში მიწა გამოზარონ. საქმე მერე იქნება თუ იქნება! გაზაფხულდეს!

რა ბეჯითი გოგონები არიან, როგორ ხალისით და მზიარულად ბარავენ, ამათთან არასო-

დეს მოგწყინდება. მაგრამ აი, კიდევ ერთი ხუთიოდე ბიჭიც რომ იყოს, მაშინ... არა, როგორ არ არიან, ბრიგადაში სიით კი ირიცხებიან, მაგრამ ოჯახური მიზეზების გამო ყველანი ყოველდღე ვერ გამოდიან. ჰო, ხანდახან რაღაც გადაუდებელი საქმე გამოუჩნდებათ ხოლმე, თორემ რა სათაქილო და დასაზარებელი ეს არის, დაქარ ბარს ფეხი და გადააბრუნე ბელტი, კიდეც... კიდეც და კიდეც... დიდი ძალა ამას არ უნდა და ჯაფა. დაიღუბი და დაიქვი და დაისვენე. ვინ გიშლის! არა და...

ამ სიციფეში მუშაობა უფრო სჯობია, როცა ცხელა, მაშინა ძნელი, ახლა რომ მოძრაობ, გობილა და ამავე დროს, ერთობი კლდეც...

რამდენი ვაზი გაუფუჭებია იმ ყინვას, აფსუს! გაზაფხულზე, როცა მზე უფრო გაძლიერდება, მიწა გათბება და გაფუჭდება, გაღვიძებულ ეელებს სურნელოვანი ოხშივარი აუვა და აი მაშინ შეავსებენ გამეჩხერებულ მწკრივებს.

— მოდი დაისვენე, თურმანა! — იძახის ვაიმარჯვაშვილი დარკო, ბეჯითი და ხალისიანი ქალიშვილი.

თურმანმა ბარი მიწაში ჩატოვა, ხელი მოიჩრდილა, იქით გაიხედა.

ქალიშვილები ერთად იკრიბებოდნენ, შუადღე უკვე გადასულიყო და ახლა, ალბათ, სამხარს უფრო აპირებდნენ, ვიდრე დასვენებას. თურმანმა დილას საჩქაროდ წაიხედა, ყველი, პური და ბოთლი ღვინო სუფთა ტილოს ნაჭერში შეახვია, სანთოვაც აბავში მოხერხებულად ჩადო და წამოვიდა.

რა მზიარულები არიან ეს გოგობები, როგორი ცოცხლები, მკვირცხლები, თვალიდან ფხას ამოაცლიან ადამიანს. ამათთან გინდა მთელი დღე ქვა კოდე, არც დაიღუბი, არც მოგწყინდება.

ქარი გაავებით უბერავდა, დაობლებულ ვაზებში მქიედ სისინებდა და მავთულებზე გაქრულ ლერწებს ნელა აქანებდა.



თურმანი სარზე ჩამოკიდებულ აბგას მისწე-
და და გოგოებსცენ ვაეშურა. მათ ვენახის ბო-
ლოს, წარადის გვერდით მოყინულ ყამირზე
უკვე გაეშალათ სუფრა. ცირკადენი სასმელ-
საქმელო ყველას წამოეღო და ახლა ერთმან-
ეთს თამადობას სთავაზობდნენ.

— არც ისა და არც შენა, — ლაპარაკში
ბოლოს შენგელიძე თინა ჩაერია, — აი, თურ-
მანი იყოს!

— თურმანი არ იზამს, მე ვიქნები! —
წამოიძახა ჩოკოშვილმა ლიამ, — მოდი, გო-
გოებო, იცით რას გეტყვით? — თქვა მან,
ქარმა სიტყვა შეაწყვეტინა და ქიქარში რომ
მტკერი არ ჩაყრილიყო, ზემოდან ხელი დაა-
ჯარა, მერე ჩაისდგინა ღვინით სავსე სასმისი
შემართა და ვაზებს რომ გახედა, მრავალმნი-
შენლოვნად დაიწყო: — მოდი, აი...ჩვენს
საქმიანობას გაუმარჯოს! ხო კარგია, ჰა?

— დიდებულო! მერე?
— შრომა დაგვიფასდეს, ვაზი აღარ მოყი-
ნულიყოს, კარგი ამინდები დასდგომოდეს და
ბარაქიანი წლის მოსავალი მიგვედოს!

წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ქალიშვილ-
მა უფრო მიიწონა თავი, მოძალბებული დიმი-
ლისაგან თვალები მოეწყურა, სიცივისაგან
აწითლებულ ლოყებზე პაწია ღრმულები გაუ-
ჩნდა და ხმამაღლა გაღაიქისკისა.

სადღეგრძელო დიდის ამბითა და შეძახი-
ლებით შეისვა, მერე ყველს და პურს დაეხარბ-
ნენ და ხმაურით თანდათან მიხედლა.

თურმანმა ცარიელი ჭიქები კვლავ შეავსო.
— ეხლა მე ვიტყვი, — ყველას დაასწრო
ბრალშვილმა მედიკომ.

— ბრძანეთ, ქალბატონო მედიკო! — სახე-
ლი გაუპრანვა ცანკაშვილმა ციციანომ.

— მოდი, გოგოებო...
— ი, გოგოებო, განა მარტო ჩვენა ვართ,
თურმანი?

— გოგოებო და თურმანი!...
— არ გაწყინოს, ძამიკო!
ბრიგადირს ეღიმება:

— არა, განაგრძეთ! მართლა ცოდვა ყოფი-
ლა მარტოხელა ბიჭი ამდენ გოგოებში“.

— მოდი, ჩვენ ბრიგადის ყველა წევრს
გაუმარჯოს, — მედიკომ ამხანაგები მოათვა-
ლიერა და დაუმატა: — ყველას... ვინც აქ არ
გვესწრება, იმათაც!...

— ნათელა რატომ არ წამოვიდა? — იკითხეს
საკოლმურნეო პირველადი კომკავშირული
ორგანიზაციის მდივანი ნათელა ბუქანიშვილი.

— რაიზნია გამოძახებულა.

— ციციანო?

— დედა ჰყავს ავად.

— ვაჟა?

— კომისარიატში მივლივარო...

— დანარჩენები?
არავენ იცოდა, სად იყვნენ დანარჩენები.

წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში მედიკომ შე-
წყვეტილი სადღეგრძელო კვლავ განაგრძო:

— ერთი სიტყვით, სადაც უნდა იყვნენ, უფ-
ლას გაუმარჯოს! ყველას! ჩვენი ბრიგადა უფ-
რო გაზრდილიყოს, დაწყებული დიდი საქმე
ბოლომდის სახელოვნად მიგვეყვანოს და არა-
ვისთან პირი არ შეგვერცხვისოს!

— გაუმარჯოს!
— ამინ!

ყველანი მიდიანად ილტუქებოდნენ...

— რა გემრიელია მიხდორში საჭმელი, არა?

— მაში!

— შრომის შემდეგ ხმელი პურიც კი გემ-
რიელი ერქვენება კაცს.

სამხრობა ნახევარ საათამდე გრძელდება...
მერე სასწრაფოდ შეხვევის წარჩენები და მხი-
არული სიცილ-კისკისით კვლავ საქმეს შეესი-
ვნენ.

საღამოს, როცა ერთად იპრიზავიან...

საგარეჯოს რაიონის ყანდაურის სტალინის
სახელობის კოლმურნეობის პირველადს კომ-
კავშირულ ორგანიზაციაში 105 წევრი ირიც-
ხება. უმეტესობა ახალგაზრდაა და შრომის-
უნარიანი, მაგრამ ზოგი თუ შეგნებულად არი-
დებს თავს კოლმურნეობაში მუშაობას, ზოგს
ოჯახური პირობების გამო ვერ უხერხდება თა-
ნასოფელთა წინსვლაში თავისი წვლილი
წოდნას — მცირეწლოვანი ბავშვები ვერა-
ვისთვის მიუძარბია. ისინი კი, ვინც შარშან
სკოლა დაამთავრა, თითქმის ყველმდ ერთხმად
გამითქვა სურვილი, რომ კოლმურნეობაში
სამუშაოდ დარჩენილიყო და კომკავშირულ-
ახალგაზრდული ბრიგადა შეექმნათ.

განზრახვა შესარულეს, ნაკვეთები გაიმი-
როვნეს და მუშაობასაც შეუდგნენ.

საღამოს, შინ მობრუნებულ ბრიგადის წევ-
რები ევახშმებენ და კოლმურნეობის კანტო-
რისაკენ გაეშურებიან. ეს არის მათი ერთად-
ერთი თავშეყრის ადგილი. არც კინო, არც
თეატრი, არც ცირკი და არც რაიმე სანახაო-
ბანი. კოლმურნეობის კლუბ-კანტორაა მით-
თვის ყველაფერი. აქ ნახულობენ ახალ ყურ-
ნალ-გაზეთებს, იგებენ ახალ ამბებს და დიდ-
ხანს საუბრობენ აწყყოზე, მომავალზე, ხან-
დახან წარსულსაც გაიხსენებენ, თავიანთ უბი-
წო და უზრუნველ წარსულს, როცა ისინი ჯერ
კიდევ მერხებს უსხდნენ და მასწავლებლებს
უსმენდნენ.

— კარგი კი იქნება სტუდენტობა, არა? —
იკითხავს ერთი.

— რა თქმა უნდა!

— აბა, ჩვენ რომ ჩასაბარებლად არსად წა-

**ბიჭი ბუთხუჩი
ჰანდაშრმლები**



ველით! — ამის კითხვა ზედმეტია, მაგრამ თითქოსდა საცდელად ამბობს ერთი.

— ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ, ვთქვით, ყველამ ვიმუშაოთო და ბირობას ვასრულებთ, ვიტყვით, დაუსწრებლად ვისწავლოთო და მაგასაც შევიასრულებთ!

— იცით რა? — გამოცოცხლებმა ბოლოს ერთი, — მე რომ რაიმე მეკითხებოდეს, ასე დავაწესებდი: სკოლისკურსდამთავრებულთ ყველას კოლმეურნეობაში ჩავაბამდი, მერე ამათგან მხოლოდ წარჩინებულებს მივცემდი ლიმიტს, ისიც იმის მიხედვით, ჩვენს სოფელს რა დარგის სპეციალისტი დასჭირდებოდა. ამის მერე სამსახურში მოწყობაზე აღარავინ იჩნებებდა, ყველა გარანტირებული იქნებოდა, ვინ სად იმუშავებდა.

— დანარჩენებს რაღას უზამდი? — ჩაერია ლაპარაკში მეორე.

— დანარჩენებს დაუსწრებლად ვისწავლოთ და კოლმეურნეობაში ემუშავნათ.

— დაუსწრებლად დამთავრებულნი კოლმეურნეობაში მუშაობას აღარ იყადრებდნენ, ქაჯანი!

— რატომ?

— აქაოდა, რაჯი უმადლესი განათლება მივიღეთ, ეგ როგორ გვეკადრებოთ, თავს გამოიდებდნენ.

— საკოლმეურნეო შრომა ისე უნდა გაუმჯობესდეს, რომ „სათაჯილო“, ბრქვალეზში ვამბობ ამ სიტყვას, აღარ იყოს. თუ არადა, რაზეა სათაჯილო, ექურდობთ, ვმრუშობთ თუ რა!

წუთით ყველანი ჩაფიქრდებიან, მერე რომელიმე იკითხავს:

— რატომ არის, რომ კოლმეურნეობაში მუშაობა ზოგიერთს ეთაჯილება?

— რა ვიცი, — მხრებს აიჩეჩს ერთი.

— აი მე, რა ხანია ვმუშაობ და ჭერ არავითარი გაჭირვება არ დამდგომია, რა არის აქ სათაჯილო, ან დასაძრახისი?

— არაფერი, მაგრამ ზოგი...

— ვინც პატიოსან შრომას გაურბის, ის არსად არ არის გასაჩერებელი, მას ყველგან გზა უნდა დაუხშონ.

— ო, ეგ ძალიან მკაცრი განაჩენია!

— არაფერიც!

— საკოლმეურნეო მუშაობაში საქმე ისე უნდა დადგეს, რომ ხალხს დაწესებულებაში წასვლაზე ეხვეწებოდნენ. აი მაშინ ნახავდით, ვინ აარიდებდა თავს კოლმეურნეობას!

— აბა ერთი, ყოველივეთურად 150 მანეთს ვიღებდით, ნახავდით, რომელი შეეწუხებდა ხალხს სამსახურში მოწყობაზე.

— მერე ბირიქით იქნებოდა, კოლმეურნეობაში მოწყობის საქმეზე გამოძებნიდნენ პრეტექტორებს.

ამაზე ყველამ გაიცინა.

— ეგ არასოდეს არ იქნება.

— დადგება დრო, კოლმეურნის შემოსავალი გადააქარბებს მისსამსახურს წლიურ შემოსავალს.

— უმეველად დადგება!

პორტრეტული ჩანახატები

ლუიზა ცანაპაშვილი

დაეღობარაკებით თუ არა, მისივე ყურადღებით შემოგხედავთ. მისი პასუხი ყოველთვის სრულია და საზრიანი. თავის ასაკთან შედარებით ნაადრევად დადინჯებულია და დამრბუნებულია. თუმცა ჯერ ახალგაზრდაა, სულ ახალგაზრდა, ათი კლასი შარშანწინ დაამთავრა და, თავისიანების რჩევით, ბედი უმადლესი სასწავლებლის გამოცდებზე მოსინჯა.

არ გაუმართლდა.

განა მოუშვადებელი იყო და იმიტომ?

სამართლიანად ვერ შეაფასეს. საკითხები კარგად იცოდა, მშვენიერად მეტყველებდა, მაგრამ გამოცდებზე შეხედნენ გულგრილნი და უყურადღებონი (როგორც შეიძლება ასეთ ხალხს ახალგაზრდობის ბედი მიანდო). მთელი მონღომებით ესაუბრებოდა, მაგრამ ზოგჯერ გაგანია სიციხით გასაფრთხულნი თუ უამრავი პასუხების მოსმენით გაჭერებულნი, წესიერად არც კი უსმენდნენ. ქალიშვილს უმაღლე გაუქარწყლა ყოველგვარი იმედი. ბრაზი და ნაღველი ყელში ბურთივით აწყებოდა და ზოგჯერ ხმასაც განგებ აუმაღლებდა, მაგრამ გაგიგონიათ? ვინ იყო მომსმენი!

პირველ დღესვე შეურიგდა ბედს. მერე ყველაფერი თვითონებით წარიმართა და გამოცდებს ბოლომდის შერჩა. ზოგ საგანში კი დაუწერეს კარგი ნიშანი, მაგრამ დააკლდა, ცოტადა დააკლდა. იქნებ ვისმე რომ... მაგრამ არა, ოღონე წუწუნით არავისთან დასცდენია (ზოგერთი რომ დაედრიჯება და გამოცდებებს თავს შეაცოდებს), რა ჰქონდა ლუიზას მათი სამოწყალო! თავი ყოველთვის ყოჩაღად და ამაყად ეჭირა, პასუხობდა სრულად, დამაჯერებლად, მაგრამ...

წარუმატებლობა ძალიან განიცადა, შინ რომ დაბრუნდა, თავისიანებს ისეთი შეცვლილი ეჩვენათ, გაოცდნენ. სადღა იყო ის ძველებური ისეყოჩაღე, მხიარულება... ცოტა ხანს შინ ჩაიკეტა და ფეხი არსად გაუდგამს. ერთთავად ავადმყოფ დედას უყვოდა, ოჯახი მისი ანაბარა ვახდა. მერე კომპაგშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ჩამოყალიბების ამბები რომ გაიგო, დედას უთხრა:

— უნდა ვიმუშაო!

ქალმა შეუბოთ ამოისუნთქა:

— იმუშავე!

— მერე შენ?

— მე რა მიჭირს?



და ლეონა ხალსში გამოჩნდა, ახლად ჩამოყალიბებულ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადის სათავეში ჩაუდგა. აქაც მისთვის ჩვეულო სიბეჭითი დაიწყო მუშაობა. მთელი ენერგიით, თავდაუზოგავად ეკეთა საქმეს და კიდევ დაუფასდა.

გონებრივი შრომის ნაყოფი — ცოდნა შეიძლება ვინმემ მიჩქმალოს, ვერ დაინახოს (აკი ასეც მოექცნენ), მაგრამ ფიზიკური შრომის შედეგს ვერ დამალავ, ის ყველას დასანახად ჩანს, ციფრებითაც ისახება, ხვავითა და ბარაქითაც დალავლებს... ამიტომ აირჩიეს ლეონა საგარეჯოს რაისაბჭოს დეპუტატად, კომკავშირული კონფერენციის დელეგატად.

ნათელა ბაჟანოვილი

ნელა გავლილს ვერასოდეს ნახავთ. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვით: დარბისი ფეხებიდან სულ ცეცხლი სცვივა. ახლა ხელუბნის მოძრაობა? მიტოვ-მოხრა? ძნელა ასეთებს რაიმეში წაბაძო. ასეთად უნდა დაიბადო ადამიანი. კიბეზე რომ ადის, გული ისე არ მოუთმენს, არ აირბინოს, ჩამორბენა ხომ ჩვეულებრივი ამბავია!

ახლა ხართათ? სულერთთადად მზიარული, მამლიმარი... თვალებიდან და სახიდან სულ სითბო და სინათლე ეღვრება.

ათი კლასი 1973 წელს დაამთავრა... მისაღებ გამოცდებზე დაწერილ ნიშანს ვერც საბოლოო უდგება, არც აწონავა უხეხრდება. წარმატება თუ წარუმატებლობა ზოგჯერ მედზე და მოკიდებულა. ამიტომ არ შეიძლება გული გაიტეხოს, რწმენა დაკარგოს. სამი ერთნაირი მომზადების მქონე მოსწავლიდან შეიძლება ერთმა ფრადი გამოიტანოს, მეორემ — კარგი, მესამემ — დამაკმაყოფილებელი. გაიჩნია, როგორ გამომცდელთან მიხვდება. ზოგი ცოტათაც კმაყოფილდება, ზოგი კი უსაშველოდ ბევრის მოთხოვს აბიტურენტისაგან. ამიტომაც დიდად არ სტყენია გული, უმაღლეს სასწავლებელში რომ ვერ ჩაირიცხა. მართალია, ცოტა ინაღვლა, მაგრამ სურდოსავით უძლური და ხანმოკლე აღმოჩნდა ეს მოწყენილობა. შინ დაბრუნებისთანავე საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაუბა. მალე ყანდაურის საკოლმეურნეო პირველად კომკავშირული ორგანიზაციის მდივანად აირჩიეს.

მინდვრის სამუშაოებიდან დაბრუნებული ქალიშვილი უმაღლეს კანტორაში შეიბრუნა, გააღებს სეიდს, გამოიღებს კომკავშირული პირად საქმეებს, სამუშაო გვეგებს, კრების ოქმებს და საქმეში ყელამდის ევლობა. მთლად ახალგაზრდაა, გამოუცდელიც, და ჯერ თავისი წინამორბედების მსგავსად, მხოლოდ მათი ნაშუაგვრების მიხედვით ადგება გვეგებს, მაგრამ აიღოთი გრძნობს, რომ სხვათა ვატკებ-

ნით გზებით სიარული არ შეიძლება. მათს სამუშაო გვეგებში, რომლებსაც ხშირად გადათვალეირებს ხოლმე, ბევრი რამ მოქმედებული და ტრაფარეტული ეჩვენება. ვის შეეკითხოს, რა საკითხებს წამოსწიოს წინა პლანზე, რაზე გაამახვილოს ყურადღება? ამას კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს შექრო ჩოკოშვილს მიმართოს თუ საგარეჯოს კომკავშირის რაიკომს? მაშინ სადღა იქნება შემოქმედებითობა, დამოუკიდებლობა? თუ სხვის შემოთავაზებულ მზამოკიდულ რეცეპტებს დასჯერდა, ეს რაღა გამოვლენა? შექროც გულისხმიერი და დაუზარელი კაცია, კომკავშირის რაიკომშიც ყურადღებიანი ხალხია, მაგრამ იქნებ სჯობდეს, რომ ჯერ თავით მოიფიქროს, სამუშაო გვეგაში სულ ცინცხალ-ცინცხალი, აქტუალური საკითხები შეიტანოს და პარტიული კომიტეტის მდივანსაც მერე აჩვენოს?

რა თქმა უნდა, ასე აჯობებს! გადახედავს თავიანთ შესაძლებლობებს, გაითვალისწინებს თანატოლების მისწრაფებებს და გვეგაშიც ამის მიხედვით ააგებს.

ფიქრსა და ძიებაში ახალ-ახალი საკითხები იბადება — ისეთი, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლებას, ახალგაზრდულ ბრიგადის მტკიცე, ერთ მთლიან, მონოლითურ კოლექტივად ჩამოყალიბებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას... და რვეულის ფურცლებზე წნდება სტრატეგია, თრიგინალური, ახლებური აზრის ამსახველი სტრატეგია, რომელიც შემდეგ ორგანიზაციის სამუშაო გვეგა უნდა დაერქვას და საქმეც ახლებურად, უფრო უეჭოვლად წარიმართოს.

მუშაობაში გართულს ავიწყდება, რომ შინაც საქმე ევლობა, აუცილებელი და საჭირო საქმე, სხვა დროსთვის გადაუღებელი... რომ თვითონაც დასვენება ეჭირება. ორგანიზაციის დოკუმენტებს საჩქაროდ მიაღწავლობს, კვლავ შეინახავს და შინ გვიანდა მიეშურება.

როსტომ თევზორაშვილი

ერთთავად ჩუშა და უპრეტენზიოს გული არასოდეს აუღვლდება. მუდამ ალალი, მშვიდი, პატიოსანი, დაუზარელი — აი ასეთია ორსტომი, კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადის ერთ-ერთი მოწინავე! უმაღლესში სწავლის ვაგრძელება არც უფიქრია, მისმა თანატოლებმა თქვეს, ასე და ასე მოგიქცევიან და ისიც დასჯავს ამხანაგების ნებას. ბრიგადამაც ყველაზე მეტი შრომადღე მონა გამოიწვია. არ გაუცდელია არც ერთი დარბანი დღე, რასაც დაავალბენ, ამოღებული ხმალივით მუდამ მზად არის.

**ვიზი ბუთხუჩი
ჰანდაშრაშვილი**

აბა სცადეთ და როდისმე საქმე დაუწუნეთ: ბიჭო, რასტომ, ეს რა გეინია, რაზე გავიტი-ლებია ვენახო.

ხმას არ ამოიღებს.

ემშაკობა რომ არ შეგეტყვოთ, წარბები განზ-რახ მრისხანედ შეიქმუხნეთ, აყვირდით, თა-ლებიდან და პირიდან სულ ცეცხლი ჰყარეთ, ნაბარი დაუწუნეთ, ნათიხნი უძაგეთ, ერთს არ გეტყვიოთ — რათაო.

ახლა სცადეთ და საქმე მოუწონეთ, შეაქეთ, სულ ცაში აიყვანეთ. ვერც ამით ააუწუნებ-კებთ. ძაგება ვის არა სწყისს და ქება ვის არ ეამება, მაგრამ როსტომი ისეთი ბიჭია, არც წყენის გამომტლანება შეუძლია, არც სინარუ-ლისა. ყველაფერს შინაგანად განიცდის.

გინდა ამ მხრიავე შეამოწმეთ: ბიჭო, როს-ტომ, მაგრამ ცაცს პრემია უნდა მივეცეთ და, მოლო, კრებაზე ერთი-ორი კაი სიტყვა შეაწიე, ჭილო უფრო უპრაიანი იქნებაო. თუ კანდი-დატურა უღირსია, ხეწნით რომ გადააკვდეთ, მის საყეთლოდ კრინტსაც ვერ დააძვრევი-ნებთ. მაგრამ აბა ერთი, ღირსეულებზე რამ დაეაუღეთ, ან მის თვალწინ უსამართლოდ გინე შეაძვრეთ!

მუდამ სიტყვაძვირი სხვის ხუმრობაზე ბევ-ვივით გულიანად ეუბკუბებს, თვითონ კი აღ-ვილად არას ამბობს, მაგრამ თუ ერთი მარა-ქაში გაერთა, ისეთ რამეს იტყვის, სიცლისა-გან მუცელზე კანი აღარ შეგარჩებათ, ამიტომ მის აუთოლებს ხშირად შეეცდებიან ხოლმე მუ-შაობით მოღლილი მეგობრები, აბა, ეგება რამ ვათქმევინოთ, გავაგებთარულსო.

თურმან ტაველავილი

იგი შარშან ნოემბრიდან ჩაუღდა ბრიგადის სათავეში. მას ნაწილობრივ დასაწყისში გაცე-ანით და, ალბათ, საჭირო აღარ იქნება მასზე ხელმეორედ სიტყვის გაგრძელება. ესეც რომ არ იყოს, ბრიგადაში იმდენი მოწინავეა, ყვე-ლაზე ვერ შეგნრდება.

სურვილები, ღინადღებები

კარგია ახალგაზრდებთან ახლოს ყოფნა. თუ ყველაფერს სწორად გუგებთ და კოდეც თანაუგრძობთ, უფრო მოგედლობა, გულს გავიმლოან, ზოგ რამეში წრფელად გამოგიტყ-ლებიან, ბევრს ისეთ რაღაცას გავიზიარებენ, რასაც მშობლებთანაც კი აღვილად ვერ წა-მოაციდენინებ.

მათი სურვილები კი უბრალოა, ჩვეულებრი-ვი, მიწიერი, ადამიანური.

— ჩვენ ახალგაზრდები ვართ, — დარცხვე-ნით თქვა ერთმა, — დიდიან საღამომდე მინ-დორში ცხელი მზის ქვეშ ვმუშაობთ და გვინდა მარტო შინაარსით კი არა, გარეგულადაც ლა-

მაზები ვიყვნეთ. კარგი იქნებოდა, თუ ^{ქვემო} კოსმეტოლოგები გაზეთის საშუალებით ^{მიწის} კოსმულაციებს გავგწივენ, რათა ^{არა} მკაცრად ^{არა} მკაცრად სახე, არ გავიუხეშდეს ხელობა...

— ონ წელიწადში მხოლოდ ორი ექსკურ-სია მოეწყვეთ, — თელავსა და გელათში, — ამბობს მეორე, — ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. უფრო მეტი რაოდენობით უნდა და-გვათვალიერებინონ ჩვენი ისტორიული ადგი-ლები და ძეგლები. ისე სურავინ გავგვიგებს, ჩვენ იქ მარტო, ღროსტარება გვიზიდავდეს. არა, ეს სწორი არ არის. ჩვენ იქ თითქოს აღ-გილის ღედა გვეჩურჩულება გარდასულ ამბებს, თითქოს წინაპართა ომბიან შეძახილებს ვის-მენთ. წარმოადგება უთანასწორო ბრძოლა-ში თავს როგორ მედგორად იცავდნენ ისინი, როგორ გმირულად იბრძოდნენ. ამით ჩვენი სახელოვანი წინაპრებისადმი, ჩვენი დიდებუ-ლი ისტორიისადმი სიყვარულითა და პატივის-ცემით ვიმსჯელებით და ეცდილობთ ჩვენ კი-დევ ჩვენებურად, ახლებურად ვისახელოთ ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო. „კომსომოლს-კია პრავდაში“ რომ დაიწერება, ყანდურე-ლებმა ერთ პექტარზე ამდენი და ამდენი მოსა-ვალი მიიღესო, ვანა ეს გმირობას არ უღრის? ვანა ამით მთელ ჩვენს ხალხს არ ვისახელებთ?..

— ექსკურსიები მარტო ისტორიულ ადგი-ლებში! — წამოიძახა მესამე, — ჩვენე ვი-ქის გიგანტები? დაგვათვალიერებინონ რუს-თაგისა და ქუთაისის ქარხნები, გორის ბამბეუ-ლისა და შუგვილის კომბინატები, შეგვახვედ-რონ წარმოების მოწინავეებთან, გვალაპარა-კონ...

— ესეც კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, სოფლის მეურნეობის მოწინავეები გვაჩვენ-ნონ, — შესწორება შეიტანა ვედაცამ, — აი, მაგალითად, ძალიან ბევრი იწერება ველისცი-ხელ მევენახე მექვევრიშვილზე და ახმეტელ ხარტონაშვილზე. ეს კი ჩვენ არაფერს გვაძ-ლევს. ისინი, მართალია, რესპუბლიკაში მო-წინავეებია, ამდენი და ამდენი ცენტრერი ყურ-ძენი მოჰყავთ, მაგრამ მერე რა, რა გამოვიდა აქედან? უფრო სასარგებლო იქნება, თუ პირა-დად გავაჩვენებთ მათ. ჩვენ ვკითხავთ, რა გზით, როგორი მეთოდებით აღწევენ წარმატებებს, მათს ნაამბობს უბის წიგნაკში ჩაფიქრდით და მერე ჩვენს მუშაობაში გამოვიყენებდით. ასევე სასარგებლო იქნებოდა მოწინავე მექანი-ზატორებთან, მეზოსტრეებთან, მეცხოველეუ-თან შეხვედრები.

საუბარი ცოტა ხნით შეწყდა, მერე ყველას ყურადღება ნინო ჭავჭავაძის მიმართ:

— ძალიან უკმაყოფილონი ვართ კულტურუ-ლი მომსახურებისაც. რაც თავი მიცნია, ჭერ არ მახსოვს, ჩვენს სოფელში გასტროლებზე რამელიმე თეატრი ჩამოსულიყოს, გარდა



თელავისა და თბილისის მარჯანიშვილის სახელობისა. ხომ გახსოვთ, — მიმართა მან თანატოლებს, — მაშინაც რა ამბავი იყო? ჩვენნი კულტსახლის დარბაზი მაყურებლებით ისე გაიჭედა, ძირს ნემსიც არ ჩავარდებოდა. უდაგილობის გამო ბევრმა ვერ მოახერხა დასწრება. და როგორ ნასამოვნები დაერჩით... რამდენი რამ გვასწავლა სპექტაკლმა, „როცა ურემი გადარუნდება“, რამდენი რამ გავგვაგებინა, შეგავგებინა, დავგვანახა, სულღერად აღგვაბაღლა... მე გამოვონია, მოძრავი კინო, მოძრავი ბიბლიოთეკა — თუმცა ისინი სრულებითაც არ გვემსახურებიან — ვანა არ შეიძლება იყოს მოძრავი თეატრიც? რაც შეიძლება ბევრი უნდა იყოს ასეთი თეატრი, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონსა და სოფელს გასწვდეს! იგი ყოველ კვირა რაღაც ახალს გვიჩვენებდა, ამით ჩვენ კიდევ უფრო გავიზარდებოდით, ჩამოვყალიბდებოდით, საზოგადოებაში თავის დაქერას ვისწავლიდით, თეატრსაც შემოსავალი არ მოაქვდებოდა.

— გარდა მაგისა, კარგი იქნებოდა ლექციებიც გვეკითხებოდეს მეცნიერულ-პოპულარულ თემებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, უცხოელ ჩვენს თანატოლებზე. გაზეთებში იწერება, რომ ისრაელი დაზავების შემდეგაც არ ისვენებს, თითქმის ყოველდღე არდევს ხელშეკრულებით ნაყისრ ვალებზე. ლექტორი უკეთესად გვეტყოდა, ბოლოს და ბოლოს რა უნდა იმ ხალხს, რატომ არ ისვენებს...

— რაც ამხანაგებმა ილაპარაკეს, ყველაფერი კარგია და მოსაწონს. მაგათ ჩემი სთქმელიცა თქვეს და მე ისღა დამჩინებია, სულ სხვა რამეზე გაემახვილო ყველას ყურადღება, — დიწყო მარინე ჩოკოშვილმა, — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არც ის იქნებოდა ურიცხვო, შრომის საზღაური ცოტათი მაინც გავვიდიდდეს. ყველამ ვიცით, რომ წელიწადში 365 დღეა. შაბათსა და კვირას თუ არ მივათვლით, აქედან სამუშაო დღე 253 გამოდის. დანარჩენში მუშა-მოსამსახურებები ისვენებენ. 235 დღე კი არა, თვედრობა-შვილმა როსტომმა 260-მდე შრომადღე გამოიმუშავა და ვანა რა მიიღო? 568 მანეთი. მაშინ, როცა მუშა საშუალოდ წელიწადში 1.200 მანეთს აკეთებს. არ უნდა იყოს ასე... აი, მანეთის მურჩინების მუშები კარგად იღებენ. რამდენჯერმე ითქვა, რომ ჩვენნი შემოსავალი მეურნეობის მუშებისას გასთანაბრებოდა, მაგრამ ჭერჭერობით არაფერია გამოდის. კარგი იქნებოდა, თუ ამას ვინმე მიაქცევდა ყურადღებას. მაშინ ზოგიერთი ჩვენებური ქალაქში კი აღარ გაიქცეოდა, სამუშაოდ აქ დაჩრებოდა.

ახალგაზრდობის მოსაზრებები ზოგი თუ პრაბლემურია და მათი განხორციელება სხვადასხვა მიზეზთა გამო ჭერჭერობით შეუძლებელია.

ლი, ბევრი ადგილი შესასრულებელია და მათს კანონიერ მოთხოვნებს ანგარიში უნდა გავუკეთოთ.

ახი იწყება დღე

როგორც კი დამის თალხი ფერი გახუნდება, სოფელიც გაიღვიძებს. ვიწრო ორბობებში, თემშარებზე აჩქარებული ლანდები აირევიან, საღდაც მიემუტრებიან. რამდენიმე წუთიც და რიკრაკის მყუდროებაში ახალგაზრდული ხმები დაირხვევა:

- გამარჯობა, ვთერ!
- დილაშვილობისა, ნინო!
- საღამო, დიკოებო!
- ჩვენს ძმას სიცოცხლე!
- ყველას გამარჯობა!

მოლიან და მოლიან კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები, დანიშნულ ადგილას გროვდებიან. ცივა, ყინავს. ისინი კი ვითომც აქ არაფერიათ, ხუმრობენ, იცინიან, მხიარულობენ. ადგილზე მხნელ აცეკვებულებს ცხვირ-პარიდან ორთქლი სულ ბოლქვ-ბოლქვად სდით, ვაჟებს აფეკილებული ღინღი ეთრთვილებათ და ხანდახან ერთმანეთს წეხძიძგლიავენ, რომ ცოტა შეხუბრდნენ.

- საღ არის, კაცო შოფერი!
- დაუძახეთ, თორი ის...
- ცოტაც მოვიცადოთ და მერე!..

ქალაქივლები ერთად ჭგუფდებიან და ხმა-დაბლა ღიღინებენ. სიმღერა არ გამოსდით, რადგან არც ერთი ტექსტი არ იციან ხერიიანა. ხან რომელი კინოფილმის სიმღერას იტყვიან, ხან რამეს... ბოლომდის კი ერთიც არ იციან.

— მოდით, იცით რა? — ძიახის ერთი, — შევკრიბოთ ფული და მივეცეთ რომელიმე კომპოზიტორს, რაიმე კარგს დაგვიწერა, ჟღერაღს, მელოდიურს, ახალგაზრდულს... ჩვენ მას წასვლისას გზაში ვიმიღებდით, უკან დაბრუნების დროსაც.

- სიმღერას ტექსტი უნდა, კომპოზიტორი განა ლექსებსაცა წერს.
- ტექსტს ჩვენ თავით დავწერთ...
- ი, რომელი ამბობს მავასა, რომელი...

აბა ერთი, კარგა დამანახეთ, მოდექი აქეთა, მოდექი, კარგა დავინახო! — არეულ ლანდებში ხუმრობს ერთი.

- გოგოები იცინიან.
- ვინ არა, კაცო!
- ვინა და თუ ჩვენი ვიუბოტა!
- რომელი?
- სოსიანოთ ისაკო!
- ეჰ, მაგი ლექსები!..

3030 გათხზუბი
 ყანდასრმეღბი

— კაცო, თუკი ფული მიცემა იქნება, პოეტ-საც მივეცეთ და დაგვიწერაჲს, განა ის კი უარ გვეტყვის.

— ეგ საქმე ციციონი იყისროს.

გოკოები წყნარად ღიღინებენ, მერე ვიღაც იძახის:

— დამიგდეთ ყური, რაღაც უნდა გითხრათ!

— ნეტა რას იტყვი ისეთსა, ქვეყანა გააკვირო, შენცა ერთი!..

— რა გეხარჯებათ თქვენაცა, რა... ერთი წუთით ყურ ვერ დამიგდებთ?

— მოიცა, თქოს რა უნდა!

ყველანი ჩუმდებიან, მერე ერთ ტანლატანა ლანდს სისხამი დილის ბინდებულში ორთქლის ბოლქვებთან ერთად სიტყვები მკაბულ სცეივა:

— თუ არავის გავევიბრეთ, ჩვენი შრომა არ გამოჩნდება.

— რას ამბობს ე კაცი, კაცო! მაშ ვინ დაგვიმალავს?

— დაიცათ, ბოლომდე მათქმევინეთ, თქვე გლემურჯებო!.. მოწინავეს ვისმე უნდა გვევიბროთ, მოწინავეს! ან ჩვენ რაიონში ვინმე ამოვიჩჩიოთ, ან სხეავანა. მერე გამოჩნდება, რომელი დავაჭარბებთ. სოციალისტური შეჯიბრებაც დაერქმევა თანა! მაშა!

— კარგს ამბობს, განა!

— მერედა, აბა ვისა?

— რა ვიცი, რაიკომს ვუთხრათ, ჩვენ ნებაზე კი არ იქნება.

— ეხლა მავი ღრო არ არი, მერე როდისმე ყველამ ერთად უნდა მოვილაპარაკოთ, დავაწყოთ აზრები და იგრე გადავწყვიტოთ!

ამ ღროს აეტომანქანის ძრავის შორეული თუხთუხიცი გაისმის, მისი ხმა თანდათან ახლოვ-

დება, თანდათან... ახალგაზრდების ხმაური კლებულობს, მერე ერთბაშად მატულობს, ყველა ხივილი. მძლოლი მოშორებით აჩერებენ მანქანას, ყველანი ახლოს მიხორხორდებიან, ბიჭები გოგოებს ასვლაში ეხმარებიან. როცა ყველა დაჯდება, მანქანაც დაძვრება ადგილიდან და სიმღერით ჩაივლის მთავარ შარაზე.

შორს, აღმოსავლეთით, გვერდებზეწითლებული ღრუბლები გაყუჩებულან და მზის ამოსვლას ელიან.

მიზნობა ღალადი

რაგინდ შშრალი და უხალისო წასაკითხიე უნდა იყოს, ციფრებს გვერდი მაინც ვერ აფელევა. ციფრებია საზომი და საწონი გაკეთებული საქმისა. იგია სარკე აღამიანის შრომითი მაძიკობისა. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის საქმიანობაც ციფრებში ღალადებს.

ბრიგადამ შარშან 10.000 ძირი ვაზი ღარგო, აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით მეჩხერიანობა მინიმუმამდის დაიყვანა, ექესი ჰექტარი ფართობიდან 48 ცენტნერი ღობიოს ნაცვლად 54 ცენტნერი მიიღო, შვიდი ჰექტარიდან 91 ტონა ჰარხლის ნაცვლად 105 ტონა მოსავალი მოიწა, ათი ჰექტარი ფართობიდან 210 ცენტნერი (მარცვლად) სიმინდი მიიღო.

გარდა ამისა, 200 ტონა სენაეი ჩაღეს, 50 ტონა ყურძენი მოკრიფეს, 1.000 ტონა ხორბალი ჩააბარეს სახელმწიფოს.

ახალ სამეურნეო წელს ისინი კიდევ უფრო მეტის გაკეთებას აპირებენ და სიტყვას უმკველად საქმედ აქცევენ, რადგან ძალი შესწევთ ქაღილისა.



გია იოსელიანი

ჩინის ატმოსფეროს მსახური

დიდი ალყაფის კარები. შესასვლელთან თბომავალი. ორი კაცი ჩაპკირკიტებს რკინის გოლიათის დაღუმებულ სხეულს. ჩემი შეითხვა მოკლე და მარტივია:

— უკაცრავად, ვერ მეტყვით სად იმყოფება დემოს უფროსი?

ხრახნს რომ ატრიალებდა, ქვევიდან ამომხედა. მერე წამოაფცა, ოფლი მოიწმინდა და მიპასუხა:

— ჩენი უფროსი? — მერე აშხანაგს ეუბნება: — ავთო, გაკყევი დემოს უფროსთან და მალე დაბრუნდი.

- გმადლობთ! თქვენი სხეელი?
- მიხეილ ვალიევი.
- დიდი ხანია აქ მუშაობ? — ვკითხე მეგზურს.

- ერთი წელია.
- რა გვარო ხარ?
- სესიამვილი.
- ალბათ კახელი...
- კი, საგარეოდან.
- გიყვარს შენი სხეელია?
- რომ არ მიყვარდეს, არც ვიმუშავებდი.
- რა დამთავრე?
- თბილისის 31-ე პროფტექნიკურო სასწავლებელი.

და იგი ხალხიანად მიამბობს:
— როცა ვამთავრებდი, ჩენი დირექტორი გროგოლ ბოვერაძე იყო. ძალიან ვაფასებდი მართო მე კი არა, ყველას უყვარდა. ერთხელ შეუძლოდ გახდა და რამდენიმე დღე არ გამოცხადებულა. ბიჭები სულ იმაზე ვფიქრობდით, ნეტავი მალე გამოჯანმრთელდესო. ყველაფერი კარგად დამთავრდა...

ამ საუბარში სალოკომოტივო დემოს უფროსის ივორ მეღაძის კარებს მივადექით.

- ია, აქ ზის, მე წავალ.
- გმადლობთ.

უფროსის კარები შევადე, ნარკვევი უნდა დაეწვროთ თქვენს მოწინავეებზე. — ვლუხარა მისალმების მერე.

მან დილაკს ხელა დააქირა და მდივანი გოგონა შემოვიდა.

- ჭემალს დამიძახე!
- რამდენიმე წუთში ისიც მოვიდა.
- ბერიოდული საამქროს უფროსი ჭემალ რუსია.

— ვიდრე საამქროს დავთავალიერებდით, თქვენს დემოზე მოკლედ მიამბეთ.

— კი ბატონო!...
თბილისის სალოკომოტივო დემო ერთ-ერთი უდიდესია ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იგი საორქლავლო და საელმავლო დემოებს აერთიანებს, საორქლავლო დემო დედაქალაქის უძველესი საწარმოა, საელმავლო კი 1940 წელს ამუშავდა. სალოკომოტივო დემოში 2000-მდე კაცია, მათ შორის 800-ზე მეტი ახალგაზრდაა. აქ დანერვილია რაციონალიზატორული წინადადება, რამაც წარმოებას 23.500 მანეთის ეკონომია მისცა. დაზოვილია 2 ტონა შავი და 800 კგ ფერადი ლითონი, ამ მასალით გამოშვებულია 2 ელმავალი, დიდი ბერიოდული შეკეთებიდან 4 ელმავალი, ხოლო მცირე ბერიოდულიდან — 6.

მოკლედ, ასეთი მდგომარეობაა დღეისათვის. ჭემალ რუსიასთან ერთად საამქროსაკენ გავეშურე.

აქ ნახავთ ელმავლებს, თბომავლებს, ხმარებიდან გამოსულ ორთქლმავლებს...

ქართველებთან ერთად ვის არ შეხვდებით აქ — რუსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, უკრაინელს, ოსს...

საინტერესო სანახავია, როგორ ტკრციილებს ფოლადი, როგორ იღუნება მარწუხებში მოქცეული რკინა. ამას ერთვის ახალგაზრდების ფოლადივით წყრიალა ხმები, სიცილი, მხიარული გადაძახება.

ბევრვერ გავიგონია, რომ კოსმოსში გად-
რუნა რომანტიკა. ვეთანხმებით, მაგრამ ღე-
ბოშიც თავისებური რომანტიკა ყოფილა, რო-
მელიც ერთნაირად იზიდავს დიდსაც და პა-
ტარასაც. ეს რომანტიკა ცხოვრების ბოლომდე
გაჰყვება აქ მომსვლელ ახალგაზრდებს, რად-
გან რკინის ციფ სხეულებთან დიდი, ძალიან
დიდი სითბოა მუდამ.

— აი, პერიოდული სააშქრო! — გვეუბნება
ჩემი და ვანაგრობს, — ჩვენ ვეყავს კომ-
კავშირული ბრივალა, რომელსაც ხელშეწყვე-
ლობს ამავე სააშქროს კომკავშირის ბიუროს
მდივანი, მე-14 მოწვევის საქალაქო საბჭოს
დეპუტატი ბესარიონ ებანოიძე.

პერიოდული შეკეთების სააშქროს კომკავ-
შირულმა ბრივალამ ზეგვემით, არასამუშაო
დროში, უფასოდ გარემონტა ერთი ელექტრო-
მავალი და თანაც ისე, რომ იგი 25.000 კო-
ლომეტრს გაიბრუნა, ნაცვლად 21.000 კილომე-
ტრისა.

კომკავშირულ ბრივალაში მოხვედრა არც
ისე იოლი საქმეა. მაგალითად, ზეინკალ-მე-
ქანიკოსი ნიკოლოზ ილერიძე 1967 წლიდან
მუშაობს და იმ დღიდან ოცნებობდა ამ ბრი-
ვალაში მოხედრას. პირველად იგი დამხმარე
მუშად იყო. კარგად წმენდდა ელემენტებს, ხო-
ლო როდესაც კომკავშირულ ბრივალაში გა-
დაიყვანეს, მის სიხარულს საღვარი არ ჰქონდა.

ნიკოლოზი შრომას კარგად უხამებს სწავ-
ლასაც, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ლი-
თონების კრიფ დამუშავების სპეციალობას
ეუფლება. და ვანა მარტო ნიკოლოზმა მი-
წინავე? მოლით, ახლის გავცინოთ გერონტი
მისურაძესაც. იგი ვარიანელი ჰაბუკია. მუ-
დამ რკინის არტერიების საიდუმლოების დაუ-
ფლებზე ოცნებობდა. 1969 წელს წარმატე-
ბით დაამთავრა თბილისის 31-ე პროტექტნი-
კური სასწავლებელი. სწავლის პერიოდში
ვეღმოღვიწედა უსმენდა გამოცდილ პედაგო-
გებს. ყოველი წვრილმანი ინტერესებდა, რად-
გან კარგად იცოდა, რომ ელექტრომავალი
უამრავ დეტალს შეიცავს და ყველა ხუთი თი-
თიეთი უნდა დაიმხსოვრო.

დღეობი მოსვლისას, გერონტის თავისებუ-
რი სიძნელეები დახვდა, მაგრამ კეთილი ადო-
მიანები ხომ ყოველთვის სხვებისთვის ზრუ-
ნავენ! ამიტომაცაა, რომ იგი დიდი სიყვარუ-
ლით იხსენებს ყოფილ ბრივალის თემურ
არაქლოვს. ყოჩად, მშრომელი და დაუზარე-
ლი ადამიანებო! სწორედ კომკავშირული ბრი-
ვალა საქები, რადგან მათ ათთვისს ჩეხური
ელემენტს, რომლის მექანიკური ნაწილიც
მთლიანად განსხვავდება სამამულ ომის დრო-
ინდელი ელემენტების, БЛ-8, БЛ-22-საგან.

მაგრამ ისინი მარტო ამით როდი კმაყოფი-
ლდებიან. შარშანწინ გამოუშვეს კომკავშირული
ელემენტები — БЛ-22-455.

ამის შემდეგ აწევითი შეკეთების სააშქროს
გავეცანით. აგერ, უხარმახარ ამწესს, ხე-
ტარა ლოკომოტივი, ახლა მას მეტად და-
დამუშავება ელის. გამოიცვლება მექანიკური
და ელექტრული ნაწილები. შეიძლება ძრავაც
ახალი ჩაუდგან. ეს უკვე ამ სააშქროს ოსტა-
ტის დიმიტრი ციმაკურიძის საქმეა. შემდეგ კი
ბიჭებიც მოეხმარებიან. დიმიტრი ასე ეძახის
თავის კომკავშირულ-ახალგაზრდებს გიორგი
ტყემალაძეს, ამბროსი არევაძეს, კომკავშირის
კომიტეტის წევრს გაიოზ გვიგინაშვილსა და
სხვებს.

ასეა ყოველთვის. ახალგაზრდებს განსაკუთ-
რებით მაშინ უხარიათ, როცა მათ ოსტატი ნა-
ხელავს შეუქუბს და ეტყობს: ყოჩად, ბარა-
ქალა თქვენს მარჯვენას!

უქანსენელ წლებში ძალზე გამოიცვალა ეს
სააშქრო. მას ახალგაზრდებმა მთლიანი რეკონს-
ტრუქცია გაუკეთეს, დააგეს ბეტონის იატაკი.
თბომაგლების შემკეთებელ სააშქროშიც გო-
ვალა ახალგაზრდა მუშაობს და ისინიც მულ-
მოდგინედ ასრულებენ უფროსი ოსტატის შალ-
ვა ახალქალაქელის მითითებებს.

კომკავშირის კომიტეტის წევრი, ზეინკალ
გალოდია ეთილაშვილი ხშირად მაიმისაგნე
იღებს რჩევა-დარიგებას. დაბს, მისი მამა იო-
სებ ეთილაშვილი ამ სააშქროში მუშაობს და
შვალს, მის თანატოლებს მელოკომოტივის
პროფესისის სიყვარულს უნერავებს. სააშქროში
ყველა დიდ პატივს სცემს ზეინკალს გიორგი
შარიძესაც. იგი რაიონული საბჭოს დეპუტა-
ტია. დღევანდლა შრომა გიორგის, ხელმძღვა-
ნელობამ ღირსეულად შეაფასა მისი საქმიანო-
ბა და სათანადო ორგანიზების წინაშე შრო-
მის წითელი დროშის ორდენზე წარადგინა.

მორთავაგონების შეკეთების სააშქროს ოს-
ტატი შოთა გოგორიშვილი კმაყოფილი თა-
ვისი ვეფხვებით, განსაკუთრებით კი კომკავ-
შირული ახალგაზრდებით. ზეინკლებმა ამირან
დელბახიშვილმა, თემურ გელაშვილმა და პეტ-
რე ქლიბაძემ შესანიშნავად შეისწავლეს თა-
ვიანთი პროფესია. მათ მიერ შეკეთებულ მო-
ტორავაგონებს ყველა მეგობრებმა ემადლოვნა.
ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ მნიშვნელო-
ვნად შეამცირონ შეკეთების დრო და თანაც
არასამუშაო საათებში გაარემონტონ მოტორ-
ავაგონები.

ესეც ექსპლუატაციის სააშქრო — აი, მისი
უფროსიც — ალექსანდრე ვაშაიძე. ენერგო-
ული და თავისი საქმის ჩინებული სპეციალის-
ტი, გულისხმიერი ადამიანი. იგი აქ დღეის
დაარსების დღიდან მუშაობს და ამ ხნის მა-
ძილზე მრავალი შესანიშნავი ინსტრუქტორ-
მეგობრებმა აღზარდა. აი, ზოგიერთი მათგანი:
საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი
პაულე არევაძე, გაიოზ ბერიაშვილი, იონა ხუ-
ჭუა, ახალგაზრდები ბერიაშვილი, იონა ხუ-
ჩუაძე, ახალგაზრდები ბერიაშვილი, იონა ხუ-
ჩუაძე, ახალგაზრდები ბერიაშვილი, იონა ხუ-
ჩუაძე...



ყოველთვის, ყოველგვარ ამინდში მისრიალებენ შემადგენლობები და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადაჰყავთ მგზავრები, გადააქვთ ტვირთი... სახალხო მეურნეობის ტვირთზიდვის გეგმის 75 პროცენტი სარკინიგზო ტრანსპორტზე მოდის.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი ამაყ იზს კომკავშირელი მემანქანე თანაშემწეებით — შოთა წივილაშვილით, ვლადიმერ ბურცევითა და ომარ მჭედლიძით. მათ დაამთავრეს 31-ე პრეტექნიკური სასწავლებელი და სამუშაოდ დეპოში გააწაწილეს.

— ყველას კარგად მოეხსენება, თუ რაოდენ რთული პროფესიაა მემანქანეობა. ეკვინ იცის, უკვე რამდენი ღამე უთენებია თერთად გამოცდილ მემანქანეს — ლევან შარიქაძეს.

— 1966 წლის 27 იანვარი იყო, — იხსენებს იგი, — მაშინ სახალხო მატარებელი გადაწყვიდა სანაინი-თბილისის უბანზე. ვეერდში თქვენსავით ახალგაზრდა თანაშემწე ნიკოლოზ ვგლე

მედგა. შემადგენლობა სადგურ ახტალაში მორიგე დაკავებულ ხაზზე მიიღო. მე დარტყლად შევემჩინე მოპირდაპირე მხრიდან მომავალი მატარებელი და თანაშემწესთან ერთად დროულად მივიღე საჭირო ზომები. მომავალ მელოკომოტივეს ნიშანი მივეცი, საბედნიეროდ, ისაც შეჩერდა.

მართლაც რაოდენ დიდ სიზუსტეს და სიფრთხილეს მიათხოვს მოძრაობის დარგში მუშაობა. მემანქანემ შესანიშნავად უნდა იცოდეს თავისი საქმე. იგი კარგად უნდა იმორჩილებდეს არა მარტო ელმავალს, არამედ საკუთარ თავსაც. მუდამ დასვენებულო, გამოძინებულო და ფხიზელი უნდა ცხადდებოდეს სამუშაოზე.

ერთი სიტყვით, დიდი სიცოცხლე სჩქევს თბილისის სალოკომოტივო დეპოს კომკავშირელთა ცხოვრებაში, ისინი ერთ წუთსაც არ ჰკარგავენ უქმად.

აი, რა ძალა ამოქმედებთ დეპოელ ახალგაზრდებს, აი, რა აძლევთ მათ ვარანტიას, წარმატებით შეასრულონ ყველა სახის გეგმები.



გაგონა შაროვა

ილუზი ბრძოლის დიდი სკოლა

(გ. ი. ლენინი და საბჭოთა შურნალისტების ჩამოყალიბება)

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ — გამოქვეყნებიდან გასულმა ორმა წელმა დაგვანახა, რომ ეს დადგენილება მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა იმისათვის, რათა ცხოვრებასთან კავშირი განემტკიცებია ჩვენს ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ეურნალებს „ზნამიასა“ და „მოსკვას“, „ზევზდას“ და „დონს“, „პროსტორსა“ და „შარკ იულდუზის“, „ვიტჩინასს“, „ცისკარს“ და სხვ. მათ ფურცლებზე გაშუქებულიყო მაგისტრალური თემები სოციალისტური რეალიზმის განვითარების და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაის ქვეყნების ხალხების მშურ ლიტერატურათა ურთიერთ-კავშირების, ურთიერთგავლენების, ურთიერთ-გამდირების ნოვტორული ხასიათის შესახებ. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეები, კრიტიკოსები და პუბლიცისტები კანონზომიერად და ნაყოფიერად დაეუფლნენ იმ პრინციპს, რომ თანამედროვე, 70-იანი წლების ეურნალისტების მოვლენებისა და პროცესების დრმა ანალოზი მჭიდროდა დაკავშირებული ჩვენი საბჭოთა ეურნალების (რომელთაც „მოლოდაია ევარდას“, „ოკტიბრის“, „ზევზდას“ და „ნოვი მირის“ მსგავსად უკვე იზივნის თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის იუბილუ) ჩამოყალიბებისა და განვითარების, მათი ლენინური იდეურ-ესთეტიკური საფუძვლების შესწავლისადმი ისტორიულ მიდგომასთან. როგორც ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურათმცოდნეები და პუბლიცისტები აღნიშნავენ, ლენინური მეგვიდრობა ეურნალისტისა და პუბლიცისტის დარგში წარმოადგენს განახლებისა და პროგრესის უმრეტ წყაროს მეცნიერებასა

და ლიტერატურაში, კრიტიკისა და ეურნალისტისათვის.

თუ კაბიტალიზმის აპოლოგეტები ისეთ პროპაგანდისტულ ორგანოებში, როგორცაა ვატიკანის თეორიული ორგანო კულტურის საკითხებზე „ჩივილტა კათოლიკა“, „დერ მონატ“ (გერ) „ენკაუნტერ“ (ინგლისი), „ფრიდომ“ (აბაონია) და სხვ, დღემდე ცდილობენ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ჩამოყალიბების ლენინური იდეურ-ესთეტიკურ საფუძვლების ფალსიფიცირებას და ლენინს „ზეკლასობრივ“ ჰუმანისტად, „კონვერგენციის“ მომხრედ სხავენ, ამის საპირისპიროდ პროგრესული სლავისტები ვ. კოლეცკი, ს. კარაკისტოვი, ე. დასკალოვა (ბულგარეთი), პ. იუნგერი (გერ), ს. ლუვსანდანი, ლ. ტუდევი (მონოლოტის სახალხო რესპუბლიკა) და სხვანი თავის სტატიებსა და წიგნებში გვიჩვენებენ, როგორ განაპირობა ლენინურმა მეგვიდრობამ საბჭოთა ლიტერატურის, ეურნალისტისა და კრიტიკის ახალი მიდწეები და განამტკიცა მწერლებს კავშირი სინამდვილესა და მეთხველებთან.

როდესაც ჩვენ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვისა და ეურნალისტის თეორიულ გულს — მის ლენინურ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს — მივმართავთ, იმავეთვე ვხედავთ, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ჩამოყალიბებას, მის ქეშმარიტ პუბლიცისტურობას, ოვერატულობას, მის მებრძოლ შეურიგებლობას ყოველი ჭურის ბურჯუაზიულ იდეოლოგიისადმი, დაწყებული შპენგლერიანელობით, ირაციონალიზმით და პანსლავიზმით, დამთავრებული სწინოგებლობითა და ევრაზიულობით.

პირველი რევოლუციის შემდგომი წლების ეურნალისტის ისტორია გვიჩვენებს, რომ ლე-



ნინი, როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტი, თავის სტატეზებში „კაპიტალიზმი და ბექვდითი სიტყვა“, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, „როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება?“, „ბექვდითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“ და სხვა, შეურიგებლად აქარწყლებდა მითს „ბექვდითი სიტყვის თავისუფლების“ შესახებ ბურჟუაზიისა და თვითმაპურობელობის კონტრრევოლუციური აგრესიის გამბარებელ ბურჟუაზიულ პრესაში. მან რევოლუციის მესამე დღეს მოაწერა ხელი დიდნიშვნელოვან „დეკრეტს ბექვდითი სიტყვის შესახებ“, რომელმაც ბოლო მოუღო ყვირთელს და „მწიფავს“ პრესის პროვოკაციულ მოტივებზე „წინააღმდეგობის“ და ცილისწამებას, და რამაც პ. სოროკინის, ე. ზამიატინის, დ. მერვეკოვსკაი, ზ. ვიპოუსისა და სხვების გააფთხებული გამოსვლები გამოიწვია ერთდღიურ „გაზეტ-პროტესტში“.

არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე ბურჟუაზიისა და ფეოდალიზმის იდეოლოგიები, კონტრრევოლუციის უშუალო ქომაგები, გაერთიანდნენ კერძო გამოცემლობებში „გესპერიდი“, „სვედრინი დნი“, „ბერევი“, „ნაუკა ე ვიზნი“, „ოსმისტი“, „ალციონი“, „ალკონოსტი“, „ეურნალუმი — „რუსსკაია მისლ“, „ვოპროსი ფილოსოფიის ე პისოლოგიი“, „ვიზნი“, „ნაილო“, „ზაისკი მენტატელი“, „რუსკი სოგრემენიკ“, „ეკონომისტი“, „ეურნალ ფოლნი ფალოსოფსკი ასოციაცი“, „ეურნალ ფოლნი აკადემიი დუხოვნაი კულტური“ და ა. შ. და დაიწყეს კონტრრევოლუციური ლაშქრობა ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ბექვდითი სიტყვა შესახებ ლენინური დეკრეტის წინააღმდეგ.

გ. ა. ლენინმა კომინტერნის პირველ კონგრესზე ვარჯევით თქვა: „კაპიტალისტები ბექვდითი სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრების მიერ ბექვდითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, ამის თავისუფლებას, რომ სიმდიდრე გამოყენებულ იქნეს ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივი აზრის საფარბიკაციოდ და განაყალბებულად“¹.

გ. ა. ლენინმა წერილებში „განსაკვირვებულ შესახებ“, „ერთიანი საეურნეო გეგმის შესახებ“, „პუბლიცისტის შენიშვნები“ და სხვ. გააშუქა პარტიული საბჭოთა ბექვდითი სიტყვის საქმის ამოცანება. ამავე დროს იგი იწყებს საბჭოთა ეურნალისტრეაში შემოჭრილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის პრინციპულ მნიშვნელობას რამდენიმე ასპექტით: ერთი მხრივ, ანტისაბჭოური „სქელი“ ეურნალების — პ. სტრუვეს „რუსსკაია მისლს“, „გუბატნიკ ვერობას“ და სხვ. — კონტრრევოლუციური ცილისწამებისა და მოქმედების უშუალო აღკვეთის და ამავე

დროს ყოველდღიურ ბრძოლას რუს შენგლორინელების, ახალგეხელების, ვაკატრებული იდეალიზმის იდეოლოგიების წინააღმდეგ; მეორე მხრივ — საბჭოთა ბექვდითი სიტყვის გეგმაზომიერ ბრძოლას შემნიღბავი სმენოგეხელობისა და ევრაზიულობის წინააღმდეგ, სადაც ნაჩვენებია რეპეციული ბუნება მოდერნიზმის ესთეტიკისა, როგორც ირაკონალიზმისა და ინტელიტიზმის ესთეტიკისა, რომელსაც პროპაგანდის უწყვედა „ზეპარტიული“ ეურნალები „მისლი“, „მისლი სლოვი“, „ზაისკი მენტატელი“, „დომ ისკუსტე“, „ნაილო“ და სხვ. გ. ა. ლენინს ჯერ უნდა დაეცა მარქსიზმის დიალექტიკა ბურჟუაზიული ეურნალისტრეაზიან, რომელიც გამოხატავდა დამხობილ კლასთა იდეალიზმსა და ხეცობას და ისეთი „სოლიდური“ ლიბერალური ეურნალების ტრადიციებს აგრძელებდა, როგორც იყო „რუსსკაია მისლ“ (პ. სტრუვე), „რუსსკოე ბოგატსტეო“ (ნომინალური რედაქტორი გ. ვ. კოროლენკო). ბურჟუაზიული ანტისაბჭოური პლატფორმა იყო ის, რაც საერთო იყო ყველა ამ ეურნალისტრეის, ისევე როგორც კრებულ „მისლის“ (1918) კონტრრევოლუციური პუბლიცისტისათვის, სადაც შევიდა მემარჯვენი ესერების გ. ჩერნოვის, ა. ვიზეტის, ნ. რუსანოვის სტატეზები, „სიტყვა ეურნალურის შესახებ“, რევოლუციის დაქმნებელი მტრის გ. როზანოვის „რუსული რევოლუციის აპოკალიპსის“ ათობით რეგული. ანტისაბჭოური მიმართულება განსაკუთრებით იყო გამოხატული ყოფილი ვეხბლის, ცნობილი კადეტი პუბლიცისტის პ. სტრუვეს საპროგრამო სტატეზებში.

გ. ა. ლენინის პირდაპირი მითითებით საბჭოთა ბექვდითი სიტყვის მუშაკთა წინაშე დასმულ იქნა ამოცანა, გამოეაშკარავებიათ ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პრესის ანტიბალბური ხასიათი. ანტიბალბური, ანტი-საბჭოური პრესის წინააღმდეგ ბრძოლის ფონტში ჩაერთნენ „პრავდა“, „იხვესტია“, ვიციკ“, „კომუნისტრინესკაია რევილიუცია“, „პეჩატ ი რევილიუცია“, „პოდ ზნამენემ მარსიზმა“ და სხვ. ბექვდითი სიტყვის რევოლუციონარ ტრიბუნალმა ერთიმეორეზე დახურა „შეირაზმული საპროგრამო გაზეთები „რუსკიე ვე-დომოსტი“, „მისლი“, „გეჩერნი ჩას“ და სხვ., აგრეთვე ეურნალები „რუსსკაია მისლ“, „ვესტნიკ ვერობი“, „რუსსკოე ბოგატსტეო“.

პრუსული იუნკრობის იდეოლოგიის ო. შენგლორის რეპეციული თეორიის წინააღმდეგ და რუსული ფილოსოფიური ეურნალების „მისლის“ და „ქარსანაია ნოვის“ ფურცლებზე ამ თეორიის პროპაგანდის წინააღმდეგ გ. ა. ლენინის ბრძოლის ანალიზი ერთგულ კი-

ბატონან უაროვანა

იდეური ბრძოლის დიდი სკოლა

¹ გ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 581.

დევ გეინგენებს, რომ ლენინის შენგვლიან-
 ელობა სერიოზულ საფრთხედ მიიჩნდა 20-
 იანი წლების დასაწყისის ეურნალისტიკაში
 ბურჟუაზიის გამოაშკარაებების ვაზზე. ყოფილ-
 მა ევგენიშვიან ნ. ბერდიავებმა, ლ. ფრანკმა, ფ.
 სტეპუნმა, ა. ბუქშანმა, რომელთაც გამოს-
 ცეს კრებული „ო. შენგვლიანი და ევროპის
 მზის ჩასვენება“, პუბლიცისტმა ფილოსოფო-
 სებმა პეტროვარდის ფილოსოფიური საზო-
 ცეროების რეაქციულ ეურნალ „მისლიდან“ ე.
 რადლოვმა, ნ. ლოსკიმ, ლ. კარსაენმა, იდეა-
 ლისტებმა მოსკოვის ფილოსოფიური ყო-
 ველწილურიდან „მისლი სილოვო“, რომელიც
 ვ. შეტის რედაქტორობით გამოდიოდა, ვ. ბა-
 ხაროვმა „კრასანია ნოვში“ რეგრესის შენ-
 გვლიანეულ იდეა, „ნოკალური ცივილიზა-
 ციების და მსოფლიო კატასტროფის თეორია
 გამოიყენეს ოქტომბრის რევოლუციის, ლე-
 ნინიზმისა და კომუნისმის წინააღმდეგ ლაშქ-
 რობაში. ლენინმა ნ. პ. გორბუნოვისადმი მი-
 წერილ ბარათში კრებულ „ო. შენგვლიანი
 და ევროპის მზის ჩასვენება“ მისწინე შე-
 ფასა როგორც „თეთრგვარდიული ორგანი-
 ზაციის ლიტერატურული საფრთხე“. ა. კ-
 ვორონსკისთან საუბარში მან უარყოფითად
 შეაფასა ამ კრებულის ირგვლი ბაზაროვის
 მიერ დაწერილი სტატია, რომელიც „კრას-
 ანია ნოვის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, და
 შენიშნა, რომ, მისი აზრით, „შენგვლიანი საი-
 ნტერესის არაა და არ ღირს ხელი მოგვიდოთ
 მას ხაბჭოთა რუსეთში“.²

როდესაც ვ. ა. ლენინმა და ბექდვითი სიტყ-
 ვის ტრიაზულმა ბურჟუაზიის რესტავრატო-
 რებს ხელუდან გამოაცალეს მათი პირდაპირი
 რუპორი — „სქელი“ ანტისაბჭოური ეურნა-
 ლები, ამით მათ 1918 წლის ვაზაფხულზე, არ-
 სებითად, აღკვეთეს შემარცხენე ესერული
 პრესის, ე. წ. „სკვითური“ ეურნალისტიკის
 — ეურნალების „ნაშ პუტ“ და „ზნამის“ —
 კონტრრევოლუციური მიმართულებაც (შო-
 ლოდ „ზნამიამ“ დროებით კვლავ ვანახლა
 მოქმედება 1922 წლის მეათე ნომრამდე ო. ლ.
 ნაიციკოვის რედაქციით და ივანოვ-რაზუმიანისა
 და შტეინბერგის მონაწილეობით). ვ. ი.
 ლენინმა ჯერ კიდევ ადრე მიაქცია უურადლე-
 ბა შემარცხენე ესერების ფსევდორევოლუ-
 ციურობას, შემარცხენე ფრაზებით დემოკ-
 რიურ თამაშს, წვრილბურჟუაზიულ ტენდენ-
 ციებს, რაც შეარწყმული იყო ნეონაროდნი-
 კობასა და სხულის მიქსიბალიზმზე“ დემო-
 გოგიურ ლაპარაკთან.

ამრიგად, ლენინის მიერ 1918 წელს აშკა-
 რა კონტრრევოლუციური ბექდვითი ორგა-
 ნოების აღკვეთამ, „სქელი“ ეურნალებიდან
 შემარცხენე ესერულ ორგანიზებამდე, საფუძ-

ველი გამოაცალა საბჭოთა რუსეთში 20-იან
 წლებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრედიტ-
 ნას, რადგანაც 20-იანი წლების დასაწყისში
 „შენგვლიანი“ ეურნალისტიკის მიერ
 „ზეპარტიულ“ ეურნალებს „ზაპისკა მენტატელები“, „დომ
 ინკუსტებს“, „ქნიენი უგოლ“, „გვსტინიკ
 ლი-
 ტერატური“, აღმანახებს „პერთენონიდან“
 ვიდრე „ოსტროვიტიანმდე“ და წარმოშობლ
 სმენოვებელურ ეურნალებს უკვე არც მ-
 ტერიალური ბაზა ვაჩანდათ, არც ნამდვილი
 დასაყრდენი სინამდვილეში და არც თავისი
 იდეოლოგიის ცხოველყოფილობა და ძალა.

ეურნალისტიკისადმი ვ. ი. ლენინის პარტი-
 ული ხელმძღვანელობა რევოლუციის პირ-
 ველ წლებში, ერთი მხრივ, აშკარაა ევბა
 ბურჟუაზიულ გამოცემათ მთელ უღღღღღღღღ
 მას, უსუსურობას, ანტიისტორიზმს და სუ-
 ლიერ მარაზმს რენეგატობას თავმიცემული ბურ-
 ჟუაზიული პუბლიცისტებისა, რომელიც შემდ-
 გომში საზღვარგარეთ პირწავარდნილი კონ-
 ტრრევოლუციონერი — „სოვეტოლოგები“ გახ-
 დნენ. მეორე მხრივ, ვ. ი. ლენინი ყოველმხრივ
 უწყობდა ხელს საბჭოთა „სქელი“ და „თხელი“
 ეურნალების შექმნას, მათ გადაქცევას საზოგა-
 დოებრივ ტრიაზულად, ხალხის ცხოვრების სყო-
 ლად მწერლებსა და პუბლიცისტებისათვის.
 სტატეიში „ჩვენი ვაზნეების ხასიათის შესა-
 ხებ“, „პუბლიცისტის პრინციპები“, „საბჭოთა ხე-
 ლისუფლების მორიგი ამოცანები“, „ვანახ-
 კომის მუშაობის შესახებ“, „მებრძოლი მატე-
 რიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, წერილ-
 ში ნ. ოსინსკისადმი და შენიშვნებში იგი ამუ-
 შავებდა საბჭოთა ბექდვითი სიტყვისა და
 პუბლიცისტიკის პრინციპებს. პირველ რიგში
 ესაა იდეურობა, პრინციპულობა, მიზანმი-
 მართულობა და შემტევი საბრძოლო სული,
 გარეგნული ეფექტების, ფორმალისტური
 ფსევდოვიატორობის სასული წამოცლა და
 ხალხთან, ხალხის ცხოვრებასთან კეშმარტი
 სიახლოვე, საბჭოთა ბექდვითი სიტყვის მა-
 სობრობობა. მაგრამ როდესაც ვ. ი. ლენინი
 ხაზს უსვამდა იმას, რომ „თვითთულ ბექდ-
 ვითს ორგანიზმი შეგნებულ მუშეში, უწინა-
 რეს ყოვლისა, და ვველაზე უფრო მის პირი-
 ცპულობას აფასებენ“³ იგი მიუთითებდა
 საბჭოთა პერიოდიკის ძირითად მიმართულე-
 ბაზეც — გმირული ეპოქის, ოქტომბრის რე-
 ვოლუციის როგორც ციკლიზაციის ისტორია-
 ში უღღღღღღღ გარდტეხის, დედამიწაზე ახა-
 ლი ცხოვრების შემოქმედის — ხალხის, მისა
 შრომის გარდამქმნელი როლის მთელი მნიშ-
 ვნელობის ყოველდღიურ მკაფიო და მგზნებ-
 რე გამოხატვაზე. საბჭოთა პერიოდიკა, როგორც
 საეურნალო, ისე საგავეთო, არის აბალი
 ტაის პერიოდიკა, რომელმაც მთელ მსოფ-

2. «Прожектор», 1927, გვ. 19.

3. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 95.



ლიოს უნდა უჩვენოს ცხოვრების სოციალისტური წესის უპირატესობა ბურჟუაზიულთან შედარებით, გამოხატოს ხალხის ინტერესები, ცოცხალი, ემოციური ყველასათვის გასაგებნი ფორმით დააკონკრეტოს და განაზოგადოს სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, გამოსახოს ეპოქის ახალი გმირი და მისი ურთიერთობა კოლექტივთან, საზოგადოებასთან, რომელიც დედამიწაზე ახალ ცხოვრებას აშენებს. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, ჩვენ პრესა უნდა გადავაქციოთ, — და გადავაქცივთ კიდევ, — სენსაციის ორგანოდინ... ბურჟუაზიული სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდინ — მასის ხელახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასისთვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვუყურო შრომა ახლებურად.⁴

რევოლუციის პირველ წლებშივე, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიმართებოდა დისკუსია „საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მტკივნეული საკითხების“ შესახებ, ვაიმამა შეურიგებელი მტრების ხმები საბჭოთა ეურნალების პროფილის შესახებ. ლენინური სკოლის წამყვან მებრძოლ პუბლიცისტებს მ. გორკის, ა. ვ. ლუნაჩარსკის, ნ. ლ. მეშჩერიაკოვს, ი. ი. სკოროდოვ-სტეპანოვს, ე. მ. იაროსლავსკის, მ. ს. ოლიშნისკის მიანაშნა, რომ „სქელი“ ეურნალი და „თხელი“ ყოველკვირეული ორგანიზატორები, პროპაგანდისტები და აგიტატორები უნდა გამხდარიყვნენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისა ცხოვრების ყველა სფეროშია. ხალხ თვითონ სიტყვის შემოქმედიათვის ისინი უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი ტრიბუნა და პოლიტიკური სკოლა, რომლებიც მწერლებსა და პუბლიცისტებს მიიყვანდა სოციალისტური სინამდვილის უსიტყვო აღიარებამდე და მასში მონაწილეობამდე.

1926 წლის დისპუტებზე „საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მტკივნეული საკითხების“ შესახებ, „ილუსტრირებული ეურნალის შესახებ“, მხარდამხარ გამოდიოდნენ ვ. კოლკოვიც, ა. ვორონსკიცა და ვ. მაიაკოვსკიც, რომლებიც, ლენინური მითითებების შესაბამისად, მითხოვდნენ განმტკიცებულყო საერთალო პეროდიკის კავშირი მასობრივ მკითხველთან, ფართოდ ჩამბულიყო ეურნალში ახალგაზრდა მწერალთა ახალი კადრები, „არა მარტო სითაურები და ლოზუნგები, არამედ დასკვნებიც მიგვეწოდება მკითხველისათვის“.

ამრიგად, ეს ერთ-ერთი პირველი დისკუსია საბჭოთა პერიოდიკაში „სქელი“ და „თხელი“ ეურნალების პროფილის შესახებ ერთხელ კიდევ გაჩვენებს, რა მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ეურნალების გადაქცევას ხალხის ცხოვრების ცოცხალ მატანედ, პარტიის ხალხს, მი-

სი კოლექტიური აზრის გამტარებლად, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებელი საბრძოლო შემტევი პუბლიცისტის ტრინუნდად. და ლენინის წერილი „მებრძოლ მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ (1922 წ.) — ეს იყო იდეოლოგიის დარგში კონკრეტულ ამოცანათა ფილოსოფიური, ესთეტიკური და პუბლიცისტური კონცენტრაცია ლენინელი ეურნალისტისათვის, რომელიც კიდევ და კიდევ უნდა იყოს გამსჭვალული პოლიტიკური პარტიულობით და ფლობდეს მარქსისტული თეორიის ღრმა ცოდნას.

მარქსისტ-ლენინელი ეურნალისტი — ეს უწინარეს ყოვლისა, არის პარტიული ეურნალისტი, მკვლევარი, პროპაგანდისტი, რომელიც ეურნალს გადააქცევს ბურჟუაზიული რეაქციონისა და დივერსიის გამოაყარავების მახვილ იარაღად, რა მოდური თეორიებითაც არ უნდა შეინიღბონ ისინი, ორგანოდ, რომელიც ფილოსოფიური განათლების მქონე პარტიულებს გააერთიანებს თანამიმდევარი მატერიალიზმის ყველა მომხრესთან, ბუნების მეტყველებთან, რომლებიც კონკრეტულ მეცნიერულ არგუმენტაციას ფლობენ. რადგანაც ეურნალის დანიშნულებაა გაერთიანოს ავანგარდი და მასა მარქსისტ-ლენინიზმის დიადი იდეების დასაცავად, კეშმარებიც ეურნალისტი ყოველთვის უნდა ერიდოს მყვირალა ლოზუნგურობას, სქემატურობას და ზედაპირულობას ნებისმიერი საკითხის განხილვისას პრესის ფურცლებზე, აგრეთვე ყოყოშოშა და სექტანტურ შეზღუდულობას.

ლენინის ამ სტატიიდან ლოგიკური თანამიმდევრობით გამომდინარეობდა აგრეთვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, იდეოლოგიისა, რომელიც ხშირად ერწყმის რელიგიას, იდეიზმს, აუცილებლობა ეურნალში ისეთი მწვეტი პარტიული, ცოცხალი ემოციური და ღრმა წერილების ბეჭდვისა, სადაც დაიწყებული არ იქნებოდა მთავარი — „კავშირი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ პოზიციას შორის, მის მიერ რელიგიის ყოველგვარი ფორმის მხარისდაქერასა და მოდურ ფილოსოფიურ მიმართულებათა იდეურ შინაარსის შორის“.⁵

ვ. ი. ლენინის ამ სტატიამ, ისევე როგორც მისმა ბრძოლამ საბჭოთა ეურნალისტისა და პუბლიცისტის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნისათვის, გაუძლო დროის გამოცდას და მას თავისი ქმედით ძალა დღესაც არ დაუკარგავს.

საკამრისია გაეცხენოთ თანამედროვე რე-

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 264.

ტატინას შაროვას
იდეური ბრძოლის დიდი სკოლა

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 235.



ექიული ფილოსოფოსებისა და პუბლიცისტების — ქრისტიანული ეგზისტენციალისტების, ნეოთომისტების, ანტიკომუნისტური პროპაგანდის ხელმძღვანელების — მთელი ხილვანი, რომ ცხადად დაგინახათ ლენინის ამ წერილის მთელი მნიშვნელობა ჩვენს დროის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლისათვის ანტიკომუნისტის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის სულ ახალ და ახალ პრაგმატულ და ნეოაზიცივისტურ თეორიებს ახევენს, ისწრაფის მისქმალის ბურჟუაზიული პრესის კლასობრივი ხასიათი და ფსიქოტექნიკის, მისტიკისა და თვით ნ. მაიაკოვლისა და ი. გებელის „გამოცდილებისა“ კი მიმართავს იმისათვის, რომ ზემოქმედება მოახდინოს ბურჟუაზიული მკითხველის ცნობიერებაზე და იმპერიალისტური აგრესიის აქტიური მონაწილე გახადოს იგი.

ვ. ა. ლენინის სტატია „მებრძოლი მატერიალისმის მნიშვნელობის შესახებ — მარქსიზმის შემოქმედებითი ათვისებისა და განვითარების და ჰემიარტი პარტიული პუბლიცისტების ბრწყინვალე ნიმუში — პირდაპირ ეხება თანამედროვეობას, მემარჯვენე და მემარცხენე რევოლუციონისტებს, ეურნალისტ პრეტესორ — „სოცეტოლოგებს“ ყველა მისწრაფებას, გამოიყენონ ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია, საინფორმაციო სააგენტოები ანტიკომუნისტის პროპაგანდისათვის, მათს ცდებს „კონვერგენციის“, „პოლიცენტრიზმის“, „პლურალიზმის“ მიღერ ლოზუნგებს ამოფარებულება ყალბად დახატონ ლენინის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ 20-იანი წლების პირველი ნახევრის საბჭოთა ეურნალისტკიაში, იდეურ-ესთეტიკური საფუძვლები გამოაცალონ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შემქმნის ლენინურ გეგმას.

თუ შეეაჯამებთ ჩვენს ამ წერილს საბჭოთა ეურნალისტების ჩამოყალიბებისა და განვითარების ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ, დაგინახათ, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ეურნალისტკია ყოველთვის მზარში ედგა რევოლუციას, ხალხის ყველა სიძნელეებისა და გამარჯვებების თანამოზარე იყო, ცდილობდა გმირული და შთაგონებით აღსავსე დროის გამეტანე ყოფილიყო. ლენინის მითითებათა შუქზე 70-იანი წლების ლიტერატურულ-მხატვრული ეურნალი წარმოგვიდგება როგორც ადამიანთა მილიონების ცოცხალი

მატიანე, როგორც მათი შემოქმედებითი შრომა, მათი განვითარებადი თვითცნობიერების ისტორიული მემკვიდრეობითობის წარუვალი დირებულება, რომელიც გადმოცემულია პუბლიცისტკიასა, ლიტერატურულ მიმოხილვასა, მეთოდოლოგიურ წერილსა, რეცენზიასა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში და წარსულის, აწმყოს და მომავალი პერსპექტივების ერთიანობაშია განვერტეცია.

ამრიგად, 20-იანი წლების დასაწყისიდანვე ხორციელდებოდა ლენინური ხაზი ლიტერატურულ-მხატვრული ეურნალის ძირითადი პროფილის „გასწორებისა“ — ჯგუფური წრეების ეურნალის გადაქცევა ფართო მასების ეურნალად, რომელსაც მაღალ თეორიულ დონემდე აყავდა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის, ყოველდღიური აქტუალური ოპერატიული კრიტიკის პრობლემები. ძირითადად ეს ხაზი, რომელიც ლენინმა დასახა და რომელსაც ფართოდ დაუქცია მზარე ა. მ. გორკომ, იმაში მღვამარობდა, რომ ეურნალი უნდა ქვეულოყო ეურნალად რევოლუციის არმიის, მასის, არიერგარდისათვის, იგი უნდა ყოფილიყო არა ჯგუფური, არამედ მასობრივი, რომელიც ხალხის ლიტერატურულ შემოქმედებას გამოიკვლევდა, ხოლო მისი ამოცანები წრეების ამოცანები კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი. ეს მასობრივი ეურნალი ლიტერატურული პოლიტიკისა და პუბლიცისტური კრიტიკის ორგანოა, რომელიც ისტორიული მემკვიდრეობითობით აფასებს ლიტერატურული ცხოვრების ნებისმიერ არსებითს მოვლენას. 70-იანი წლების ლიტერატურულ-მხატვრული და კრიტიკულ-ლიტერატურული და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ეურნალების ტიპთა განვითარების გზა, „ზნაშიათი“ და „ხვეზდათი“ დაწყებული, ვიდრე „გოროსი ლიტერატურამდე“ და „ლიტერატურნოე ოზორნიემდე“, — ეს არის პერიოდიკის კონსოლიტაციის გზა, როგორც სხვა დროს არაერთგზის და ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ა. ლენინი, გზა შინაგანი ერთიანობის შემუშავებისა თავისებურების დაუკარგავად, ეს არის საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვისა და ეურნალისტკიის ფორმირების ლენინური იდეურ-ესთეტიკური პრინციპების ზემოე, რომლებიც გზას უნათებენ თანამედროვე ლიტერატურულ ძიებებს მთელი პროგრესული კაცობრიობის მისწრაფებათა განხორციელების საქმეში.



გიორგი მერკვილაძე



ცნობილ ქართველ კრიტიკოსსა და ლიტერატურისმცოდნეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი მერკვილაძეს 60 წელი შეუსრულდა.

ოცდაათ წელზე მეტია მისი წერილები და გამოკვლევები, მონოგრაფიები და თარგმანები ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში.

ქართველი მკითხველები კარგად იცნობენ გიორგი მერკვილაძის დიდად საყურადღებო წიგნებს „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, „პოეზია და ხალხი“, „ლიტერატურა და ცხოვრება“, „თვალთახედვა მხატვრისა“, „თანამედროვე ქართული რომანი“, „მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება“, „ეპოქა და რომანი“ და სხვ. ლიტერატურა და თანამედროვეობა, მწერალი და ცხოვრება, ახალი ადამიანი, ჩვენი დროის გმირი ლიტერატურაში — აი, ბევრის მომცველი, აქტუალური პრობლემატიკა, რომელიც, იმთავითვე იდგა და დღესაც დგას გიორგი მერკვილაძის ინტერესების სფეროში.

გიორგი მერკვილაძის კრიტიკულ და თეორიულ ნაშრომებში მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შეფასებულია ქართული საბჭოთა ლიტერატურის კარდინალური, საკვანძო საკითხები.

ნაყოფიერად იღვწის გიორგი მერკვილაძე თარგმანის სფეროშიც. აღსანიშნავია, რომ მის მიერაა თარგმნილი მ. გორკის თხზულებათა ქართული გამოცემის XII ტომში შესული ლიტერატურულ-ესთეტიკური ნაწარმოებები, მ. გორკის წერილებისა და გამოსვლების კრებული — „საუბარი ახალგაზრდებთან“, ა. იაკოვლევის „ცხოვრების მიზანი“ და სხვ.

გ. მერკვილაძე წლების მანძილზე აქტიურად მუშაობდა პარტიულ პრესაში, კერძოდ, იყო გავრცელებული „კომუნისტის“ რედაქტორი, იყო აგრეთვე რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი გამომცემლობის დირექტორი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი მერკვილაძის, როგორც აღმანახ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორის, მუშაობა.

ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის კოლექტივი და მკითხველები გიორგი მერკვილაძეს ულოცავენ დაბადების 60 წლისთავს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ჩვენს ხეობაში

გრიგოლ აბაშიძის ღირსება

როგორც ჩანს, გრიგოლ აბაშიძის მხატვრული შემოქმედებისათვის პოეტური გზადღესდღეობით განვლილი ეტაპია. ის უკვე კარგა ხანია ამ ეანრში ინტენსიურად აღარ მუშაობს, მაგრამ მისდა სისახელოდ უნდა ითქვას, რომ, რაც საკუთრივ მისთვის განვლილი ეტაპია, მკითხველისათვის დღესაც ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს. და რადგან მისი პოეზია დღესაც ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი მომავალშიც ასევე დარჩება. ყოველივე ეს კი უდავოა, რომ ყველა შემოქმედის მხატვრულობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

პირველ რიგში, რითაც გრიგოლ აბაშიძის პოეზია იქცევა მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას, ეს გახლავთ პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი. ეს პათოსი ახლად მას პოეზიას იმთავითვე, როგორც კი პოეტურ გზაზე შედგა პირველი ნაბიჯი. სწორედ ეს განსაზღვრავს მისი პოეზიის პუბლიცისტურ ხასიათს, რასაც ასე საგულდაგულოდ აღნიშნავდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა. უთუოდ ამ მიზეზით შეაფასა რუსმა კრიტიკოსმა იოსებ გრინბერგმა გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება საერთოდ, რაც, ცხადია, მისი პოეზიის არსსაც გამოხატავს კერძოდ: „მისი (გრ. აბაშიძის — რ. ჩ.) ტალანტი, — წერს ი. გრინბერგი, — გიზიდავთ შინაგანი სიმწყობრითაც, შეხედულეზებათა და ინტერესთა თანმიმდევრულობითაც, გამოსახვის ფორმათა მრავალფეროვნებითაც. მისი წიგნის ფურცლები თანამედროვეობითაც სუნთქავენ და შორეულ წარსულად ქცეულ წლებსაც აცოცხლებენ“ („მნათობი“, 1973 წ. № 1, გვ. 151).

წარსულისა და აწმყოს მჭიდრო ურთიერთკავშირი გრ. აბაშიძის პოეზიისათვის ის მთავარი ლერძია, რომლის გარეშე არსებობდა

წარმოუდგენელი მისი პოეტური შემოქმედება. ეს არის მისი, ასე ვთქვათ, პოეტური კრედო, მხატვრული პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოეტური კრედო რელიეფურადაა გამოკვეთილი გრ. აბაშიძის მხატვრულ შემოქმედებაში, მას მაინც ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში: „დღეა ზშირად გვიამბობდა პატარებს ზღაპრულ გმირ ამირანზე, რომელიც ღმერთებმა ქვეყნად ცეცხლის მოტანისათვის მიუვალ კლდეზე დააბეს ჩაჭეით. მშობლიური კლდეები ბავშვს მიჯაჭველი ამირანის სამყოფელად მეჩვენებოდა და მის გათავისუფლებაზე ოცნება გვიანამდე არ მაძინებდა წარსულისა და აწმყოს ეს ურთიერთ სიახლოვე ჩემს წარმოსახვაში კიდევ უფრო გააძლიერა ახალმა შთაბეჭდილებამ: სწავლის გასაგრძელებლად თბილისში წამოსული ბავშვის წინაშე გრანდიოზული სანახაობა გადომალა — საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთასთან, შევეულ მთაზე ამართულ ჭერის ტაძრის ქვემოთ, საქართველოს პირველი პიღროელექტროსადგურის ზაპისის კაშხალთან, იდგა წყლისკენ ხელგაწვდილი ლენინის ბრინჯაოს ძეგლი. წარსულისა და აწმყოს ამ ურთიერთკავშირისა და სიახლოვის სურათებს ჩემთვის უშედეგოდ არ ჩაუვლია და შემდგომში იგი ჩემი პოეზიის ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა“.

„გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებისათვის დაზახასიათებელია ყოველი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენისადმი აქტიური დამოკიდებულება (მოქალაქეობრივი პათოსი უმთავრესად ამას გულისხმობს). ცხადია, თუ ხელოვანის შემოქმედებაში არაა გაშუქებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემები, აქტუალური საკითხები, ამ საკითხებისა და პრობლემების არა თუ გადაჭრის, არამედ ივიით დაყენების ცდაც, ეს შემოქმედება ყოვე-



ლად უსარგებლო და უინტერესო იქნება მკითხველისათვის. ეს კარვად აქვს შეგნებული გრივლო აბაშიძეს და ამიტომ არის, რომ ყოველგვარი აქტუალური თემისადმი აქტიური დაზოკიდებულება მისი შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა. „ჩემი ცხოვრებისა და პოეზიის ერთ-ერთი ნიშანი, — წერს იგი ავტობიოგრაფიაში, — მუდამ იყო აქტუალობა. მაშინაც კი, როცა ისტორიულ წარსულს მივმართავდი, მე მუდამ ისეთ ეპოქებსა და ადამიანებს ვხატავდი, რომლებიც როგორღაც შეესაბამებოდნენ ჩემსა და ჩემი დროის ადამიანების ფიქრებსა და მისწრაფებებს“. ამგვარად, თავისი შემოქმედებითა მოღვაწეობის ნათელი გზა გრივლო აბაშიძემ თავიდანვე ჩამოაყალიბა და მისთვის არასოდეს უღალატია, ერთხელაც არ უცდია ამ გზიდან გადახვევა.

პოეტის საბრძოლო ლექსადაა მიჩნეული ექსპრესიული სიმღერით დაწერილი „სეტყვა“. ლექსში ლაპარაკია სეტყვისა და ქარის წუთიერი შუთხზე, მათ ფორიაქზე, რომლებიც ყველაფერს სახეს უცვლის, ზეგავლენას ახდენს ბუნებაზე, მაგრამ მათი მოქმედება მხოლოდ დროებითია, მერე ისევ ყველაფერი წყნარდება, ყველაფერს თავისი იერი უბრუნდება, ჩვეულებრივ სახეს იღებს. მაგრამ თუ შენ თანამედროვე პოეტი ხარ და მისდევ დროის დიდ ღვარს, ვალდებული ხარ სიტყვა თქვა სეტყვაზე და უშინაში, ზეგავლენა მოახდინო საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მიხვევი მის სწრაფ მდინარეებს და პოეტური სიტყვით ასახო ცხოვრების მრავალფეროვნება. ყველაფერი ეს ახლავს უნდა გავყოთ, თორემ მერე გვიან იქნება, დრო თავისას გაიტანს და ცხოვრებას ჩამორჩნობ. ცხოვრებას ჩამორჩენილი ზელოვანი არატრის მიწნისა და არც არავის სჭირდება. ეპოქის განცდა — ეს არის პოეტის შეგნებული პროგრამა: —

შენ რას უცდი? — ქარიც, სეტყვაც
ყველაფერი წუთის არი,
შენ ხომ გასურდა ლექსი გეთქვა
სეტყვახავით უშინაში!
შენ ხომ მისდევ დროის დიდ ღვარს,
დონე გინდა ღმერთა გმირის.
ახლა გინდა ლექსიც, სიტყვაც,
სეტყვახავით პირდაპირი!
ახლა თორემ დაგჩრავს ბეჩაფს
დრო, და ქარი გეგონება!..
ატმის ყვავილს აღარ შერჩა
ქალის ფრჩხილის ფეროვნება.

პოეტის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის წინსვლაში — ეს არის „გაზაფხულის“ იდეური მიზანდასახულება. სხვანაირად პოეტს ვერ წარმოუდგენია თავი. მოქმედება — ეს არის ერთადერთი საფუძვე-

ლი ცხოვრების წინსვლისა, მისი წარმატებებისა. ამას გულისხმობდა დიდი ილია, როცა ამბობდა: „მოძრაობა და მართო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმართ... ბუნების ამ დიდ გამოლიქებასა განახლებაში, რომელიც „გაზაფხულშია“ აღწერილი, შეუძლებელია თანამედროვე პოეტიც არ მონაწილეობდეს, თავისი წვლილი არ შეჰქონდეს.

გრივლო აბაშიძე არა მარტო სიტყვით ეხმარება დროის დიდ მოვლენებს, არამედ თვით პრაქტიკული საქმიანაც აქტიურად მონაწილეობს ამ მოვლენების განვითარებაში. ამის ნათელსაყოფად სრულიადაც არაა საჭირო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზედმიწევნითი ცოდნა, საკმარისია ცოცხალი, რომ იგი აქტიური საზოგადო მოღვაწეა, რასაც ყოველი თათბის მკითხველი ექვემდებარება და გვიდასტურებს. მაგრამ მთავარი მაინც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობაა, რასაც მთელი ენერგიულობითა და დაუღესრომლობით ემსახურება. იგი წრფელი განცდისა და ფაქიზი გრძნობების პოეტიცა. ყოველივე ეს კვლამარტივი პოეტის ნიშანდობლივია თვისებაა. ამ თვისებას უტყუარად გამოხატავს მრავალი მისი საუკეთესო ლექსი, რომლებიც ქართული საბჭოთა პოეზიის სავანძურს წარმოადგენს და არა მარტო ქართული საბჭოთა პოეზიისა. მის ლექსებს საქვეყნო აღიარება პოეტურმა ოსტატობამ მოუტანა, რომელსაც ფაქიზად და მთელი შეგნებით ეცილება პოეტი. სხვაგვარად შეუძლებელია შემოქმედებითი წარმატებების მოპოვება, რომელსაც განუყრელად ახლავს მკითხველის გულის დაპყრობა, მის სულში უნახუსი სიმების სასიამო შერხევა. ამიტომ მიაჩნია პოეტს, რომ შემოქმედება — მხატვრულ სიტყვასთან მძაბრი ჭიდილი ბეჭვის ხილზე სიარულს ნიშნავს, ანდა ცეცხლოვანი თამაშს. ეს კი ორივე სახიფათოა. ამიტომ, თუ საამისოდ მომზადებული არა ხარ, თუ არ გჯერა საკუთარი თავისა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაადგე ასეთ სახიფათო გზას:

თუ ვერ გაირბენ, ფეხიც არ დაძრა,
მაგეც არ გახსნა არხად ჩურჩხული,
დაიწვი ცეცხლში, დავცი ნაცრად,
იღონდ ნუ გახვალ ფრთაგარეკული.
იღონდ სულ გქონდეს ხილცა ნათელი,
ქვეყნად რად გინდა შენ სხვა ქონება:
იყავ უსარალო და უდარდელი,
როგორც ნივთს გამოქროლენა.

ამ სტრქონებში აგრეთვე საკულანსმო პოეტის მიერ მხატვრულ ნაწარმოებათა ერთ-ერთი უმთავრესი თვისების — უსრალეობისა

რძვეზ ჩხარბიშვილი
ზრიზოლ აბაშიძის ლირიკა

და სისადავის, აზრისა და ჩანაფიქრის სიცხადის აღნიშვნა, რომელიც პოეტური ფერებითაა გადმოცემული: „ოყავ უბრალო და უღარდელი. როგორც ნიაგის გამოქროლება“. საბედნიეროდ, პოეტის თეორიული თაღსაზრისი შესაბამის ფორმასაა წარმოსახული მისსავე მხატვრულ პრაქტიკაში. თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის ამგვარი თანხვედნით, სამწუხაროდ, ბევრი შემოქმედი ვერ მოიწონებს თავს.

როცა გრივად აბაშიძის მხატვრულ შემოქმედებაზეა ლაპარაკი, შეუძლებელია ცალკე მსჯელობისა და განხილვის საგნად არ გამოიყოს მისი პოეტური ციკლები. პოეტურ ციკლს გრივად აბაშიძის მდიდარ შემოქმედებაში საუბრადღებო ადგილი უჭირავს. ეს უბრადღებო მან დომინანტურა შინაარსის სიანაზი, გამოსახვის ფორმით, აზრითა თანმიმდევრული დახვეწილობით, სახეთა ნათელ ფერებში წარმოსახვით. არაფერს გამბობთ მის მძალ რიტმზე, რითმითა სიხუსტებზე და სხვა მხატვრულ კომპონენტებზე. ისინი გრივად აბაშიძის პოეზიაში შესაბამის დონეზე დგანან, რაც ექვემოტანდა განაპირობებს მისი პოეზიის ცხოველყოფილობას.

საერთოდ, პოეტური ციკლი, რომელიც უმართებულოდაა მივიწყებული (თუ შეუმჩნეველი) ლიტერატურისმცოდნეობაში, საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი მისი მიჩნევა მხოლოდ ერთ თემაზე, ერთ მოვლენაზე დაწერილ ლექსების კრებულად. იგი უფრო შორს მიდის, უფრო მეტი ფუნქცია ეკისრება, ვიდრე ერთ თემაზე დაწერილი ლექსების შეკრება, ერთ გარკვეულ რჯალში მოთავსება. პოეტური ციკლი თავისუფლად შეიძლება პოემის ერთგვარ სახედ, მის პირველწყაროდ მივიჩნიოთ. პოემის მძალ საფხურამდე ასეღას მას ხელს უშლის მწყობის სიუქეტური ფაბულის უქონლობა. კომპოზიციის უქონლობას კი ვერ დავწამებთ. კომპოზიციისა მას უსათუოდ აქვს. განა ვალაკტიონ ტაბიძის პოემები, რომლებსაც მკვეთრი სიუქეტი არ გააჩნიათ, იმის გამო არ მონათლეს პოეტურ ციკლებად, რომ მათ რაღაც გარკვეული კომპოზიციური წყობა აღმოუჩინეს? განა ირაკლი აბაშიძის განხატვრულ ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“ კომპოზიციისა არ გააჩნია? ასე რომ არ უფიცილოყო, იგი ერთ რჯალში ვერაფრით ვერ ვაერთიანდებოდა, მას ციკლი არ დაერქმეოდა. რუსთაველის თემაზე დაწერილი ლექსები ერთ რგოლზე მიძვივით აახსა მხოლოდ კომპოზიციამ. საკმარისი იყო პოეტს მისთვის რაღაც სიუქეტური ფაბულა დედო სსფუქვლად, რომ ციკლი პოემად ქცეულიყო. ან განა თანამედროვე ე. წ. ლირიული პოემები, რომლებსაც

მწყობრი კომპოზიციური აღნაგობა იქნა მავრამ შიგ არც კონკრეტული გმობა არც ადამიანთა ხასიათები, დიდად განსხვავდებიან პოეტური ციკლებსაგან? ჩვენი აზრით, ის მცდარი შეხედულება, რომ თითქმის პოეტურ ციკლს მწყობრი კომპოზიციისა არ გააჩნია, გამოწვეულია იმით, რომ ვერ კიდეც მკვეთრად არ არის განსხვავებული ფაბულის, სიუქეტისა და კომპოზიციის რაობა. (ყველაზე საუკვეო მდგომარეობაში მაინც სიუქეტისა — მას ხან ფაბულასთან აიგივებენ, ხან — კომპოზიციისთან).

ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ციკლს უსათუოდ უჭირავს თავისი გამორჩეული ადგილი პოეზიაში, რადგან იგი (ციკლი) პოეტის სათქმელს უფრო სრულყოფილად და მრავალმხრივ გამოხატავს, ვიდრე თითო-ორიოლა ლექსი, ან თუ გნებავთ, პოემაც. მავრამ აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტური ციკლის შექმნა უცილობლად დაკავშირებულია დიდ მხატვრულ ოსტატობასთან. ამის გარეშე ციკლი კარგავს თავის შინაგან სახეს და, როცა შინაგანი სახე დაკარგულია, იკარგება გარეგნული ეფექტიც. პოეტური ციკლის სირთულეზე მიუთითებს გიორგი მარგველაშვილი: „პოეტური ციკლი — რთული და საპასუხისმგებლო ფორმაა, იგი დიდად ავალდებულებს მწერალს, რადგან მასში, როგორც ყოველ ეპიკურ ნაწარმოებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპოზიციას, რომლის ნაკლოვანება ძალზე ხშირად იდეურ ნაკლოვანებაში შეიძლება გადაიზარდოს. კომპოზიციისა ციკლში — ეს არის მოცემული თემის ყველა მთავარი უბნის ამომწურავი მხატვრული დამუშავება. თუ მარადეული კომპოზიციისა, აუშნებელია შენობის რომელიმე ნაწილი — შეიძლება მთელი ნაგებობა დაინგრეს ან, უკეთეს შემთხვევაში, დამთავრებულის შთაბეჭდილებას დასტოვებს.“ („ლიტ. წერილები“, 1972 წ. გვ. 168).

გრივად აბაშიძის პოეზიაში მწყობრი კომპოზიციური აღნაგობით ხასიათდებიან პოეტის ცნობილი ციკლები „ლენინი სამგორში“ და „სამხრეთ საზღვარზე“.

პოეტური ციკლი „ლენინი სამგორში“ მოვლენისადმი სწორედ იმ აქტიური დამოკიდებულების შედეგია, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა თვითონ პოეტიც. მართლაც, სამგორში გაჩაღებული საირიგაციო მშენებლობა სხვას არაფერს გამოხატავდა თუ არა პოეტისა და მისი დროის ადამიანების ფიქრებსა და მისწრაფებებს.

სამგორის თემი, ისევე როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა მოვლენები,



მაშინვე იქცა ჩვენი მწერლობის უფრადღების საგანად. სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

პოეტი, რომელიც არა მარტო ახალი, აღორძინებული ქვეყნის მომავალს უმღეროდა, არამედ მისი აქტიური მშენებელიც იყო, ვერავითარ შემთხვევაში გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ მოვლენისადმი. სამგორში გაჩაღებულ საირიგაციო მშენებლობა სრულიად ახალი თემა იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი მოწინავე მწერლობა, რომელიც მუდამ აქტიურად და დროულად უჭერდა მხარს ყოველივე ახალს და პროგრესულს, რაც სოციალისტური მშენებლობის უტყუარი საწინდარი იყო, მაშინვე მთელი სიგრძე-სიგანით დაეწაფა ამ თემს და არა ერთი სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმები შექმნა. სამგორის თემის აქტიურად გამოვლენილნი სოციალისტური მშენებლობის პირველი მომღერლები, საქართველოს გამოჩენილი პოეტები გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი და სხვ.

მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამგორის თემას ქართველ პოეტთა შორის განსაკუთრებული უფრადღება მიიღო გრიგოლ აბაშიძემ დაუთმო. პოეტის მხატვრული აღლო, ნიჭი და უნარი, შემოქმედებითი ფანტაზია უხვად გამოჩნდა ამ თემაზე შექმნილ ლექსებში, რომლებიც მწყობრმა შინაგანმა კომპოზიციამ ერთ რკალში გაერთიანა და პოეტური ციკლის სახელწოდება „ლენინი სამგორში“ კანონზომიერად მიაკუთვნა.

ციკლი საცხებით ბუნებრივად და ლოგიკურად იხსნება ლენინისადმი მიძღვნილი ლექსით. მართალია, ლენინის სახე აქ მოცუძულია იმ პირველი თანახმედობის შექმნა, როცა პოეტმა ლენინის ბრინჯაოს ძეგლი პირველად იხილა პირველ ქართულ პირობულქტროსადგურთან, მაგრამ პოეტის მხატვრული ფანტაზია ლაღად გასცდა საგნის კონკრეტულ წარმოსახვას და აქ, სამგორში კონცეპტი ხედავს... მტკვარზე გაწვილი ლენინის ხელი, იორხეც მოჩანს, ვით ცისარტყელა“..

ამ მხატვრული სახის ემოციური ძალა მზესავით ნათელია. აქ პოეტის მხატვრულმა ფანტაზიამ დიდი უშუალოდით წარმოგვისახა სამგორის ველის ხელოვნური დღე, მაგრამ არა განყენებულად, არა სინამდვილეს მოწყვეტილად, არამედ მჭიდრო კავშირში იმ საფუძველთან, რამაც სამგორის ხელოვნულ დღეს მომავალი დაულოცა. ამიტომაც ლენინის სახე ასე გამოკვეთილად, ასე ხელშესახებლად წარმოსახული. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ახლის მშენებლობა უცილობლად უკავშირდება ლენინის სახელს. ამიტომაც ლენინის სახელი და სინათლის ცნება ვაერთიანებულ: ლენინი — ეს სინათლეა, სინათლე — თვით ლენინია. ეს პათოსი გამოსკვივის ლექსში და

იგი (ლექსი) უსათუოდ იქერს ერთ-ერთ საპატიო ადგილს ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის.

სამგორის დაუცხრომელი მშენებლების სწრაფვას და დაუზოგავ დიქვას ასახავს ციკლის ერთ-ერთი შესანიშნავი, დიდი პოეტური უშუალობა და ლალი ექსპრესიულობით დაწერილი ლექსი „მწვერვალების ცენა“. პოეტურმა თვალმა შინაგანი კანონზომიერი ერთიანობა მოუნახა მოამსვლელებსა და ინეირებს და მათ სწრაფვა ერთ სიბრტყეზე მოათავსა. აქ რეალური სინამდვილის სურათები პოეტურადაა დანახული, მხატვრული სახეებიც ხელშესახებადაა გამოკვეთილი, რამაც ლექსს ემოციური ელერადობა მიაჩიქა და პოეტის ჩანაფიქრი დღესავით ნათელი გახადა.

ლექსში „უჯარმის ნანგრევებზე“, რომელიც ორგანულად ერწყმის საერთო ციკლს და ერთ-ერთ უცილობელ რგოლს წარმოადგენს მასში (ციკლში), პოეტის მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის უდიდეს როლს ასრულებს ისტორიზმის პირობები. სამგორის მშენებლებმა უჯარმის ნანგრევებში ათას სუთისას წლის წინანდელი ციხის ჩამორღვეული ქვის ციხადელი იპოვეს, რომლის გამძლეობა და ლოდების ისტატური წყობა უდიდეს ვაიციებს იწვევს მეოცე საუკუნის შუა წლებს ადამიანებში, რომლებიც აღტურვილი არიან ტენიკის უქანასკნელი მიღწევებით. პოეტის უნებურად ეუფლება ფიქრი იმ უსახელო ოსტატზე, რომელმაც ასე საგულდაგულოდ, ნებისყოფისა და სიყვარულის დიდი გამოჩინებით აშენა უჯარმის ციხე. აქ პოეტური მინისუბებით ჩაზვასმულია ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ პატრიოტს, ჯარისკაცსა და ოსტატს იძულებულს ხდიდა არხის ნაცვლად ციხე ეშენებინა. ეს იყო მისი დროის, მისი ეპოქის აუცილებელი მოთხოვნები, რომელთა წინააღმდეგ წასვლა სამშობლოს დაღატს უდრიდა. მასადაამე, იმ ძველი ციხის მშენებლისა და ახლანდელი არხის მშენებლის საერთო მისწრაფებები ერთ სიბრტყეზე თავსდება, რადან ორივე მათგანის ნახელოვნები სამშობლოს სეკთილდოდ იყო და არის გამოზნული. იმ ძველი ოსტატის შინაგანი სწრაფვის ასოციაცია პოეტსაც ეუფლება და არხის მშენებლებსაც, რომელთა ფიქრი იმ უსახელო ოსტატით „თავს საქართველოს დასტრიალებდა“.

როგორც ცნობილია, პოეტის ძალა მის ოსტატობაშია. ყოველი ოსტატურად დაწერილი ლექსი უთუოდ დიდი ეფექტის აღმძვრელია, ამასთან, როცა მხატვრული სახეები ნათელი და ზუსტია, ძლიერია მისი გამომსახვე-

რამაზ ჩხარბიშვილი
ბრიზოლ აბაშიძის ლირიკა



ლობის ძალაც, ნათლად აღიქმება. პოეტის მიერ წარმოსახული სივანე, ხელშესახებადაა მიღწეული. ეს ასოციაცია აღგვიძრა ციკლის ერთ-ერთმა, საუბრეთოს ლექსმა — სურათმა „გამოღვიძებაში“. მხატვრულ სახეთა ასეთი სიმრავლე, მეტაფორათა ასეთი სიციხოვანი, შედარებათა ასეთი სიზუსტე, ყველა სხვა პოეტურ ატრიბუტთა ასეთი ერთიანობა, პირდაპირ უნდა ითქვას, გრ. აბაშიძის სხვა ლექსში იშვიათად გვევალება.

სოციალისტური შრომის ძალმოსილება, რომელიც კოლექტიურ შრომას ემყარება, ახალ პოეტურ ფერებშია წარმოსახული ლექსში „სამგორის მამითად“. ისტორიზმის პრინციპი აქაც წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ მისი შინაარსი კონტრასტს არ ემყარება. საქართველოს ერთიანობა — ეს ძალა ამოძრავებდა ჩვენს ხალხს შორეულ საუკუნეებში და ეს ძალა ამოძრავებს ახლაც. ოდნოდ იგი გამოხატულია სხვადასხვა ფორმით. შემოსეულ მტერთან საბრძოლველად ყველაზე ძლიერი ძალა ერთიანობა იყო. ამ ერთიანობამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ფიზიკური განადგურებისაგან, ამ ერთიანობამ მიიყვანა იგი ჩვენს დღეებამდე. ეს იყო ჩვენი წინაპრების სასუქვარი ოცნება — საქართველოს ეხილა თავისუფლების მზე. ამიტომ იყო, „ლხის აქედან, ლხის იქედან, ქუღზე კაცი, ყველა, ხმლით და შუბით მოდიოდა მტერთან შესამბეღლად“. მაგრამ ახლა, როცა ნანატრი თავისუფლების მზე დანათის თავზე საქართველოს, ხალხთა ერთიანობამ — ამ ძველმა შინაარსმა ახალი ფორმა შეიძინა („ხმლის და შუბის ნაცვლად ეღვს წერაქვი და ბარი“). ეს გამოხატება კოლექტიურ შრომაში. ეს შრომა პირობადებულია ქვეყნის არა მარტო სოციალურ-ეკონომიური, არამედ კულტურული წინსვლითაც. კოლექტიური შრომის ერთიანობა კოლექტიური პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეშვეობით იმთავითვე შეისისხლბორცა საბჭოთა ხალხმა და ამიტომაც, რომ ასე დარაზმული წარმოვიდგება სამგორის ველზე.

ლექსის რიტმულ-მუსიკალური მხარე შრომის პერიოდულ დღეებს თვალნათლივ განგვაცდევინებს, ხელშესახება ხდება კოლექტიური შრომის რიტმი, რომელიც ურთიერთგაგებაზე და სრულ ჰარმონიაზეა დამყარებული. გარდა ამისა, ამ ლექსის შინაგანი პათოსი და მისი (ლექსის) მუსიკალურ-რიტმული მხარე ასოციაციური წარმოდგენით ვალაქტიონის ემოციურ „კოლექტივო, მხარის-მხარს“ მოგვავიწყებს. ამიტომ გვეჩინა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში კოლექტიური შრომის პირველი ვალაქტიონის შემდეგ მხატვრული სრულყოფილებით მხოლოდ გრიგოლ აბაშიძემ იშვიათად. ამასთან, გრიგოლ აბაშიძე უფრო შორს მიდის. იგი არ დაკმაყოფილდა მარტო ამ პარამონიული შრო-

მის მხატვრული აღწერით. ეს ჩვენი ხალხის ყოველდღიური ყოფის მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს არანაკლებ საინტერესო და საყურადღებო მხარე მხარეც: გონიერულ შრომას გონიერული ვართობა-დასვენება აღამაზებს. ესაა ზირისა (ამ შემთხვევაში თავდადებული შრომის) და ლხინის (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ურთიერთობის პრინციპი. ლექსის მეორე ნაწილში ეს პრინციპი მხატვრულ სიმალდემდე აყვანა პოეტმა და ამით ქართველი ხალხის ერთიანობის სრული ნათელი სურათი წარმოვიდგინა.

როგორც ვხედავთ, პოეტური ციკლის „ლენინი სამგორში“ მოქალაქეობრივი პათოსი ნათელი და ხელშესახება. გმირული შრომის პერიოდი, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ნათელი სულისკვეთება, ზეადიდობი უწყობა დღის რწმენა, შვედობისადმი აქტიური ბრძოლა. ურთიერთგაგება და ერთიანობა — აი, რა განსაზღვრავს გრიგოლ აბაშიძის ამ პოეტურ ციკლს, მაგრამ იგი გამოხატულია არა ტენდენციურად, გამოშვლებული ფორმით; არამედ დახატულია მეკეთილი პოეტური ფერებით, გამოყენებულია მხატვრული სახის ყველა ფორმა (მედარება, მეტაფორა, პიპერბოლა), საგრძნობია თითოეული ლექსის შინაგანი კომპოზიცია, მსდარობა რითმებით, ნათელია და გასაგებია სახეები, მდალია და მუსიკალურა რიტმი, რაც მთლიანად ციკლს სასიამოვნო საერთო ხაზს ხდის.

გრიგოლ აბაშიძის პოეტურ ციკლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „სამხრეთ საზღვარზე“. მასში წამოყენებული პრობლემა სცილდება მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის სამანს და საერთაშორისო ეთიკურების პრობლემის დონემდე აღის. მაგრამ, პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემის მხატვრული გადაწყვეტისას ერთი წუთითაც არ მოდუნებია არც პოლიტიკური სიმახვილე, არც მხატვრული გამბედაობა. საქმარისი იყო, ერთ-ერთი მათგანის ოდნავი მოდუნებაც, რომ ციკლის მხატვრული ქსოვილი დარღვეულიყო, პოეტის მიზანი ზღას აცდენოდა და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩენილიყო. ერთი სიტყვით, მთლიანად ციკლი პოლიტიკური ლირიკის იშვიათი ნიმუშია, რომლის მსგავსი ქართულ საბჭოთა პოეზიაში არ გვევალება და რომლის ფესვები ალბათ მხოლოდ ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაშია საქმეული.

„თვადცივის ხაზი“ ქართული სიფელთან. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი ოდნავი შინაარსი ფრიად სერიოზული და პოლიტიკური საკითხის მომცველია, იგი გამსჭვალულია ღრმა ირონიული განწყობილებით. ეს აშკარად ჩანს საბაუროდინსკის, სადაც სიტყვები — თვადცივის ხაზი — წინწყლებშია ჩასმული.

ლექსში ორი აშკარად გამოხატული კონტ-



რასტია შეპირისპირებული. პოეტის მხატვრულ-მა კლამმა სულ ერთ სტროფში ჩაატია არა თუ მესხეთის გაზაფხულის სურათი, შრომის-მოყვარე ადამიანების ნათელი მისწრაფება, არამედ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მთავარი არსიც. ჩვენი ხალხი, როგორც კი ცისკარი გაახელს თვალს, მზადაა მიწდგებენ მიაშუროს, რომ თავისი თავდადებული შრომითა და ვარჯით ქვეყანას მეტი დიდობა მიცეს. და აი, ასეთი ხალხისაგან რომ „თავი დაიციან“, აგრესორებს ამ სოფელთან „თავდაცვის ხაზი“ მოუწყვია. მაგრამ ლექსის დანარჩენ ნაწილში, რომელიც ორგანული გაგრძელებაა პირველი სტროფისა და კომპოზიციურად მტკიცედ კრავს ლექსის იდეურ შინაარსს, გამჟღავნებულია აგრესორთა აშკარა განაზრახვი. პოეტი ამას პირდაპირ, აშკარა პოეტური მინისწებებისა და ქვეტექსტების საშუალებებით ვეუბნება: „რომ სისხლმა მორწყოს ბაღი და ყანა, რომ მესხთა ბაღლებს დასცენ თავზარი. საზღვრის გადაღმა ტანკები დგანან და ზარბაზნები უზარმაზარი“. ტანკები და ზარბაზნები სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღები არ გახლავთ. ისინი აგრესორთა განზრახვის გაცხადებული ფორმებია.

პოეტის ჩანაფიქრი დრამა და მრავლისმომცველი. ლექსის იდეური შინაარსი უფრო შორს მიდის, ვიდრე ამ ორი დაპირისპირებული კონტრასტის აღწერა. აქ ორი, სხვადასხვა შინაარსითა და მიზნებით გამსჭვალული ბანაკია დახატული. მაგრამ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მტრის განზრახვა, როგორი შეიარაღებაც არ უნდა გააჩნდეს მტერი, იგი მაინც უძლეურია ისეთ ძალასთან, როგორცაა შრომა, რადგან არსებითად იგია ყველა სიკეთისა და ბედნიერების სათავე. ამიტომაც ლექსში იარაღი და შრომა შეპირისპირებული. ამ უყანასკნელის გამარჯვება გარდუვლია. ამ ჩანაფიქრითაა ლექსი გამსჭვალული და ეს მატებს მას პოეტურ ძალას.

„ირანის ლომის“ იდეური გაგრძელებაა ხსენებული ციკლის კიდევ ერთი ლექსი „ამერიკის იანიჩარი“. ლექსში პოეტი შორეულ წარსულში იხედება. იგი სჭირდება იმისათვის, რომ თანამედროვე თურქებს, რომლებიც ახლა ამერიკელთა მონა-მორჩილი გამბდარან და „საზარბაზნე ხორცად“ იყენებენ, მოაგონოს მათი ისტორია, როცა ოტომანთა იმპერიის სამეფო კარის „ბრწყინვალე პორტას“ საამაყო ჯარს შეადგენდა „იანიჩრები“. ამ უყანასკნელთა კორპუსებს აღგენდნენ ბავშვობაში მოტაცებული ქრისტიანებისაგან. იანიჩართა ეს ჯარი იყო თურქების მტრის რისხვა, მათ არ იცოდნენ თავის დაზოგვა და ყოველთვის მათი ბატონების ნება-სურვილის შემსრულებლები იყვნენ. ამ ისტორიული წარსულიდან პოეტი უცრად დღევანდლობაში გადმოღვის, რითაც

მკვეთ კონტრასტს ქმნის ლექსში მხატვრული სახის პლასტიკურად წარმოსახვის მიხედვით დასწევად.

საერთოდ, გრიგოლ აბაშიძისათვის ნიშნული კონტრასტული ხერხის გამოყენება: პოეტს იგი სჭირდება არა მარტო გამოსახვის საგნის თვალნათლივ წარმოსახენად, არამედ მას ანიჭებს აზრობრივ-ემოციურ დატვირთვას. ამასთან მხედველობაშია მისაღები ერთი, ჩვენი აზრით, არსებითი მემორეტი — იგი (კონტრასტი) უძილობლივ ხელს უწყობს ლექსის ორიგინალურ კომპოზიციურ მდინარებას, რაც ესოდენ გამორჩეულია სხვა თანამედროვე ქართველ პოეტთაგან.

თანამედროვე თურქეთის დღევანდელი სურათი ასეთია:

მაგრამ დახუნდლა „ბრწყინვალე პორტა“, ჩამუქდა თურქთა ცის კაბადონი, სხვე თვით ვაზდა საჯიფგინი ქორთა და მონად იქცა თვითონ ბატონი.

თურქს დაუხუნდლა თურმე შეგნებაც, მან სულიც ახალ ფაშებს მიჰყიდა და მოვეღმინენ თურქებს ბეგებად მებრძვებეი ამერიკადან.

და ამერიკელ ბატონს „გულუკეთილს“ არ ენანება მცირე იჯარა, უკვე აქცია მთელი თურქეთი, ნავთის მფლობელთა იანიჩარად.

როგორც ხედავთ, მოვლენები შეცვლილა. თურქეთი ახლა თვით წარმოადგენს სხვის იანიჩარს და იძულებული ხდება სხვის დუღუქზე იტყვიოს. მტრის განზრახვა კი მეტად ბნელია — მშვიდობიანი ხალხის დაპყრობა-დამორჩილება. ლექსი აქამდე მოვიდა ძლიერი ინტენციით, ჩაფიქრებული აზრის აშკარა გამოხატვით. ეს იყო მისი კულმინაცია, პროზაული სიუჟეტის კომპონენტებით თუ ვისაუბრებთ, (ეს კი, ჩვენი აზრით, თამამად შეიძლება გრიგოლ აბაშიძის სიუჟეტთან ლექსებზე მსჯელობისას), საჭირო იყო კვანძის გახსნა. კვანძი კი უფრო ძლიერი, უფრო ეფექტური უნდა იყოს (თუ მხატვრული ძალის წარმოჩენა სურს პოეტს), რომ ლექსის იდეურმა შინაარსმა მკვეთრი ხასიათი მიიღოს. ამ ლექსში კი ეს კომპონენტი მოძუსტებს, პოეტური გენერგია თითქოს მინეღდა. ამიტომ თინალი სუსტი და უღიმღამო გამოვიდა:

მაგრამ მან ეს დრო არ იცის განა, ვინც ბატონობას ომით აპირებს? რომ ახლა სულ სხვა ხალხები დგანან იანიჩრებს მოპირდაპირედ.

რამაზ ჩხარტიშვილი
ბრძოლულ აბუშმიძის ლირიკა

ლექსის ამგვარი დაბოლოება ერთბაშად აქარწყლებს ემოციურ შთაბეჭდილებას ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, უფრო უნდა გაძლიერებულიყო.

სამაგიეროდ უძლიერესი ფინალი აქვს „ნახევარმიტვარს“. თუმცა ეს ლექსი ამა მარტო იდეურად აგრძელებს „ამერიკის იანიჩარს“ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ციკლში ყველა ლექსი თავისთავად ერთ იდეას — ციკლის იდეას გამოხატავს, ყოველ შემთხვევაში, უნდა გამოხატავდეს. ამიტომ ამ შემთხვევაში იდეურ ერთიანობაზე ხაზგასმა იქნებ არც იყოს მართებული), არამედ კომპოზიციური ხერხითაც ენათესავება მას. ლექსების იდეურ-თემატიკური და კომპოზიციური ერთგვარობა, ცხადია, პოეზიის საზიაროდ მერყეულებს. მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტს ვარკვეული შედეგებით უნდა მივცეთ იმის გამო, რომ მისი განზრახვა მხოლოდ კეთილშობილური ჩანაფიქრიდან გამოდის — მას სურს უფრო ხაზგასმით გვიჩვენოს საერთაშორისო ავანტურისტის ბორჩილი მისანი და ასევე მკაცრად შეუპირისპიროს ხალხთა კეთილი ნება — შვიდობისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადებული ერთგულება. ეს ლექსი, უდავოა რომ მხატვრული პირობა „ამერიკის იანიჩარზე“ მაღლა დგას. პირველში პოეტის სათქმელი გამომწვეული სახითაა წარმოდგენილი; მეოთხეულს მზამზარეულად აწვდის ლექსის იდეას, არ უტოვებს საფიქრალს. „ნახევარმიტვარეში“ კი ზომიერი მხატვრული შედარებები და მეტაფორები, გარდა იმისა, რომ ლექსს ლამაზად საკითხავს ხდის. აზრობრივ — ემოციურ დატირებულს ღებულობს და პოეტის აშკარა სათქმელს მხატვრული მინიშნებებით ამკლავებს. ეს კი, მოვეხსენებათ, პოეზიის უპირველესი სპეციფიკური ნიშანია.

ერთი თემა, ერთი იდეა, ერთი სულისკვეთება — აი რა შეიძლება ითქვას ლექსებზე „რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“, „თურქთა ლაშქარი“ კორეაში“ და „ვედარ გვიანტრონ მამულქებად“. მაგრამ კუთხე ყველას თავისი აქვს მონახული, ყველა თავისი პოეტური ნიჟარისი დაკვირავს და ამითაა აცილებული ერთფეროვნება, რაც ამ ლექსებს ემუქრებოდა.

„ისტორიის გაცეითი“ რუსთა და ქართულთა საბრძოლო ძმობაზე მოგვითხრობს, რამაც გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონია საქართველოს ყოფნა-არყოფნის კრიტიკულ პერიოდში და რასაც კვლავ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, თავისუფალ ერთა ქვეყანაში.

მაგრამ სხვა ნამდვილი თურქეთი, რამელიც ისევე შენატრის შვიდობას და ისევე იბრძვის მისთვის, როგორც მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა. ლენინური დებულება ყო-

ველ ვრწმი ორი ერის არსებობის შესახებ ვერა და უცვლელი. გრივოლ აბაშიძე ვერა და ვერა ლი თურქეთის გვერდით ხედავს მოწინავეს. სხვათა შორის, რომელშიც იფილისებება ჩაგრული, დამონებული ხალხი. ამ ხალხს გულწრფელად მიესალმება პოეტი, გამოთქვამს რწმენას, რომ ხეაღინდელი დღე უთუოდ მისი იქნება: „მას არაფერი დღეს არ ეკუთვნის, მაგრამ მისია დღე ხეაღინდელი“.

ციკლის უძლიერესი ლექსია „მონაპირე რაიკომებს“, რომელშიც პოეტრსათვის ჩვეული ხერხი — კონტრასტული პრინციპი კვლავ ოსტატურადაა გამოყენებული. წარსულისა და აწმყოს შეპირისპირების ფონზე ნათლად გამოკვეთილი ძველი სამცხის სოციალურ-ეკონომიური ვითარება და დღევანდელი დღის ყოფა-ძველ სამცხეს, საქართველოს ამ მონაპირე კუთხეს, მუდამ პირველი უხდებოდა საქართველოს საერთო მტერთან პირისპირ თავგანწირული შებმა, რომ თავისუფლება დაეცვა. დღევანდელი მისი რადიკალურად შეცვლილი, დღეს მას აღარ უხდება იარაღით ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა უხდება შრომით და გარჯით, რომ „ძველი დიდების მიღმა, უფრო მაღალი დიდების საწყისი“ დაამკვიდროს.

„მდინარეების სიმფონიაში“ პოეტის მახვილი თვალთ დაწახული დღევანდელი რეალური სინამდვილეა გადმოცემული, დღევანდელი სურათი შეპირისპირებულა წარსულის სურათთან. მდინარეების გიჟური ჩქაროლვა, რომელიც შედარებულია ძველი საქართველოს სამთავროებისა და ფეოდალების განზე გადგომასთან, ახლა ერთ კლამპოტში მოქცეული და საერთო-სახალხო სამსახურშია ჩაყენებული. ლექსის მხატვრული ჩანაფიქრი ღრმად, გადმოცემულია ქეშმარიტი პოეტური ოსტატობით. რიტმიც მაღალ დონეზე დგას და რითმის უღარესი სიმდიდრეც ხელშესახება, მაგრამ შეინიშნის სახით კვლავ გვინდა გავიმეოროთ სალიტერატურო კრიტიკაში ერთხელ უკვე გამოთქმული (გ. მარგველაშვილი) აზრი: რატომ შევიდა იგი ციკლში „სამხრეთ საზღვარზე“? ამ ციკლს იგი არაფრით არ ენათესავება, არაფრით არ ეუბება, აისბერგისთვის ამოზიდული და მიუტარებლობის შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი ადვილი გრივოლ აბაშიძის პოეტური შემოქმედებაში გამოჩნეულად უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი წამყვანი თემაა, ამასთან პოეტური ოსტატობის დონე ვაცილებით მაღალ საფეხურზე დგას.

გრივოლ აბაშიძის ლირიკა საკმაოდ გამარავალფეროვნა და გაამდიდრა სამამული ომის თემაზე ბრწყინვალედ დამერილობა ლექსებმა. პოეტის მოქალაქეობრივი პათოზი, პატრიოტული გრძნობა უფრო მეტად წარმოიხიდა ამ



საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრი

დროის ლექსებში და პოეტმა უფრო თამაზად გაუსწორა თვალი თანამედროვეობას

მრისხანე ომმა ერთბაშად დაარღვია მშვიდობიანი ხალხის ყოფაცხოვრება. საბჭოთა ხალხი კლდესავით აღუდგა წინ ფაშისტებს. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი საომარ ყაიდაზე გარდაქმნა და მტერს მდგარი წინააღმდეგობა გაუწია. ომში ჩაება დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა, ვისაც სიცოცხლეს ერთი თავისუფლება, ვისაც პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით უცემდა გული. მხოლოდ ერთიან ძალას შეეძლო მტრის დამარცხება და საბჭოთა ხალხების ეს ერთიანობა და სიმტკიცე ახლა ისე იყო საჭირო, როგორც არასდროს. ამ ერთიანობის სიმბოლოები გამოხატულება არის და ქართველი ჭაირსკაცების, ეგეოროების და ქანთარაის მიერ წითელი დროშის აღმართვა რაინტვაზე. დიან, ეს მართლაც სიმბოლოები იყო. ამასი გამოიმედვინდა რუსი და ქართველი ხალხის არა მარტო ახლანდელი მეგობრობა, არამედ შორეული ისტორიული ძმობაც. მაგრამ გრიგოლ აბაშიძის ბრწყინვალე ლექსი „სლევამოსილი“ მარტოაღწენ ამ მეგობრობას როდი უსვამს ხაზს. პირიქით, აქ არც არის ლაპარაკი რუსი და ქართველის მეგობრობაზე, მათ ძმობაზე, მათ ერთიანობაზე. აქ პოეტს უფრო შორის მიდის, უფრო მასშტაბურად წარმოგვისახავს ამ უძლეველ გრძნობას. ამ გრძნობას გამოხატავს ქართველი გმირი მელოტონ ქანთარია, რომლის გმირობასა და მამაცობას ეძღვნება ეს ლექსიც, როდესაც იგი ამბობს:

სახელით შე არ მიცნობს არავინ,
შე ერთი ვარ და ვარ უთვალავი,
შე ერთად მქვია ყველას სახელი,
ხმაღმა და ტყვიამ ვინც მომაძღვებს,
ვინც ამ გრიგალის იყო მნახელი
და მონაწილე.

შე ის ვარ, ვისაც სატრფო მოეჩის,
ვისთვისაც დამეს ათევეს მშობელი,
ვინც შინ ბრუნდება ძღვეამოსილი,
ვინც ბოლო მისცა ცრემლებს და გლოვას,
დე, მისიც იყოს ჩემი ქორწილი,
ვინც ვედარ მოვა!

ასე გააერთიანა პოეტმა ყველა ერთში და ერთი ყველაში, ასე განაზოგადა ერთი საბჭოთა მეომრის კონკრეტული საბრძოლო გზა ყველა მებრძოლში და მათ ვნებებსა და მისწრაფებებს ერთი საერთო ფონი მოუწნა.

მაღალი პოეტური ელვადობის ეს ლექსი დაწერილია ომში ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვების წელს, მაგრამ გრიგოლ აბაშიძემ, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტმა პოეტმა, იმთავითვე მომართა კალამი „საომარ ყაიდაზე“ და არა ერთი ლირიკული ქმნილებებით გაამდიდრა

ომისდროინდელი ქართული საბჭოთა პოეზია. ერთ-ერთი მითანია „მტრები“, რომელიც ომის დაწყების პირველ დღეებშივე შექმნა. ლექსში პოეტის მოქალაქეობრივი პათოსი — მტრის უზომო სიძულვილი თვით უკიდურესი გაკირვების დროსაც: „სწყუროდა, მაგრამ წყლის წყურვილს სძლია მტრისადმი ზიზღმა და სიძულვილმა“. ეგვი არ არის, რომ ეს ლექსი, რომელშიც ვრცლად არის აღწერილი ორი მოსისხლე მტრის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა და დაპირილის მძიმე აგონია წყურვილის გამო, ძლიერ ზეგავლენას მოახდენდა ჩვენს მებრძოლებზე, ზიზღით აღანთებდა მტერთან საბრძოლველად და სიმხნევეს და ძალას გაუორკეცებდა.

ომის სრული უაზრობა — ეს არის „ტანკების დუელის“ პათოსი. ორი ძლიერი ძალა, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარონ ეს ძალა, ერთმანეთის მოსპობასა და განადგურებაში ხარჯდენ მას და შედეგად სრული უაზრობა, არარაობა, ამაზრზენი სურათი გვჩვენა ხელთ: „და ორი ტანკი, მიწას რომ სძრავდა, ქვეაღება როგორც ერთი სხეული“. მაგრამ ეს გაქვავება როდია წუთიერი, მცირე-ოდენი შეყოვნების შემდეგ ძალს რომ მოიკრებენ და კვლავ მთელი სიძლიერით ამოძრავდებიან. არა, ისინი საშუალოდ გაქვავდნენ. გაქვავდნენ ისე, სიცივის მეტი არაფერი დაუტოვებიათ დედაშიწაზე. სურათი უფრო მძაფრდება და შექდება, აზრი კი უფრო უცხადი და ნათელი ხდება: „ადარ არიან რკინის დევები, მათი ხმა სიკვდილს ადარ მოიტანს, გაცივებულან და ნანგრევები ჩამქრალ ვულკანებს გვანან შორიდან“.

მხატვრული სიტყვის პოეტური ძალა ამ ლექსში საგრძნობია და თვალში საცემი. ამითა ეს ლექსი დამაფიქრებელი და მიზიდველი, ამითაა რომ იგი ვერ ეტყევა დროის განსაზღვრულ ლოკალში და დღესაც გამაფრთხილებლად ეღერს: ომი — კაცობრიობის ეს უბოროტესი მტერი — უაზრობა და უარსაყოფი, მას შეუძლია უძლიერესი ძალაც მოსპოს და ადგავს პირისაგან მიწისა ისე, რომ მისი სახსენებელიც კი არ დარჩეს ქვეყნად, ისე, როგორც ის ორი უძლიერესი ტანკი, რომლებიც „გვიფლის ცეცხლში ბრძოლით, ხეთქებით, გვაშზე დააწყობს გვაშებს ზეინებად, და ხანთღებოვით სწორი ხეები ფეხქვეშ შრიალით ჩიონინება“, მოსპო და ნანგრევები ჩამქრალ ვულკანებს დაამგვანა.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ აბაშიძის პოეზიის აქტუალობა კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა სამამულო ომის ღრუბლიან დღეებ-

რემაზ ჩხატარაიანი
გრიგოლ აბაშიძის ლირიკა

ში. პოეტი შთაგონებულად უმღეროდა საბჭოთა ხალხის, მისი გმირული არმიის ვარდუელ გამარჯვებას მრისხანე მტერზე, სწამდა და სჯეროდა, რომ ოქტომბრის მონაპოვარს, რომლის გამო ზღვა სისხლი დაიდგარა და აურაცხელი მსხვერპლი იქნა გაღებული, ვერაინ ხელყოფდა, ვერაინ ვასტეხდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სულიერ სიმტკიცეს, ვერაინ დაადგამდა მონობის მძიმე ულულს. ყოველივე ეს აშკარად გამოსჭვივის გრიგოლ აბაშიძის შესანიშნავ ლექსებში, რითაც ისინი იმთავითვე მახლობელი და საყვარელი გახდა მკითხველსათვის.

სიცოცხლის, ვაზაფხულისა და განახლების მომღერალი პოეტისთვის, ბუნებრივია, მახლობელი და ორგანულია პოეტის მარადიული თემა — სიყვარული. ამ ყოვლის მომცველ გრძნობას, მის ძალმოსილებას ვერც ერთი ჯემმარტი ხელოვანი ვერ აუვლის გვერდს, იგი (სიყვარული) მათი ხარკია, რადგან მის გარეშე ვერც ერთ სტრიქონს ვერ დაწერს პოეტის კალამი, ვერც ერთ ზეგის ვერ შექმნის მხატვრის ფუნჯი, ვერაფერს გამოაქანდაცებს მოქანდაკის საჭრეთელი. ამიტომაც, რომ მას ყველა თავისას მიუზღავს, ოღონდ შეძლებისდაგვარად, თავისი ნიჭისა და ტალანტის შესაფერისად. მოგვხსენებთ, რუსთაველმა თავის პოემას სიყვარული დაუდო ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად. აქ მან სიყვარული ისეთ მწვერვალზე აიყვანა, შემდეგ მას ვერც დავით გურამიშვილი მიწვდა, ვერც ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვერც ბრწყინვალე გალაკტიანი, თუმცა მათ სრულიად ახალი კუთხით, ახალი ფერებით წარმოსახეს სიყვარულის სიდიადე. საბჭოთა საქართველოს ტრუბადურმა და ძველი თბილისის მეზობტემ იოსებ გრიშაშვილმა თავისი ხალხის პოეტური შემოქმედება არსებითად სიყვარულის თემას მიუკუთვნა, მაგრამ ის, რაც შოთა რუსთაველმა გააყვთა თავის „გეფხისტყაოსანში“, მიუღწეველი დარჩა და დიდხანს ასევე დარჩება მის შემდგომ პოეტებს.

მაგრამ სურვილი — ახლებურად, თუნდაც რუსთაველისებური სიძლიერით უმღერონ სიყვარულს — კვლავ გაუნდობლად ტანჯავს თანამედროვე პოეტებს და ისინიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამ სურვილის განხორციელებას. გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში აშკარად შეიმჩნევა ასეთი გამძაფრებული სურვილი — თავისებურად, ორიგინალურად გამოხატოს სიყვარულის ძალმოსილება, მისი სიდიადე, მისი სილამაზე. პოეტის ეს მიზანი რამდენადმე განხორციელებულია მის საუკეთესო ლექსებში. უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი თვისება: სიყვარულის თემა მის პოეზიაში როდია მოწყვეტილი საზოგადოებრივ ცხოვრებას, პირიქით, ეს თემა, უმრავლეს შემთხვევაში, არა თუ ემიჯნება საზოგადოებრივ

ყოვლის მოტივს, არამედ მისი ორგანული ნაწილი ხდება და სწორედ ამით იქნის იგრძნობილი რელი განზოგადების ძალას. საზოგადოებრივ ინტერესებისაგან გამიჯნული და ევიწრო ინტიმური გრძნობის წინ წამოწვევით კარგავს თავის პოეტურ ეფერადობას ამ თემაზე დაწერილი ი. გრიშაშვილის არაერთი ლექსი, მაგ. „ლოცვა ეჟმა წყევისასა“, „შენ გაირყენები“ და სხვ. თუმცა მათი ემოციური ძალა საკმაოდ ძლიერია. შოთა რუსთაველის მიერ წარმოსახული სიყვარული სწორედ იმით იქცევა ყოველი ეპოქისა და ყოველი თაობის ყურადღებას, რომ იგი მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ ინტერესებს, უფრო მეტიც, იგი სახელმწიფოებრივ ინტერესებამდეც კი აღის. ნესტანი, ტარიელი, თინათინი, ავთანდილი — სიყვარულის ეს დივალური განმანხორციელებლები, ერთი წუთითაც არ შემოზღუდულან ევიწრო, პირადული გრძნობებით. მათ თავიანთი დიდი სიყვარული მეგობრობისა და, პირველ ყოვლისა, თავიანთი ქვეყნის ინტერესებს სიყვარულს დაუკავშირეს და არასდროს უღალატიათ ამ ინტერესებისათვის. სწორედ ეს არის გენიალური რუსთაველის უმთავრესი ღირსება.

პირადული განცდები, ევიწრო გრძნობები, თუ ის შესაფერისად არ იქნა განზოგადებული, თავის საზღვარს ვერ გასცილდება და ამდენად ვერც მკითხველს გულს აატოვებს. ამის ვარუშე კი პოეზია კარგავს თავის დანიშნულებას. გრ. აბაშიძის სატრფიალო ლირიკის ეს კეთილშობილური დანიშნულება ზოგიერთ ლექსში აშკარად იჩინდება, რაც ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ მის მრავალფეროვან პოეზიაში. თავის დროზე ნაკელი სწორად შენიშნა ფალევა რაიდანამა: „ინტიმურმა გრძნობამ დაღლია არ უნდა ჩამოაფაროს პოეტსა და სამყაროს შორის, სიყვარულის თემა თავისებურად უნდა იყოს დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრების თემებთან. გრ. აბაშიძე ყოველთვის ასე ვერ წარმოგვიდგენს აღმანიანს ცხოვრების ამ დიად და კეთილშობილურ განცდას“ (შ. რაიდანანი, რწ. წერილები, 2, გვ. 506). მიუხედავად ამისა, გრ. აბაშიძის სატრფიალო ლირიკა უთუოდ იმსახურებს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას.

გრიგოლ აბაშიძის სატრფიალო ლირიკაში ზოგჯერ იგრძნობოთ გულისტკივილს გატრუებული სიყვარულზეც („ზღვა და მერცხალი“), მის უღმობულობაზეც (უსათაურო „არ მგერა, ნულარ ამბობ უძველეს...“), ზოგჯერ გატკობით გარდასული სიყვარულთან შეხვედრა („ღმინილი“), ზოგჯერ გულს გტყვის ის, რაც გვინდა, რომ არაფერად მიგანნდა („მითხრეს, სწიფთლემ გადაშკრა წუთით“), დაგზობილია ცალმხრივი სიყვარული, როცა მარტობას მისდევ და აჩაივს გსურს დაიახლოვო („კოცინათელა“). მწარედ განიცდიო უღროოდ დაფერფლილ სიყ-



ვარულს („საყურე“), მაგრამ გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში მაინც წამყვანი ადგილი უჭირავს წმინდა, ნათელ, ქეშმარიტ სიყვარულს („ყვავილი სანაპიროსი“, „არც ნიაღვრით, არც ნიავეით“, „წიგთახათუნი“, „ოცნება უფლისწულისა“ და სხვა).

დაბოლოს, შეუძლებელია ზოგადად მაინც არ მიმოვიხილოთ გრიგოლ აბაშიძის ლირიკის მხატვრული მხარე. მართალია, ვერსიდუკატორული თვალსაზრისით გრიგოლ აბაშიძეს რაიმე სიახლე არ შეუტანია ქართულ პოეზიაში და ამ მხრივ იგი არსებითად კლასიკური ლექსის ტრადიციულ გზას გააყვავა, მაგრამ სამაგიეროდ მისი პოეზია გამოიჩინეა გრძნობათა სიღაჭიზით, აზრის სიღრმადით, ნათელი ხატოვანი სახეებით, ფორმათა დახვეწილობით, მუსიკალურ-მელოდიური რიტმულობით, მდიდარი რითმებით. ყოველივე ეს უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენენ ლექსის მხატვრული ღონის განსაზღვრისათვის. ზემოთ ჩა-

მოთვლილი მხატვრული კომპონენტები ორგანიზებული და ნიშნეულია გრიგოლ აბაშიძის პოეტისათვის, ისინი მკაფიოდ წარმოსახავენ პოეტის ხელწერას, სტილურ ნიშანდობლობას, ინდივიდუალობას. მის ლექსებში არც ერთი ხატოვანი თქმა თუ მხატვრული სახე, რომლითაც ასე მდიდარი და უხვია გრ. აბაშიძის პოეზია, თვითმონური არაა, მათში ვერ შეხვდებით სახეს სახისათვის, იგი (სახე) ყოველთვის მჭიდროდ ზის ლექსის აზრობრივემოციურ კომპლექსში და არა მარტო პოეტის ესთეტიკური იდეალის სიცხადით გამოხატვას უწყობს ხელს, არამედ ლექსის ლოგიკურ-დინამიკურ განვითარებასაც ორგანულად ეხმარება. ყოველივე ეს კი პოეტის ოსტატობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია, რაც თვალსაჩინოდაა მიღწეული გრიგოლ აბაშიძის მრავალფეროვან პოეზიაში. სწორედ ეს ანიჭებს მას ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთი მოწინავე და წამყვანი პოეტის საპატიო სახელს.





ქამთაალნაიკილობა და მხაფკრუდი ლიფარაფუკა

მრავალმხრივ საცნაური გამზდარა, რომ შუა საუკუნეების მატანეებსა და იმავდროინდელ მხატვრულ ლიტერატურას ბერი საერთო აქვთ, გაცილებით მეტი, ვიდრე ახალი დროის ისტორიოგრაფიასა და ბელეტრისტიკას. თავდაპირველად შეცნეირება ძველ მატანეებს უმთავრესად ისტორიული თვალსაზრისით სწავლობდა და მოხდა ისე, რომ თვით აგიოგრაფია — შუასაუკუნეობრივი ბელეტრისტიკა, რომელიც მისი სინკრეტული ბუნების გამო მხატვრულობის გვერდით მნიშვნელოვან ისტორიულ ელემენტს შეიცავს, საისტორიო მწერლობადაც კი გამოცხადდა. საისტორიოდ ჩაითვალა არა მარტო თავისი მნიშვნელობით, არამედ ქანრობრივადაც კი. ვ. კლიუჩევსკიდან მომდინარე ამგვარი პოზიცია თვით ივ. ჯავახიშვილის შრომებშიც მკლავნდება და მისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტის ზეგავლენით ზოგჯერ დღევანდელ ისტორიკოსებთანაც იჩენს თავს. ასე დაისახა ერთგვაროვანად ქამთაალმწერლობა და მხატვრული მწერლობა, იღონდ ეს განხორციელდა ისტორიოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე. არსებობს მეორე ტენდენცია: გარდასულ დროთა ქამთაალმწერლობა გაუთანაბრდეს მხატვრულ მწერლობას. იგი თავს იჩენს დასავლეთ-ევროპულსა და რუსულ მეცნიერებაში, კერძოდ, ეს აკად. დ. ლიხანოვის შრომებშიც ნათლად მკლავნდება (უმთავრესად, შემდეგ შრომებში:

«Человек в литературе древней Руси», «Поэтика древнерусской литературы».) ამ ნაშრომებში იმდროინდელი მხატვრული აზროვნების არსებით ნიშნებს მკვლევარი ერთნაირად ავლენს მატანეებიდანაც და აგიოგრაფიდანაც. ამგვარად, ცხადია, რომ შუა საუკუნეების ქამთაალმწერლობასა და მხატვრულ ლიტერა-

ტურას შორის ბერი რამ საერთოა, საიდანაც არ უნდა შევხედოთ მათ: ისტორიული თვალთახედვით, თუ ლიტერატურულად.

ცნობილი ისტორიკოსი კ. ნ. ბესტუჟევი-რუმინი ასე ახასიათებდა რუსული ქამთაალმწერლობის ლიტერატურულ ბუნებას: «გარდასულ წელთა ამბავი» არისო საცავი, სადაც ინახება ნაშთები ჩვენთვის უკვე დაღუპული თხზულებებისა ჩვენი უძველესი მწერლობიდან». ცხადია, ეგვემ გვეთქმის «ქართლის ცხოვრებაზედაც».

ქართულ მეცნიერებაში აგიოგრაფიის ისტორიული მხარე კარგადაა შესწავლილი, მაგრამ თითქმის არაფერია გაკეთებული ქართულ მატანეებში მხატვრული ელემენტის გამოსავლინებლად. რუსული მატანეების მხატვრული შინაარსი კი საკმაოდ ნათლადაა წარმოჩენილი უპირველესად აკად. ლიხანოვის შრომებში. დ. ლიხანოვი აყენებს პრობლემას — შეიქმნას «თეორიული წიგნი» ძველი რუსული მწერლობის ისტორიისა. ეს ნიშნავს: დაიწეროს იმგვარი ისტორია ლიტერატურისა, რომელიც აგებული იქნება არა ცალკეული ავტორებისა მიხედვით, არამედ პრობლემათა მიხედვით, მხატვრულ-შემოქმედებითი პრინციპების მიხედვით. მართალია, მასში ერთგვარად დაიჩრდილება ცალკეულ ავტორთა შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მაგრამ სამაგიეროდ მას ექნება სხვა უპირატესობა, რომელიც ვერ ბორცვილდება ავტორების მიხედვით აგებულ ისტორიებში. იგი წარმოგვიჩენს ლიტერატურის განვითარების პრინციპულ მხარეს, გამოკვეთავს საკუთრივ იმას, რაც სწორედ განვითარებას ემსახურება. გვიჩვენებს, თუ რა სიახლე მოიტანა ამა თუ იმ ავტორმა. ვ. ი. ავტორებს გვიჩვენებს პრინციპების მიხედვით და არა პირუტყუ — პრინციპებს ავტორთა მიხედვით. ამ გზით ლიტერატურის



საერთო ტიპოლოგიური ბუნება უკეთ შეიტყობა. მამასადამე, ეს ისეთი ასპექტია ლიტერატურის ისტორიის გააზრებისა, რომლის უფულებელყოფა შეუძლებელია, რადგინ ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას. დ. ლიხაიოვი ფიქრობს, რომ ამგვარი კვლევა-ძიებისას საჭიროა ერთ მილიანობაში განვიხილოთ ეპითაღმწერლობაც და საკუთრივ მხატვრული ლიტერატურაც. გვინებ, დღესათვის არ უნდა ჩიათვალის შორეულ მინაღ მსგავსი ამოცანის განხორციელება თვით ძველი ქართული ლიტერატურის მიმართაც. ამისათვის სხვასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ძველი რუსული მწერლობა, ეპითაღმწერლობაც და მხატვრულობაც (თვითუფლის მხატვრული და ისტორიული მხარე).

ამ სახით წარმოგვიდგინა თენგიზ ბუაჩიძემ პირველი ტომი ოთხ ტომად გამოიზნული კორპუსისა „ძველი რუსული მწერლობა“ (თბილისი, 1973 წ.), ტექსტები, გამოკვლევებით და შენიშვნებით. ვასაგებია, რომ მას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ის გვიანტერესებს ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალთახედვით. ერთია, რომ ჩვენ აქედან გვეცნობით თვით ძველ რუსულ მწერლობას (ასეთი მთლიანი კრებული არ არსებობს თვით რუსულ ენაზე, მატიაანებიც ცალკე დაიბეჭდა, ავიგოვანა კი სხვადასხვა გამოცემებშია გაფანტული. მსოფლიო ლიტერატურის 200-ტომეულში შესული „იზბორნიკი“ კი მხოლოდ ნაწილობრივ წარმოგვიდგენს ძველ რუსულ მწერლობას). ამასთანავე ასეთი შრომა საშუალებას გვაძლევს კვლავით თვით ძველი ქართული მწერლობის სტრუქტურის თითოეულ: ბერძნული, სომხური და სხვა შუასაუკუნოებრივ ლიტერატურებთან ერთად გავითვალისწინოთ ძველი რუსული მწერლობაც. თანაც არსებობს მეთოდოლოგიური მოთხოვნა, რომ ცალკეულ ლიტერატურათა სპეციფიკის საკითხები არ გადაწყდეს ლიტერატურათა ტიპოლოგიის პრობლემათა გაუთვალისწინებლად. ძველი რუსული და ძველი ქართული მწერლობანი კი ერთ კულტურულ-პოლიტიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან; ესაა: აღმოსავლურ-ქრისტიანულ ლიტერატურათა რეგიონული ერთეული. ძველი რუსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთმიმართებაში შესწავლა თითოეულის თავისებურებას უფრო ნათლად შეგვაგრძნობინებს. თანაც ის, რაც საკუთრივ ქართულისა გვეგონა, შეიძლება საერთო აღმოჩნდეს. ასეთი საკითხიც დაისმის და ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანად გვეჩვენება: რაც ამ ლიტერატურათა შორის საერთოა, შეიძლება თუ არა ყველაფერი მაინცდამაინც ბიზანტიური ლიტერატურიდან მომდინარედ მივიჩნით?

„ძველი რუსული მწერლობის“ პირველ ტომზე დართულ სოლიდურ ნარკვევში თ. ბუაჩიძე შეკამპებულად წარმოგვიდგენს მეცნიერული კვლევა-ძიების ყველა მნიშვნელოვან შედეგს.

რუსული მატიაანის საკითხებს რომ განიხილავს, მკვლევარს თან ახლავს ძველი ქართული მწერლობის შესატყვის პრობლემათა მოაზრება. იგი უზარალო ანალოგიებს კი არ მიიპარტყვია, არამედ გვიჩვენებს, რომ თვით ქართული კულტურის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ნათელსდევს „გარდასულ წელთა ამბავი“. მაგალითად, უფრო ნათელი ხდება ათონის საგანეთა საერთო მნიშვნელობა. ფაქტურად კიევის ძღვემეთა მონასტრის საქმიანობა ძირითადად დაფუძნდა ათონის კულტურულ ცენტრზე. ამით კი გამოისახება ქართულ-ბიზანტიურ-სლავურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავლისიმამცველი წრე. იგი ჭერ კიდევ არ გამოკვეთილა მიუღო სისრულით, მაგრამ მომავალი კვლევა-ძიებას ამ მხრივ იმედისმოცემი ბერძნულ-სლავურებს ესახება. დღეს უკვე ხელმისაწვდომი ხდება ქართულ-ბულგარულ ლიტერატურულ ურთიერთობათა არაერთი ახალი მასალა. ამ ურთიერთობათა უპირველესი ასპარეზი იყო: კონსტანტინეპოლი, ათონი, ბითონიის ოლიმპოს საფანეები და თესლონიკი. ქართულ-ბულგარულ ურთიერთობასთან ბუნებრივად მოიაზრება ბულგარეთისა და კიევის რუსეთის მძლავრი ურთიერთკავშირი, ასე იკრება ქართულ-ბულგარულ-რუსული კულტურული ურთიერთობის დიდი წრე, რომელიც საფუძველადდები შეიქმნა აღმოსავლეთის საქრისტიანოს კულტურულ-ტიპოლოგიური რეგიონისა და რომლის ცენტრი, ცხადია, ბიზანტია იყო.

ამგვარად, ჩვენ ინტერესი რუსული კლასიკური მატიაანისდმი, რომელსაც მთარგმნელმა „გარდასულ წელთა ამბავი“ უწოდა, ორმხრივია: ისტორიული და ლიტერატურული. ჩვენში ფართო საზოგადოებრიობა უფრო მის ისტორიულ შინაარსს იცნობდა, ცხადია, არა უშუალოდ, არამედ, მეცნიერული ნაშრომების საშუალებით. მისი უშუალო გაცნობა რჩებოდა საპატიო ლიტერატურულ მოვალეობად. ახლა ეს ამოცანაც შესრულებულია; ჩვენ მივიღეთ უძველესი რუსული მატიაანის თარგმანი, შესრულებული მშვენიერი ქართულით. ამ შემთხვევაში თ. ბუაჩიძის წინაშე აყადმსიური ამოცანების გვერდით იდგა მხატვრული მოთხოვნებიც. თარგმანს, შეიძლება ითქვას, ერთსადაიმამედ დროს ეტყობა მეცნიერისა და მწერლის ხელი. ვფიქრობთ, არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვი, რომ ამგვარ თარგმანებს დამოუკიდებელი მხატვრული მოვლენის მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც ცნობილია, რომ ეროვნული ლიტერატურის ენობრივი სტილის განვითარებას მარტო ორიგინალური ლიტერატურული შემოქმედება კი არ ემსახურება, არამედ მალაღმლატურული თარგმანებიც. თარგმანი ხომ მარტო ორიგინალ-

რამაზ სინაძე
 შამთაღაღვირულობა და მხატვრული ლიტერატურა

ლის შინაარსის გაკნობას არ გულისხმობს, იგენისგან იხსოვს გამოავლინოს მანამდე გამოუცვლინებელი შესაძლებლობანი. თ. ბუაჩიძის მიერ არსებითად განხორციელებულია მოთხოვნა, რომ თარგმანიდან გვესმოდეს ქვეშარბიტი ქართული და თანაც საგრძნობი იყოს დედნისეული კოლორიტი. ეს თარგმანი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ აზრისა, რომ დღევანდელი ქართული ლიტერატურული ცხოვრების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული უბანია თარგმანის სფერო.

თვით თარგმანის პროცესი შემოქმედებით პრობლემებთან ერთად მეცნიერულ საკითხებსაც წამოჭრდა. საჭირო იყო ორიგინალის სპეციფიკური ტერმინებისათვის შესატყვისი ქართული ტერმინების დაძებნა. საქმე რომ ეხებოდეს ბერძნულ საისტორიო მწერლობას, აქ ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციები მოგვეპოვება და ვხაც ერთთავად გავკვლიყა. ძველრუსული მატარებების თარგმნის ამგვარი ტრადიცია ჩვენ არ გავაჩნია. მართალია, აღორძინების ხანაში რუსულიდან არაერთი საისტორიო თხზულება ითარგმნებოდა, მაგრამ მათ დღემდე არა აქვს ისეთი ცოცხალი ლიტერატურული ტრადიციის მნიშვნელობა, რომ მთარგმნელს გამოადგეს. არც ის მოსინჯულა, იმგვარ გზებს მიიღებს თუ არა დღევანდელი მკითხველი, დღევანდელი ლიტერატურული გემოვნება. ამიტომ ფაქტიურად გზების გავკვლევა თვით თ. ბუაჩიძის მოუხდა. საერთო სტილურ პოზიციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უნდა გარკვეულიყო — რომელი ტერმინი ითარგმნოს, ან რომელთა უცვლელი გადმოტანა აცილებდა. მან მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციფიკური რუსული ტერმინები, რუსული რეალობის ამსახლები სტენებიც კი ხელუხლებლად დაეტოვებინა და ცალკე, წიგნზე დართულ შენიშვნებში, მოეცა არა მარტო მათი სემანტიკური განმარტებანი, არამედ მათთან დაკავშირებული ისტორიული და ლიტერატურული შინაარსის ვააზრებაც. ამან, შესაძლებელია, შინაარსის ათვისება ერთგვარად გაათულა, მაგრამ უფრო ზუსტი გახადა იგი. სამწუხაროდ, ჩვენში ორიგინალურ თხზულებათა ტექსტებსაც კი იშვიათად ახლავს ასე სრული კომენტარები. თვით „ვეფხისტყაისის“ ტექსტიც არ დაბეჭდილა ყოველმხრივი კომენტარებით.

„გარდასულ წელთა ამბავი“ ხშირად ეხება ბიზანტიურ სამყაროს და ამიტომ ტექსტში ბიზანტიური ცივილიზაციიდან მომდინარე არაერთი ტერმინიც გვხვდება. ძველ ქართულ თხზულებებშიაც მოგვეპოვება შესაბამისი ტერმინები (ერთ დროს ასეთი საერთო ტერმინები არსებობას კიორინი ხსნიდა იმით, რომ ისინი რუსულში ქართულიდანაა შესული). თითქოსდა თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მთარგმნელს ეს ძველი ქართული ტერმინები უნდა მოეშველებინა. მაგრამ ამ ტერმინებმა ისტორი-

ულად შინაარსი იცვალა და თანამედროვე მხრელებსათვის სხვაგვარი მნიშვნელობა შექმნილა. რომელი გზით წარემართა არჩევანის მიხედვით იყო მთარგმნელის წინაშე მდგარი ერთ-ერთი სიძნელეთაგანი. ვფიქრობთ, რომ მან რიგიანი გზა აირჩია: ძველი ქართულის ლექსიკა საკმაოდ მოიშველია, მაგრამ ისე, რომ საკუთარი სტილის რაობა არ დაკარგულიყო. მაშასადამე, ის სტილი, რომელიც მთარგმანიდან გამოსჰვევის, ეკუთვნის მთარგმნელს და არა ძველ ქართულ მწერლობას. თუმცა ძველი ქართულის სტილის ძლიერების შეგრძნება ყოველთვის ახლავს თ. ბუაჩიძეს. თარგმანში დედნის თვით მხატვრული ინტონაციაა დაკული. მხვევლობაში გვაქვს ის გარემოება, რომ თარგმანი არაა „გამბატურებული“ იმაზე მეტად, რის საფუძველსაც თვითონ დედანი არ იძლეოდა.

„გარდასულ წელთა ამბავის“ დედანში ჩართულია ადგილები ბიზანტიური საისტორიო თხზულებებიდან. ზოგერთი ამ თხზულებათაგანი ქართულად თარგმნილია ძველადვე (მაგალითად, ვიორჯი ამარტოლის „ხრონოგრაფი“ არსენ იუალითოვსკი თარგმნა). თ. ბუაჩიძემ ქართულ ტექსტში ასეთი ადგილები ძველი თარგმანიდან მოიტანა. ამით „ამბავის“ ავტორისეულსა და ციტატების ტექსტებს შორის სტილური დიფერენცირება შეიტანა. ამითაც ქართულ მკითხველს რუსული მატარების ერთ-ერთი სტილური თავისებურება აგრძნობინა. საქმე ისაა, რომ თვით დედანში ამგვარივე სტილური სხვადასხვაობაა: ძირითადი ტექსტი გამართულია ძველი რუსული სალიტერატურო ენით, ბიზანტიური საისტორიო თხზულებების ფრაგმენტები კი — ძველსავეური საეკლესიო ენით. ასე რომ, მთარგმნელმა შექმნა შესაძლებლობა რუსული მატარების ლიტერატურულ-სტილური მრავალწახანაოვნება ეგრძნობინებინა. ამითაც რე ჩვენს ყურადღებას კვლავ მიაპყრობს ძველი ქართული მწერლობისადმი. ცხადია, ძველი ქართული ენა სრულიადაც არ ვანსხვავდება ევრერივად თვით თანამედროვე ქართულისაგან (ფაქტიურად ესაა ერთი მთლიანობა), არც ძველი ქართული საეკლესიო ენა არსებულა, ვითარცა გამოცალკევებული რაობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სხვა რამ. ძველი ქართული მწერლობის არაერთი ძეგლში (რომ აღარაფერი ვთქვათ თარგმანებზე) ხშირად მოგვეპოვება ენობრივ-სტილური ბერძნობები. ეს მოვლენა გრამატიკული თვალსაზრისით ხშირად ყოფილა ყურადღებული, მაგრამ იგი არაა შესწავლილი სტილისტური თვალსაზრისით. ამიტომ შეიძლება შეიქმნას ილუზია, რომ ყველაფერი, რაც ძველქართულია, ქართული ენის ბუნების ქვეშარბიტი გამოხატულებაა. ამგვარ პოზიციას ხელს უწყობს სიძველისადმი ნოზოა-პატივის გრძნობა. ცხადია, თანამედროვე მხატვრული ენის დამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროა ძველი ლიტერატურის ენა, მაგრამ არც იმის განურ-

ჩვეულება გვემართებს, თუ რაა ძველი ქვეშა-
რები ქართული. ამას გვეაღებს ბიზანტიური
ცივილიზაციის დიდი გავლენის გათვალისწინე-
ბა, რომელიც ქართულ კულტურაშიც ისევე
აღინიშნება, როგორც ძველ რუსულ მწერლო-
ბაში. ვფიქრობთ, ყოველივე ეს კარგადაა გა-
თვალისწინებული ამ წიგნში.

რამდენიმე კერძობითი ხასიათის შენიშვნა:
ცხადია, რომ ფრანზა — „დასკვნა გაეკეთებინა“
(გვ. 13) რუსულის კალკია. ეგვეთ გვეთქმის
ფრანგულზე: (თარგმნისას) „ძალდატანებითი მან-
იპულაციები არ გვემართება“; (გვ. 70);
„რუსული სახელით ვლადიმერით წოდებული“
(გვ. 241); „ცხოვრობდნენ გეარებში“ კი არა,
არამედ — „ცხოვრობდნენ გეარებულ“ (გვ. 79);
ასევე: „ბერების დასს“ (გვ. 189) აქვთებდა „ბე-
რების კრებული“ ან ქმობა. („დასს“ ძველ ქარ-
თულში ანგვლოზეზე იქმის, ახალში — პო-
ლიტიკურ დაჭუფებებზე. აქ კი ჩვეულებრივ
ბერთა ჯგუფს გულისხმობს: ბერთა ჯგუფს კი
ბერთა „კრებული“ ან „ქმობა“ ჭეია; შესაბამი-
სად: „მომბის წერებმა“ და არა — „დასის
წერებმა“ (გვ. 209); შდრ.: „დასს მართავდა“.
(გვ. 226); „მოხიერებას“ 229-ე გვერდის კონ-
ტექსტში „მოხილვება“ ჯობდა. „იღუმენს“ (გვ.
188, 189) „წინამძღვარნი“ უნდა შენაცვლებო-
და. ქართული გარდათქმით კიევის მღვიმეთა
ლაერის დამაარსებელი ანტონი უფალს მიმარ-
თავდა: „დამამკვიდრო ადგილსა ამას“ და არა —
„მომაწყებო ადგილსა ამას“ (გვ. 187).

აი, ერთი მაგალითი იმისა, რომ საერთოდ
შვენიერი ქართულით შესრულებულ თარგმან-
ში თუ როგორ მკეთებდა ზღვება თვალს თუნ-
დაც უმნიშვნელო ხარვეზებიც კი: „მღვიმეთა
იღუმენი თოდოსი გარდაიცივლა. მისი აღსრუ-
ლები შესახებ მოკლედ ვიამბობთ. თოდოსის
ამგვარი ჩვეულება ჰქონდა: მარბვის დაღვამი-
სას, ყველიერის კვირის საღამო ხანს, რადე-
საც ჩვეულებრივ დასს ემშვიდობებოდა ხოლ-
მე, დაარიგებდა მას, თუ დღემარხვა დღიურ
და დამეულ ლოცვებში როგორ გაეტარებინათ,
ბილწ ზრახვათაგან და ეშმაკთა შეჩენისაგან თა-
ვი როგორ დაეცათ. „ეშმაკნი, — ამბობდა
იგი, — ბერებს მაცდურ ზრახვებსა და სურვი-
ლებს აუშლიან, წარმოსახვას უცხოველებენ და
ამით მათს ლოცვას იზიარებენ (?). ამგვარ ფიქ-
რთაგან პირჯვრის წერით უნდა დაეცეთ თა-
ვი“ (გვ. 207).

მთარგმნელს ღდენის „ფილოსოფოსი“ უც-
ვლად ვაღმოაქვს. აქ ვასათვალისწინებელია,
რომ ტექსტში უმეტესწილად „ფილოსოფოსი“
შეიკავს არა ღდენისაგან ვაგებებს, არამედ სა-
ზოგადოდ „ბრძენს“, „მცოდნეს“ გულისხმობს.
ვფიქრობთ, მთარგმნელს სწორედ ამ სიტყვებით
უნდა შეეცვალა იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში
ფრანგიდან ღდენისაგან მკითხველს აღარ ეძლე-
ვს აზრი, რისი თქმაც ავტოსს სურდა. ამიტომ
უხერხულადაც კი ქვებს — „დახელოვნებული

ფილოსოფოსი“ (გვ. 90) და მისთანანი. ძველი ფი-
ლოზოფი, როცა ამგვარ ბერძნული წარმომავლ-
ობის სიტყვას ხმარობენ, მას ტვირთავენ
შინაარსით, რომელიც ამგვარი სიტყვის ეტიმო-
ლოგიაში ღდეს. ე. ი. „ფილოსოფოსი“ საზოგა-
დოდ „სინბრძენის მოყვარულ“ ესმით და არა იმ
ვიწრო შინაარსით, ღდეს რომ ვგულისხმობთ.
მ. ნ. ტიხომიროვი სპეციალურ ნარკვევით
„Философия в древней Руси“ (იხ. კვეთაი:
«Что понималось в древней Руси под сло-
вом «философий» წერდა: «Слово «филосо-
фия» появляется в письменности Киевской
Руси очень рано, уже в XI в. Оно заимство-
вано из греческого языка и первоначально
обозначало, вообще говоря, науки» (გვ. 104).
ამიტომ ის შინაარსი, რაც ქართულში ვაღმოც-
ვულია შესიტყვებით — „დახელოვნებული ფი-
ლოსოფოსი“ ღდენში გულისხმობს „გაწაფულ
„მცენიერს“, მცოდნეს. იყო სხვაგვარი შენიშვნე-
ვაც: „კონსტანტინეპოლის“ ეტიმოლოგიური ში-
ნაარსი რუსულში „გაიშვიტებოდა“ „ცარგრა-
დად“, ძველ ქართულში „სამეფო (ანდა, სამეფ-
ო) ქალაქად“; ამიტომ ხომ არ ავობებდა
ღდენის „ცარგრადს“ თარგმანში — „სამეფო
ქალაქი“ შენაცვლებოდა? (თანაც ასეა ათონელ-
თა „ცხოვრებებში“, სხვა ქართულ წყაროებშიაც
ეგეთი ფორმა ვგვხვდება. ე. ი. როცა სლავები
ხმარობდნენ „ცარგრად“ ფორმას, იმავდროინ-
დელი ქართველები მის ნაცვლად „სამეფო ქა-
ლაქს“ იყენებდნენ. ხომ არ დაგვეცვა ეს ქართუ-
ლი სიტყვახმარება?)

ერთ-ერთი სიმძლეთაგანი, რომელიც მთარგ-
მნელს წინ ზღვებოდა, საკუთარ სახელთა ვაღ-
მოტანა იყო. ვფიქრობთ, რომ ეს არსებითად
რიგინანდა დაძლეული.

ჩვენის ფიქრით, ამ თვალსაზრისით თ. ბუა-
ჩიძის თარგმანს თავისებური მნიშვნელობა ენი-
ჭება, რომელიც სცილდება საკუთრივ მის მიერ
თარგმნილი ნაწარმოების ფარგლებს. ახლა ხომ
ღდენის ლიტერატურა ითარგმნება ქართულ-
ლად. თარგმნისა სულ სხვადასხვა ენებიდან, მი-
უხედავად ამისა, კლასიკური წარულის ცნება-
თა, ბიბლიურ ტერმინთა და საკუთარ სახელთა
ვაღმოტანა უმეტესწილად რუსულის მიხედ-
ვით ხდება. ხოლო ასეთ შემთხვევაში თუ რო-
გორ უნდა შეესაბამებოდეს რუსულს ქართული,
ამის ნიმუშები მრავალადა წარმოდგენილი თენ-
გის ბუაჩიძის თარგმანში. თქმევა თარგმანში
ზოგიერთი რამ შეიძლება დასაზუსტებელი იყოს.
მაგალითად:

„ფუვადია“ (გვ. 75) თუ „ფუვადია“? „გადი-
რი“ (გვ. 75, 373) თუ „ლაღირა“? (შდრ.:
„...თანა შეეტყუებთ იგი ზღუესა მას, რომელ
არს გარევეან ლაღირასა“ (ბასილი კესარიელი,

რამაზს სირამა

მამონათღვრილობა და მხატვრობა
ლიბრატორია

„ექუსთა დღეთათვის“). (საერთოდ, კარგი იქნებოდა, რომ საძიებელში მითითებულიყო, თუ რა გეოგრაფიულ პუნქტებს გულისხმობს ესენი). „ეგვიპტის“ ახალი ფორმით მოტანა ჯობდა (თარგმანშია — „ეფთვიმე“. გვ. 209); „ლოგოთეტისა“ (გვ. 296, 371) კი — ძველით: „სიამონ ლოლოტეტი“. იმიტომ რომ „ეფთვიმე“ თანამედროვე მკითხველისათვის სრულიად უცხო ფორმაა, „ლოგოთეტ“ კიდე — რუსულსკენ გვეწვება. (ეფთვიმე მცირემ ამ პიროვნების შესახებ სპეციალური შრომა დაწერა, რომლის სათაურში სწორედ „ლოლოტეტი“ იკითხება. ასე რომ, აქ ის ვითარება როდია, როცა ვვიან, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსულ „გ“-ს რომ ქართულში არასწორად უნაცვლებდნენ „ღ“-ს). ასევე ტრადიციული ფორმით უნდა ყოფილიყო ზაბილონი, ნაცვლად „ზაბულონისა“ — (გვ. 142). წმინდა ნინოს მამას ხომ ზაბილონი (ზაბილონი) ერქვა (ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I); „გეონა“ (გვ. 75) არაა ქართული ფორმა, ქართულია — გეონი. არც „სელუნია“ ქართული, უნდა ყოფილიყო — სოლუნი, მაგ; დიმიტრი სოლუნელია (მისი ცხოვრება ქართულ-შოთა გვაქვს: გელათის ხელნაწერში, 4 (გვ. 593—602), S — 384 (477—488) და სხვ.)

მკვლევარი თვითონ აღნიშნავს, რომ თარგმანში ცალკეულ შემთხვევაში მის მიერ მოწოდებული არჩევანი თვით მასვე არ მიაჩნია სავსებით სრულყოფილ ფორმად. არის შემთხვევები, როცა მეტად ძნელდება (რომ არა ვთქვათ — შეუძლებელია) ქართული შესატყვისების მოხმობა. აი თუნდაც ერთი შეხედვით „უმტკივნეული“ ფაქტი. სიტყვა „КНИГНИЯ“-ს შესატყვისის მოტანა ერთზე ჰქირს, თანაც არც მისი პირდაპირ გადმოტანა ვარა. ასევე, როგორც თ. ბუაჩიძე წერს, „Свод“-ის „Летописные своды“ შესატყვისად „ქრებულზე უკეთესი არ იპოვება, თუმცა „ქრებულ“ ჩვენში სხვა ასოციაციებს იწვევს (გვ. 9). ე. ი. თარგმანისას არსებობს სიმკვლეები, რომლებიც საერთოდ ვერ დაიძლევა. მაგრამ ეგეთი წინააღმდეგობა მთარგმნელს, ცხადია, არ უნდა მიეწეროს, იგი იხსნება ზოგადი კანონით: არ არსებობს ენათა აბსოლუტური ურთიერთშეფარდებულობა — არ შეიძლება ერთი ენისას ყველაფერს დაეძგნოს ტოლფარდი მეორე ენაში.

როცა ძველი საქართველოს ყოფა „ქართლის ცხოვრებაში“ ფერმკრთალად ჩანს, მას ავსებენ ბერძნული და სომხური, არაბული და სპარსული მტკიანეების ცნობებით. ასევე გუშვლის ჩვენ გარდასულ წელთა ამბავიც. ამ შეიძლება ითქვას, მაშინაც კი, როცა იგი უშუალოდ საქართველოს სრულიადაც არ ეხება.

აი, ერთი მაგალითი: როგორც ცნობილია, საქრისტიანო მსოფლიოში გავრცელებულ ერთ-ერთ ე. წ. ტრილინგვისტური თეორია, რომლის მიხედვით, მწერლობა შესაძლებელია განვითარდეს მხოლოდ სამ ენაზე: ბერძნულზე, ლათინურსა და ებრაულზე. ამ თეორიას იცნობდა სლავიანური ქვეყნები, მაგ. ბულგარული მწერლობის წარმომადგენლები (იხ. რ. სირაძე, ძველბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, „მნათობი“, 1972, № 10). იცნობდა მას „გარდასულ წელთა ამბავიც“; „სლავთა ქვეყანას მისვლისთანავე იწყეს ძიებმა (კირილემ და მეთოდემ რ. ს.) სლავური ანბანის შექმნა და თარგმნეს სამოციქულო და სახარება. და გაიხარეს სლავებმა, რა მოისმინეს ღვთის დიდება მშობლიურ ენაზე. ხოლო შემდეგ მათ თარგმნეს ფსალმუნნი, ექტოიხისი და სხვა წიგნებიც. და ამხედრდნენ მათ წინააღმდეგ ვიღაც ადამიანები, რომლებიც საყვედურობდნენ და ამბობდნენ, „არც ერთ სხვა ხალხს არ უნდა ჰქონდეს ანბანი, გარდა ებრაელთა, ბერძენთა და ლათინთა, რადგან წარწერა პილატესი, უფლის ჭეარს რომ დააწერეს, მხოლოდ სამ ენაზე იყო“. შეიტყო რა ეს რომის პაპმა, ამგვარი სიტყვებით დაგმო ისინი...“ (გვ. 91). მაშასადამე, ამ თეორიას იცნობდა ბულგარული და ძველრუსული მწერლობა. ეს კი გავფიქრებინებს, რომ მას იცნობდა ძველი საქართველოც, თუმცა ის „ქართლის ცხოვრებაში“ არა ჩანს. საერთო მომენტებიც კვლავაც შეიძლება აღინიშნოს. „გარდასულ წელთა ამბავში“ არაა თქმული, რომ როცა სლავებს ანბანი შემოღებეს უკრძალავდნენ „ტრილინგვისტური თეორიის“ მიხედვით, კონსტანტინე (კირილე) განმანათლებელმა ქართული მწერლობა დაასახელა მათ შორის, რომლებს „სამ წმინდა ენას“ არ განეკუთვნებოდა, მაგრამ მწერლობა გააჩნდათ. ამას ჩვენ ეგებთ კირილეს ბულგარული ცხოვრებიდან (იხ. „მნათობი“, 1972, X). ზემომოყვანილ ადგილას ისიც თქმულა, რომ ბიბლიური წიგნებიდან სლავურად უპირველესად სამი: სახარება, ფსალმუნი და სამოციქულო გადაიღეს, სწორედ ეგვევ წიგნებს იცნობს ბიბლიიდან „შუშანიის წამება“. ცხადი ხდება, რომ აღმოსავლეთ საქრისტიანო მწერლობაში ბიბლიიდან ამ წიგნებს ენიჭებოდათ ყველაზე დიდი მნიშვნელობა. ანალოგია იმაშიცაა, რომ სლავებმა, ისევე როგორც ქართველებმა, არ ირწმუნეს „ტრილინგვისტური თეორია“, პაპიც ეთანხმებოდა სლავებს, ე. ი. მათ იმის ნებას როთავდ, რასაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს დიდხანს უკრძალავდნენ.

თ. ბუაჩიძე აღნიშნავს: „ნესტორი პირველ ნორმანისტად მოგვევლინა რუსეთის ისტორიაში. იგი ამტკიცებს მთავართა გვარის (თვით სახელწოდება „რუსის“) ნორმანულ წარმომავლობას. რით ავსნებს ფაქტს, რომ მეტატიანე, რომელიც ასე თანმიმდევრულად ესწრაფვოდა და-



ესაბუთებინა რუსი ხალხის დიდი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიულ პროცესში, ცდილობდა სახელწოდება რუსი და მთავართა საგვარეულო ზღვის გაღმედან — ვარიანთვან გამოეყვანა? (გვ. 49).

ასევე ძველადსახსენელია და თავისი „ქონტექსტით“ საკმაოდ მიაგავს ამ თეორიას ლეონტი მროველის გასაზრება ქართველი ეთნოგენეზისისა. მართლაცდა ძველდგასაგებია ლეონტის, საზოგადოდ ქართული ეროვნული სულისკეთებითი გამსჭვალული პიროვნების, ნიპილოზში ეთნოგენეზის საკითხში. თანაც იმ ეპოქაში (XI ს-ის II ნახ.), როცა ეროვნული იდეოლოგია მკვეთრად ჩამოყალიბებულია. ასეთი შინაგან წინააღმდეგობებს უკვე თითქოსდა ბუნებრივად ვრაცხთ, რაკილა ანალოგიებს სხვა ისტორიებშიც ვპოულობთ, კერძოდ, „გარდასულ წელთა ამბავში“.

„გარდასულ წელთა ამბავის“ შესავალში მოცემულია ხალხთა ეთნოგენეზისის ბიბლიური თვალსაზრისის განვითარება, რომელიც, თავის მხრივ, უნდა დავუკავშიროთ ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ცნობილ ტრაქტატს „Liber generationis“. რუსულ მატრიანში საკითხი რამდენადმე შეცვლილია. ნოს, ქამისა და იაფეტის შთამომავლებზე კი არაა ლაპარაკი, როგორც თუ ჩვეულებრივ გვხვდება, არამედ იმაზე — ეს რომელი ქვეყნები წილხდა ამ ქმებს. ჩანს, ავტორი ამ ორ რაიმეს თითქმის აიგივებდა. იაფეტის წილხდომილთა შორის ნახსენებია „ქოლხისი“, მომდევნოდ „სკვიითა“, „სლავები“, შემდეგ საყუთრივ „რუსნი“. ეს ნიშნავს, რომ მატრიანის ავტორს ერთ ეთნოგენეზისტურ ოჯახში შეჰყავს „ქოლხისის“ ხალხი და რუსები, მათ კი „იაფეტებიდა“ თვლის. ძველ ბულგარულ წყაროებშიაც იაფეტებიდად ითვლებიან სლავები. რუსული მატრიანის გაზარბაც იქედან მოდის. გავისყნებთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ ქართველთა ეპონიმს — თარგამოსს იაფეტის შთამომავლად მიიჩნევს. საყუთრადღებთა, რომ „გარდასულ წელთა ამბავი“ არ ახსენებს „ივერიებს“. ცხადია, ხსენებული „ქოლხისის“ ამ მოთხრობის მთელ საქართველოს, არც არასდროს უხმარიათ ეს სიტყვა ასეთი ზოგადი გავებით. ზოგადი შინაარსით სლავურ წყაროებში ამ დროისათვის უკვე ცნობილი იყო „ივერი“. (რ. სირაძე, „ესპანეთის ქართველთა“ უძველესი მოხსენება ქართულ მწერლობაში და მისი მნიშვნელობა, „მნათობი“, 1969, № 9). მით უფრო მოულოდნელია „ივერთა“ მოუხსენებლობა „გარდასულ წელთა მატრიანში“. თანაც, როგორც ითქვა, აშკარაა რომ რუსი ეამთაღმწერელი იცნობს ქართულ კულტურას.

ჯერ კიდევ კირონი აქცევდა ყურადღებას, რომ კიეველთა დნებრში მონათვლა მცხეთელთა მტკვარში მონათვლის მსგავსიყო, ასევე მთავარ ვლადიმერის დროებით დაბრძალების ეპიზოდს უღარებდა მირიან მეფის მხედველთა

ბის დაკარგვის ამბავს მხოთის მთაზე. თუმცა კირონს ამ ანალოგიებიდან ის დასკვნა გვიტყობს, რომ „გარდასულ წელთა ამბავის“ წყარო „ქართლის ცხოვრებაა“.

თ. ბუჩაძე აღნიშნავს: „სამწუხაროდ, კირონის მსჯელობა სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს და, ბუნებრივია, ვერაფერს მიხანს ვერ აღწევს. მცდარია აგრეთვე კირონის საბოლოო კატეგორიული დასკვნა, რომ „ქართლის ცხოვრებასთან“ რუსული მატრიანის შედარებით მან „საბოლოოდ გადაურა „გარდასულ წელთა ამბავის“ პირველწყაროთა საკითხი“ (გვ. 64). ცხადია, კირონის ასეთი პოზიცია მიუღებელია, ოღონდ მაინც ასახსენელია ამ ორ მატრიანს შორის არსებული სრულიად რელიგიური მრავალი საერთო მომენტის არსებობა. აიხსენება თუ არა ყველაფერი ბიზანტიურ საისტორიო მწერლობასთან კავშირით?

ზოგადი თვალსაზრისით, მსგავსებათა ერთი მაგალითია მარტილობათა ჩართვა მატრიანში (აქ კლავ გავისყნებთ ეამთაღმწერლობისა და ბელტრისტიკის იმდროინდელ ურთიერთსიახლოვეს). ასევე საერთო ქრისტიანული საფუძველი აქვს ზოგიერთ მსგავსებას თუნდაც ისინი ეპიზოდთა დეტალებსაც კი შეეხებოდეს. „გარდასულ წელთა ამბავში“ გკითხულობთ: „როდესაც ძელს შემოჰკრეს, მათ შენიშნეს, სამი სვეტი, ვითარცა მანათობელი რკალა, ამოძრავდა და იმ ეკლესიის თაზე დადგა, სადაც შემდეგ თეოლოგი დაასვენეს“ (გვ. 225). სხვადასხვა მხრივ, ეს მიაგავს „აბო ტფილელის წამებისა“ და „ნინოს ცხოვრების“ „სვეტი ცხოველთან“ დაკავშირებულ ეპიზოდებს. მთავარია, რომ ასეთი ეპიზოდები ძველებს ერთმანეთს ანათესავენს სლავურ მატრიანში აზროვნების თვალსაზრისით. მსოფლმხედველობრივი საერთო საფუძველებიდან მომდინარე საერთო მოტივები, ცხადია, გაცილებით ბევრია: იქნება ეს ბიბლიურ ეპონიმებთან ეროვნული ისტორიის დაკავშირების პრინციპი, თუ ესქატოლოგიური მოტივები, ვითარცა ერთ-ერთი წამყვანი კონცეფცია შუა საუკუნეების ისტორიის ფილოსოფიაში.

ორითვე სიტყვა სწორედ ისტორიის ფილოსოფიაზე. „გარდასულ წელთა ამბავი“, როგორც ეამთაღმწერლობა და ლიტერატურული ძეგლი, მრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ მასში სუსტია ეამთაღმწერლობის ერთი მნიშვნელოვანი მხარე — ფილოსოფია ისტორიისა. თუ რატომ არ განვითარდა ეს დარგი, ამისი საბოლოო გარკვევა ახლა ძნელია. შეგვიძლია მხოლოდ გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ: საქართველო და რუსეთი არსებითად მედიევ-

რემაზ სირაძე
 შამთაღმწერლობა და მხატვრული
 ლიტერატურა



ლური კულტურის ქვეყნებია. მათი ეროვნულ-კულტურული რაობა ძირითადად საშუალო საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ყოველ შემთხვევაში, ახალი დროისათვის უმნიშვნელოვანესი ტრადიციები შუა საუკუნეებიდან მოდის, ეროვნული კულტურულ-ისტორიული ტენდენციებიც ამ დროს გამოიკვეთა. მოსალოდნელი იყო მათი გაცნობიერებაც, თეორიული გააზრება და ეროვნულ „ისტორიასოფიად“ ვარდაქცევა. მაგრამ ძველ საქართველოში ეროვნული კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გააზრება უპირობოდ და ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ქამთაღმწერლობაში კი არა, არამედ მხატვრული ლიტერატურის სფეროში ხდება. თვით ქამთაღმწერლობაში შესული მოსაზრებანი უფრო „მხატვრული აზრია“, ვიდრე თეორიულ-ისტორიოგრაფიული (საზოგადოდ, წმინდა საისტორიო მწერლობაც პირველ პერიოდში არ ჩანს ისე წარმატებული, როგორც საკუთრივ მხატვრული ლიტერატურა). მაგრამ მართო მწერლობის ტრადიციებით ვერ აიხსნება ისტორიის ფილოსოფიის წარუმატებლობა.

ქართველი ერის ისტორიული ცხოვრება ძნელბედითი ანთმალიებით იყო აღესილი ისევე, როგორც შესაუქუნებლად რუსეთისა. ალბათ სწორედ ირან ვაართულა კანონზომიერებათა ძიება, რომ ძალიან ზშირი იყო კანონზომიერების დარღვევა. რა კანონზომიერება უნდა ექნებნათ ისტორიაში, როცა ასე ბარბაროსულად დაიმსხვრა რუსთველის ეპოქის დიდი ქართული ცივილიზაცია. მადლობა ღმერთს, ქართული აზროვნება არასდროს მისულა იმ დასკვნამდე, რომ ისტორიას საზოგადოდ ასეთი ბარბაროსობა წარმართავსო. ის ყოველთვის ინარჩუნებდა მალალ ჰუმანიზმს. როცა ჰუმანიზმს ისტორიის მსვლელობაში არ ეძლეოდა დადასტურება, იგი ამჯობინებდა მისტიკურ-ესქატოლოგიურ თვალსაზრისს შერანქილიყო: ღვთის ნებათა ყოველივე. მაგრამ ვისაც ღვთის ნებისა სწამდა, უნდა ერწმუნა ადამიანური ნებაც, და ქართული „ისტორიოსოფიის“ წინაშე დაისმოდა საკითხი: რაოდენ მიჰყვება ისტორია ადამიანის ნებას? რატომ არ ხდება ის, რაც გონიერულია? რატომ უჭირს საზოგადოებას გააკეთოს ის, რისი ჰუმანიტეტებაც ყველასთვის ნათელია? აი, ამ კითხვებზე ფაქტურად ქართულმა ისტორიის ფილოსოფიამ პასუხი ვერ მოახა, იგი იძულებული იყო ირაიონალური ფაქტორები მოეშველებინა. თუ საკითხს გავყვებით, გამოირკვევა, რომ ისტორიის ფილო-

სოფია ჩვენში ილია ჰვეკავიდიან იწყება. ვფიქრობთ, ასეთი დავიანება ზემოთქმულიდან დასაგებიც იქნება. დასავლეთ ევროპის ერთა ისტორია შუა საუკუნეებში გაცილებით „ლოგიკურია, ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ იქ შემუშავებულიყო აზრი: რაც ნამდვილია, გონიერულიაო და გონიერული შეიძლება სინამდვილედ იქცესო. ჩვენში გაცილებით იშვიათად ჩანდა რეალობაში „ჰეგელისეული — გონიერული“. ამიტომაც „ქართლის ცხოვრების“ ავტორები ძალიან ზშირად ისტორიის საზრისს ლეგენდებში უფრო ნახულობენ, ვიდრე რეალობაში. (მსგავს ტენდენციებს არიშვიათად ავლენს „გაბრდასულ წელთა ამბავიც“).

რატომაც, რომ კერძობითი მნიშვნელობის ფაქტები ღიღის სიხუსტითაა აღწერილი, მაშინ როცა ერის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები ღვეგენდებშია გარდასახული? რატომაც, რომ ვინმე დიდებულის თავგადასავალი ან ერთი რთვლიმე ბერის ცხოვრების ამბები ზშირად ღიღის სიხუსტითაა მოთხრობილი, ხოლო ისეთი საეტპაო მოვლენები, როგორიცაა: ახალი რელიგიის მიღება, დედაქალაქის დაარსება, პირველი სახელმწიფოების შექმნა ამჯობინეს ლეგენდად შემორჩენილიყო? იქნებ იმიტომაც, რომ რაც უფრო მეტი აზრის შემცველი ფაქტი, უფრო მეტი მისწრაფვის განსახიფებისა? ან არადა, იქნებ აქაც ის ზოგადი კანონზომიერება მოქმედებს, სხვაგვარი ფაქტებიდანაც რომ გამოსჰვივის: ისტორია იფიწყებს არაერთ კონკრეტულ სახელს ყოველად წარჩინებული მამულიშვილებისა და მათ იდეალებს იმასსეირებს, ვთქვათ, ტარიელისა და ავთანდილის და სხვა მრავალ გამოგონილ გმირთა მხატვრული სახეებით. მაგრამ რატომ მიჰყვება ამ გზას ქამთაღმწერლობაც? ზოგადი პრობლემების მოაზრებისას ქამთაღმწერლობა რატომ ამჯობინებს, რომ მხატვრული ლიტერატურის ფორმებს მიმართოს? რატომ თვლის, რომ რეალური ფაქტები ნაკლებ საშუალებას ქმნიან ზოგადი კანონზომიერების გამოსატანად?

ამ საკითხების გასააზრებლად მრავალმხრივ უნდა იქნეს დაიბრისობებული ძველი ქართული ქამთაღმწერლობა და მხატვრული ლიტერატურა, ამასთანავე ქართულ ლიტერატურასთან ტიპოლოგიურად ახლომდებარე მწერლობანი: ბიზანტიური, სომხური, სლავური. საკუთრივ რუსული ქამთაღმწერლობიდან ეს უპირველესად შეეხება სწორედ „გაბრდასულ წელთა ამბავს“.

„ქართლის სხოვრებაის ქრონიკები მოთხრობილი ჰახანგ ჰელიძის მიერ“

წიგნი ასე არ იწყება:

... ორ ზღვას შუა, შეხებებით და შიშველ ხანწლებებით ამართული მთების, ნარინჯებისა და თურინჯების, ლომ-კაცებისა და ვეფხვ-კაცების, გრძელი ყანწების, დაუდგარი ნაკადულების, გმირებისა და გენიოსების ერთი ქვეყანა და მას საჭარბელო ჰქვია...

3. პინე ამბობდა: „წინაპართა დამსახურების გაზვიადება საკუთარი სისუსტის დაფარვის ცდაა“...

ღიას, წიგნი არ იწყება შაბლონით. ახლა ძნელია გამოკვლევა და გამოჩვენება — ვის დასჭირდა შეექმნა სამშობლოს, მშობლიური ისტორიის, მშობლიური ხალხის ბუტაფორული ყვავილები. ასე რატომ გაუტკმა ზოგს მწარე სიმღერა: — ოძინე, გმირი და სწორუპოვარი ხალხის შვილო, შენისთანა არაინაა დედამიწის ზურგზე ჭერჭერობით და არც მომავალში მოგელის საფრთხე...

ან როდიდან იქცა სახელად ხუთასკაციანი სულრა-ქალაქები — „ქუჩებით“ და მიკროფონებით და თამაღის ტრაბახი. ღიას, ჩვენ ბუტაფორული ყვავილებით ავასეთ ჩვენი გარემო. შარშან ერთი ლიტველი ახალგაზრდა პოეტი გვეწვია სტუმრად. ის არ იყო იმისთვის ჩამოსული, რომ ღვინით გაბრუნებულიყო და მერე წასვლით დაესრულებინა ფერადი სიზმარი. ის გვეყვდა მცხეთაში, ფასანურში, კახეთში. მისთვის და ჩვენთვის ზეიმი იყო ამ ულამაზეს გზებზე სიარული (მერე ლექსების ციკლიც დაბეჭდა იმ დღეებიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებებით...). ერთ-ერთი საუბრისას, ისე რომ სტუმრის ტაქტი არ დაურღვევია, გულის ტკივილით თქვა: თქვენს ხალხში წიგ-

ნი არ ჩანსო. მანქანებში, მეტროში, ბაღებში წიგნი ძალიან ცოტააო. სამწუხაროდ, ის მართალი იყო...

— იქნებ ქართული მწერლობაც სცოდავს? — ღიას.

ზემოაღნიშნული ბუტაფორული ყვავილები ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაშიც აყვავდა. გადაშლეთ ქართული პოეტების ერთი ნაწილის ლექსთა კრებულები: „შენი ქირიმე სამშობლოვ, შენი მაღალი მთებისა“. „იქით რაჭა პურადი, აქეთ კახეთი გულადი“, „მზე არის ზევით ცხრათვალა, ქვევით აჭარის მთებია, ეს მესხეთ-ჭავჭავთია სტუმარს რომ ღვინით ხვდებთან“. ახლა ბრძაც ხვდავს, რომ შეიქმნა ტიპური შტამი: ზევით ცხრათვალა მზეა, ქვევით ქართლ-კახეთი, გურია-სამეგრელო, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გულამაყარი, მესხეთ-ჭავჭავთი..., ისმის დოღ-გარმონის ხმა, ცეკვავენ ჩოხიანი ვაჟკაცები და ტანწერწერტა მზეთუნახავები და მე — ქართველი პოეტი — მზად ვარ, თუკი ვინმე მამულს ამ ცხრათვალა მზეს დაუბნელებს, დოღ-გარმონს გაუჩერებს, ავილო ვახტანგს, ან ერეკლეს მახვილი. — ასეთი გახლავთ შტამი. ყველაზე საჭარო კი ისაა, რომ შტამს მეორე მხარეზე ზოგჯერ დიდი ასობით აწერენ: „ქართული პატრიოტული ლირიკა“ ან უფრო ცოტა მეტი ლირიზმით: „მამულის სიყვარული ქართულ პოეზიაში“. ცნობილი რუსი პოეტი ს. მარშაკი თავის ლიტერატურულ წერილებში ხმარობს ტერმინს: „მუშა ლექსები“. ზემოთ მოყვანილი სტრიქონები და, საერთოდ, ასეთი სტრიქონები (რომელიც ჩვენს პოეზიაში ტონობით დაგროვდა), არადღარ არ აკეთებენ. ესთეტიკას აქვს თავისი



აუცილებელი პრინციპები. ეს პრინციპები რომ დაეცვათ ეს უზარმაზარი მოცულობის „პატრიოტული ლირიკა“ ჯერ არ დაიწერებოდა, ან თუ დაიწერებოდა არ დაბეჭდებოდა მაინც, დაბეჭდილს მაინც უნდა კლასიფიკაცია, დაბეჭდილს მაინც უნდა დაერქვას თავისი სახელი და არა „ქართული პატრიოტული ლირიკა“.

ამ მხრივ აშკარად უკეთესობაა პროზაში, მაგრამ იქაც გაივლებს ხოლმე მეტრისმეტად ზოგადი, აღამაინურ თვისებებს, მიწასა და სორის მოწყვეტილი, „მსუყვე ქართულით“ შექმნილი რაინდი, რომელიც ვერ ახერხებს საუბარს დღევანდელ ქართველთან.

„მუშია ლიტერატურა“ კი ძალიან გვიჭირდება, ძალიან გვიჭირდება ასეთი ლექსები: „ღღეს შენ ხარ და ღღეს შენი ბრალო მს რაც მოუვა, კარგიც და ცუდიც, არ დაგავიწყდეს მე გთხოვ ძალიან, არ დაგავიწყდეს არც ერთი წუთით“... (ო. ჭილაძე).

დღევანდელმა ქართველმა ზუსტად უნდა იცოდეს თავისი სამშობლო. უნდა იცოდეს მამულის ისტორია, მამულის კულტურა ისეთი როგორც ისაა. საქართველოს ისტორია და ქართველი ერი თამაშების და უხეირო მწერლების მიერ დახატულ, ათჯერ გადიდებულ და გაფუყულ ისტორიაზე ბევრად დიდი და ლამაზია.

ეს უბრალო სიდიადე, სილამაზე, სიკეთე უნდა იგრძნოს მკითხველმა. მთელი არსებით იგრძნოს ვალი, რომელიც მამულიშვილს აწევს მხრებზე, გააჩნოს სამშობლოს გზები, რომლებიც მომავლისკენ მიდიან. ამ ვალს ვერ შეცვლის ლაყბობა ჩვენი ხელოვნების „თვალუწვედნელ მასშტაბებზე“, გამოჩენილი ქართველების „ზებუნებრივ გენიალობაზე“, „ღმერთისაგან ნაჩუქარ ელმეზე“...

განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ამ საქმეში სამეცნიერო-პოპულარულმა ლიტერატურამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას, არქიტექტურას, მხატვრობას, მხატვრულ ლიტერატურას მიეძღვნება. ასეთი ისტორიების წერის დროს ერთი წამითაც არ შეიძლება თვალი მოგწყვიტოთ მსოფლიო მასშტაბებს, რადგანაც პროვინციალიზმის და ამბიციების აუცილებელი ნიშანი ვერცო საზღვრებია.

ვახტანგ ჭილაძე თავისი წიგნის შესავალში იხსენებს იმ „სამაყო“ უკბლო ხუმრობა — ზღაპარს, ქართველები რომ სუფრას უსხდნენ, გვიან ღმერთთან რომ გამოცხადდნენ და მთელი ქვეყანა განაწილებულ დახვდათ... და ამბობს: „კი, ბატონო, მთაც ლამაზი გვაქვს და ბარიც, ნამდვილად ასეა. მაგრამ აბა, ერთი რუკას გადაავლეთ თვალი, მართლა არსად არის ასეთი ლამაზი და უხვი ადგილი ამ პლანეტაზე?...

რა ბრძანება! რამდენი გუნებათ... სულ სხვა ამბავია, რომ ყველას მარტო კეთზე, თავისი ქვეყანა უყვარს და ესეც უნდა იყოს. ყველა წესიერი ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტია. მაგრამ ეს სულღერ არ უნდა უშლიდეს ხელს, სხვისი ქვეყანაც დადასოსო და პატივი სცეს. თავისი სამშობლოს სიყვარულმა არ უნდა დააბრმავოს და სხვისი ქვეყნის აღქმაში ხელი არ შეუშალოს“.

ასე კარგად იწყება ეს წიგნი. ვინ იცის, რამდენ ისტორიკოსს, მწერალს, მეოცნებეს... უგლია ამ ბნელ დამეში... ვახტანგ ჭილაძეც იქაა. ისიც იქ დაიძებნა ქართველი ერის ფესვებს, შეკუურებს მაღალ კლდეებზე გადარჩენილ ლურსმულ წარწერებს, იველებს უცხოელი ავტორების ზღვა ლიტერატურას, დასცქერის ბაგინეთის საფლავებში ნაპოვნ ისრისპირებსა და ფიალებს... არგონაეტებს კავკასიიდან ამირანის გმინვა მოესალამ... ეს რაღაა?... რაღა მაინცდამაინც ამ კლდეებზე მიაჯაჭვა პრობლემა ბერძნულმა ფანტაზიამ... იქნებ სადმეა იმ მაღალი ცეცხლის ნაცარი... მკითხველი — მეცხრე თუ მეათეკლასელი, ტრაქტორისტი თუ მუშა... (წიგნი მათთვისაა დაწერილი), გრძნობს რომ მწერალს უჭირს. და მწერალი და მკითხველი ერთად წვალობენ ამ ბნელ დამეში...

„ეს პატარა, მცირერიცხოვანი ხალხი თითქოს ცალად მოველინა ქვეყანას, სისხლით ნათესავი არ უჩანს. სხვა ხალხებს ჰყავთ ასეთი ნათესავები, ქართველებს — არა.“

... „რა მოხდა? სად წაივინა ქართველების სისხლით ნათესავები და განაყოფები? ... ტერიტორიას, რაც ამჟამად საქართველოს უჭირავს (სხვადასხვა დროის ძველ რუკებზე) უშუალოდ ემოჭნება ხეთების სახელმწიფო, ურარტუს სახელმწიფო... ძველი დროის უდიდესი სახელმწიფოები... უძველესი და უდიდესი კულტურის ხალხები“.

იქნებ ისინი?... „თქვენ ყველას გაგიგონიათ ქართული სიტყვა „თვდაყირა“... ამ რთული სიტყვის პირველი ნაწილი — „თავი“ საესეებით გასაგებია ღღეს ჩვენთვის.“

მეორე ნაწილი „ყირა“? „ყირაც“ გასაგებია. ეს უკვე მოქმედებას გამოხატავს.

მაგრამ ამითი კი არ არის საინტერესო მეცნიერებისათვის ეს სიტყვა, არამედ იმით, რომ „ყირა“ თურმე ურარტულად „მიწასა“ რქმევია. ცთუნება დიდია ჩვენი სიტყვა „თვდაყირა“ სწორედ ურარტულ „ყირას“ დავუთავიშოთ.

...

სხვა სიტყვებით არსებობს, ურარტული სიტყვები, რომელთაც დღემდე შეუნარჩუნებიათ ქართულში ძველისძველი მნიშვნელობა“...

მწერალი საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართველი ერის წარმოშობის სხვადასხვა თეორიებს, ქართველი და სხვდარგარეთული ისტორიოგრაფიის მიღწევებს ამ სფეროში, მიაწინებს ამ გზებს, რომელზეც მომავალი საერთაშორისო თუ არქეოლოგიური კვლევა უნდა წავიდეს.

წიგნის ეს ნაწილი მარტო ცოდნის გადაცემისათვის არაა დაწერილი. აქ, ამ სტრიქონებზე დახრილ ბავშვებში მომავალ დიდ ქართველ ისტორიკოსებსაც ვხედავ. მე ნორჩი მკითხველის მღელვარე სიზმრებსაც ვხედავ: თრიალეთის თუ ანანურას მიწის ღრმა ფენებიდან მთვარესავით ამოდის წარწერებიანი უზარმაზარი ქვა და საოცარი ნათელი ეფენება ზღვაში დანთქმულ ატლანტიდას, ესპანეთის იბერიას, ეტრუსკების კულტურას, ჩვენს იბერიასა და კოლხეთს. არქეოლოგი ძირსღებს წერაქვს და მთვარის შუქში გახვეულ მამაედს ვაპყურებს...

წიგნი კი იფურცლება. ჩვენს თვალწინ მშობლიური კოლხეთია: ფაზისი, დიოსკურია. პიტიუნტი.

კოლხეთის შავი ღღე... — მწერალს მოაქვს ჩანაწერი გიორგი მელიქიშვილის წიგნიდან: „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყანაში. სამეფო ქალაქი კოლხთა მეფისა ბრძოლით დაიპყარ, მისი მოსახლეობა გადავბუგე... რაინი ბუკედი ვაგაყებინე... ქალაქები დაწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე... მე: 8100 ყრმა წამოვიყვანე, 9110 დედაკაცი გამოვრეკე, აგრეთვე 17300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირტყვი, 31600 სული — წერილფეხა“...

მაგრამ იცი, რომ კოლხა ადგება, ადგება და აიღებს მახელს თავისუფლებისას. კოლხას ისევ დიდი ღღე უნთია (ძვ. წელთაღრიცხვის VII-VIII საუკუნეები) იგი მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს, სამხრეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილსა და ვრცელ ტერიტორიას დღევანდელი საქართველოს გარეთაც.

არქონაეტები არეის ველს ზნავენ... მერე კი ცა ჩამოიღწვა და ყველაფერი მიწას მიჰხარდა.

აგერ, ჩვენს დღეებში აელვარდა ვანის დიადი კულტურა, კიდევ რამდენი ვანი — დროებით, თუ საშუალოდ დანთქმული, ელის კარის გაღებას. ამ პერიოდის ისტორიული ცნობები მწირია და მწერალი ხელის გულზე ატრიალებს თვითველ საბუთს. აი, ერთი მათგანი — ყველაზე ძველი კოლხური მონეტა ძვ. წ. VI საუკუნისაა. „ეს თავისთავად იმის უტყუა-

რი ნიშანია, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში უკვე არსებობდა კოლხეთის დიდი სახელმწიფო; ამდენად, ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღი კიდევ იქით, შორეულ დროში გადაიწევის...“

საინტერესოა ერთი ფაქტი. უძველესი მონეტა საერთოდ, ძვ. წ. მერვე-მეშვიდე საუკუნით თარიღდება. გამოდის, რომ კოლხური მონეტა ერთ-ერთი უძველესი ყოფილა ქვეყნად“.

როგორც ზემოთაც ვთქვი, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე წერა ბნელ ღამეში სიარულს უდრის. ერთმა მცდარმა ნაბიჯმა შეიძლება გრძელი გზა გაამრდოს, ავსურად დიდ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ვ. კელიძე ცდილობს ამ თემაზე დაგროვილი ისტორიული გამოკვლევებიდან, ზშირად ერთმანეთის რადიკალურად საწინააღმდეგო მოსახრებებიდან რაც შეიძლება ოპტიმალური დასკვნა შექმნას. ამისთვის კი მხოლოდ ისტორიული მასალა არაა საკმარისი. ამ შემთხვევაში საქმეს ართულებს წიგნის სპეციფიკა — იგი მონარდი თაობისთვის და, საერთოდ, მასობრივი მკითხველისთვის არის განკუთვნილი. საქირო ხდება ერთგვარი „ხილები“ ისტორიულ მოვლენებს შორის, სიცარიელებს შევსება საკუთარი ფანტაზიით, მაგრამ ეს ფანტაზიაც მეცნიერული უნდა იყოს, მას რეალური ილუსტრაციის ძალა უნდა გააჩნდეს. მწერალი ზშირად მიმართავს ამ ხერხს. მას მეორე დანიშნულება აქვს და შეიძლება სწორედ ეს მნიშვნელობა იყოს წიგნის წარმატების საწინდართავანი: მკითხველის ყურადღების დამორჩილება. აქ უკვე მწერალ-ისტორიკოსს მწერალი ცვლის.

„ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის დასაწყისია...“

ეკრანზე თანდათანობით გამოისახა საქართველოს სამხრეთი რაიონები...“

თოვლით არის დეღამიწა შემოსილი. ტყის პირს ეიწრო განაყავი გასდევს, ტყეობა, გზა უნდა იყოს. სწორედ ამ გზაზე გამოჩნდა ხალხი. გაჟაპულან და უხმოდ მოდიან. ბევრნი არიან, ბოლო არ უჩანთ, ზოგი ცხენზე ოსი, ზოგი ქვეითად მოდის, უწესრიგოდ არეულან ერთმანეთში. ოღნავ გაყინული თოვლი ვერ იმაგრებს სხეულის სიმძიმეს და თვები ეფლობა. მძიმედ სუნთქავენ და ნასუთული ჰაერს ყინვით გაკრიალებულ ჰაერში თორი ორთქლად ამოდის — შორიდან რომ შეხედავ, მთელი ეს გრძლად გაჟაპული მხედრობა ნისლმოდებული, მძიმედ მოძრავი მდინარე გვეონება.

მამუბა წიგნაღრი

„პართლის ცხოვრების ქრონიკები მოთხრობილი მახტანბ ზილიძის მიერ“



საომრად მოსული ლაშქარი არ ჩანს, მტერი ასე არ შემოესევია ქვეყანას, მაგრამ მოყვარება რომ არ ჰკავს. * სოფლებში კაცის ქაქინება არა ჩანს, ძაღლის ყუფასაც კანტიკუნტად გაიგონებთ, საკვამური მიღებიდან კვამლი არ ამოდის. ზღაპრებში რომ გაქვევებულ სოფლებში წაგივითხავთ, ისეა. გაქვევებულ-გათომილი სოფლები!

სოფლიდან გამომავალ ფართო გზაზე საოცარ სანახაობას ხედავ: მთელი სოფლის ნაფეხურები თოვლზეა აღბეჭდილი. დიდი, პატარა, სულ პაწაწინა, ცოტათი მოშკირო, კობრა, ტატყა ფეხი... ზოგი წყვილად მიმავალი, ზოგი ცალ-ცალკე... აგერ, დიდი ქალამის ნაფეხური და იქვე ხელ პატარა. მამაკაცს ბავშვისთვის ჩაუტყლიდა ხელი და მოჰყავს: დიდი ნაფეხური უფრო ღრმად წასულა თოვლში, პატარა ნაფეხური ოდნავდა აჩნია შეყინულ თოვლს“...

ეს ამონაწერი ორი მიზნით მოვიტანე აქ. ერთი რომ იგი უდავოდ მაღალ მხატვრულ დონეზეა დაწერილი და მეორეც — ეს ადგილი საინტერესო ისტორიული მასალის საკუთარი ფანტაზიით გაფართოების თვალსაზრისით, ნიშანდობლივი, იმ მხატვრული ხერხისათვის, რომელსაც ასე ფართოდ და ეფემერულად იყენებს მწერალი თავის წიგნში და მშრალი ქრონიკებიდან თუ ცნობებიდან შესანიშნავ ნოელებს ქმნის.

იმ ნოველს კი, რომელიდანაც ზემოთ მოვიტანეთ ნაწყვეტი ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობები დაედო საფუძვლად.

სოფლიდან წასული ხალხი ციხეს შეეხიზნა. ქსენოფონტე სწორედ აქ — ბერძენებსა და მეციხოვნეებს შორის განაღბებული ბრძოლის აღწერის იწყებს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ამბებს. ბერძენებს ციხე აიღეს. მოუტყმინათ თვით ქსენოფონტეს:

„საზარელი სურათი გადაიშალა. დედები კლიდან ისროდნენ ბალებს და მერე თითოთიანეც მიჰყვებოდნენ. ასევე კაცებიც. სტიმულელებმა ოლხაგოსმა ენოსმა ციხე-სიმაგრის სიღრმიდან გამოქანებულ, ლამაზ ტან-საცმელში გამოწყობილ ქაბუქს მოჰკრა თვალი და გაიწია. დაკეცა სცადა, მაგრამ ტაოხელმა (იგივე დიაოხი) ისიც გადაიყოლა და ორივენი უსქარულში ჩაიღვწინ: ასე რომ ცოტა შევიბ-

ყართ აქა, სამაგიეროდ ბლომად რქოსანი ბირუტყვი, სახედრები და ცხვარი წიგნის ხით“.

ბერძენი ისტორიკოსისათვის ეს ფაქტი საკვირველებია. მართლაც ბევრა როდია ღღა, რომელიც შეილანად ციხის კედლიდან გადაეშევა სიკედილში, ვაჟკაცი რომელიც მტერს ჩახვეული მიეხეთქება კლდეს, მაგრამ აქ თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და შეუძელი ხალხი ცხოვრობდა. ახლაც ხმალივით სროლიან: „ხალხი ცოტა შევიბყართ აქა“... ქსენოფონტე ბერძენების ჯარის სარდალთაგანი იყო. მან დაწერა და გაიარა. ქართველი მწერალი კი ასე ადვილად ვერ გვიცლება დიაოხების დაუმორჩილებელ ციხეს. აქ საღდად ჩვენს დიდი მზის ნაშენებულებია მოსაყრდი, ამ მზემ უნდა გაუჩინოს გზა ახალ თაობებს.

მაგრამ ზომიერებას კონტროლი უნდა გავწიოს. ზღაპრებში არ უნდა გადავიციდეს ფეხი. სიფხიზლის ოდნავი მოღუნება და ფანტაზია დაკარგავს ლოკუმენტის ძალას, წიგნი შეწყვეტს „მუშაობას“. რა თქმა უნდა ეს იცის მწერალს, იცის და მთლიანად ბოჰავს საკუთარ ემოციებს. ის კრძალვით, რიდით და ამასთან დიდი სიყვარულით ექცევა საინტერესო ფაქტს. მოვეითხობრბს, ვვებასება და თავის ნორმ მკითხველს დიღხანს, დიღხანს ტოვებს დიაოხების ცეცხლწაიღებულ ციხესთან. მკითხველს წიგნის დახურვის შემდეგაც კიდევ დიღხანს ესმის მცხეთის კართან რომელების ყურებთან აწილებული ისრების ხმა — ეს ქართველი მეომრებმა გზავნიან ხეობიდან მომხდურის სიკვდილს. ისევ მოჩანს პაპის — ბარზაბოდ პიტიაშის კარზე მომღვარი უღრეკი ბიჭი — შემდეგში ვახტანგ გორგასალი, რომელსაც სპარსულად სიტყვა ვერ ათქმევინა ღედის მხრიდან სპარსმა პაპმა...

წიგნის სათაური თითქმის მიგვიანიშნებს, რომ აეტროს მხოლოდ ჩვენი დიდი ეროვნული განძის „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების უპოულარულ ენაზე მოთხრობა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ კითხულობ წიგნს და პირველივე გვერდებიდან ხედავ, რომ ეს ასე არაა. მწერალი ანგარიშს უწყევს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილ ყველა მნიშვნელოვან გამოკვლევას, ყველა მიგნებულ საბუთს. თავის საპატიო ადგილს წიგნში, რა თქმა უნდა, „ქართლის ცხოვრებას“ იკავებს. ალბათ ყველას ასსოვს ის ზღაპრები, რომლებითაც ქართლის ცხოვრება იწყება. ადრე გამკვირვებია კიდევ — რატომ შეჰქონდათ მის გამოცემლებს ეს ნაწილი ძირითად ტექსტს.

ვახტანგ ქელოძის წიგნში სულ ხსება და სრულიად სამართლიან ინტერპრეტაცია ეძლევა „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილს. ეს ინტერპრეტაცია ნიყო ბერძენიშვილს ემყარე-

* ეს იყო ბერძენთა ათიათასიანი ლაშქარი. ჯარი სპარსეთის უფლისწულმა კიროსმა დაიქირავა, რომ ტახტი წაერთმია ძმისთვის, მაგრამ კიროსი პირველსავე ბრძოლაში მოკლეს. ჯარი სამშობლოსაკენ გაემგზავრა და გზად საქართველოზე გაუღა მოუხდა.

ბა, რომელიც წერს „ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საერთოდ პოლიტიკური თავგადასავლის საფუძველზე, უპირატესად უნდა შემუშავებულიყო ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია კავკასიის ხალხთა მონათესაეობისა, კონცეფცია, რომელსაც ქართული ისტორიული აზრი ფეოდალური ურთიერთობის მოთვლით სიგარძეზე იხიარება“. მეტად ძვირფასი მიგნებაა.

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით მასობრივი მკითხველისათვის მოყოლა არაა ადვილი საქმე. იმის ვარა, რომ ეს თხრობა დიდ ცოდნასა და ჯაფას მოითხოვს, ასეთ პოპულარული ხასიათის წიგნებში აუცილებელია გარდასული დღეების გაცოცხლება დღევანდელი დღის პოზიციიდან. ყოველთვის არაა სასურველი გაეიხსენოთ, ვთქვათ, გუშინდელი შუღლი ჩვენს ხალხსა და ჩვენს დღევანდელ მეგობარ ხალხებს შორის და

როცა ეს აუცილებელია, ტაქტმა არ უნდა გვიღალატოს.

მოგახსენებთ, რა დიდი ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრებაში“ რელიგიურ პასაჟებს. სიფრთხილეთა საჭირო, რომ ბოლომდე დაეცვათ ჩვენი დღევანდლობის პრინციპები და ამავე დროს ჩრდილი არ მივაყენოთ ამ დიადი წიგნების შემქმნელ წინაპრებს — თეთრად გათენებულ ლამეებში მოღვაწე მეცნიერებს.

სარეცენზიო წიგნში ამ მხრივაც ყველაფერი რიგზეა.

უდავოდ კარგი და მეტად საჭირო წიგნი შეემატა ჩვენი უფროსკლასელების, ჩვენი მასობრივი მკითხველის ბიბლიოთეკას.

ჭერჭერობით „ქრონიკების“ მხოლოდ პირველი ნაწილი გამოქვეყნდა. ვუსურვებ მწერალს წარმატებით დაესრულებინოს თავისი შრომა. მწამს, რომ ბევრი შეუერთდება ჩემს სურვილს.



ალექსი ჭინჭარაული

ღია ბარათი ზვიად გამსახურდიას

ბატონო ზვიად! ჟურნალ „ციცისკის“ 1972 წლის მეორე ნომერში თქვენ გამოაქვეყნეთ პომეროსის „ილიადას“ პირველი ქების თარგმანი. ამ თარგმანზე მე დავებუქდე რეცენზია იმავე „ციცისკის“ 1973 წლის მესამე ნომერში. ამ რეცენზიას თქვენ უპასუხეთ წერილით „ერთი უმართებულო რეცენზიის გამო“ (ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ. 27 ივლისი), რომლითაც აქეთ მადებთ ვალს. თუ ჩემი რეცენზია „უმართებულო“ იყო, პასუხიც მე მომეთხოვება და, აი, მე იძულებული ვარ, ის თქვენი წერილი პუნქტ-პუნქტად გავარჩიო. ეგება მოსაწყენიც იყოს ასეთი წერილის წაკითხვა, მაგრამ კვშმარტების დასაღვენად, ვფიქრობ, ეს ყველაზე უკეთესი გზაა.

1. წერილის დასაწყისშივე თქვენ წერთ: „რეცენზენტს აღშფოთებულა ჩემი ენობრივი პოზიციით“-ო. ჩემს წერილში საუბარია თქვენს შეცდომებზე, ქართული ენის ბუნებრიობის დარღვევებზე, თქვენული თარგმანის სისუსტეზე და არა რაღაც არასებულ „ენობრივ პოზიციაზე“.

2. თქვენ თარგმანში გიწერიათ: „ზვარაკებს... ჩამოტრეს ბარძაყნი, ცმელი მოახვიეს ორმაგად გარშემო; ბარძაყნი დასწვეს...“ და ა. შ. მე ვწერდი: „ქართულ ენაზე (ძველზედაც და ახალზედაც) ბარძაყი არის „აღამიანის ფეხის ნაწილი თემოსა და მუხლის თავს შუა“ (გლ), ხოლო ცხოველის ამავე ნაწილს ბარკალი ეწოდება“-ო (გვ. 122), ე. ი. მე გეუბნებოდით, რომ ცხოველს ბარძაყი კი არა ბარკალი აქვს, რომ ბარძაყი თარგმანში უადვილოდ არის ნახმარი-თქო. თქვენ კი კამათის საგანი შეცვალეთ: ბარკალი აღამიანის ფეხის ნაწილსაც ერქვაო, საბარკული მაინც არ გაუგონია რეცენზენტსო და მისთ. ეს დემაგოგიაა. ბარკალიც გამიგონია და საბარკულიც, მაგრამ ცხოველის ფეხის სახელად ბარძაყი არ გამიგონია. აი, ამას ეხება საქმე.

3. ბატონო ზვიად! მე და თქვენ ერთგვარ შეურაცხყოფას ვაყენებთ ქართველ მკითხველს, როცა ანბანურ კვშმარტებებზე სერიოზულად ვმსჯელობთ. ჩემის მხრით მე ამისათვის ბოდიშს ვუხდი საქმეში ჩახედულ მკითხველს, მაგრამ არასპეციალისტებს ყველაფერი დეტალურად უნდა აეუხსნას: „მიღება“ და „მიხუმა“ (მოღება — მიხუმა, წაღება — წახუმა...). ზმნათა მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია: პირველს ობიექტი მხოლოდობითში აქვს, მეორეს — მრავლობითში. „ამ კანონს საყმაოდ ხშირად აქვს გამოწაკლიხი“-ო (ხაზი ჩვენია, ალ. კ.) — წერთ თქვენ და „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების“ განილვის შემდეგ ორიოდე ასეთი გამოწაკლის გეთავაზობთ: ოთხთავში „მოღება“ (ობიექტი მხ. რ-ში) ასყერაა (ღიხ, ასყერ!) ნახმარი. არის ერთადერთი ასეთი „გამონაკლისი“: „იწყეს მოღებად ცხედრებითა ყოველთა სნეულთა“ (მარკ. 6,55). როგორც ხედავთ, კონტექსტის მიხედვით საუბარია სნეულთა თითო-თითოდ მოტანაზე საწოლებით. ამდენად, ეს „გამონაკლისიც“ არაა გამონაკლისი, შეთანხმება კანონზომიერია.

მეორე „გამონაკლისის“ კონტექსტი თქვენ შეგიძოლებიათ და დაგიმხიხნებიათ. წიგნში წერია: „თუ ვინმე გაწყენდეს და არცინ რას გაგიგონებდეს (ხაზგასმული სიტყვები თქვენ განგებ გამოტოვეთ), სააქოს კარსა მიიხუენით“ (ქ. სამ. ძეგლ., II, გვ. 4). აქაც „ვინმე“ და „არცინ“ (ერთად) უკვე მრავალია და „მიიხუენით“ ზმნა თავის ადგილზე და თავისი ფუნქციით არის ნახმარი. არც ეს არის „გამონაკლისი“.

მესამე მაგალითი: „ხოლო შენ მიიღო თავისა შენისად ყოველთაგან ჭამადთა, რომელთა შუამთ, და შეჰკრიბო თავისა შენისა თანა“. კონტექსტით იგულისხმება „ნაწილი“ „ყოველთაგან ჭამადთა“ და შეთანხმებაც კანონზომიერია. აქ მხოლოდობითი დასმული პირდაპირია

ობიექტი გამოტოვებულია და ამიტომ მოგვიწევს, თითქოს „მიღება“- „მიხუმის“ ადვილს იყოს ნახმარი.

„მონადრეთუხუცესი „მწვადს მიხუმას“-ო, წერია „ქართული სამართლის ძეგლებში“. აქ აზრობრივი შეთანხმებაა, „მწვადი“ მრავლობითად გახლავთ გააზრებული (მამფურზე აცმული რამდენიმე ნაჭერი) და შეთანხმებად ბუნებრივია. თქვენ კი წერთ: „მწვადი გარდმოხუნეს“-ო. ამ ფორმაში ნ-ს მაშინ ექნებოდა გამართლება, „მწვადნი“ რომ გეტქვათ, უამისოდ კი იგი მცდარი და გაუმართლებელია.

გამონაკლისები, ანომალიები და შეცდომები საზოგადოდ ძველ ქართულში არის (და რომელი ძველი ძეგლებში არ არის ისინი?), მით უფრო ძველი აღთქმის წიგნებში. აკად. ა. შანიძე საგანგებოდ შენიშნავდა: „... აქ შემოსული ტექსტების დედანში ბევრია ცთომილებანი და შერყუნილი ადგილები, განსაკუთრებით იობისა და ესაიას წიგნებში“-ო (წიგნები ძეგლისა აღთქმისანი, ტ. 1, ნაკვ. 2, ვამისცა აკაკი შანიძემ, 1948 წ., გვ. 5). სწორედ ასეთი ცთომილების ნიმუშია თქვენგან დამოწმებული ადგილი ესაიადან: „იგი თუ (თქვენ) თავად“ აღმოგვიწერათ) ტყუელ წარხსიანა“. გელათურ ხელნაწერში იტობება: „ხოლო იგინი თუთ ტყუელ წარხსუნეს“-ო. ამას გარდა, შინა-არსობრივად აქაც მრავალხეა საუბარი, თქვენ მიერ მოყვანილი ფრაზის წინ უძღვის სიტყვები: „რომელთა ვერ უძღავს განრინებად ბრძოლისაგან (და იგი თუთ ტყუელ წარხსუნანა)“. ასე, რომ „იგი“ აშკარად გადაიწერის შეცდომაა.

მაგრამ ასეთი გამონაკლისები და ცთომილებანი კიდევ რომ იყოს (თუნდაც ათეულობით), ისინი საქმის ვითარებას ვერ შეცვლიან, ქართული ენის ბუნებას ვერ შეცვლიან და, ცხადია, გამოწვევებზე და ცთომილებებზე დაწყობით საკუთარ „ენობრივ პოზიციას“ ვერაფერ შექმნის.

აქაც და სხვა შემთხვევებშიაც თქვენ ანომალიებს, გამოწვევებს ეძებთ და იმოწმებთ. როგორც ვნახეთ (და ქვემოთ კიდევ ვნახავთ), არც ამ „გამონაკლისების“ დამოწმებისას ხართ მართალი.

4. თქვენ წერთ: „მე ილიადას“ ვთარგმნი ახალ ქართულ ენაზე (ხაზი ჩემია, ალ. ჭ.) და ამის გამო შეგნებულნი ვერაღებნი გრამატიკულ არქაიზაციას (მოუხედავად ლექსიკურ არქაიზაციის სიჭარბისა), (ხაზი თქვენი, ალ. ჭ.), მე ვწერ ახალ ქართულ ენაზე და არა ძველზე“ (ხაზი ჩემია, ალ. ჭ.). იმავე წერილში თქვენ შავით თერთზე გიწერიათ: „რეტენენტის თქმით, მე „ბუნებაში არჩსებული ქართულით“, ე. ი. საყოველთაოდ სახმარი ენისაგან განსხვავებული ქართულით მითარგმნია ჰომეროსი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თავად „ილიადა“ დაწერილია „ბუნებაში არარსებული“ ბერძნულით (ხაზი ჩემია, ალ. ჭ.). კერძოდ ეს არის ხელოვ-

ნური დიალექტი (?), აედებისა და რასხოდების მიერ შექმნილი, რომელსაც აქვს პოეტური გრამატიკა განსხვავებული საყოველთაოდ სახმარი ენის გრამატიკისაგან“-ო. არ ვიცი, დააჩერებთ თუ ვერა ვინმეს, თითქოს ჰომეროსის ენა „ბუნებაში არარსებული“ ბერძნული ენა იყოს, თითქოს მსოფლიო ლიტერატურის უძველესი შედგენის ენა იყოს აედებისა და რასხოდების მიერ შექმნილი ხელოვნური დიალექტი (ნუთუ შეიძლება დიალექტების ასე ხელოვნურად შექმნა?), ჩემთვის მთავარი სხვაა: თქვენ ახლა აღიარებთ რომ თქვენი თარგმანის ენა „ბუნებაში არარსებული ქართულია“. თქვენ ამას მიზეზსაც უძებნით: „ამის მიზეზი ის არის, რომ...“ და ა. შ.

ბატონო ზვიად! ახალი სალიტერატურო ქართული ენა „ბუნებაში არარსებული ქართული ენა“ არ გახლავთ და, ამიტომ, გთხოვთ ამიხსნათ: როგორ შევთავსოთ თქვენი აზრები, — ერთის მხრით: მე ახალი ქართული ვთარგმნი, ხოლო მეორეს მხრივ: ხელოვნური და არაბუნებრივი ქართულით ვთარგმნი (ამიტომ და ამიტომ)?

მე ჩემდთავად თქვენს პირველ თვისს (ახალი სალიტერატურო ქართულით ვთარგმნი) ვერ დავეთანხმები. მე ვწერდი: „მისი ენა აღარც ძველია, აღარც ახალი, არის რალაცა სუროგატი ქართული ენისა“-მეთქი და ახლაც ამ აზრს ვაღვავარ. ამის საფუძველს მაძლევს ასეთი მაგალითები თქვენი თარგმანიდან (აღარ ვივიორებ წინა წერილში დამოწმებულთა): „მოაწევს უამი და აქაველთ მხედრობას ლტოლვა აღევძრება აქილევსისათვის“; „შენც ვერას გააწყობ ურვით შეპყრობილი, თავს შშენსას დამკენჩნი“; „ჰქენჩნიდა გულს თვისას საომარ ყოფინას“; „... და დაემორჩილო ჩემს ნაბრძანს უსიკვლოდ“; „შენნი ნაბრძანნი სხვებმა აღარულონ“; „ვართ მიერ რებულნი“; „წილს რა-უამს განვივადებთ ნადავლებ“; „განივლტე ამიერ“; „მარადის შუდლობად, წყობად და ჩალობად მიიწევ შაქმნილი“; „ნუთუვე ზვა-ობა გნებავს რომ იხილო ავამემნისა“; „მით მიერ ზმობილი მუნ გამოვემუტე“; „... და ზორვად შესძინეს მუნვე ბორგნეულის ზღვის მონამიერთა“; „წარვედით ამიერ“; „მხადილა აქაველთ მხედართ ანდეზობას, ხოლო უმეტესად მხადილა ატრისძეთ“; „მერვე დაახია მომხრელი ისრები არკველთ მხედრობას“; „ადვედ ოლიმპოზე“; „ადჯდა ბრიარეთს კრონიონს გვერდით“; „მოხუცმა შთაუგზნო ცეცხლი და ზორვიდა“; „ადიმსთო დი-ნით და დასტოვა მორევი ზღვისა ბორგნეულის“ (მღრ, „ადიმსთუე განთიად და დაღვე წინაშე ფარაოსა“, გამოლ., 8,20); „... და ძღვეა მომხადღე აქაველთ მხედრობას“;

ალექსი ვინმარაული
ღია ბარათი ზემად ბამსაზურღიას

„აწ ზღვად მიჰქვიც“. ეცადე როგორმე ჰერამ არ დაგლანდოს; „მეხვება მოხუცი, ხოლო აქაველთა განაწველ მამინვე მუნ მკვიდრად ნაგების ბომონის ვარშემო ყოვლად დახაწვედ მეგ; „გარწმენინ ჩემდა მომართ, გაბედე და გეამენ, რაც არს კემშარტი“ (წმრ.: „გარწმენინ ღმრთისაი და გინწმენინ ჩემდა მომართ“, ოვანე, 14,1). „განივლტე ამიერ, უკეთუ ლტოლვისკენ მიგწვეს გე გული“.

ერთი მიზარანეთ: როგორი არქივაციია ეს — ლექსიკური თუ გრამატიკული და რომელი ქართული ენაა ეს — ძველი თუ ახალი?

5. „პაბოს წამებაში“ მართლა არის ასეთი წინადადება: „მარადის საწაღელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაა ღმრთიე პატრონისა მამფლისა და უფლისა ჩემისა (ხაზგასმული სიტყვები თქვენ გამოგიტოვებიათ, ალ. კ.). მოვიღე (თქვენ „მივიღე“ ვიწერიათ, ალ. კ.) ქელთა სიწმიდისა მოყუარისა ხსართან მღვდელსაათა“—ო.

თქვენთან საკამათოდ კი არა, საზოგადოდ მინდა დავსვა კითხვა: არის კია სიტყვა „მამფლისა“ დედნისეული? ამ ეკვს აღძრავს შემდეგი გარემოება: კათალიკოს სამუელზე ნათქვამია: „მამფლისა და უფლისა“—ო. საეკუო ხომ არ არის, რომ სამუელისათვის ერთდროულად, „მამფალიც“ ეწოდებინათ და „უფალიც“? ქვემოთ ერთხელ კიდევ არის ნახმარი „მამფალი“, მაგრამ მას ვარიანტად „უფალი“ აქვს: „ვკურთხევე მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან აღწერგა გულსა მამფლისასა (ვარ. უფლისა ჩემისასა) ესვეთარისა ამისა ბრძანება“ (ძე. ქართ. პავ. ძეგლ. I, 47,30). სხვა შემთხვევებში სამუელს „უფალს“ უწოდებენ: „აწ რამ მოვაქსენო უფლებასა თქუნსა?“ „უმგობშსად შევპრატევი მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა“ (იქვე). მაგრამ, ვიმეორებ, ეს სპეციალისტების (ტექსტოლოგების) საქმეა. ჭერჭერობით ნუ დაუფერებთ ი. ჭავჭავაძის და ვირწმუნით, რომ მამფალი ეკლესიის მსახურთა ტიტულიც იყო, კათალიკოსსაც უწოდებდნენ მამფალს. ეს უარესია თქვენთვის: ეკლესიის მსახურის ტიტული (თუ გნებავთ ტიტული „ამა თუ იმ კუთხის უფროსისა“, ივ. იმნ.) თქვენ მხედართმთავრის, ქართულობის სინონიმად არ გამოვადგებათ. ვიმეორებ: „მამფალი სპათა“ არ შეიძლება სიყვე, როგორც არ შეიძლება „მეტიანში სპათა“. („მამფალი“ შინაარსით უდრის ძველ პიტაბსს“—ო წერს სიმ. ყაუხჩიშვილი ქ. ე-ბის I ტომისთვის დართულ ლექსიკონში).

რაც შეეხება „დედუფლისა“ და „მამფალისა“ თქვენზევე ეტიმოლოგიას, ასეთი ეტიმოლოგიები მოწოდებულია თუ ვახლავთ ენობილი.

თქვენი ერთი ამგვარი „ხერხიც“ აქვე უნდა ვახსილო: თქვენ „მამფალისათვის“ კონტექსტი „ძე. ქართ. პავ. ძეგლებს“ პირველ-ტომიდან მოიტანეთ, განმარტება კი ივ. იმნის მიხედვით.

ქრესტომათის ლექსიკონიდან დამოწმებით. „პაბოს წამება“ ხომ იმავე ქრესტომათიანეა, რომელიც ლავთ დაბეჭდილი და იქიდანვე შეგებდნენ კონტექსტის დამოწმება. მაგრამ თქვენ ბევრი „მოწმება“ გვიარღვებთ და ამიტომ ვითომ ორ წყაროს მიუთითებთ, ფაქტურად კი საქმე ერთ წყაროსთან გვაქვს. თქვენ სხვაგანაც ასე იქცევით: მოიტანთ კონტექსტს, მაგ., ოთხთავიდან, ვრცლად იმსჯელებთ ამ გამოწვევისზე, მლანძღვებთ და მითათბავთ „არცენხენს არ სციონდა“, „ვერ გაუგება“, „არ ესისოს“ და მისთ), ბოლოს კი იტყვიან: ი. აგრეთვე ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი. ვიხილავთ ლექსიკონს და იქ სწორად ის კონტექსტია დამოწმებული, რომელიც თქვენ ოთხთავიდან მოგვავთ (ოთხთავი კი სიმფონია ლექსიკონი თვითონ გაანია და მისი დამოწმება გვეყოფიდათ). მიზანი ერთია: დააბნოთ მკითხველი და შეუქმნათ მას შთაბეჭდილება, თითქოს თქვენმა მიერ მოწმედ გაპირებებით მოძებნილი გამოწვევის მრავალ წყაროს დასტურებდოდეს...

6. თქვენ მიერ ოთხთავიდან დამოწმებული „განზრახვდეს ურთიერთსა“ ნიშნავს: ერთმანეთს ეთათბირებოდნენ, ელაპარაკებოდნენ. ეს ძველი ქართლის ნორმის მიხედვით სწორია, მაგრამ არ არის სწორი: „ესრეთ განზრახა ძემან კრონოსისამ“ (რაც თქვენის აზრით, თითქოს ნიშნავს: „ასე თქვა კრონოსის ძემ“) არ არის სწორი თუნდაც იმიტომ, რომ „განზრახა“ ახალ ქართულში (თქვენ ხომ ახალი ქართულით თარგმნით) ნიშნავს: „ჩაფიქრა“, „გადაწყვიტა“, რაც თქვენის კონტექსტს არ ესადაგება. არ არის სწორი, რადგან გან-პრეფიქსიანი სთავისო ფორმა მხოლოდობით რიცხვში („განზრახა“) ძველ ქართულში არ ნიშნავს „თქვა“-ს.

რუსულ თარგმანში წერია: «Он, благомыслия полный говорил и вещал им» (გენედინი). თქვენ კი ეს სტრუქტურა ასე ვითარგმნით: „აქაველ მხედართა კრებულს მან მიმართა ქველის განზრახვითა“. სხვაგანაც ასევე წერთ: „აწ ქველის განზრახვით გმირთა აღდგომას მიმართა ნესტორმან და აგრე იტყოდა“. რას ნიშნავს აქ „განზრახვა“? „განზრახვა“ — „იტყვის“ (თქვენი გაგებით) ზმის მსაღარა თუ ლღვეანდელი „განზრახავს“ — „გადაწყვიტავს“. „გაიფიქრებს“ ზმინა? ასე ერთმანეთში არეული ძველი და ახალი ქართულით ნათარგმნი, რაგინდ „ქველის განზრახვითაც“ არ უნდა გაეკლდეს იგი, საყვედურს ვერ საცდებდა და თქვენს განცხადებაში „ვგონებ ცხადია ამ სიტყვის მნიშვნელობა“—ო, იოტისოდენი სიცხადეც არ არის.

7. „დღლით“ კავშირი 21-ჭერ არის ნახმარი ოთხთავში და მისი მნიშვნელობაა: „თუმცა“, „იქედე რომ“, „თუ“, „რომ“ (ივ. იმნის მიხედვით). არც ერთი ამ მნიშვნელობათაგან



თქვენს კონტექსტს არ ეგუება და თქვენ პეტრიწთან ემუხტ ხსნას, თუმცა იცით, რომ პეტრიწის ენა ძველი ქართულის ნორმათა შვილსაზრისით არასანდოა, ზღერა რამე მას-სი ავტორისეული ანომალიაა და მასთან ნაპოვნი ერთი-ორი ცთომილება მოჴმედ არ ივარ-გებს.

„რამეთუ“ ოთხთავის მიხედვით თხოუმეტკერ „როთუ“ კავშირის მნიშვნელობით იხმარება, სა-მასამდე შემთხვევაა, როცა ეს კავშირი „რად-განაც“ კავშირის უფრის (იხ. იგ. იმწ., ოთხთა-ვის სიმფონია-ლექსიკონი) ამიტომ მე ვწერდი: (ზევიდ გამსახურდიას თარგმანში) „კავშირი“ „რამეთუ“ ხან „თორემ“-სა და „თუ არას“ მნიშვნელობით არის ნახმარი, ხან კი „რადგა-ნაც“ („რადგანაც“) კავშირის მნიშვნელობით-ო და სათანადო მავალითები მომავდა. თქვენ კი, აი, რას მარალებთ: „ასევე ცალმხრივად ესმის ალ. კინჭარაულს „რამეთუ“-ს მნიშვნელობა. მას ჰკონია, რომ „რამეთუ“-ს ერთადერთი მნიშვნე-ნელობა აქვს („რადგანაც“). მან არ იცის (ან განგებ იგიწყებს), რომ არსებობს სიტყვის პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელოვნება“-ო და უფოუმეტად „ამტკიცებთ“, პეტრიწთან „რა-მეთუ“ ბერძნული „უნ“ და „ვარ“ კავშირის შესატყვისად იხმარებო. აქაც: „რამეთუ“-ს მნიშვნელობისთვის „იხ. აგრეთვე ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკ., გვ. 345“-ო.

რატომ მარალებთ იმას, რაც არ მითქვამს და არც ჩემი წერილიდან გამოიყვანება, რა-ტომ ცდილობთ ისევე და ისევე ანომალიებთანა და ცთომილებებთან გახვიდეთ ფონს და რატომ იმოწმებთ ერთი და იმავე კონტექსტისათვის ორ წიგნს?

8. თქვენ წერთ: „რეცენზენტის აზრით, სიტყვა „მეგრ“-საც ერთადერთი მნიშვნელობა ჰქონია (!), მას არ სცოდნია, რომ „მეგრ“ ნიშნავს აგრეთვე: „იმ მხარეს“, „იქით მხარეს“, აქვე უნდა შევასხნოთ მას, რომ სიტყვა „აღ-ვვალ“ ყოველთვის „ადის“ კი არ ნიშნავს, არამედ, უბრალოდ „მიდი“-საც“-ო და ძველი ქართული ენის ლექსიკონს იმოწმებთ, სადაც, აი, რა წერია: „აღვალ“ „აღსლვა“, „მისვლა“, (იგულისხმება, ცხადია, ზემოთ მყოფთან მის-ვლა). აი, ამ ლექსიკონში დამოწმებული კონ-ტექსტები: „აღრე-გულად ზემო კერძო“ ლ. 14,10; „აღვალე მღწიარად“ M — „აღვედ მღწიარად“ G, ისუ ნავინი, 17,15“. ერთი მიბრძანეთ, ხადა აქ „იმ მხარეს“ და „იქით მხარეს“ მისვლა, „უბრალოდ მისვლა“ ოთხ-თავის სიმფონიაში ოცდაცხრა შემთხვევაა, რო-ცა „მეგრ“ ნიშნავს „იქიდან“ (არც ერთი სხვა მნიშვნელობა არაა დღესდღეობის) რატომ „გამოგრათ“, ბატონო ზვიად, ეს მხედველო-ნიდან? ძველ ქართულში დასტურდება (იხ. ოთხთავის სიმფონია). ფორმები: „აღვალ“, „აღმოდვალ“, „გამოდვალ“, „გარდავალ“, „მივალ“, „მოვალ“, „წარვალ“, ე. ო. „გუ-

აღ“ ზმნას მიმართულების ზმნისწინი ანიჭებს სათანადო მნიშვნელობას და, თუნდაც აქედან უკვე ცხადია, რომ „აღვალ“ ვერ შეცვლილ „მივალ“-ს, ისევე, როგორც „აღმოდვალ“ ვერ შეცვლის „წარვალ“-ს და ა. შ. ეს სპე-ციალისტათვის ტრივიალური ჴემარტებაა და, ვიმეორებ, უბრალოდ ამაზე სერიოზულა მსჯელობა.

9. თქვენ წერთ: „რეცენზენტი“ (ბრკალები თქვენია, ალ. ჴ.) იქვე ბრძანებს „რქვა“ არასო-ლეს იხმარებოდაო „თქვა“-ს მნიშვნელობით, იგი ყოველთვის სამ პირს გულისხმობდაო. რქმა რომ ზოგჯერ (ხაზი ჩემია, ალ. ჴ.) „თქუ-მის“ მნიშვნელოვანთაუ იხმარებოდა, ამას გვი-დასტურებს ი. აბულაძე თავის ლექსიკონში (გვ. 350)“-ო. დამოწმებულ ადგილზე ასეთი პირიელი ფორმები: ერქუა//ეწოდა, ვარქუ// გაუწე, გვარქუნე//გვხარას, პირქუამთ//ხა-დით, გვარქუას თქვენ“. ერთადერთი შემთხვე-დაა, სადაც სამპირიანი „პრქუა“-ს პირიელუ-რად იხმარება ორპირიანი „თქუა“, მაგრამ ემა-ტება „მისდამი“: „თქუა მისდამი“. ერთხელ არის ნახმარი მასდარი „რქუმად“ (//„სახელის-დებდა“). ერთი მიბრძანეთ, რომელი ამ მავა-ლითთავენი გიდასტურებთ თქვენ, რომ „პრქუა მან მას ის“ და „თქუა მან ის“ ერთმანეთის მონაცვლელ შევიძლიათ იხმაროთ? რატომ გზავნით მკითხველს ამ მავალითებთან? იმის იმედით ხომ არა: ლიტონ სიტყვას დაუჭერებენ, ლექსიკონში ვინ წახივდავსო?

თქვენ განაგრძობთ: „ჩემს თარგმანში „რქვა“ სამპირიანია, მაგრამ სწორად მისი ხმარებისას გამოტოვებულია დამატება. ეს არის ელლიპსი. ასე მავალითად: როდესაც აქილევსზე ნათქ-ვამია: „რქვა მან და ღვეური მარჯვად დაღუკვა ვადაზე“, აქ ევლუსსმება, რომ ათენეს სხვა, თუმცა სიტყვა ათენე გამოტოვებულია“-ო. არავითარი „ელლიპსი“ (ქართულად „ელიფსი“ თქვამს) აქ არ არის, აქ ზმნას აქლია პირის ნი-შანი: უნდა დაეწერათ „პრქვა და თქვენა ათენე ამ პირის ნიშნით იქნებოდა ზმნაში წარ-მოადგენილი და ყოველგვარი გაუგებრობაც მოიხსნებოდა...

შემდეგ თქვენ წერთ: „აი, რატომ გვესაუბ-როება სტილიზაციის ანბანის ცოდნა, მითუმე-ტეს თუ ენათმეცნიერებად ვითვლებით“ (ხაზი ჩემია, ალ. ჴ.). სტილიზაციის ანბანას ცოდნა ჴემარტად საჭიროა, მაგრამ მანამდე იმის ცოდნა საჭირო: სად უნდა ევმით პირის ნი-შანია ხმარების წესი — სტილისტიკაში თუ მორფოლოგიაში?

თქვენ განაგრძობთ: „ასეთი ელლიპსები ხში-რად გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში: „ხოლო იგი წინასწარ ბიარებულ იყო და პრქუა: მომეც მე“... (მათი, 14,6). და-

ალექსი ბინძარაული
 ღია ბარათი ზმნიად ზამსახურდინს

მიჯერეთ (თუ არა, ვისაც გნებავთ ჰკითხეთ და გეტყვიან), რომ ეს არ არის ელიფსი. აქ ის პირი, ვისაც „პრქუა“, ზმნაში მ-ავთია წარმოადგენილი. ასევეა „არქუ“ — ზმნაში, იქ „პ-“ ა-ს წინ იყარება (ხანმეტ ძველში „ხარქუ“ ექნებოდა).

თქვენ იმოწმებთ ოთხთავს, სადაც ირბი ობიექტის ნიშანი რამდენიმეჯერ არ დასტურდება ზმნასთან. იქ მართლაც ხუთიოდე უპაერო ფორმა (რამდენიმე ასეულ ზედაინ ფორმათა გვერდზე). ეს ვახლავთ მცდარი ფორმები. ყველა ეს შეცდომა C ხელნაწერშია და ამ ხელნაწერის გადამწერს ლაფსუსია — მას რამდენჯერმე გაჰპარვია შეცდომა (ათასში ერთხელ), თქვენ კი ასეთ შეცდომებს ყოველ ნაბიჯზე უშვებთ.

ზედმეტი აქ საუბარი ლექსიკურ და გრამატიკულ არქიზოციანზე. ძველ ქართულ ენას აქვს კანონი: „რქუმა“ ზმნა სამპირიანია და წერისას ეს ასახება ხოლმე: პრქუა, ვრქუა, მრქუა აქ ობიექტი გამოხატულია ნიშნებით: პ, ვ, მ. როგორც კი რომელიმე მათგანს გამოვტოვებთ, ყველა ეჭვი აირევა. გეშვებთ, როცა წერთ: „ხზარად... გამოტოვებულია დამატება“ და „ეს არის ელიფსი“-ო. ქართული ზმნა იმითაა ცნობილი და მდიდარი, რომ მასში პირი ასახება, რის გამოც აღარ გვეჭირდება ნაცვალსახელი (სუბიექტისა თუ ობიექტისა) წამალაწუმ ხმარება. ხოლო ელიფსი სულ სხვა რამეა...

10. თქვენ წერთ: „ახლა რაც შეეხება სიტყვის „გარანა“. რეცენზენტი იცნობს ამ სიტყვის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას („მეგარამ“), ამ სიტყვის კი ვაჩინია უამრავი სხვა მნიშვნელობა“-ო და ძველი ქართული ენის ძველებსათვის დართულ ლექსიკონებში გულდასმით ეძებთ ამ მნიშვნელობებს. რად ვინდათ ეს ოპერაციები? მე თქვენ გედავებოდით ამ სიტყვის უადგილოდ ხმარების გამო, ვიმორწყებდი (ფრხილუშვი) მის ერთ-ერთ მთავარ მნიშვნელობას („მეგარამ“) და თქვენი თარგმანის სათანადო ადგას. თქვენ „გარანას“ ბევრი მნიშვნელობა დაუძებნეთ (რათა რეცენზენტის, „უფიცობა“ დადემიტკიციენთან), მეგარამ თქვენი გამომართლებული ერთიც არ გამოადგა. თქვენ მიერ დამოწმებული პეტრე იბერის შრომებში (გვ. 269) კონტექსტის მიხედვით არც ერთი შემთხვევა არაა, რომ „გარანა“ „განა“-ს შემეცვლელად იხმარებოდეს. ეს თქვენც კარგად მოგვსვენებდა თლად და მხოლოდ ასეთი „გამოსავალი მნახეთ“: „რეცენზენტის მიერ მოტანილი ციტატა: შეიცავს კორექტურულ შეცდომას, უნდა ყოფილიყო „თქვენა ხართ განა ბრალეულნი“ და არა „გარანა ბრალეულნი“, როგორც ეს ეურნალშია“-ო. მე საეანგებოდ შევაიწმინდე „ცისკარის“ რედაქციის თქვენს მიერ გულდასმით ჩასწორებული თქვენი ხელნაწერი (სადაც „პოლო“ დაუბეჭდავს მენანქანეს, თქვენ ერთი „ლ“ ჩავმატებოდათ და სხვ.) და აღმოჩნდა, რომ

იქაც (გვ. 13) „გარანა“ გიწერიათ და არა „განა“
11. „სმინთოეს! სამსხვერპლო შენი თურმეწინაშე მეგოს ოდესმე ქებული, ანუ შემწინაშე ოდესმე მსუქანი ბარკლები ზეარაკთა და ცმელთა პოხილთა, გვედრი, შეისმინე ჩემი ლაღადი“-ო. მე ვწერდი, რომ ეს უაზრო ფრაზაა, რომ ცმელი „ქონია გარდუმდნარი“ (საბა) და იგი, „პოხილი“ (მსუქანი) აღარ შეიძლება იყოს, რომ მსუქანი ქონის ბარკლები შეუძლებელია და სხვ., თქვენ კი სითამაძე გყოფნით თქვით: „შეგნებულად დეკარდვიე გრამატიკული კანონი, „კეთილზმოვნებისათვის“, „ცმელნი პოხილი“-ს ნაცვლად ვისმარე „ცმელთა პოხილთა“-ო და ყოველად უადგილოდ იმოწმებთ რუსთაველსა და გალაკტიონს, თითქოს მათსავეთ თქვენც პოეტური ლიტერციისათვის მივემართოთ. ენობრივი კანონი „კეთილზმოვნებისათვის“ რომ დაარდვიეთ, მერე რა მიიღეთ? „ცმელთა პოხილთა“ გახლავთ ან მოთხრობითი, ან მიცემითი, ან ნათესაობითი (მე არ ვიცი, თქვენ რომელს გულსხმობდით) და რანიარად შეიძლება რომელიმე ამთავანი სხეულობითის ნაცვლად ვისმაროთ „კეთილზმოვნებისათვის“?

თქვენ თამამად აცხადებთ: „რაც შეეხება სიტყვა „ცმელს“ ეს არის მუცლის ბადექონი (წიფი გ. მოსეი, 9), ხოლო ბადე შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად მსუქანი“-ო. თქვენ ერთი ადგილი დიამოწმებთ ბილიადან, სხვა ადგილებზე კი ასეთი ვითარებაა: ცმელი არის ქონი თირკმელთა და ბარკალთა (ლევით, მ, 16), ნაწკალბისა (იქვე, მ, 16), მკერდისა (იქვე 7, 20) და ა. შ. აქედან გამოდინარე წერდა საბა — „ცმელი — იგივე ქონი გარდუმდნარი“-ო. ზოგჯერ კი „ცმელს“ გადამდნარი ქონის მნიშვნელობითაც ხმარობენ: „ფრთხს აწობდა დიაცი ცმელში, უსვამდა ისევე ბატს“ (კ. გამასაჭურდია, დილოკატრის მარჯე, 141, 23). გამოდის, რომ „ცმელი პოხილი“ უაზრობაა, რომ აქაც ცდილობდით მკითხველის შეცდომას შეყვანას.

თქვენ თქვენს ენობრივ შეცდომებს პოეტური ლიტერციად ასაღებთ და პოეტური ლიტერციის შესახებ მთელ ერთ სვეტზე წერთ, იმოწმებთ პოეტრის, რუსთაველს, გალაკტიონს და სხვებს. ამ პოეტებთან პოეტური ლიტერციები (ყრბოდ რუსთაველთან) მართლა ხშირია, მაგრამ თქვენ ამით რა გემატებთ? თქვენ თქვენს ენობრივ შეცდომებს პოეტური ლიტერციად აზრებინ ჩავთვლით. პოეტური ლიტერცია პოეტური თხზულებსათვის არის დამახასიათებელი და მხოლოდ მაღალმხატვრული თხზულება იტანს პოეტურ თავისუფლებას, ენის ნორმიდან გადახვევას, ოსტატის ხელში ხშირად იგი უფრო მეტყვევლია, ვიდრე ენობრივი ნორმა. თქვენი თარგმანი, ჩემის აზრით, არ არის პოეტური მეტყველების აქტი და, ამდენად, იქ არც პოეტური ლიტერციების ძებნაა გამართლებული.

საზოგადოდ პოეტრის, რუსთაველს, გალაკ-

ტიონს და სხვებს ამაოდ ეაწუხებთ — არც ერთი მათგანი ჩვენი თანამებარე არ ვახლავთ.

12. არავის უთქვამს, რომ „მოყვად ყური შენი“ ძველ ქართულში არ იხმარებოდა. მოცემული კონტექსტისათვის „მოყვად ყური შენი“ ყური მითითებული ფრაზაა და „ტანჯვა მოხზადე აქაველთ მხედრობას“ აგრეთვე უადგილოა—თქო, ვწერდი მე. თქვენ კი წერთ: „რეცენზენტი საერთოდ არ იცნობს ძველი აღთქმის ტექსტს, რაც იქიდან ჩანს, რომ მას არ გაუგია ფორმა „მოხზადა ტანჯვა“, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ბიბლიაში (გამოსვლათა, თ. 11,1)“—ო.

არა, ბატონო ზვიად! თქვენს მიერ დამოწმებულ ადგილზე იკითხება: „ერთილა ტანჯვადა მოვქალო ფარაოს ზედა“, ხოლო სხვა ხელნაწერშია: „ერთილა გუემა მოვავლინო მე ფარაოს ზედა“. აქ „მოვქალო“ „მოვავლინო“-ს სინონიმაა და უძველად მითითებს „ზედა“ თანდებულს. აი, კიდევ არ რიგის მაგალითები: „ეკრძალენით, ნუთუჲ წყულუნება სხუადეა მოვქალო თქუენ ზედა“ (გამოსლ., 33,5); „და უფალმან მოქადა ქარი სამხრით ქუეყანასა ზედა“ (იქვე, 10,13); „რომელსა დღესა მოვხედო, მოვქალო მათ ზედა ცოდება მათი“ (იქვე, 32,34).

უთანდებულოდ ნახმარი ეს ზმნა (მოქადა მან მას ის) მოძრაობას, მოცილებას, წართმევას, მოხდას (დღევანდელი მნიშვნელობით: „ქუდი მოხზადა“) ნიშნავს. „ეუფეთუ ავასხო ვეცხი მძასა შენსა მკოდოესა, რომელი იყოს შენ შოერის, არა მოქლიდე მას სწრაფით, არა დასდვა მას ეახში“ (გამოსლ., 22,25). ამიტომ შეგნიშნავდი „ტანჯვა მოხზადე აქაველთ მხედრობას“ გაუგებარია—მეთქი. თქვენი თარგმანით ვამოდის, რომ აქაველთ მხედრობას ტანჯვა მოვავლინოს, თქვენ კი ვინდობათ გეთქვათ: „ტანჯვა მოვავლინე“-ო. რა არის აქ საკამათო?

13. თქვენ წერთ: „რეცენზენტი“ (ბრჭყალიები თქვენია, ალ. ჭ.) ამასხარავეებს გამოთქმას „გონებაში დაფარვა“. როგორც ჩანს, მას ჰგონია, რომ უნდა აყოს აუცილებლად გულში დაფარვა“. თუძეა ვეფხისტყაოსანში რომ ჩაეხედა, იქ იპოვებდა ასეთ გამოთქმას: „ბოლოს ასე გააცხადა გონებაჲმან დაფარულნი (1453): „გაგიცხადა დამალული გონებაჲმან დაფარულნი“ (1295,4)—ო.

ნუთუ ვერა გრძნობთ, ბატონო ზვიად, რომ თქვენს სტრიქონს „ნურას დამიფარავ მაგ შენს გონებაში, მითხარა ყოველივე“ ვეფხისტყაოსანის სტრიქონები მხარს კი არ უჭერენ, არამედ უფრო აშიშვლებენ და საენაურს ხდიან მის უსუსურობას? რომ იქ „გონება დაფარული“ სულ სხვა რამ არის, თქვენთან კი ჩვეულებრივი მნიშვნელობითაა ეს სიტყვები ნახმარი და სტრიქონი მიანდ სუსტი იქნებოდა „გული“-ც რომ გეხმარათ „გონების“ ნაცვლად?

მე ვწერ, რომ „მან ბრძენმა უწყობდა ყოვე-

ლი წარსულში, აწმყოში, მყოფადში“ უსუსური სტრიქონია, რომლის წაკითხვისას გრამატიკული ტერმინები გვაგონდება—მეთქი. თქვენ ილიას (ამჯერად უკვე დიდ ილიას!) იშველიებთ: „მამ დიდად „დაუშვებია“ ილია ჭავჭავაძეს, სიტყვა „მყოფადი“ რომ იხმარა „ქართულის დედაში“(1)-ო (ქაბილის ნიშანიც თქვენია, ალ. ჭ.).

ილიას ლექსში „ქართულის დედას“ „მყოფადი“ კი არა, „მყოფადი“ (ცნა პოეტური ლილიცია!) უწერია და კარგადაც უწერია, მაგრამ მთავარი სხვაა: ილიას ამ ლექსის ეპიგრაფად გამოუყენებია ლიბინიციის სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან; არის შობილი „მოშავლილსა“. თქვენ რომ ზებირად არ მივგებნით ილია და ტექსტში ჩაგვხვდათ, აი, ამ სტრიქონს მოიშველიებდით, სადაც აგრეთვე სამივე დროა დასახელებული მაგრამ თქვენეული და ილიაეული ერთმანეთს არ ჰვანან...

14. პროფესორი ივ. იმნაიშვილი, რომელსაც თქვენ ასე ვერცხლად იწოდებთ, მსჯელობს კლასიკური, ჩამოყალიბებული ძველი ქართული ენის შესახებ, სადაც ერთდროულად არსებობენ ძველი და ახალი ფორმები. დაბს, ეს მსჯელობა ენის რეალურ ვითარებას ასახავს, რამდენადაც ქართულში ძველია თუ ახალი (და სხვა ნებშიაც) სხვადასხვა ეპოქის წარმონაქმნი ფორმების არსებობა ფაქტია, მაგრამ (პროფესორისა, რუსთაველისა, ვალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას უადგილო დამოწმებისა არ იყოს) თქვენი ხელოვნურ ან მცდარ ფორმებს პროფ. ივ. იმნაიშვილის მსჯელობა ძველი ქართული ენის შესახებ როგორ და რით გაამართლებს?

15. თქვენ მსხვილი შრიფტით ავიწყობინებთ ფრაზა: „თუ რაოდენ დამორებულია ალ. ჭინკარაძის ჰომილიისეულ სამყაროს, იქიდანაც ჩანს, რომ მას, მაგ. სიტყვა „ჰეკატომბი“ რაღაც ნივთი ჰგონია (ჰეკატომბა მიაქეთო, წერს იგი, გვ. 121), როდესაც ჰეკატომბი არის ასი ხარისაგან შემდგარი ცოცი“-ო. რად ვინდათ ასეთი იაფფასიანი ეოლისმწამებლური გამოზღომები? ჰეკატომბე „არის ასი ხარის ან სხვა ცხოველის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ძველ საბერძნეთში. ვადატანითი მნიშვნელობით ჰეკატომბე ნიშნავს დიდი მსხვერპლის გულებას; ომს, ჭირს, სახალს“ (მითოლოგიური ლექსიკონი);

ჰეკატომბის შესახებ ცნობების ამოკითხვა ყველას შეუძლია თვითონ „ილიადს“-თვის დართულ შენიშვნებში. ეტიმოლოგიურად „ჰეკატომბე“ ას ხარის იშვანავს, მაგრამ შემდგომ სიტყვაშიშვლებაში იგი კრებულთ სახელია მხოლოდობით რიცხვში დასმული და მას „მიხუმა“— ზმნა ვერ შეეწყობა. „ჰეკატომბეს“ და „საზოვა-

ალექსი მიწმარაპული
ლია ბარბატი ზვიად ბანასაშვილი

ლოდ შესაწირავს, მსხვერპლს „მიიღებენ“ (მი-
იტანენ) და არა „მიიხუმენ“. თუ ამ სიტყვას
მრავლობით რიცხვში დასვათ („ჰეკატომბინა“),
მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ შეუწყით „მიხუ-
მა“-ზმნა.

კონტექსტის მიხედვით ჰეკატომბე მიაქვთ,
ამდენად „მიხუმა“ — ზმნა საერთოდ უაღვი-
ლოა. ამას გარდა „მიიხუნენ“ შეუძლებელი
ფორმაა, უნდა: „მიიხუმენ“ („მიჰყავს, მიჰქვს
ბევრი“-ო — ვწერდი მე. რა არის აქ სადაო
და გაუგებარი? თქვენ ხან მრავლობითში ხმა-
რობით ამ სიტყვას („წარაბიხა თან ჰეკატომბე-
ნი“), ხან მხოლოდობით: „შიართვა საღვთო
ჰეკატომბი“ (თუკი ასხარიან ჭოგზეა საუბარი,
რადომ „შიართვა“ ან „წარუხუნა“ არ დაწერ-
ეთ?). თქვენ ხან მხოლოდობით რიცხვში დას-
მულ „ყოველად დასაწველს“ უნაცვლებთ „ჰე-
კატომბს“, როგორც მის სინონიმს („განაწვევს
მაშინვე... ყოველად დასაწველი“), ხან კიდევ
„ზვარაკს“ („აღგვალე მიერ და შესწირე
შვილდ-ფიცხელ ღვთაებას „ზვარაკი“). „ზვარ-
აკი ერთი სული შესაწირავი საკვლისა („ზუ-
არაკი — ნასუქარი“, საბა; „კვრო“, „ქარი“, ქა-
რი კბო“; მსხვერპლი, ილ. აბულაქე), რომე-
ლიც ზოგჯერ „მსხვერპლის“ მნიშვნელობითაც
იხმარება: „არა ითხოვს შენგან კბოხა ზუარა-
კად“ (მამათა სწავლანი, 173,27). მაშასადამე,
თუ თქვენ „ზვარაკს“, „ნასუქარისა“, „კბოხა“
ან „ქარის“ მნიშვნელობით ხმარობთ, შეცდომას
უშვებთ, რადგან „ნასუქარი“, „კბო“, ან „ქარი“,
„ჰეკატომბეს“ სინონიმი არ ვახლავთ. თუ
„მსხვერპლის“ მნიშვნელობით ხმარობთ, მა-
შინ მე მამართლებთ: მსხვერპლი „მიაქვთ“ და
არა „მიიხუნენ“ (შდრ. თქვენსავე თარგმანში:
„დასი ნიზოსანთა შეეკრიბოთ რჩეულთა, წარ-
ვიხენათ ზვარაკნი“, რუს.: „гекатомбу по-
ставим“; „მერმე შეურჩიეს აბოლონს ხართა
და ვაქთაგან ზვარაკნი და ა. შ.). აი, ამისთვის
გვდავებთ, თქვენ კი ცილს მწამებთ: ჰეკატომ-
ბი ნიეთ ჰეონიაო...

15. მე თქვენი „ქართულად მორჩულებული“
ჰეგზამეტრი ჩვეულებრივი სიტყვახმარებისას
იხვე ამ სახელწოდებით მოვისხენიე და თქვენ
ამზე ერთი ამბავი ასტეხეთ („რეცენზენტმა
არ იცის, რაა ჰეგზამეტრი“-ო). ჰეგზამეტრი მი-
სი პირვანდელი (ბერძნული) სახით ყოველთ-
ვის არც სხვა ენებზე გადადის. „დიდ საბჭოთა
ენციკლოპედიაში“ წერია:

«В русском стихотворении Гекзаметр пе-
редается сочетанием тонических дактилей
с хорейми, которыми заменяются невоз-
можные у нас спондеи».

მიუხედავად ამისა, ამ საზომს ლექსისას მაინც
„ჰეგზამეტრს“ უწოდებენ. „ილიადას“ გენდი-
ჩისტული თარგმანის 1960 წლის გამოცემაში
ვკითხულობთ:

«Размер подлинника—гекзаметр (шести-
стопный дактиль) — сохранен» (გვ. 16).

17. თქვენ ხაზგასმით წერთ: „მეტრის ინტერ-
რესებით სიტყვის ვარდაქმნა, გაწველა, კუ-
მუშევა, უჩვეულო ფორმების შექმნა თავად
ჰომეროსის საყოველთაოდ ცნობილი თავისებუ-
ლება“-ო და იმეწმებთ ლოსივს და ლეტტი-
მოსს. ევემეთთ თქვენ წერთ: „ასე რომ, რა-
საც ჩემზე ამბობს რეცენზენტი ბრალდების
სახით, შეიძლება ითქვას თავად ჰომეროსზე,
როგორც ამას აღნიშნავენ სპეციალისტები“-ო.
ქვერ ერთი: თქვენი სტილის მიხედვით გამო-
დის, თითქოს ლოსივსა და ლეტტიმოსს ეთქ-
ვათ, რათა ზ. გამსახურდიანზე ითქმის, ის ჰომე-
როსზედაც შეიძლება ითქვასო, მაგრამ მე მეს-
მის, თქვენ რისი თქმა გსურთ, ოღონდ ეს არის:
მე თქვენ ჰომეროსის ქმნილების დამახინჯები-
სათვის გვდავებთ, თქვენ კი — რასაც ჩემზე
ამბობთ, ის ჰომეროსზედაც ითქმისო. „აქვე
უნდა აღინიშნოს, — განავრობთ თქვენ, —
რომ „გულარჩილი“ და „ფაჩუნეირიკი“ მეტ-
რის მიხედვით არის ნახმარი ჩემს მიერ პარცე-
ლიანი უნით; როგორც ზემოთ დავინახეთ, ასე-
თი რამ თვით ჰომეროსს სჩვევია“-ო.

ბატონო ზვიად, ჰომეროსს და სხვა გენიო-
სებს ბევრი რამ სჩვევიათ „ახირებულთ“, მა-
გრამ რა შუაში ვართ მე და თქვენ?

18. თქვენ წერთ: „ლოსივს ციტატა ამას-
თან დაეკუთრებთ უკვე მოციტანე 1972 წ.
8/XII „ლოტერატურულ საქართველოში“, რო-
მელსაც „რეცენზენტმა“ (ბრწყალეში თქვენია,
ილ. კ.) შეგნებულად წაუყრუა“-ო. ჩემს სტა-
ტიის რეცენზენტმა გვერდი აუარაო, თქვენ
მომდევნო სვეტშიაც წერთ. საცივრველ არიან,
უფალო, საქმენი შენნი აი, რას წერს თქვენი
„რეცენზენტი“ თქვენს სტატიის გამო: „გაზ.
„ლიტერატურული საქართველო“ 1972 წლის
8 დეკემბრის ნომერში ზ. გამსახურდიამ გამო-
აქვეყნა „მცირე შენიშვნა“, სადაც თავს იმარ-
თლებს იმის გამო, რომ მის თარგმანში „პელე-
სისძეს“ მაგიერ წერს „პელისძეს“, „ატრესის-
ძის“ მაგიერ — „ატრისძეს“ და ა. შ იგი, ეკრ-
ძოდ წერს: „მე რომ შემსრულებინა მეცნიე-
რული პროზული თარგმანი, მაშინ უთუოდ
ყველგან დავიკავებ დღენს სიზუსტეს სახე-
ლების დაწერილობასთან დაკავშირებით. მა-
გრამ რამდენადაც ჩემი თარგმანი პოეტური თარ-
გმანია, აქ უმთავრესია პოეზიის ინტერესები“-ო.

„თავის სამართლებლად, — ვწერდი მე, —
ეს ვერაფერი საბუთია. სხვებმაც თარგმნეს
„ილიადა“, მაგრამ მათ ჰერსონათვა სახელები
არ დაუბანჩენებიათ. ზ. გამსახურდიას უჯობდა
ბერძნული ფორმები დაეტოვებინა (ხომ დატო-
ვა უცვლელად „კალხას თესტორიდეს“), ვიდრე
თავისებურად ემოკლებინა გმირთა სახე-
ლები.

ხოლო, რაც შეეხება პოეზიის ინტერესებს, —
განავრობდი მე, — ეს ინტერესები უკვე
იმით შეილახა, რომ „ილიადას“ პირველი ქე-
ბა ბუნებაში არარსებული ქართულით მთარგ-

მნა. პოეზიის ინტერესები იმიტაც შეილახა, რომ მთარგმნელმა თავი ვერ ვართთვა ლექსად (პეგზამეტრი) თარგმნას და წინარინარი, ენის დამკანინებელი და ღღინის წინარის დამამინინებელი ფორმები თუ სიტყვები მინიშნე-ლია“ სე. „სეკარია“, 1973 წ. № 3, გვ. 124-125).

თითქმის მთელი თქვენი სტატია ვადმოი-წერია და ვამინალიზებია, ვამიკრიტიკებია და ამას თქვენ „წყარუბას“ და „ვერდის ავლას“ ებახით? საოკარია: როგორ კადრულობთ ასე აშკარ ტყუილსა და ცილისწამებს?

19. ვემინირებულ თანხმობათა თაობაზე თქვენ წერთ: „ამ ორ მწერალს (გ. ტაბიძეს და კ. გამსახურდიას, ალ. ჭ.) პრინციპად აქვს ქვე-ული ორი თანხმობის ხარება, ვინაიდან ესეც ავკარიდებს ომონიმის საფრთხეს, ხოლო ომო-ნიმია აკად. გ. ახვლედიანის სამართლიანი თქმით, ენის ავადმყოფობაა“-ო. გ. ტაბიძეს აქაც ტყუილად იმოწმებთ. მას პრინციპად არა-სოღეს არ უქცევია უცხოურ ორთანხმობიან სახელთა უცვლელად ვადმოტანა.

მაგრამ ორ ვამოჩენილ მწერალს კიდევაც რომ ჰქონდეს პრინციპად აღებული რაიმე ანო-მალა, ეს საერთო სალიტერატურო ენის ნორ-მად ვერ მიიჩნევა და ამით თავის მართლება არ შეიძლება. ქართულში ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის უფლებამოსილებას სანქციას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-ბული თანამედროვე ქართ. სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწი-ფო კომისია, რომელიც რესპუბლიკაში ერთად-ერთი კომპეტენტური ორგანოა ენის ნორმათა დამდგენის საკითხში.

ქართულ ენაში პირდაპირ ობიექტს ნიშანი არა აქვს. ამიტომ „მიმოწმინტეს“, „ვაპებდაეს“ და მისთანათა ჰე არ უნდა. ზემოაღნიშ-ნული კომისიის მიერ ასეთი ფორმები მცდარ და მიუღებელ ფორმებად არის ვამოც-ხადებული. ასეთი ფორმების შესახებ ვეფონია-ზე ისევე არ შეიძლება საუბარი, როგორც „ვა-ეჩინე ხელ, ფეხი“-ს შესახებ ვერაინ იტყვის, ეს პოეტური ლიცენციააო.

ამ ელემენტარულ წესებს ყველა ქართულ სკოლაში ასწავლიან, მათი უადგილობა ხმარები-სათვის ნიშანს უკლებენ და, ამიტომ, უხერ-ხულია, როცა პოპულარულ-პერიოდულ პრესა-ში კერძო პირებს ვამტკიცებინებთ: ქართულში ვემინირებულ თანხმობები და პირდაპირი ობიექტის ნიშნები დასაშვებიაო.

თქვენ დაობთ: ძველ ქართულში ორთანხმოე-ნიანი სიტყვები იმპარებლითა და იმოწმებთ სიტყვებს: „ჩჩვილი“, „თთუე“, „ეკკლესია“. ამასაც ამბობთ: ანტონი „გრამატიკას“ წერ-დაო. „ჩჩვილი“ და „თთუე“ ქართული სიტყ-ვებია, მე კი უცხო სიტყვათა ქართულად ვად-მოტანაზე ვიდავებობ. „ღრამატიკასაც“ წერ-დნენ და „ეკკლესიასაც“, მაგრამ მათი ასე

წერა უღელური ვამოდგა, რადგან ქართული ენის ბუნებამ არ იგუა ასეთი ფორმები. ვამოწმებ უღელური არიან „აპოლონ“, „აქილდესი“, „ელლის“ და სხვა ფორმები, რომელთაც თქვენ მუტურებობთ.

20. თქვენ წერთ: (ვინცარულის) „ფალსიფი-კაცია იქიდანაც ჩანს, რომ მას თვითნებურად შეუცვალა სათაური და „იუმორესკა“ დაარქვა „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილ ჩემს წერილს, რომელსაც ჰქვია „ენათმეცნიერის დღეობრიდან“, ხოლო „იუმორესკა“ მიუთითებდა ეანრის სახელწოდებაზე (ჩანს აქაც საკითრთა უცხო სიტყვათა ლექსიკონი)“-ო. მე ვწერდი: „ერთს უნიათო წერილიმ (სათაური აღარ და-მისახლებია, ალ. ჭ.), რომელსაც რატომღაც „იუმორესკა“ დაარქვე“... და ა. შ. რატომ იტყვით თავს ასე მიამოტად, ბატონო ზვიად? ვითომ ვერ მიხვდით, რომ თქვენს წერილს სწო-რედ ეანრისათვის ვუწოდებ „უნიათო“, იმიტომ ვუწოდებ, რომ შიგ იუმორის ნატამალიც არ არის?

21. თქვენ ბოლოს წერთ: (რეცენზენტს) „წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ძველებერძულ ენაზე“-ო. დიხაც სსსურველია, რომ რეცენ-ზენტმა ძველებერძული ენა იცოდეს, მან ეს ენა არ იცის (რომ სცოდნოდა, თქვენ ვაცილ-ბით უცოდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი!) და ამას გულანდილად აღიარებს რეცენზიაში. ოღონდ ესაა: პომეროსის მთარგმნელს ძველ-ბერძნულზე მართო წარმოდგენა კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ საფუძვლიანად უნდა ფლობ-დეს მას. მე პირადად ძველებერძულის კარგ მცოდნედ ვერ მივიჩნევ მთარგმნელს, რომელ-მაც ამ ენაზე ათამდე თვლა არ იცის (ამის შე-სახებ იხ. „სეკარია“, 1973 წ., № 3, გვ. 126).

ჩემის საუკუნეში მეცნიერულ ჰუმარიტებსას ფიცით ვერ დაადგენ, ფიცით აარსებულნი ვე-რავის დაარწმუნებ კაცე. მხოლოდ ფაქტებია მეცნიერული ჰუმარიტების დადგენის ერთად-ერთი საშუალება. ხოლო ფაქტები თქვენს წი-ნააღმდეგ ღალადებენ. ამას საქმეში ჩახედილი მკითხველი უჩემოდაც მიხვდებოდა, მაგრამ თქვენ სხვაგვარ აღრესატს ვართულობთ.

ახლა საკითხი ვგონებ ყველასათვის ნათელია, მაგრამ მინდა რამდენიმე სიტყვა კიდევ ვთქვა თქვენი თარგმანის გამო (შესაძირისპირებლად ვიყენებ რუსულ თარგმანს, რადგან: 1. რუსუ-ლი ყველასათვის ხელმისაწვდომია და 2. გენ-დირისეულ თარგმანს იწუნებდნენ ძველსლავუ-რი სიტყვა-ფორმების გამოყენებისათვის, მაგ-რამ მისი შეპირისპირება თქვენს „ახალი ქარ-თულთ“ ნათარგმნ ტექსტთან ადსატურებს, რომ გენდინის ძველსლავური უფრო ვასავე-ბია ქართველი მკითხველსათვის, ვიდრე თქვე-

ალექსანდრე მინდარაშვილი

ლია ბარბაქაძე წმინდა ბაგდასურდისა



ნი „ახალი ქართული“. ეს კი, თავისთავად, ბევრისმთქმელი ფაქტია).

თქვენ პირველსავე სტრიქონში უშვებთ უხეშ შეცდომას. ჰომეროლოგიათათვის ანბანური ქეშმარიტებაა, რომ „ილიადას“ პირველი ქება აქილევის რისხვას ეძღვნება, მას „აქილევის რისხვას“ ეძახიან. ამას თვითონ ჰომეროსი უსვამს ხაზს პირველსავე სტრიქონში: „მომღერე, ღმერთქალო, რისხვა აქილევისს, პელევსის ძისა,“ რუს.:

Гнев, богиня, воспой Ахиллеса, Пелеева сына грозный который ахеянам тысячи бедствий соделал». (გენდიჩი). თქვენი თარგმანი: „მომღერე, ღმერთქალო, რისხვით ვით აღიძრა აქილევისს პელისძე, აქაველთ მხედრობას რაოდენ ეძვირა მისი ვანრისხება“. „მომღერე რისხვა“ (ე. ი. პირველი ქება „ილიადასი“) და „მომღერე რისხვით ვით აღიძრა“ სულ სხვადასხვა ოდენობებია. გენდიჩის უწერია:

«Ныне черный корабль на священное море испустим («священное». იკითხება ვერესაევისა და მინსკის თარგმანებშიც), თქვენ კი ვიწერიათ: „აჲ შავი ხომალდი ჩავუშვით სასწრაფოდ ზღვის მწვანე მორევი“. „მწვანე“-ს რომ თავი გავანებოთ, „მორევი“ მდინარეა აქვს და არა ზღვა.

გენდიჩთან ვკითხულობთ:
«Я за себя ли пришел, чтоб троян, укротителей коней, здесь воевать?»
შენიშვნებში წერია:

«Укротители коней — это обычное гомеровское выражение обозначает «сильный, могучий». ე. ი. ეს არის ჰომეროსისეული გამოთქმა და, ამიტომ, პირდაპირ გადმოაქვს გენდიჩს. თქვენ კი მიჰყუებთ ვერესაევს (მას „троян-копьеборцев“ უწერია) და ასე თარგმნით: „მე როდი მოვსულვარ ტროელ შუბოხანთა შუღლობად შორიდან“, რითაც დედნისეულ საინტერესო რეაღას კარგავთ.

ჰომეროსი პერას „ხარისთვალა“-ს (волоокая) უწოდებს ხოლმე. „ხარისთვალა“ ქართულში ცნობილი სიტყვაა:

მეყვარბარ, ტკბილთ კახეთო,
დიდო ალაზნის ქალაო,
ირემო იალღედა,


ფერის პირებზე ჩაღაო,
ბარდებში მძრამო ხოზობო,
ტურფაო ხარისთვალაო (თ. რაჭკ.).

თქვენ კი ვიწერიათ: „რქვა მან და შეძრწუნდა პერა კუროხთვალა, დადრკა შეინელო“; მაშინ მიუგებდა პერა დედუფალი, კუროხთვალაიან“. სამივე რუსულ თარგმანში „волоокая“ წერია, ხოლო ВОЛ დაკოდლი ხარია, კურო, როგორც მოგვხსენებთ, არის 1. „დაუკოდვი ხარი, ბუ-ლა, 2. ვაიე, საყვარელი ქალისა, ე. ზოდიაქოს ნიშანი“. (ე. ლ.) ე. ი. „კურო“ პოლისეიური სიტყვაა და თუნდაც ამით არ ვარგა მოცემულ კონტექსტში. დედანთან თარგმანის მიმართებას რომ თავი დავანებოთ, პერას თვალების შედარება „კუროს“ (resp. „ბულას“) თვალბთან უბერებელია, მით უფრო, როცა გვაქვს მშვენიერი სიტყვა „ხარისთვალა“.

„ვით უნდა შესთხოვდე სულდიღთა აქაველთ საზღაურს რაიმესკ“ — ასე მიმართავს თქვენს თარგმანში აქილევის ავამემნონს. „შესთხოვდე“ ნიშნავს, „ეხვეწებოდე, ემუდარებოდე“, ხოლო ავამემნონი აქაველებისთვის თხოვნა-მუდარას კი არა, ნადავლის ძალით წართმევას აპირებს, ე. ი. ეს სიტყვა უადგილოა, დედანს ამახინჯებს.

ქართულში „ეს“ და „ეგ“ ნაცვალახელები ერთმანეთის საპირისპირო ცნებებს გამოხატავენ: „ეს“ — მოსაუბრესთან ახლოს მყოფი, „ეგ“ — ვისაც ეუბნებიან, იმასთან ახლოს მყოფი. თქვენ „ეს“-ის მაგიერ „ეგ“-ს ხმარობთ. აქილევის მის ზელში ნაჰერ კვერთხზე ათქმევენებთ: „არ შეიფოთლებე ეგ კვერთხი აროდეს“. აი, კიდევ ასეთი მაგალითები: „სახლის წულად მსურდა ეგ ასული“, „რარიე გეგვერება ეგ ჩემი ჰოროლი“ და მისთ. ეს არც ახალი ქართულის ნორმაა და არც ძველისა, ეს არის თვითნებობა ენის მიმართ.

თქვენ თქვენს წერილში წერდით: „ამრივად, როგორც დავინახეთ, რეცენზენტს უმეტესწილად იმის გამო ეჩვენება „უხეში შეცდომები“ ჩემს თარგმანში, რომ თავად არ იცნობს მთავარ ძეგლებს ძველი ქართული ლიტერატურისას. მისი შენიშვნების უმრავლესობა გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა, ძველი ქართულის უცოდინარობით“-ო. ახლა მკითხველმა განსაჯოს, ვინაა ჩვენ შორის მტყუანი და ვინ — მართალი.



საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

ბ უ შ

„მეთოთხმეტე ქრონიკა“ დოს პასოსისა

„მეთოთხმეტე ქრონიკა, წერილები და დღიურები დოს პასოსისა“, — ასე დასათაურებია თავისი კრებული ტ. ლუდინგტონს. წიგნი დოს პასოსის მდიდარი საარქივო მასალის მიხედვითაა შედგენილი, სათაური კი იმ ფაქტს განუპირობებია, რომ სიკვდილის წინ მწერალი მუშაობდა რომანზე — „მეცამეტე ქრონიკა“ (წიგნი წელს გამოქვეყნდება).

წერილებისა და დღიურების გარდა, კრებულში შეტანილია მწერლის ფოტოსურათები და ნახატები კრიტიკოსებს მიანიათ, რომ „მეთოთხმეტე ქრონიკა“ უფრო მეტს მოგვითხრობს დოს პასოსზე, ვიდრე მისი რომანები. მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცემათ მრავალმხრივ შეისწავლონ მწერლის შემოქმედებითი თუ იდეური ევოლუცია, უკეთ გაეცნონ დოს პასოს — ადამიანს, მაგრამ, მოავარია, რომ წიგნი ცოცხლებს წარსულს, საუკუნის დასაწყისს, ხანას ცნობილი „დაღუპული თაობისა“, რომელმაც მსოფლიო ლიტერატურას ბევრი ცნობილი ამერიკელი მწერალი შესძინა.

ისე რომ კრებული მხოლოდ დოს პასოსის შემოქმედებას მკვლევართათვის როდია ხაინტერესო, ვგი მკითხველს მთელ ლიტერატურულ ეპოქას გააცნობს კრიტიკოსთა აზრით, კრე-

ბული მწერლის შემოქმედებითი მანერითაა შედგენილი, დოს პასოსი მიმართავდა ექსპერიმენტებს ფრაგმენტული ფორმის დარგში, მისი ყოველი წიგნი ფრაგმენტთა კოლექციაა.

ყოველკვირეულ „სატერადვი რევიუ“ ფურცლებზე ლიტერატურათმცოდნე ჰერბერტ გოლდი წერს: „წერილები და დღიურები“ მინიატურებს წარმოადგენს, ხოლო მინიატურათა კოლექცია ქმნის მოზაიკას — სწორედ ეს გახლავთ ყველაზე შთამბეჭდავი მოზაიკა დოს პასოსისა“.

დანი

„მარტინ ანდერსენი. ნამსახ — ჩემი ცნობარების მემორაბრი“.

„მარტინ ანდერსენ-ნემსემ მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ იგი არასდროს ყოფილა „საქმოსანი“. თავისი ორი რომანის გამოცემის უფლება 1912 წელს მან 50 ცენტად მიყიდა რომელიმე ინგლისელ გამომცემელს.“

მწერლის ქვრივის — იოჰანა ანდერსენ ნექსეს ეს სიტყვები ამას წინათ დრენდენელ ტელემაურებლებს აუწყა დასიემმა ტელეურესპონდენტმა ჰელარდ ლანდგორდმა. გულისხმიერად გაიხსენა იოჰანა ნემსემ „შესანიშნავ ადამიანთან — მარტინ ანდერსენ ნექსესთან“ ერთად გატარებული წლები. „ეს გახლავთ ყველაზე საუკეთესო და ბედნიერი ხანა ჩემი

ცხოვრების“. — თქვა მან.

მწერლის ერთგული თანამშრომლის მოგონებები დედო საფუძვლად ხატულევიწიო გადაცემას — „მარტინ ანდერსენ ნექსე — ჩემი ცხოვრების მეგობარი“. დიდი მწერლისადმი მიძღვნილი ეს გადაცემა ამას წინათ უჩვენებია დანიის ტელევიზიას.

ინგლისი

ივლინ ვოს დღიურები

ფურნალებმა „ობსერვერმა“ და „ეკვიარიზმა“ ერთდროულად დაბეჭდეს ინგლისელი მწერლის ივლინ ვოს დღიურები. ეს ფაქტი 1978 წლის ლიტერატურულ მოვლენად ქცეულა.

ივლინ ვოს დღიურების გამოცემლისა და რედაქტორის — მაიკლ დეივის წინაშე რთული ამოცანა იღვა — შურააცხოფილი რჩებოდა მწერლის დღიურებში ნახსენები მრავალი პიროვნება, მით უმეტეს რომ ბევრი მათგანი დღესაც ცოცხალია. მაშინ, როცა ხარკაში ცოცხალ პიროვნებათა წინააღმდეგ იყო მიმართული, მაიკლ დეივი და მისი კოლეგები იძულებული ხდებოდნენ, ამოეღოთ ეს ადგილები, ზოგჯერ კი გვარებს გამოწავონი ინიციალებით ცვლიდნენ. ისე კი, მგონი, არც უნდა გვშინებოდა ვანშეს შურააცხოფისა, როცა საქმე ასეთ უნიკალურ პუბლიკაციას ეხებაო, — ამბობს მაიკლ დეივი. ერთ-ერთი რეცენზენტის აზრით, ქი-



რურგიული ჩარების მიუხედავად, „შეურაცხოვონი“ და „ქორინელი“ ვინაიდან ვინაიდან იგრძნობს თავს.

ფილინ ვომ დღიურების წერა თორმეტი წლისამ დაიწყო (სწორედ ამ პირველი ჩანაწერებით იწყება „ობსერვაციის“ პუბლიკაცია) და სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა. დღიურის ფურცლებიდან მკითხველის წინაშე ცოცხლდება მრავალი სახელგანთქმული, პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, მწერალი თუ მსახიობი.

უფელეკვირეულმა „ბუკნელ ბუკმენმა“ გამოაქვეყნა მწერლის ვაჟიშვილის — ობერონ ვოს წერილი — „მამა და შვილი“. მწერლის ვაჟიშვილი, სხვა კრატეოსთან მსგავსად, გამოთქვამს შიშს — მამაჩემის მხვილი სიტუვით დაქრბილთა რიცხვა საკმაოდ დიდი იქნებაო.

თუმცა „ობსერვაციის“ დღიურების მხოლოდ შემოკლებული ვარიანტი გამოაქვეყნა, მაგრამ მითქმა-მოთქმა პრესაში უკვე ატყდა.

ობერონ ვოს მიანინა, რომ დღიურები დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, ხოლო ფართო მკითხველი მიიღებს ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსის ნამდვილ ბიოგრაფიას.

ნორვეგია

სპანდინაპირი ბალადაში

გამომცემლობა „კაბელინმა“ გამოაქვეყნა კრებული — „სპანდინაპირი ბალადები“. კრებულში შესულია დანიელი, ფინელი, ნორვეგიელი და შვედი ბალადის უანრის კლასიკოსების: ფერლინის, ტაუბის,

სიფრიდ პეტერსენის და თანამედროვე მწერლებს — ოლე ადოლფსონის, კორნელის ვრეიტინის, ლილენკო იენტი ნილსენის და სხვათა ბალადები.

წიგნი უანრობივად მეტად საინტერესოა. აქ თავმოყრილია — ფილოსოფიური, სასიყვარულო და საპროტესტო ბალადები, აგრეთვე სუფრული სიმღერები.

ეს გამოცემა იმითაა ფასეული, რომ სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა უანრის და სპანდინაპირის სხვადასხვა ქვეყნის ბალადები ერთ ლამაზ ბუკლეტშია თავმოყრილი. ამ წიგნის მიხედვით მკითხველი ეცნობა სპანდინაპირი ბალადის განვითარებას მრავალი საუკუნის მანძილზე, — წერს გაზეთ „ფრიბეტენის“ ლიტერატურული მმომხილველი.

ქურონალი გაფორმა ანდრო ბოჟოიქმე.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

ვადეცა ასაწყობად 7/11-74 წ., ხელმოწერილია დავაპკვად 4/47-74 წ., ქალაღის ზომა 20×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღარ-საჯ.

თაბახი 14,5 შეკვეთა № 522 უე 01712 ტ. რეფი 31.000

3360 60 333.



ЕЖЕ МЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
И. Д Е К С 76236